საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

ოთარ თურმანიძე

საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1928 წწ.)

გამომცემლობა
„შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2009

Министерство просвешения и науки Грузии
Батумский интитут Нико Берденишвили

Отар Турманидзе

ПОЗЕМЕЛЬНЫЕ ОТНОШЕНИЯ И АГРАРНОЕ ДВИЖЕНИЕ В ЮГО-ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ (1878-1928 ГГ.)

Издательство
„Государственный Университет Шота Руставели"
Батуми - 2009

ნაშრომში შესწავლილია საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1878-1928 წლებში. პირველ წყაროებზე დაყრდნობით გაანალიზებულია რუსეთის ხელისუფლების აგრარულ-კოლონიური პოლიტიკის ხასიათი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

დიფერენციულადაა შესწავლილი გლეხური, მემამულე-თავადაზნაურების, რელიგიურ დაწესებულებათა და მოახალშენე კოლონისტების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა. ახალი ხედვითაა გამუქებული საადგილმამულო ურთიერთობანი 1918-1920 და 1921-1928 წლებში. გამოკვლეულია აგრარული მოძრაობის ხასიათი და ნაჩვენებია მისი თავისებურებანი.

წიგნი გათვალისწინებულია სპეციალისტებისა და ამ თემით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი	ვ. შამილაძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
რეცენზენტები	ი. ბარამიძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
	ნ. ზოსიძე - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
	ი. მანველიძე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ISBN 978-9941-409-08-0

© „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2009

В труде изучены поземельные отношения и аграрное движение в Юго-западной Грузии в 1878-1928 годах.На основе первоисточников анализируется характер аграрной политики царской власти в эти годы.

Дифференцированно изучено землевладение и землепользование крестьян, помещиков, религиозных учреждений и колонистов. По новому освещен вопрос о поземельных отношения в 1918-1920 и 1921-1928 годы. Исследован характер аграрного движения и покаханы его особенности.

Книга предназначена для специалистов и широких кругов читателей, интересующихся этими вопросами.

Редактор **Шамиладзе В. М.** - Член кореспондент академии Наук Грузии, доктор исторических наук, профессор

Рецензенты: **Барамидзе И. Н.** – Доктор исторических наук, профессор

Зосидзе Н. Р. – Профессор Батумского государственного университета Шота Руставели.

Манвелидзе И.Х. – Профессор Батумского государственного университета Шота Руставели

შესავალი

საადგილმამულო საკითხი და აგრარული მოძრაობა ერთმანეთთან მჭიდროდაა გადანასკვული. მათი მთლიანობაში განხილვა შესაძლებლობას იძლევა სრულყოფილი სურათი შეიქმნას ამ რთული პრობლემის შესახებ. საადგილმამულო ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის ისტორიის ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების გარეშე ვერ ავიცილებთ შეცდომებს. ცხადია, თემა აქტუალურია და დღეანდელობას წაადგება.

ნაშრომში მოცემულია თემის ახლებური ხედვა. დაწერილია ახლებური მიდგომებითა და მეთოდებით. საკითხები შერჩეული და განხილულია მეცნიერული მეთოდოლოგიის საფუძველზე. თემის ქრონოლოგიური არჩევა თემის არსიდან გამომდინარეობს. ნაშრომი წარმოადგენს საკვლევი თემის 50 წლის ისტორიას, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ოთხი ეტაპისაგან შედგება. პირველი ეტაპი მოიცავს 1878-1900 წლებს, მეორე – 1901-1917, მესამე – 1918-1920, ხოლო მეოთხე ეტაპი – 1921-1928 წლებს. თემის ეტაპებად დაყოფას საფუძვლად დაედო ის თავისებურებანი, რაც საკვლევი ხანის თითოეულ მონაკვეთში არსებობდა. პრობლემის ეტაპობრივად შესწავლა საშუალებას იძლევა უკეთ გაანალიზდეს სხვადასხვა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ფორმათა ევოლუცია, მიწის რენტის ფორმები, საგადასახადო სისტემა, აგრარული მოძრაობა და სხვა საკითხები.

ქართველ კაცს მიწის პრობლემა ყოველთვის აწუხებდა. საქართველოში 1864-1871 წლების აგრარული რეფორმის შედეგად გლეხობამ მიწა და თავისუფლება ვერ მიიღო. ბატონყმური ურთიერთობა ხელუხლებელი დარჩა.

დროებითვალდებული გლეხობის ინსტიტუტი 1917 წლის ბოლომდე შემორჩა. განსხვავებული ვითარება იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისას აქ ბატონყმური ურთიერთობა აღარ არსებობდა. აგრარული რეფორმის შემდეგ, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის 60-70 წლებში განხორციელდა, პრივილეგიური წოდების (აღაბეგები) კერძომესაკუთრული უფლებები მიწაზე სულთნის მთავრობამ გააუქმა. მოსახლეობა და მათ მფლობელობა-სარგებლობაში არსებული ადგილ-მამულები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა.

რუსეთის ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკა არაფრით განსხვავდებოდა ოსმალურისაგან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების მნიშვნელობა უწინარესად ის არის, რომ ქართული მიწა-წყალი ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა, ქვეყანა ტერიტორიულად გამთლიანდა და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ახალი პერსპექტივები ისახებოდა. მნიშვნელობა ენიჭებოდა იმასაც, რომ რუსეთი ქრისტიან ქვეყანას წარმოადგენდა. მართალია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველობა გამუსლიმანებული იყო, მაგრამ მათ ქრისტიანულ რწმენაზე დაბრუნებას რუსეთი აშკარად ვერ შეეწინააღმდეგებოდა.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის განხორციელების გზაზე მაგისტრალური ხაზი იყო საადგილმამულო საკითხი. რუსეთის ხელისუფლება თავისი ბატონობის მანძილზე თავგამოდებით იბრძოდა, რათა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადგილ-მამულებზე სახელმწიფოს მესაკუთრული უფლებები იურიდიული ნორმებით დაეკანონებინა. საკითხისადმი ასეთ მიდგომას პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ამისათვის რუსეთის ხელისუფლება ოსმალურ საადგილმამულო კანონმდებლობას იშველიებდა. ამ მიზანდასახულობის განხორციელებისას ცარიზმი მოსახლეობის მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. ამიტომ პრობლემის შესწავლა-გამხილვა დიდხანს გაიწელა.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ცარიზმმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შეინარჩუნა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ოსმალური ფორმები, საადგილმამულო გადასახადები და საგადასახადო სისტემა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ აქაური მამულები ადგილობრივი საოლქო მმართველობიდან ცენტრალური უწყების მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. ამ ღონისძიებით განმტკიცდა და კიდევ მეტად გაძლიერდა სახელმწიფო საკუთრება, დაჩქარდა მხარის კოლონიზაცია.

საადგილმამულო ურთიერთობაში ახალი ცვლილებები XX საუკუნის დასაწყისში განხორციელდა. ამით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დასრულდა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ოსმალური წესები. მართალია, ცარიზმმა ბათუმისა და ყარსის ოლქების მიწებზე სახელ-

მ'იფო საკუთრება ი'ურიდიულად ვერ გააფორმა, ჰაგრამ რუსული აგრარული წყობა ფაქტობრივად დაამყარა. ნაშრომში გაანალიზებ'ელია რუსული აგრარული წყობის თავისებ'ურებანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. დახასიათებ'ულია რუსული და სხვა არაქართველების სამიწათმოქმედო ახალშენები, სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებ'ულების დაარსება და საქმიანობა, რომელთა დანიშნ'ულებას შეადგენდა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ათვისება და კოლონიზაციის დაჩქარება.

ნაშრომში განხილ'ულია მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ფორმების ცვლილებათა არსი. დახასიათებ'ულია მესაკუთრეთა ჯგუფები: გლეხური, მემამულე-თავადაზნაურების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა. ცარიზმი შეეპოვრად იბრძოდა მოსახლეობის მიგრაციის გაფართოებისათვის, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხმარებოდა მოახალშენეებს ხელში ჩაეგდოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაყოფიერი მიწები. მიწის კაპიტალიზაციამ არნახული მასშტაბი შეიძინა, რის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ადგილობრივი მოსახლეობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა. ამავე დროს მოხდა მიწისმფლობელთა ახალი ფენების ფორმირება. ეს იყო ქართული ორგანი'ზმისათვის უცხო, კოლონიური ბუნ'უაზია, მაგრამ დრომოჭმ'ული მემამულე-თავადაზნაურების მიწისმფლობელობასთან შედარებით პროგრესული. ნაშრომში შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რელიგიურ დაწესებ'ულებათა მიწათმფლობელობა. რუსეთის ხელისუფლება მუსლიმანური ეკლესია-მონასტრების (მეჩეთები)

მიწათმფლობელობას მტრულად ეკიდებოდა, მაგრამ პოლიტიკური მოტივაციით ნაკლებად ეხებოდა, ფაქტობრივად შემწყნარებლობას იჩენდა.

ერთობ წინააღმდეგობრივად და კატაკლიზმების ვითარებაში წარიმართა აგრარული ურთიერთობანი 1918-1920 წლებში. თურქებისა და ინგლისელების ოკუპაციის პირობებში მიწათმფლობელობის ფორმებში არსებითი ცვლილებები არ ყოფილა. მხოლოდ საადგილმამულო გადასახადები დამძიმდა და სოფლად ოკუპანტების ეგზეკუციები გაიზარდა. ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აგრარული კანონმდებლობანი და აჭარა'ში მისი განხორციელებისათვის გაწეული მოსამზადებელი მუშაობა.

ახლებურადაა შესწავლილი საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის თავისებურებანი აჭარაში. ეს საკითხი ორგანულად უკავშირდება საკვლევ თემას. საადგილმამულო ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის ამ ეტაპზე განხორციელდა მემამულე-თავადაზნაურების, როგორც კლასის, ლიკვიდაცია და მათი მამულების კონფისკაცია. საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება მემამულე თავადაზნაურებისადმი შეფასებულია, როგორც საკაცობრიო დანაშაული, ბოროტმოქმედება. ეს გამოიხატა მათი სიცოცხლისა და კერძო საკუთრების ხელყოფაში, ღირსების შელახვაში. ამ ეტაპზე განხორციელდა მოახალშენეთა მამულების ნაციონალიზაცია, რაც დადებითაა შეფასებული. ასეთი შეფასება არგუმენტირებულია იმით, რომ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში კოლონისტების მიწათმფლობელობა ქართული ეროვნული

ყუძის მოშლა-რღვევას უკავშირდება და მისი შენარჩუნება ასევე დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა. მაგრამ საქმე ესება ამ პროცესის მეორე მხარეს: კოლონისტები იმსახურებდნენ იმ დანახარჯების ანაზღაურებას, რაც მათ გასწიეს ამ მხარეში მიწების შეძენასა და კულტივირებული მეურნეობის მოწყობაში.

გამოკვლევაში ახალი ხედვითაა გაანალიზებული და შეფასებული საბჭოთა ხელისუფლების აგრარული რეფორმის გატარების მეთოდები და შედეგები. ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ ამ რთული პრობლემისადმი კლასობრივმა მიდგომამ, იძულებისა და მკაცრი ადმინისტრირების მეთოდებმა დაძაბა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და გააღრმავა კრიზისი. აგრარული რეფორმა ნაკლებშედეგიანი აღმოჩნდა. გლეხობამ ვერ მიიღო საჭირო მიწა, რადგან მცირემიწიან რეგიონში ჭარბი მოსახლეობის საკმარისი ადგილ-მამულით უზრუნველყოფა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნებოდა იმ პირობით, თუ აჭარიდან ჭარბ მოსახლეობას ჩაასახლებდნენ საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა იყო. მაშინდელი სახელმწიფო ხელისუფლების მიდგომა და ხედვა ამ რთული პრობლემისადმი ზერელედ გამოიყურებოდა.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრარულ მოძრაობას. ნაჩვენებია ამ მოძრაობის თავისებურება, რაც იმაში აისახება, რომ მასში მონაწილეობდა საზოგადოების ყველა ფენა. ადგილობრივი პრივილეგირებული წოდება (აღა-ბეგები) მათ სარგებლობაში არსებული მიწების კერძო საკუთრებაში დამტკიცებას მოითხოვდნენ. ანალოგიურ

მოთხოვნებს აყენებდნენ კოლონისტი მიწისმფლობელები. გლეხობას აწუხებდა მცირემიწიანობა, საერთოდ უმიწობა, საადგილმამულო და სხვა სახის გადასახადები, ბეგარა-ვალდებულებათა სიმძიმე. აგრარული მოძრაობის პირველ ეტაპზე (1878-1904 წწ.) თხოვნა-საჩივრები და ურჩობა ჭარბობდა. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვლებსაც.

აგრარული მოძრაობის მეორე ეტაპი 1905-1907 წლებს მოიცავს. ნაშრომში განხილულია გლეხობისა და სხვა სოციალური ფენების თავგანწირული ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის. გაშუქებულია ქვემო აჭარის, კინტრიშის უბნისა და სხვა კუთხეების მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლები. პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ 1917 წლამდე კვლავ თხოვნა-საჩივრები და ურჩობა, როგორც ბრძოლის ფორმა, დომინირებდა. 1878-1917 წლების აგრარული მოძრაობის დროს გამოიკვეთა ორი სოციალური ომი: გლეხობის ბრძოლა მემამულე-თავადაზნაურებისა და მოახალშენე კოლონისტების წინააღმდეგ და საერთოდ მოსახლეობის ომი რუსეთის ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის მიმართ. ნაშრომში ნაჩვენებია 1918-1920 წლებში აგრარული გამოსვლების გადაზრდა საერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1921-1928 წლების აგრარული მოძრაობის დიფერენციულად განხილვა საჭიროდ არ მივიჩნიეთ. იგი განსილულია საადგილმამულო ურთიერთობასთან საერთო კონტექსტში.

კვლევა-ძიების მთავარი შედეგი ის არის, რომ შეიქმნა მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც შედარებით სრულყოფილადაა შესწავლილი საადგილმამულო ურთიერთობანი და

აგრარული მოძრაობა 1878-1928 წლებში. გამოკვლევაში დასასიათებულია რუსეთის მთავრობის აგრარული პოლიტიკა. განხილულია მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ფორმები, მესაკუთრეთა ჯგუფები. გაშუქებულია აგრარული საკითხი 1918-1920 წლებში. გაანალიზებული და შეფასებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აგრარული პროგრამა და საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის თავისებურებანი აჭარაში.

წყაროები. ნაშრომი დაწერილია გამოქვეყნებული ოფიციალური დოკუმენტების, საარქივო მასალების, სტატისტიკური კრებულების, მემუარული ლიტერატურის, პრესის მონაცემების, ადგილზე შეკრებილი საველე ჩანაწერების გულდასმით გაანალიზების საფუძველზე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, გრიგოლ ორბელიანის, დავით კლდიაშვილის და სხვათა პუბლიცისტური წერილები. ამ წერილებში მკვლევარი შეხვდება საყურადღებო აზრებს საადგილმამულო ურთიერთობის, ბეგარა-გადასახადების, მუჰაჯირობის, აგრარული მოძრაობის, რეგიონის კოლონიზაციის და სხვა საინტერესო საკითხებზე. ქართველი განმანათლებლების პუბლიცისტურ წერილებში საკითხები განხილულია ზოგადად და მათ ძირითადად მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვთ.

ოფიციალური დოკუმენტების ნაწილი გამოქვეყნებულია 1921 წლამდე, ხოლო მეორე ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების დროს. ცხადია, ორივე ხანის ოფიციალური დოკუ-

მენტები ტენდენციურია და კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს. დოკუმენტების ნაწილი ზოგადი სასიათისაა. ძოგიერთ მათგანს კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს. მათში ჩვენთვის საინტერესო საკვლევი თემის შესახებ ცნობები მოცემულია სხვა საკითხებთან კონტექსტში, მაგრამ ისინი უაღრესად საყურადღებოა. 1921 წლამდე გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან აღსანიშნავია რუსეთის სახელმწიფოს კანონთა კრებულები[1]. მათში მოცემული მასალებით შესაძლებელია ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკის დახასიათება. რუსეთის მთავრობის დადგენილებები, რომლებიც უშუალოდ ეხება ბათუმისა და ყარსის ოლქების საადგილმამულო ურთიერთობას, მიწის რენტის ფორმებს და სხვა საკითხებს, შეტანილია 1886, 1889, 1893, 1903 წლების და სხვა კრებულებში.

ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მიწის ფონდის შესახებ ორიოდე ცნობა მოცემულია სახელმწიფო საგლეხო ბანკის მოქმედების ამიერკავკასიაში გავრცელებასთან დაკავშირებით შეკრებილ მასალებში[2]. რუსეთის მიერ კავკასიის კოლონიზაციის, რუსული ახლშენების მოწყობის შესახებ მასალები გამოქვეყნებულია საამისო სპეციალურ მიმოხილვებში[3]. მართალია, მასში ძირითადად დაბეჭდილია 1908-1912 წლების ცნობები, მაგრამ შესავალში მოკლედაა მიმოხილული კავკასიის კოლონიზაცია XIX საუკუნის განმავლობაში. მიმოხილვაში მოცემულია 1908-1912 წლებში ბათუმისა და ყარსის ოლქებში საკოლონიზაციო მიწის

---

[1] Польное собрание законов российской империй. САНКТ-ПЕТЕРБУРГ, 1880-1917 гг.

[2] Материалй по вопросу о распространеннй действии крестьянского поземельного банка на закавказский край Тиф., 1904.

[3] Обзор переселенческого дела на кавказье за пять лет 1908-1912 гг.. САНКТ-ПЕТЕРБУРГ, 1913.

გამოყოფისა და კოლონისტების ჩამოსახლების, მათთვის ფინანსური და მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

ბათუმისა და ყარსის ოლქებში რუსული სასოფლო მმართველობის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა საამისო სპეციალური დებულება, რომელიც შედგენილია რუსულ და თურქულ ენებზე[4]. ამ დებულებაში ჩადებული მუხლები მკაფიოდ მოწმობს გადააქციოს სასოფლო მმართველობა გლეხობის მორჩილებისა და დამონების, ბეგარა-გადასახადების ამოღების მთავარ დასაყრდენად.

საკვლევი თემის შესახებ მასალები მოიპოვება კრებულში "ბათუმი და მისი შემოგარენი"[5], ქუთაისის გუბერნიის, ყარსისა და ბათუმის ოლქების მიმოხილვებში. ბათუმის ოლქის მიმოხილვა ორჯერ გამოვიდა[6]. ქუთაისის გუბერნიისა და ყარსის ოლქის მიმოხილვები სისტემატურად გამოდიოდა. მათში მოცემული მასალები მნიშვნელოვანი წყაროა ჩვენთვის საინტერესო რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესასწავლად. კერძოდ, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის, საადგილმამულო და სხვა სახის გადასახადებისა და ბეგარა-ვალდებულებების დახასიათებისათვის. ზემოაღნიშნულ მიმოხილვებს დამატების სახით დართული აქვთ ცხრილები, რაც აადვილებს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების უფრო მკაფიოდ წარმოსახვას. მათი ღირსება ისიც არის, რომ ცნობები მოცემულია ოკრუგებისა და უბნების მიხედვით,

---

[4] Положение о сельском управлении Карской области, Батумского и Артвинского округов Кутайской губернии. Тиф., 1901.

[5] Батуми и его окресности. Бат., 1906.

[6] Обзор Батумской обльасти за 1903 год. Бат., 1904; Обзор Батумской обльасти за 1910 год. Бат., 1912.

რითაც შესაძლებელია თითოეული მათგანის ხვედრითი წილის ჩვენება.

სავაჭრო მიწათმოქმედების, სააქციზო გადასახადების შესასწავლად მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს ამიერკავკასიის სააქციზო უწყების ანგარიშები და მიმოხილვები. ანგარიშები გამოდიოდა 1887-1901 წლებში, ხოლო მიმოხილვები – 1902-1912 წლებში[7]. მათში სტატისტიკურ ცნობებთან ერთად მოცემულია მიმოხილვები, რაც გარკვეულ სამსახურს გვიწევს საკვლევი თემის შესწავლაში. ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ბუნებრივ-კლიმატური პირობების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის და სხვა საკითხების შესახებ საინტერესო მასალები გამოქვეყნებულია რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების პერიოდულ გამოცემებში[8].

საკვლევი თემის შესახებ წყაროებს შორის აღსანიშნავია 1913 წელს პეტერბურგში მოწყობილი გამოფენის "რუსკაია რივერა" ამსახველი მასალები. ეს მასალები დაიბეჭდა სამ წიგნად[9]. მათში მოცემული ცნობები მნიშვნელოვანია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კაპიტალისტური ტიპის საწარმოთა, ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის და სხვა საკითხების შესასწავლად.

---

[7] Отчеты заведующих акцизными сборами закавказского края и закаспийской области о положение акцизного дела за 1887-1901 гг.. С-петербург: обзор отраслей промышленности в закавказком крае, служащчих источников косвенных налогов и поступления акцизного по краю дохода за 1902-1912 гг..Тиф..

[8] Записки кавказского отдела императорского русского географического общества: Известия кавказского отдела императорского русского географического общества.

[9] Обозрение выставки черноморского побережья кавказа "Русская ривьера" С-ПЕТЕРБУРГ, 1913: каталог сельско-хозяйственной и культурно-промишленной выставки черноморского побережья кавказа "Русская ривьера" С-ПЕТЕРБУРГ, 1913. первая выставка черноморского побережья кавказа "Русская ривьера". С-ПЕТЕРБУРГ, 1914.

საადგილმამულო ურთიერთობისა და სოფლად კაპიტალისტური საწარმოების შესასწავლად საყურადღებო წყაროა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების პერიოდული გამოცემები. 1878-1883 წლებში გამოდიოდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების კრებულები. სულ 6 ტომი გამოვიდა. 1885-1890 წლებში ასევე 6 ტომად გამოვიდა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების შრომები. 1893-1905 წლებში კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება ბეჭდავდა ყოველკვირეულ ჟურნალს "კავკასიის სოფლის მეურ-ნეობა", რომლებიც შეკრულია 12 ტომად. 1908-1917 წლებში ზემოაღნიშნული ჟურნალი გამოდიოდა სახელწოდებით "კავკასიის მეურნეობა". ამ პერიოდულ გამოცემებში მოიპოვება მასალები ჩვენთვის საინტერესო თემის შესახებ. მართალია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ მასალები მოკლე და ზოგადია, მაგრამ საყურადღებო და ანგარიშგასაწევია.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, კერძოდ, საადგილმამულო ურთიერთობის, სოფლის მეურნეობის, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, მოახალშენეთა მეურნეობების შესახებ უფრო სრულყოფილი და შედარებით მდიდარი მასალები მოცემულია ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების გამოცემებში. 1909-1911 წლებში საზოგადოება სცემდა ჟურნალს "ბატუმსკი სელსკი ხოზიაინ". 1912-1918 წლებში იგი გამოდიოდა "რუსკიე სუბტროპიკის" სახელწოდებით. მათი ზოგიერთი ეგზემპლარი ინახება საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, აჭარის რესპუბლიკურ, სახელმწიფო სამუზეუმო გაერთიანებისა და ბოტანიკური ბაღის ბიბ-

ლიოთეკებში. სრულყოფილი ეგზემპლარები დაცულია პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის პერიოდულ განყოფილებაში. ეს მასალები ჩვენს მიერ შესწავლილია 1966-1967 და 1982 წლებში. ისინი წინამდებარე შრომაში სათანადოთაა გამოყენებული.

საკვლევი თემის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ინსტრუქციები, ანგარიშები, შრომები და სხვა. საზოგადოების ანგარიშები ცალკე ბროშურის სახით სულ ორჯერ გამოვიდა. 1915 წლის ანგარიშში გაშუქებულია საზოგადოების დაარსებისა და საქმიანობის ისტორია. 1916 წლის ანგარიშში კი განხილულია ერთი წლის საქმიანობა. ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისა და ადგილობრივი განყოფილებების ინსტრუქციებში მოცემული მასალები საშუალებას იძლევა გავაშუქოთ ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სტრუქტურა, თითეული ქვედანაყოფის საქმიანობის მიმართულება და მიზანდასახულობა. აგრარული ურთიერთობისა და მოახალშენეთა მეურნეობების შესასწავლად ასევე მნიშნელოვანია ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების შრომები, რომელიც პირველად 1917 წელს დაიბეჭდა.

ბათუმის სოფლის მეურნეობის სხვა გამოცემებიდან აღსანიშნავია ორი კრებული[10], რომლებშიც შევიდა ლ. ვილკანსკის, დ. ფენსტერის, ს. ანისიმოვის, ი. დიადიუშის, ა. კრასნოვის, ი. სინიცინის, ვ. გოლიცინის და სხვათა სტატიები. აქ დასახელებული ავტორები იყვნენ ცარიზმის

---

[10] Батумское побережье "Русские тропики", сборник статей. Бат., 1911: щитрусовья, сборник трудов профессора А. Н. Краснова, I. Бат 1915.

კოლონიალური პოლიტიკის გამტარებლები აჭარაში. მათი სტატიები საგრძნობ დახმარებას გვიწევს შევავსოთ ცოდნის მარაგი საადგილმამულო საკითხის, მოახალშენე კოლონისტების სამეწარმეო საქმიანობის შესასწავლად.

საკვლევი თემის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროა მოახალშენეთა მეურნეობების მიმოხილვები. მათი ღირსება ისიც არის, რომ ავტორთა უმეტესობა მოახალშენე კოლონისტებია. მათ შორის აღსანიშნავია კ. პოპოვის ბროშურა[11], რომელშიც აღწერილია აჭარაში თავისივე მეურნეობის მშენებლობა 1893-1901 წლებში. ბროშურაში წარმოდგენილია ფოტოსურათები ჩაის პლანტაციების შესახებ და სხვა, რასაც საგრძნობი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ა. სტოიანოვის სტატიაში ასევე გაშუქებულია თავისი მეურნეობის ისტორია 1899 წლამდე[12]. აჭარის ზღვისპირეთში მოახალშენეთა მეურნეობებისა და აგარაკების შესასწავლად საყურადღებოა ნ. ვერუს მიერ შეკრებილი მასალები[13].

ჩაქვის საუფლისწულო მამულის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა ი. კლინგენის წიგნები. იგი წლების განმავლობაში მსახურობდა პეტერბურგის საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს კავკასიის მხარის აგრონომად. ი. კლინგენი პირადად მონაწილეობდა ჩაქვის საუფლისწულო მამულის მშენებლობაში. ამიტომ მის წიგნებს საისტორიო წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. პირველ წიგნში განიხილა ჩაქვის ხეობის ტოპოგრაფია, მიწის საერთო ფონდი, მათი მფლობელები, ადგილობრივი მოსახლეობის კომლობრივი შემადგენლობა.

---

[11] Попов К. С. Краткая история первого русского чая Константине Попова. М., 1904.
[12] Стоянов А. К истории поселении Батума, журн. вестник эвропи. №10. 1899.
[13] Батуми и его окрестности, описании Н. А. Веру. Бат., 1910.

ი. კლინგენმა აღწერა საუფლისწულო უწყების მიერ აღმოსავლეთის სუბტროპიკული კულტურის ქვეყნებში მივლინებული ექსპედიციის შედეგები, მიწების შეძენა ჩაქვის ხეობაში და პირველი ნაბიჯები მეურნეობის მოსაწყობად. მეორე წიგნში გააშუქა ჩაქვის საუფლისწულო მამულის მშენებლობის ისტორია 1917 წლამდე[14]. ცხადია, კლინგენის წიგნები უაღრესად ანგარიშგასაწევია და ისინი ჩვენს მიერ ჯეროვნადაა გამოყენებული.

დასახლება ციხისძირის (კინტრიშის უბანი) მოახალშენეთა მამულები და აგარაკები მიმოხილულია კრებულში "ციხისძირი[15]". მასში მოცემული მასალები, მათ შორის ფოტო-სურათები მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის რუსეთის მიერ ამ სოფლის კოლონიზაციის შესახებ. აჭარაში კოლონისტების მეურნეობების შესასწავლად ასევე საყურადღებოა კავკასიის ზღვისპირეთის შესახებ საცნობარო წიგნში მოცემული ცნობები[16].

საკვლევი თემის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტატისტიკურ მასალებს. კავკასიის კალენდარში, რომელიც 1946 წლიდან გამოდიოდა, ბათუმისა და ყარსის ოლქების შესახებ ცნობები მოცემულია 1880-1917 წლების გამოცემებში. სტატისტიკური კრებულებისაგან განსხვავებით კავკასიის კალენდარში დაბეჭდილია მოკლე მიმოხილვები ბათუმისა და ყარსის ოლქების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის, გადასახადების, მო-

---

[14] Клинген И. А. краткое описание удельного подтропического хозяйство в связы результатами удельной експедиции на далный восток. С-ПЕТЕРБУРГ, 1900: Проект организации подтропического хозяйства в закавказье с чайном хозяйством во главе. петроград, 1917.

[15] Цихисдзири. Бат., 1912.

[16] Черноморское побережье кавказю (справочная книга). Составили С. П. Доброчевскими и др. С.ПЕТЕРБУРГ, 1916.

სახლეობის სოციალური სტრუქტურის, ეთნო-კონფესიური ვითარების და სხვა საკითხების შესახებ. კრებულში მოცემული ცნობები შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ მთლიანი კავკასიის მაშტაბით მოვლენების განვითარებას და დავადგინოთ საკვლევი რეგიონის სპეციფიკა.

მოსახლეობის დემოგრაფიული, სოციალურ-წოდებრივი და ეროვნული შემადგენლობის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა რუსეთის იმპერიის 1897 წლის აღწერის მასალები. ყარსის ოლქს ცალკე წიგნი დაეთმო, ხოლო ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მასალები შეეიდა ქუთაისის გუბერნიისათვის განკუთვნილ სპეციალურ ტომში[17]. აქ მოცემული ცნობები ჯეროვნადაა გაანალიზებული და გამოყენებული. კერძოდ, შესაძლებლობა მოგვეცა დაგვედგინა არტაანის, ოლთისის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების გლეხობის, მუშათა კლასის, ბურჟუაზიის, მემამულეების, სასულიერო წოდების ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო მასაში, აგრეთვე ეროვნულთან ერთად საზოგადოების სქესობრივი და ასაკობრივი შემადგენლობა, მიგრაციული პროცესები.

ყარსის ოლქის შესახებ ჩვენ მივაკლიეთ ერთ ოფიციალურ სტატისტიკურ კრებულს[18], რომელშიც მოცემული ცნობები ეხება XIX საუკუნის 80-იან წლებს. ამ კრებულში გამოქვეყნებული ცნობებიდან ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა მოსახლეობის კომლობრივი და სულადობრივი, ეროვნული და სოციალური შემადგენლობა, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა, საადგილმამულო გადასახა-

---

[17] Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года. LXIV. Карская область. 1904; LXVI. Кутаисская губерния, 1905.

[18] Карская область.. Свод статистических данных. Тиф., 1889.

ლები და სხვა. ეს ცნობები გულდასმითაა კაანალიზებული და სათანადოდ გამოყენებულია წინამდებარე მონოგრაფიაში. ბათუმის ოლქის ოფიციალური სტატისტიკური კრებული 1879-1920 წლებში არ გამოქვეყნებულა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ პირველი ოფიციალური სტატისტიკური კრებული, რომელიც უშუალოდ აჭარას ეხება, გამოქვეყნდა 1924 წელს[19]. საკვლევი თემის შესახებ ზოგადი ცნობები მოიპოვება საქართველოსა და ამიერკავკასიის სტატისტიკურ კრებულებში, რომლებიც ქართულ და რუსულ ენებზე გამოვიდა.[20] საადგილმამულო ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის შესწავლაში საყურადღებოა მემუარული ლიტერატურა და მოგზაურთა მიერ შედგენილი ცნობები. ამ კუთხით ჩვენი ყურადღება მიიპყრო დავით კლდიაშვილის მემუარებმა[21], რომელშიც საინტერესო ცნობები მოიპოვება აჭარაში განვითარებული მოვლენების შესახებ. 1905 წლის რევოლუციისადმი მიძღვნილ კრებულში დაბეჭდილი წერილებიდან აღსანიშნავია სერდალ დიასამიძისა და მუსტაფა აცამბას მოგონებები. პირველი ეხება გლეხთა გამოსვლას ქვემო აჭარაში, ხოლო მეორე სოფელ მინდიას წინააღმდეგ მთავრობის მიერ ჩატარებულ სადამსჯელო ეგზეკუციებს. მოგონებაში მოცემულია საინტერესო ცნობები მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის შესახებ[22].

---

[19] აჭარის ასსრ სტატისტიკური კრებული 1913-1923. ბათ., 1924.

[20] ამიერკავკასიის სტატისტიკური კრებული 1909-1921. ტიფ., 1925; статистический сборник 1922-1926. ТБ., 1927

[21] დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე. ბათ., 1984.

[22] 1905 წელი. ბარიკადები ბათუმში (მოგონებათა კრებული). ბათ., 1925.

მოგზაურთა მიერ შეკრებილი ცნობებიდან საყურადღებოა თედო სახოკიას და ზაქარია ჭიჭინაძის მასალები. თედო სახოკიამ აჭარაში იმოგზაურა 1897 წელს და საინტერესო მასალები გამოაქვეყნა ამ კუთხის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ[23]. ზაქარია ჭიჭინაძე ხანგძლივი დროის განმავლობაში მოგზაურობდა აჭარაში და ადგილზე ეცნობოდა ამ რეგიონის მოვლენებს. მან არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ. ცხადია, ზემოგანხილული წყაროები მნიშვნელოვანია საკვლევი თემის შესასწავლად. მაგრამ წინამდებარე ნაშრომი ძირითადად დაწერილია საარქივო მასალების საფუძველზე. მათი დიდი ნაწილი არქივსაცავებში ინახება. დღემდე მცირე ნაწილია გამოქვეყნებული. ბათუმის ოლქის, არტაანისა და ოლთისის ოკრუგების მიწათმოწყობის, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის, მიწის არენდის და სხვა საკითხების შესახებ ზოგადი ხასიათის ცნობები მოცემულია პ. გუგუშვილის, ი. ანთელავას, შ. ჩხეტიას მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტების კრებულებში[24].

ბათუმის ოლქში 1905-1907 და 1917-1921 წლების აგრარული მოძრაობის შესახებ ზოგიერთი საბუთი დაბეჭდილია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საარქივო სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტების კრებუ-

---

[23] თედო სახოკია, მოგონებები. ბათ., 1985.

[24] Сельское хозяйство и аграрные отношения. IV, составил профессор П. Г Гугушвили. ТБ., 1965; И. Г. Антелава, Реформа поземельного устройства государсвенных крестьян закавказья в конце XIX века (документы и материалы). Сухуми, 1952; документы и материалы (1861-1917гг) под редакции Ш. Чхетия, I. ТБ., 1958.

ლებში[25]. 1917-1921 წლებში ბათუმის ოლქში განვითარებული მოვლენების, კერძოდ, საადგილმამულო ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის შესასწავლად საყურადღებოა ის საბუთები, რომლებიც დაიბეჭდა XX საუკუნის 60-იან წლებში გამოქვეყნებულ კრებულებში[26]. ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი შერჩეულია ტენდენციურად. მხოლოდ მმართველი კომუნისტური პარტიის იდეოლოგიასა და პლატფორმას ასახავს. ასევე ტენდენციურადაა შერჩეული დოკუმენტები და მასალები, რომლებიც აჭარის 1921-1928 წლების ისტორიას ეხება[27]. კრებულში დაბეჭდილი მასალები: პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებები, მოხსენებები, საგაზეთო სტატიები და სხვები არ ასახავენ რეალურ ვითარებას. ზოგჯერ ფაქტებიც დამახინჯებულია. მკლევარი ვალდებულია სიფრთხილით მოეკიდოს მათ.

რუსეთის ხელისუფლების დაინტერესებას აჭარის კოლონიზაციით და ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობას რამდენადმე ასახავს საბუთები ლაუ ჯონ-ჯაოს შესახებ[28]. აღნიშნულ კრებულში დაბეჭდილია 31 საბუთი, რომლებშიც ნათლად ჩანს ცარიზმის ზრუნვა აჭარის სოციალურ-ეკონომიკური ათვისებისათვის. ისინი მოგვითხრობენ ლაუ ჯონ-ჯაოს წვლილზე აჭარის ზღვისპირეთში ჩაისა და

---

[25] Революция 1905-1907 гг. в Грузии Сборник документов, составили С Маглакелидзе И. Иовцузе под редакцией Ш. Цагарешвили ТБ., 1956; Бпсвг. Документы и материалы (1917-1921гг.). ТБ., 1958.

[26] БПСВА. Документы и материалы (1917-1921гг.). Бат., 1961; РКА, сборник документов и материалов (март 1921г.-январь 1922г) Сухуми, 1963.

[27] აჭარის საბჭოების ერთლობები, დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1921–1937წწ.. ბათ., 1971; ასხვისაპ, დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1921-1925წწ.. ბათ., 1975; ბსისმკა, დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1926–1932წწ.- ბათ., 1980.

[28] Друг издалека. Документы и материалы Грузинско-Китайской дружби. Бат., 1958.

სუბტროპიკული კულტურების განვითარების საქმეში. აქვე მოცემულია საინტერესო ცნობები ლაუ ჯონ-ჯაუს მეურნეობის შესახებ.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით ჩვენ შევისწავლეთ თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და პეტერბურგის არქივსაცავებში დაცული მასალები. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებიდან აღსანიშნავია: კავკასიის მეფისნაცვლის (13), მთავარმართებლის(12), წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის (231), კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული სამხედრო-სამოქალაქო მმართველობის (229, 545), მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მთავარი სამმართველოს კავკასიის რწმუნებულის (243), საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს კავკასიის ინსპექტორის (351) და სხვა ფონდები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საადგილმამულო ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის შესახებ მასალები ამ ფონდების თითქმის ყველა ანაწერში გამოვავლინეთ.

კონკრეტულად, ზემოჩამოთვლილ ფონდებში ინახება ბათუმისა და ყარსის ოლქების მიმოსილვები, მიწათმოწყობის პროექტები, მიმოწერები აგრარული ურთიერთობის, საადგილმამულო გადასახადების, ბეგარა-ვალდებულებების, აგრარული მოძრაობის შესახებ. საყურადღებო მასალებია დაცული ჩაქვის საუფლისწულო მამულის, მოახალშენე კოლონისტების მეურნეობების, რელიგიური დაწესებულებების მიწათმფლობელობის შესახებ. კავკასიის მეფისნაცვლისა და მთავარმართებლის ფონდებში დაცულია ბათუმის ოლქის მემამულე-თავადაზნაურებისა და მოახალშენეების

განცხადებები მიწების კერძო საკუთრებაში დამტკიცების თაობაზე. საინტერესო მასალები მოიპოვება ემიგრირებული მოსახლეობის მამულების, მიწის იჯარის შესახებ და სხვა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი მასალები გამოვავლინეთ პეტერბურგის ცენტრალურ სახელ-მწიფო საისტორიო არქივში. საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველოს ფონდის (515) ანაწერებში (45, 91) გამოვავლინეთ საყურადღებო მასალები ჩაქვის მეურნეობის ისტორიის, სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის შესახებ. ყარსისა და ბათუმის ოლქების კოლონიზაციის, კაპიტალისტური მეურნეობებისა და სამიწათმოქმედო ახალშენების თაობაზე მასალები შეეკრიბეთ მიწათმოქმედების დეპარტამენტის ფონდში (398), ფინანსთა სამინისტროს (22), შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო საქმეთა დეპარტამენტის (ფ. 1284, ან. 223) და სხვა ფონდებში.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 1878-1928 წლების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ მნიშვნელოვანი მასალები დაცულია აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. ჩაქვის საუფლისწულო მამულის ფონდში (22) დაცული მასალები ასახავენ ამავე დასახელების ხეობის ფიზიკურ გეოგრაფიას, მოსახლეობის შემადგენლობას, მიწის საერთო ფონდს. ეს მასალები მოგვითხრობენ ჩაქვის საუფლისწულო მამულის მშენებლობის, მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის, სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის და სხვა საკითხების შესახებ. ბათუმის სამხედრო გუბერნატორის ფონდში (1) დაცული მასალები საინტერესოა სოციალურ პოლიტიკური მოძრაობის შესასწავლად.

საუკეთო მეურნეობისა და მიწის იჯარის შესახებ საყურადღებო ცნობები მოიპოვება, როგორც საოლქო საუკეთოს, ისე უბნების ფონდებში (24, 31, 39, 41, 42). საადგილმამულო საკითხისა და აგრარული მოძრაობის თაობაზე საინტერესოა ბათუმის მომრიგებელი სასამართლოს მასალები (ფ. 19). აქ მოიპოვება სასარჩლო საკითხები, სასამართლოს განაჩენები მიწების შესახებ. თავადაზნაურობის წოდების შინიჭების თაობაზე საინტერესო მასალებია დაცული აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის 78-ე და 79-ე ფონდებში.

ძალზე მნიშვნელოვანია ბათუმის ნოტარიუსის ჩანაწერები (ფ.25). აქ ფორმდებოდა მიწების ნასყიდობის საბუთები. ნოტარიუსის ჩანაწერების შესწავლის შედეგად შესაძლებლობა მოგვეცა გაგვერკვია მიწის მყიდველისა და გამყიდველის ვინაობა. დაგვედგინა გასხვისებული მიწების ადგილმდებარეობა, ფართობი და საერთო ღირებულება. კიდე უფრო მნიშვნელოვანია ქუთაისის სახაზინო პალატის მასალები. მათი ასლები, რომლებიც ბათუმის ოლქს ეხება, ინახება აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფ.81,82). მასალების უმეტესი ნაწილი ხელნაწერებია და ძნელად იკითხება, მაგრამ გარკვევა და აზრის გამოტანა შესაძლებელია.

ქუთაისის სახაზინო პალატის მასალები ასახავენ ბათუმის ოლქში მიწების ყიდვა-გაყიდვას. ამ მასალების შესწავლის შედეგად გავარკვიეთ მიწის კაპიტალიზაციის პროცესი. დავადგინეთ მისი მასშტაბი. ისინი შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ მემამულე-თავადაზნაურებისა და მოახალშენე კოლონისტების მიწათმფლობელობის კატეგო-

რიები. ამ ფონდში დაცული მასალები საყურადღებოა რელიგიური დაწესებულებების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის შესასწავლად. ქუთაისი სასასინო პალატის მასალები საინტერესო ცნობებს შეიცავს საადგილმამულო გადასახდების (საღალო გამოსაღები, მიწის გადასახადი და საერობო მოსაკრებელი) შესახებ. ქალაქის რელიგიური დაწესებულებების მიწათმფლობელობის, საქალაქო მიწებისა და მათი იჯარით გაცემის მასალები მოიპოვება ბათუმის საქალაქო სათათბიროსა და ქალაქის გამგეობის ფონდებში (7, 6).

აჭარის სახელმწიფო სამუზეუმო გაერთიანების ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალებიდან უაღრესად მნიშვნელოვანია 1917 წლის სასოფლო- სამეურნეო აღწერა (ს. 216). ეს არის პირველი აღწერა, რომელიც 1878-1921 წლებში ბათუმის ოლქში ჩატარდა. იგი ჩაატარა რუსეთის დროებითმა მთავრობამ დამფუძნებელი კრებისათვის აგრარული საკითხის შესახებ დადგენილების პროექტის მოსამზადებლად. საქმეში დეტალური ცნობებია ბათუმის ოლქის მოსახლეობის რიცხოვნობის, სოფლის მეურნეობის, გლეხთა სანადელო მიწების და სხვა საკითხებზე.

მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება აგრეთვე რუსეთისა და საქართველოს არქივებიდან ამოკრებილი მასალების ასლები, რომლებიც უშუალოდ ეხება ჩვენთვის საინტერესო საკვლევ თემას. მათ შორის აღსანიშნავია ბათუმის საადგილმამულო კომისიის ოქმები, მიწისმფლობელობის საბუთები. ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ბათუმის ოლქის მემამულე-თავადაზნაურების გენეალოგიისა და მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის

მასალებმა. ასევე საინტერესოა ის მასალები, რომლებიც ეხება რელიგიური დაწესებულებების მიწებს, აგრარულ მოძრაობას და სხვა საკითხებს. აჭარის სახელმწიფო სამუზეუმო გაერთიანების ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალები, რაც საკვლევ თემას ეხება, გამოვავლინეთ, შევკრიბეთ, გულდასმით გავაანალიზეთ და სათანადოდ გამოვიყენეთ წინამდებარე შრომაში.

საყურადღებოა პრესის მასალები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის შესახებ მასალები იბეჭდებოდა როგორც რუსეთის იმპერიის, ისე საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ საოლქო პრესაში. საყურადღებოა თბილისის გაზეთების "დროების", "ივერიის", "ობზორის", "ნოვოე ობოზრენიეს", "კავკასის", "ცნობის ფურცლის", "აზრის", "ლამპარის", "თანამედროვე აზრის", "ერთობის", "საქართველოს", "საქართველოს რესპუბლიკის", "მიწის", "კავკასკი რაბოჩის" ფურცლებზე დაბეჭდილი სტატიები. არანაკლებ საინტერესოა ჟურნალებში ("კვალი", "მოგზაური", "რევოლუციის მატიანე" და სხვა) გამოქვეყნებული წერილები.

ცხადია, დიდძალი ცნობები და პუბლიცისტური წერილები იბეჭდებოდა ადგილობრივ საოლქო პრესაში. ჩვენს მიერ შესწავლილია გაზეთებში: "ბათუმი" (1886-1906წწ.), " ბატუმი" (1905-1906წწ.), "ჩერნომორსკი ვესტნიკი" (1897-1909წწ.), "ლამპარი" (1906-1907წწ.), "ჩერნომორსკი ობზორი" (1909წ.), "ბათუმი გაზეთი" (1911-1914წწ.), "ბურევესტნიკი" (1917-1920 წწ.), "სამუსლიმანო საქართველოს" (1919-1920წწ.), "ბათუმის" (1918წ.), "ბატუმსკი ვესტი" (1919წ.),

“გოლოს ტრუდა” (1910წ.), “ბათუმის ფურცლის” (1920წ.) და სხვა დაბეჭდილი მასალები. მართალია, საგაზეთო წერილები პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლატფორმასა და იდეოლოგიას ასახავენ, მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა ინფორმაციები და ცნობები, რაც საკვლევ თემას ეხება. ასევე საინტერესოა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების დამოკიდებულება განსახილველი საკითხების მიმართ.

მნიშვნელოვანი ცნობები მოვიძიეთ საველე მუშაობის დროს. ჩვენ ვიყავით მივლინებით ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის რაიონების რამდენიმე სოფელში. გამოკითხვის მეთოდით შევადგინეთ ჩანაწერები. ისინი გამოვიყენეთ საკითხების გაანალიზებისას. ერთი სიტყვით, წინამდებარე ნაშრომი ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობის შედეგია. პირველწყაროებზე დაყრდნობით შევძელით ამ რთული პრობლემის მეცნიერული შესწავლა.

ისტორიოგრაფია. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საადგილმამულო ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის ისტორიის შესწავლა საისტორიო მეცნიერებაში ინტენსიურად იწყება XX საუკუნის მეორე ნახევარში. აქედან მოყოლებული ამ ურთულესი პრობლემისადმი ყურადღება დღემდე არ შენელებულა. მართალია, თემის შესწავლაში მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებები, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ამჟამად არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მეტი ნაწილი ეხება ოსმალთა მფლობელობის ხანას. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საადგილმამულო ურთიერთობანი 1878-1928 წლებში დღემდე სრულყოფილად შესწავლილი არ

არის. ერთი სიტყვით, საკვლევი თემის შესახებ ისტორიოგრაფია ღარიბია. საბჭოთამდელი ავტორებიდან, ვინც შეეხო აგრარულ საკითხს, საყურადღებოა ა. კრასნოვის,[29] ს. ტიმოფეევის[30], ს. ანისიმოვის[31], ი. სინიცინის[32] და სხვათა შრომები. მათში განხილულია ბათუმის ოლქის, ძირითადად ზღვისპირეთის მიწის ფონდი, ნიადაგ-კლიმატური პირობები, სოფლის მეურნეობის დარგები, მოახალშენე კოლონისტების სამეწარმეო საქმიანობა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოშენება-განვითარებისათვის. ზემოთ დასახელებული ავტორების შრომებში აირეკლება ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში. ისინი მაშინდელი ხანის თანამედროვენი არიან და მათ მიერ მოყვანილი ფაქტები და ნააზრევი ანგარიშგასაწევია.

ამასთან ა. კრასნოვი, ს. ტიმოფეევი, ს. ანისიმოვი გვერდს უვლიან სოციალურ საკითხებს. ბათუმის ოლქის მიწებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას განიხილავენ, როგორც გამდიდრების წყაროს, ადგილობრივ მოსახლეობას-ექსპლუატაციის ობიექტს. ზოგჯერ აშკარად იგრძნობა ადგილობრივი მოსახლეობის დამცირების, მათი სამეურნეო-საყოფაცხოვრებოდა სამიწათმოქმედო ყოფის შეუფასებლობა, შეურაცყოფის მომენტებიც კი იგრძნობა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ.

---

[29] Краснов А. Н. Колхида. С. –ПЕТЕРБУРГ, 1915.

[30] Тимофеев С. Н. сельско-хозяйственый очерк Батуми И его окрестности. Сборник Батуми и его окрестности. К 25 летию присоединения гор. Батума к российской империи. Бат., 1906; Культура чайного куста и пройзвоцтво чая в западном Закавказье. ТИФ; 1912.

[31] Анисимов С.А. Обзор культури чайного куста на батумский побережье. Бат., 1912

[32] Синицин И. Обзор культури чайного куста на батумской побережие. Бат, 1912.

1878-1928 წლების საადგილმამულო ურთიერთობანი ზოგადად სხვადასხვა კუთხით განიხილეს პ. გეგუშვილმა, ი. ანთელავამ, ა. ბერდიანიშვილმა, ი. მირცხულავამ, დ. ქორიძემ, ი. კაჭარავამ, პ. რატიანმა, ვ. მოსალოვმა და სხვებმა. მართალია, ისინი დაწერილია საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. მაგრამ მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავენ და ‘ოგიერთ შრომაში მოცემული დასკვნები და დებულებები დღესაც იმსახურებს ყურადღებას.

აჭარის 1878-1928 წლის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია სპეციალურად განიხილეს პ. ცქვიტარიამ, ხ. ახველედიანმა, ვ. სიჭინავამ, მ. ჩაველეიშვილმა, ი. ჩულოკმა, მ. ჯიჯეიშვილმა, ა. ბაჯელიძემ, და სხვებმა. მათი შრომები გამოქვეყნდა საბჭოთა ხელისუფლების დროს და აშკარად შესამჩნევია კონიუნქტურის გავლენა. ბათუმის ოლქში განვითარებულ სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობას იხილავენ მმართველი კომუნისტური პარტიის იდეოლოგიისა და პლატფორმის პრიციპების საფუძველზე. აქცენტი გადატანილია პოლიტიკურ მოძრაობასა და რევოლუციურ გამოსვლებზე. საადგილმამულო ურთიერთობანი განხილულია გაკვრით, სხვა საკითხებთან კავშირში. ასეთი მიმართულება გასაგებია, რადგან იგი მათი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. ამავე დროს ზემოჩამოთვლილი ავტორების ნაწარმოებები მდიდარია ფაქტობრივი მასალით და მათი მეშვეობით სამეცნიერო მიმოქცევაში არაერთი საარქივო მასალა შემოვიდა. აჭარაში საადგილმამულო ურთიერთობანი სპეციალურად განიხილა ა.

ინაიშვილმა.[33] მის სტატიაში გაშუქებულია ბათუმის ოლქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა. ავტორი საინტერესოდ აშუქებს მიწათმფლობელობას, ყურადღებას ამახვილებს მუჰაჯირობასა და ჩაქვის ხეობის მიწებზე. სტატიაში ლაპარაკია აჭარის კოლონიზაციის, მიწის ფონდისა და მისი განაწილების შესახებ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ა. ინაიშვილის სტატია მხოლოდ აჭარას ეხება და ქრონოლოგიურად XIX საუკუნის 80-90-იან წლებს მოიცავს.

საყურადღებოა ი. ბარამიძის შრომა,[34] რომელშიც სპეციალურადაა განხილული საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის 70-80-იან წლებში. ავტორი საინტერესოდ იხილავს რუსეთის ხელისუფლების პირველ ღონისძიებებს მიწათმფლობელობის სფეროში, მუჰაჯირობის პრობლემას და სხვა საკითხებს. ი. ბარამიძე წარმოაჩენს თავის ორიგინალურ ხედვას ამ საკითხებზე. მაგრამ შრომა ქრონოლოგიურად მოიცავს XIX საუკუნის 70-80-იან წლებს. ახლებური ხედვითაა გაშუქებული სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა ბათუმის ოლქში ო. გოგლიშვილის შრომებში. 1905-1907 წლების რევოლუციისადმი მიძღვნილ შრომაში[35] თითქმის არ აისახა აგრარული მოძრაობა. ყურადღება გადატანილია პოლიტი-კურ მოძრაობასა და ტერორისტულ აქტებზე.

---

33 ა. ინაიშვილი, აჭარის სოფლის საადგილმამულო ურთიერთობის საკითხებისათვის (XიX საუკუნის 80-იან წლები). რებული აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკიტხები. თბ. 1971.

34 ი. ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ბათ., 1899.

35 ო. გოგოლიშვილი, სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა გურიასა და ბათუმის ოლქში 1905-1907 წლების რევოლუციის დროს. ბათ., 2003.

ავტორისეული ხედვა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის მიმართ გამოიხატა მის ახალ შრომაში.[36] ო. გოგოლიშვილის მიხედვით "1905-1907 წლების რევოლუციაში თითქმის არ მონაწილეობდა ადგილობრივი მაჰმადიანური მოსახლეობა, თუ არ ჩავთვლით ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენელს."[37] ეს არის საბჭოთა ისტორიოგრაფიის გამოძახილი. ფაქტები სულ სხვას მეტყველებენ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა 1905-1907 წლების რევოლუციაში ჩვენს მიერ ფართოდაა განხილული ამ თემაზე გამოქვეყნებულ შრომაში.[38] პროფესორმა პ. ცქვიტარიამ თავის რეცენზიაში გაიზიარა ჩვენი შეხედულება და საერთოდ მონოგრაფიას მაღალი შეფასება მისცა.[39]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 1914-1918 წლების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის რიგ საკითხებს, რომლებიც ჩვენი კვლევის საგანია, ეხება მ. სიორიძე.[40] მას აქვს ამ საკითხების მიმართ მისეული ხედვა. საინტერესოა მ. სიორიძის მიერ გამოყენებული ის საარქივო მასალები, რომლებიც ასახავენ რუსეთის ხელისუფლების კოლონიალურ პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში.

---

36 სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში. ბათ., 2005.

37 იქვე. ვ. 43.

38 თურმანიძე. გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ბათ., 1979.

39 პ. ცქვიტარია, საყურადღებო ბაშრომი, გაზ. საბჭოთა აჭარა. 20 სექტემბერი, (№18), 1979.

40 მ. სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში. ბათ. 2002.

სამხრეთდასავლეთ საქართველოს თავადაზნაურების ისტორიის შესახებ არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა. მათ შორის აღსანიშნავია გ. შარაძის, ა. სურგულაძის, რ. სურმანიძის, მ. ჩაველეიშვილის, თ. კომახიძის, დ. მამულაძის, ს. გერსამიას და სხვათა პუბლიკაციები. მათში მოთხრობილია თავადაზნაურების წარმომავლობაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაზე. სამწუხაროდ, დღემდე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში საერთოდ არ არის საუბარი მიწათმფლობელობის შესახებ. არადა მემამულე-თავადაზნაურების გავლენა და სიძლიერე, სხვა კომპონენტებთან ერთად, მამულების სიდიდით განისაზღვრება.

საყურადღებოა ი. მანველიძის ნაშრომი. იგი ახლებური აზროვნებით აშუქებს აჭარის 1921-1930 წლების მოვლენებს. მოკლედ ეხება აგრარულ რეფორმას, საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას მემამულე თავადაზნაურების მიმართ და საინტერესო დასკვნებს იძლევა აჭარაში განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითრების შესახებ.[41]

ეთნოგრაფიული ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურიდან, რომლებიც სამიწათმოქმედო ყოფას ეხება, პირველ რიგში აღსანიშნავია ნ. ჩიჯავაძის შრომა.[42] მკლევარმა ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით მეცნიერული კეთილსინდისიერებით გააშუქა სამიწათმოქმედო ყოფის ისეთი საკითხები, როგორიცაა სახნავ-სათესი მიწების

---

[41] ი. მანველიძე. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში, ბათუმი, 2006.

[42] ნ. ჩიჯავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში. თბ. 1971.

დამუშავების ტექნოლოგია, მიწათმოქმედებისა და ბესაქონლეობის განუყრელი კავშირი, ტერასული და სარწყავი მიწათმოქმედების სისტემა, ნიადაგის დაცვისა და საქონლის პატივით გაპოხიერების ხალხური წესები, მიწათდასაქსულობა-მიწათგაფანტულობა და სხვა საინტერესო საკითხები. ცხადია, ნ. ჩიჯავაძის შრომა რამდენადმე გაამდიდრა საკვლევი თემის წყაროთმცოდნეობითი ბაზა და სამეცნიერო ლიტერატურის ნომენკლატურა.

საადგილმამულო ურთიერთობისა და აგრარული მოძრაობის ისტორიას ჩვენ ვიკლევთ 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე. ამ თემის შესახებ არაერთი ნაშრომი გამოვაქვეყნეთ. მაგრამ ისინი დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ. ამასთან ჩვენ, როგორც სხვა ავტორებმა, ვერ ავიცილეთ კონიუნქტურის გავლენა. ცხადია, განსახილველ მონოგრაფიაში ჯეროვნადაა გათვალისწინებული საისტორიო მეცნიერების მიღწევები და თანამედროვე ამოცანები. გადამუშავებული და ახალი მასალებითაა შევსებული ჩვენს მიერ ადრე გამოქვეყნებული შრომები. წინამდებარე გამოკვლევა შედარებით სრულყოფილია, დაწერილია ახლებური აზროვნებითა და მეთოდებით. ჩვენი აზრით, გამოკვლევა პასუხობს საისტორიო მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნებს.

თავი პირველი
რუსეთის ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კოლონიზაციისათვის

1. რუსული მმართველობის სიტემა - რეგიონის კოლონიზაციის მთავრი ინსტრუმენტი

ნებისმიერი იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება თავის პოლიტიკას დაპყრობილ ქვეყნებში საკუთარი მმართველობის სისტემით ახორციელებს. ასე იყო რუსეთშიც. მთავრობა კოლონიებს მართავდა საკმაოდ განშტოებული სამხედრო-პოლიციური აპარატით, რომლის შენახვისათვის არ იშურებდა სახსრებსა და საშუალებებს. ადგილობრივ კოლონიურ მმართველობაზე დიდად იყო დამოკიდებული დაპყრობილი მხარეების რუსულ ორგანიზმთან ეკონომიკურად, სოციალურ-პოლიტიკურად და სულიერად შერწყმა.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად საქართველოს დაუბრუნდა 15894 კმ^2. ტერიტორია, სადაც 1886 წელს 205234 მაცხოვრებელი აღირიცხა. შემოერთებულ ქართულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ორი ოლქი ყარსისა და ბათუმის. ყარსის ოლქში გაერთიანდა კოლა-არტაანი, ოლთისი, აგრეთვე ისტორიული სომხეთის მიწების ნაწილი. ბათუმის ოლქში აჭარა, მაჭახელი, ბათუმ-ქობულეთი, ლივანა, შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი, ლაზისტანის ნაწილი (გონიო, სარფი, მაკრიალი, ლიმანი).

ბათუმისა და ყარსის ოლქებს რუსეთისათვის განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ 1878 წლის სექტემბერში შეიმუშავეს ამ ოლქების

ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის და სამმართველო აპარატის სტრუქტურა. 20 სექტემბერს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა მ.რომანოვმა დაამტკიცა დროებითი დებულება, რომლის თანახმად ბათუმის ოლქი დაიყო სამ ოკრუგად (ბათუმის, აჭარის, ართვინის) და ცხრა საპოლიციო უბნად.

თითოეულ ოკრუგში შედიოდა სამ-სამი უბანი: ბათუმის ოკრუგში ბათუმის, კინტრიშის, გონიოს; აჭარისაში ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, მაჭახლის; ართვინის ოკრუგში არტანუჯის, შავშეთ-იმერხევისა და ართვინის საპოლიციო უბნები. ქალაქი ბათუმი, როგორც დიდმნიშვნელოვანი ნავსადგური, იყო ცალკე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული და უშუალოდ გუბერნატორს დაექვემდებარა.[43] 1883 წელს გაუქმდა ბათუმის ოლქი. ამის შემდეგ ორი ოკრუგი შეიქმნა, რომელიც ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა. ხელისუფლებისათვის ბათუმის ოლქის გაუქმება არაეფექტური ღონისძიება აღმოჩნდა რეგიონის კოლონიზაციისათვის. ამიტომ იგი აღადგინეს 1903 წელს.

ყარსის ოლქი შედარებით დიდ ტერიტორიას მოიცავდა. ამიტომ, იგი 4 ოკრუგად (ყარსის, ყაღზევანის, არტაანის, ოლთისის) და 14 საპოლიციო უბნად დაიყო. აქედან არტაანის ოკრუგში იყო ოთხი საპოლიციო უბანი (არტაანის, ფოცხოვის, ჩილდირის, კოლას), ხოლო ოლთისაში ორი (ოლთისი, ტაოსკარი).

ბათუმის ოლქში, ისე როგორც ყარსისაში, შემოიღეს სამხედრო-საპოლიციო მმართველობა. ოლქის გუბერნატორი, ოკრუგების უფროსები, მათი თანაშემწეები მხოლოდ

---

[43] ასმსფ. ს. 64, ფურც. 5; დროება, 1 ოქტომბერი 1878.

კადრის სამხედროები უნდა ყოფილიყვნენ. საპოლიციო უბნების უფროსად ინიშნებოდნენ მეტწილად სამხედროები. ოლქის გუბერნატორის უმაღლესი სამხედრო წოდება გენერალ-ლეიტენანტით განისაზღვრა, თანაშემწისა კი გენერალ-მაიორით.

რუსული მმართველობის განმტკიცებისა და სრულყოფის მიზნით 1879 წლის 5 თებერვალს გამოვიდა ახალი დებულება. მის საფუძველზე გაფართოვდა ყარსისა და ბათუმის ოლქების სამხედრო გუბერნატორების უფლებამოსილებანი, სამხედრო-საპოლიციო მართვის სტრუქტურები, რამაც გააძლიერა და განამტკიცა მთელი აპარატი. მათ მოკლე დროში უნდა განეხორციელებიათ შემოერთებული მხარის კოლონიზაცია, რუსულ ორგანიზმთან მისი შერწყმით.

განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ოლქების მმართველობა უშუალოდ კავკასიის არმიის მთავარსარდალს ექვემდებარებოდა, მისგან იღებდა ინსტრუქციებს და მის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. 1879 წლის 5 თებერვლის დებულებით, სამხედრო გუბერნატორების მთავარი მოვალეობა იყო მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების აღკვეთა და კოლონიური რეჟიმის დაცვა-განმტკიცება. ამ მიზნით, გუბერნატორებს უფლება ეძლეოდათ შეექმნათ სამხედრო-საპოლიციო შენაერთები, კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე დაეყენებიათ საგამგეო ოლქებიდან მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების მონაწილეთა გაძევების საკითხი და სხვა.

სამხედრო გუბერნატორებს მხოლოდ დაბალი თანამდებობების მოხელეთა დანიშვნის უფლება ჰქონდათ. მაღალი

ნინის მოხელეებს, კერძოდ, ოლქების სამხედრო კანცელარიის, სამხედრო-სამოქალაქო საქმეების გამგებლების, ოკრუგების უფროსებს. გუბერნატორის წარდგინების საფუძველზე, ნიშნავდა კაუკასიის მთავარმართებელი. ადგილობრივ მოსახლეობას იყენებდნენ მხოლოდ დაბალ სამოქალაქო სამსახურში და რიგით პოლიციელებად. დებულება ავალებდა ბათუმისა და ყარსის ოლქების სამხედრო გუბერნატორებს გამოეძებნათ საჭირო მიწები და ეზრუნათ რუსული ახალშენების მოწყობისათვის.[44]

1879 წლის სექტემბრიდან მოყოლებული თანდათანობით ჩამოყალიბდა საოლქო მმართველობის სტრუქტურები: კანცელარია, სამხედრო და სამოქალაქო საქმეების გამგებლობა, სამშენებლო განყოფილება, პოლიცია, ჟანდარმერია, მომრიგებელი განყოფილება, ნოტარიატი,სამედიცინო და ვეტერინარული ნაწილი, აგრონომიული სამსახური, ოკრუგებისა და საპოლიციო უბნების სამმართველო აპარატი.[45] ყველა უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე რუსები დანიშნეს. ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი იყო გენერალ-მაიორი კ.კომაროვი, რომელიც 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს სამხედრო შენაერთს მეთაურობდა. კ. კომაროვმა ამ თანამდებობაზე მცირე ხანს დაჰყო. 1881 წლის აპრილში იგი გენერალმა სმეკალოვმა შეცვალა, რომელიც ბათუმის ოლქის გაუქმების შემდეგ (1883 წელს) ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად გადაიყვანეს. ყარსის ოლქის გუბერნატორებად და ოკრუგების უფროსებად ცარიზმის ბატონობის მთელ ხანაში რუსი

---

[44] სცხსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2909, ფურც. 142-145.

[45] Батуми и его окресности. Бат., 1906, с. 465; სანკტ-პეტერბურგის ცსსა. ფ. 1149, ან.13, ს. 7, ფურც. 61-63.

სამხედროები ინიშნებოდნენ.

შემოერთებულ რეგიონში მართლმსაჯულების ორგანოებიც მოეწყო იმპერიის კოლონიური ინტერესების შესაბამისად. ერთი მხრივ, შეინარჩუნეს მართლმსაჯულების არქაული ფორმები, რამდენადაც იგი ცარიზმის კოლონიურ ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა. მეორე მხრივ, კი შემოიღეს რუსული კანონები და ახალი სასამართლო ორგანოები. იგი დაკანონდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის 1878 წლის 11 დეკემბრის დებულებითა და 1879 წლის 9 მაისის სპეციალური ინსტრუქციით. ამიერიდან ყარსისა და ბათუმის ოლქებზეც ვრცელდებოდა მთავრობის 1864 წლის 20 ნოემბრის სასამართლო დებულება და 1866 წლის 14 აპრილის კანონი ნოტარიუსის შესახებ. დაწესდა, რომ რუსული კანონებით გაარჩევდნენ, ძირითადად, სისხლის სამართლისა და იმ სასარჩელო საქმეებს, როდესაც ერთ-ერთი მოსარჩლე არამკვიდრი იყო.[46]

ყარსისა და ბათუმის ოლქებში არ შექმნილა რუსეთის სასამართლოების ანალოგიური ორგანოები. მეფის მთავრობამ მოტივად გამოიყენა ის, რომ აქ ძველთაგანვე მოქმედებდა სიტყვიერი ადათობრივი სახალხო სასამართლოები "(სლოვესნი სუდ)". ამის მიუხედავად მათ უფლებას არ აძლევდნენ განეხილათ სისხლის სამართლის, უძრავი ქონების შეძენა-გასხვისების საქმეები, რაც ქუთაისის გუბერნიის საოკრუგო სასამართლოს კომპეტენცია იყო.

მართალია, ბათუმის ოლქში 1879 წლიდან მომრიგებელი სასამართლო არსებობდა, მაგრამ ადმინისტრაციულად იგი

---

[46] ასმხფ. ს. 64, ფურც. 11-12.

ქუთაისის საოკრუგო სასამართლოს ექვემდებარებოდა. მისი უფლებამოსილება განისაზღვრებოდა წერილმანი საქმეების განხილვით. დამნაშავეს 2000 რუბლამდე დააჯარიმებდა, ანდა მიუსჯიდა 3 თვით პატიმრობას. ამიტომ ბათუმის ოლქის მცხოვრებთა საქმეების გარჩევა, ძირითადად, ქუთაისის სასამართლოში ხდებოდა, ყარსის ოლქის მოსახლეობისა კი ერევანში. ამის გამო სასარჩელო საქმეებზე სიარული ერევანსა და ქუთაისში, ისიც მაშინდელ პირობებში, აუტანელი იყო. ამასთან, პროცესი მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ არ იცოდა.

საერთოდ, სიტყვიერი სასამართლოები წარსულში ცნობილი იყო მეჯლისის სახელით და მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მართალია, დარღვევები და უსამართლობა მართლმსაჯულების ამ არქაულ ფორმაშიც იყო, მაგრამ სასარჩელო საქმეებს თვითონ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები არჩევდნენ და ოსმალეთის მთავრობა მასში აშკარად ვერ ერეოდა. რუსეთის მთავრობამ კი ეს სასამართლოები თავის სამხედრო-საპოლიციო მმართველობას დაუმორჩილა და არარაობად აქცია.

ამის დასტურია მთავრობის საკანონმდებლო აქტებიც და მოხელეების პრაქტიკული მოქმედებაც. კავკასიის არმიის მთავარსარდლის 1879 წლის 9 მაისის სპეციალური ინსტრუქციით ბათუმის ოლქში რვა სიტყვიერი სასამართლო შეიქმნა, განისაზღვრა მათი შემადგენლობა, უფლებამოვალეობანი და საქმიანობის წესები.[47]

ამ სასამართლოებიდან ერთი იყო საოლქო (ქ.ბათუმში),

---

[47] Обзор Батумской области за 1903 год. Бат., 1904, с. 2-3.

ერთიც - საოკრუგო (დაბა ართვინში), ხოლო ექვსი – საპოლიციო-საუბნო. საოკრუგო და საუბნო სასამართლოები პირველი ინსტანციის, ხოლო საოლქო სიტყვიერი სასამართლო მეორე ინსტანციის ორგანოებად ითვლებოდნენ. სასარჩელო საქმეებზე საბოლოო სიტყვა კავკასიის არმიის მთავარსარდალს ეკუთვნოდა.

სიტყვიერი სასამართლოების თავმჯდომარესა და მოსამართლეს (ყადი) მთავრობა ნიშნავდა. მოსახლეობას უფლება ეძლეოდა მონაწილეობა მიეღო დეპუტატების არჩევაში, მაგრამ ფორმალურად არჩეული დეპუტატები მაშინ ითვლებოდნენ უფლებამოსილად, თუ მთავრობა დაამტკიცებდა. მაგალითად, საპოლიციო-საუბნო სიტყვიერი სასამართლოების დეპუტატებს ოკრუგის უფროსის წარდგინებით გუბერნატორი ამტკიცებდა. საუბნო სიტყვიერ სასამართლოში 3, ხოლო საოკრუგოში 4 დეპუტატს ირჩევდნენ სამი წლის ვადით.[48]

როგორც წესი, სიტყვიერი სასამართლოების თავჯდომარეები იყვნენ: საოლქოსი-სამხედრო გუბერნატორი, საოკრუგოსი-ოკრუგის უფროსი, უბნებში – საპოლიციო უბნის უფროსები. ფაქტობრივად, სასარჩელო საქმეებს ცარიზმის მოხელეები წყვეტდნენ. ოკრუგის მეჯლისის განაჩენი მაშინ შედიოდა ძალაში, როდესაც მას ოლქის სამხედრო გუბერნატორი დაამტკიცებდა.

საოლქო მეჯლისის გადაწყვეტილების მოქმედებაში შესვლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გუბერნატორის აზრს. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო გუბერნატორი თანახმა არ იყო სასამართლოს განაჩენისა,

---

[48] იქვე.

გამოძიება თავიდან იწყებოდა და საქმეც ხელმეორედ იხილებოდა. სასამართლოს გადაწყვეტილებას კი კავკასიის არმიის მთავარსარდალი ამტკიცებდა. საკუთრივ, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს უფლება ჰქონდა დამნაშავე თავისი შეხედულებით დაესაჯა: სამი თვის ვადით დაეპატიმრებინა, ანდა 300 მანეთამდე დაეჯარიმებინა.[49]

სასამართლო საქმეების გარჩევისას და განაჩენის გამოტანისას თვითნებობასა და განუკითხაობას ჰქონდა ადგილი. დავით კლდიაშვილი აღწერს კავკასიის მოხელეების, კერძოდ, მთავარმართებელ გოლიცინის უშუალო მონაწილეობას ფირალების მევლუდ დიასამიძისა და ილიას ხელაძის ბედის გადაწყვეტაში. მევლუდ დიასამიძე აღრე პოლიციელად მუშაობდა, ბრალად დასდეს ვინმე მგზავრის გაძარცვა. იგი დააპატიმრეს, მაგრამ ციხიდან გაიქცა და ფირალად გავარდა. მთავრობამ დაიჭირა და ბათუმში გაასამართლა.

დ.კლდიაშვილი იყო ამ პროცესის ერთ-ერთი თარჯიმანი. სასამართლოს თავჯდომარეს დაეკალა მევლუდ დიასამიძისათვის სასიკვდილო განაჩენის (ჩამოხრჩობა) გამოტანა, მაგრამ სასამართლომ ბრალდებულს მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა. ამ ფაქტმა გოლიცინი გააცოფა, პეტერბურგში უმაღლეს სასამართლოს განაჩენი შეაცვლევინა და მევლუდ დიასამიძეს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს.[50]

მმართველობის ყველა რგოლში საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რაც მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. სამხრეთ-დასავლეთ

---

[49] სცსსა. ფ. 13, ან. 7, ს. 2909, ფურც. 142.

[50] დ.კლდიაშვილი ჩემი ცხოვრების გზაზე. ბათ., 1984, გვ. 31-32.

საქართველოს, კერძოდ, აჭარის მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებას და საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ გამთლიანებას. მათ შეგნებული ჰქონდათ ამ დიდ ისტორიულ პროცესში რუსეთის როლი, როგორც გაზეთ "დროების" კორესპონდენტი აღნიშნავდა, აჭარის მოსახლეობა იმედით შეჰყურებდა ამ მხარეში რუსების შემოსვლას, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. "ჩვენ არ მიგვიღეს არავითარ სამსახურში, არ გვთვლიან რუსეთის სხვა ქვეშევრდომების თანაბარ მოქალაქეებად, არ ვიცით რუსული ენა, რუსული კანონები და ამით უფრო დაჩაგრულები ვართ[51]".

ადგილობრივი მოსახლეობის შეეიწროებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბათუმის ოლქის პირველი სამხედრო გუბერნატორი გენერალი კ.კომაროვი. იგი ფარულად თუ აშკარად ხელს უწყობდა აქაური მოსახლეობის აყრა-გადასახლებას, ე.წ. მუჰაჯირობას. სწორედ მისი მმართველობის დროს ჩაეყარა საფუძველი აჭარის კოლონიზაციას, არაქართველების მიერ ადგილ-მამულების შეძენას.[52]

ალექსანდრე მეორის მკვლელობის შემდეგ იმპერიაში გაძლიერდა პოლიტიკური რეაქცია. კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა მთავარმართებლის პოსტით შეიცვალა. 1883 წელს გაუქმდა ბათუმის ოლქი და მის ნაცვლად შეიქმნა ორი ოკრუგი — ბათუმისა და ართვინის, რომლებიც ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. ამ უკანასკნელს ამიერიდან სამხედრო გუბერნატორი მართავდა. ასე

---

[51] დროება, 16 იანვარი, 1882.
[52] დროება, 29 აპრილი, 1881.

იყო 20 წლის განმავლობაში.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს 1903 წლის 17 მარტის დადგენილებით ამავე წლის პირველი იანვრიდან აღადგინეს ბათუმის ოლქი. ამჯერად იგი დაიყო ორ ოკრუგად და შვიდ საპოლიციო უბნად. ოლქს წინანდებურად განაგებდა სამხედრო გუბერნატორი. მისი უფლებები არ შემცირებულა. პირიქით, რამდენადმე კიდეეაც გაიზარდა. იგი თანამდებობით კავკასიის მთავარმართებლისა თუ მეფისნაცვლის მოადგილის დონეზე დარჩა.

ბათუმის ოლქის აღდგენის შემდეგაც, როგორც ადრე, სამხედრო გუბერნატორის, ოკრუგების უფროსების, მათი თანაშემწეების თანამდებობები კადრის გენერლებსა და ოფიცრებს ეკავათ. 1903-1905 წლებში ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორად ფონ-პარკაუ მუშაობდა. 1906 წ. ოლქის დროებითი გუბერნატორი იყო გენერალ-ლეიტენანტი მიხეევი. 1907 წელს იგი შეცვალა ბ.რომანოვსკი-რომანკომ, რომელმაც ამ თანამდებობაზე 1917 წლამდე დაჰყო.

1903 წლამდე ბათუმის ოკრუგის მმართველობაში თითოოროლა ქართველიც მონაწილეობდა. პირველ უფროსად გრიგოლ გურიელი დანიშნეს, რომელიც 1880 წლის აპრილში სამსონ ლორთქიფანიძემ შეცვალა. იგი ამ თანამდებობაზე თხუთმეტ წელზე მეტი მსახურობდა. 1879-1900 წლებში ქვემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსად იყო ამ მხარის მკვიდრი თუფან შერვაშიძე. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ზემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსად მუშაობდნენ: გ.ბერიძე, ს.ჯაფარიძე და მეფისაშვილი. ართვინის საპოლიციო უბნის უფროსები იყვნენ

ახმედ ხალვაში, იასონ აბაშიძე, გონიოს უბნისა — ივანე მახვილაძე. 1903-1917 წლებში ქართველების გამოყენება უკვე იშვიათობაა. ერთადერთი პიროვნება, რომელიც 1910-1912 წლებში ზემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსად მსახურობდა, იყო ჯემალ შერიფის ძე ხიმშიაშვილი.

რამდენადმე გამორჩეული იყო ქალაქ ბათუმის მართვა-გამგეობის სისტემა და ფორმა. ბათუმი 1878 წელს თავისუფალ სავაჭრო ქალაქად გამოცხადდა. ასე იყო 1886 წლამდე. მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ბათუმის მართვა-გამგებლობის განსაკუთრებული წესები და სტატუსი შემოიღო. ქალაქი ოკრუგის შემადგენლობაში არ შედიოდა და საკუთარი ბიუჯეტი ჰქონდა. ბათუმზე დიდხანს არ გავრცელებულა 1870 წლის საქალაქო თვითმმართველობის დებულება.

ბათუმს 1878-1888 წლებში მართავდა პოლიცმეისტერი. მას ეხმარებოდა 4 დეპუტატი, რომელთაც ქალაქის მოსახლეობის ზედაფენები ირჩევდნენ. მათ რაიმე რეალური უფლებები არ გააჩნდათ. ქალაქის ცხოვრების ყველა საკითხს პოლიცმეისტერი წყვეტდა. დეპუტატების მოვალეობას შეადგენდა პოლიცმეისტერისათვის დახმარების გაწევა გადასახადების გაწერა-აკრეფაში. ქალაქის პირველი პრისტავი და პოლიცმეისტერი იყო ქართველი დ.ეურული, შემდეგ ამ თანამდებობაზე ეროვნებით რუსი, ვინმე ეოზნესენსკი დანიშნეს.

ბათუმელები 1885 წლიდან მოითხოვდნენ საქალაქო თვითმმართველობის შემოღებას. საამისოდ არაერთი თხოვნა მიართვეს როგორც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, ისე კავკასიის მთავარმართებელსა და პეტერბურგის

საიმპერატორო კარს. მხოლოდ 1888 წლის აპრილში დათანხმდნენ ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღებას, მაგრამ იგი მეტად შეზღუდული იყო. კერძოდ, ქალაქის სამშენებლო ნაწილი ქუთაისის გუბერნატორს დაექვემდებარა, ხოლო ქალაქის თავს პირველი ოთხი წლის განმავლობაში მთავრობა ნიშნავდა.[53]

1888 წლის სექტემბერში მოეწყო ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის სათათბიროს არჩევნები. სათათბიროში აირჩიეს 36 ხმოსანი. გამგეობაში სამი კაცი შევიდა. ქალაქის თავად მთავრობის მოხელე კ.დ.გავრონსკი დაინიშნა. სათათბიროს არჩევნებისას დიდი ქონებრივი ცენზი იყო დაწესებული. ამით საკაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია სარგებლობდა და სათათბიროში თავიანთი წარმომადგენლები გაჰყავდა.[54]

ბათუმის სათათბიროს ხმოსნებმა ქალაქის თავის არჩევის უფლება 1894 წელს მიიღეს. ამ წელსვე, არჩევნებამდე, ქალაქის თავად კ.გავრონსკის ნაცვლად ა.კოინდერი დაინიშნა. უფრო ადრე საქალაქო სათათბიროს არჩევნების დებულებაც შეიცვალა. 1894 წლის ოქტომბერში ბათუმის საქალაქო სათაბიროს მეორე არჩევნები გაიმართა (წესით უნდა გაემართათ 1892 წელს). უმრავლესობა ქართველებმა მიიღეს და ქალაქისთავად გაიყვანეს: ლუკა ასათიანი, გამგეობის წევრებად გრ.ვოლსკი,, ი.ივანოვი, ხოლო მდივნად - ი.მესხი.

შემდეგში ბათუმის სათათბიროს არჩევნები ყოველ ოთხ წელიწადში ეწყობოდა. 1901 წელს ქალაქისთავის თანამდე-

---

[53] ა. ბენდიანიშვილი საქალაქო თვითმმართველობა და ბრბოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში, თბ., 1982, გვ. 2, 258.
[54] იქვე. გვ. 230-231.

ბობ.ზე ლუკა ასათიანი ივანე ანდრონიკაშვილმა შეცვალა, რომელიც ამ პოსტზე 1915 წლამდე დარჩა.[55] სათათბიროში ქართველები ყოველთვის უმრავლესობას შეადგენდნენ. ი.მესსი გამგეობის უცვლელი მდივანი იყო 1918 წლამდე.

მართალია, საქალაქო თვითმმართველობა, კერძოდ, სათათბირო რუსული მმართველობის სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ სათათბიროში ქართველების აქტიური მონაწილეობა, ქალაქისთავად ქართველების არჩევა ამ ორგანოს ახლებურ იერსახეს აძლევდა. ბათუმის სათათბირო, განსაკუთრებით კი მისი გამგეობა, დიდ მუშაობას ეწეოდა ქალაქის მეურნეობის, განათლების, კულტურის განვითარებისათვის.

სოფლად რუსული მმართველობის სისტემა 1900 წელს შემოიღეს. მანამდე კი ყარსისა და ბათუმის ოლქებში სოფლის მმართველობის ოსმალური წესები არსებობდა. ოსმალთა ბატონობის დროს სოფელი იურიდიული ერთეული არ იყო და მმართველობის ორგანოები არ ჰქონდა. მუხტარი (მამასახლისი) სოფლად მხოლოდ გადასახადებს ჰკრეფდა. იგი სახელმწიფო მოხელედ არ ითვლებოდა და არც ჯამაგირი ეძლეოდა.

1900 წლის 22 ივლისს გოლიცინმა დაამტკიცა ყარსისა და ბათუმის ოლქების სასოფლო მმართველობის დებულება. ამიერიდან აღნიშნულ ოლქებში შემოდიოდა სასოფლო მმართველობის რუსული წესები და სისტემა. სასოფლო მმართველობა ორსაფეხურიანი იყო. პირველს სოფლის საზოგადოება შეადგენდა, რომელშიც ერთი ან რამდენიმე პატარა დასახლებული პუნქტი შედიოდა. მეორე

---

55 Памятная книжка гласных Батумской городской думы на 1914 год. Бат., 1915, с. 56-57.

იყო სასოფლო ოკრუგი. მასში რამდენიმე, ანდა ერთი დიდი სოფელი ერთიანდებოდა.[56]

სოფლის საზოგადოების მმართველობის უმაღლეს ორგანო იყო კრება. მასში მონაწილეობდა სოფლის ყველა მუდმივი მცხოვრები, ირჩევდა მამასახლისს, მის თანაშემწესა და საგადასახადო საქმის მოხელეს, რომელთა კომპეტენციაში შედიოდა ადგილობრივი მნიშვნელობის მეორეხარისხოვანი საკითხები. მმართველობის ძირითადი რგოლი სასოფლო ოკრუგი იყო. მას სათავეში ედგა თავჯდომარე (უფროსი), რომელსაც ერთი ან რამდენიმე მოადგილე ჰყავდა. სასოფლო ოკრუგის კრების წევრებად იყვნენ სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენლები. სასოფლო ოკრუგის მმართველობას თავისი ადმინისტრაციული აპარატი გააჩნდა (მდივან-მწერალი, სტრაჟნიკი და სხვა), რაც სოფლის საზოგადოების მმართველობას არ ჰქონდა.[57]

სასოფლო მმართველობის მთელი ხარჯები მოსახლეობას დააკისრეს. იგი საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა. ახალი მმართველობის შემოღებით სოფლად დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერები და სიძნელეები შეიქმნა. აქაური პირობები: მთაგორიანი რელიეფი, უგზოობა, ერთმანეთისაგან დაშორებული მცირე დასახლებების სიმრავლე სიძნელეებს კიდევ უფრო ზრდიდა. 1906 წელს ყარსის ოლქში შედიოდა 812 სოფელი, სადაც ცხოვრობდა 296895 კაცი, ე.ი. მოსახლეობის საერთო რაოდენობის 93%. ოლქი 47 სასოფლო ოკრუგად და 200-ზე მეტ სოფლის საზოგა-

---

[56] Положение о сельском управлении Карской области, Батумского и Артвинского округов Кутайской губернии. Тиф., 1900, с. 1.

[57] იქვე. გვ. 2-13.

დოებად დაიყო.[58]

ბათუმის ოლქი ტერიტორიულად და მოსახლეობის რაოდენობით ჩამოუვარდებოდა ყარსის ოლქს. აქ 1906 წელს სოფლად 121832 მცხოვრები ითვლებოდა (ბათუმის ოკრუგში – 63414, ხოლო ართვინისაში – 58418), მაგრამ რელიეფი უფრო რთული ჰქონდა და ერომანეთსე დაშორებული მცირე დასახლებული პუნქტები სჭარბობდა. ბათუმის ოლქში 462 სოფელი შედიოდა (ბათუმის ოკრუგში 300, ართვინისაში – 162) და ადმინისტრაციულად 22 სასოფლო ოკრუგად და 108 სოფლის საზოგადოებად იყოფოდა.[59] თითოეულ საპოლიციო უბანში, კინტრიშის უბნის გამოკლებით, სამ-სამი სასოფლო ოკრუგი ირიცხებოდა.

სასოფლო სასამართლოები, როგორც ეს რუსეთში იყო, ყარსისა და ბათუმის ოლქებში არ შემოუღიათ. მთავრობამ საწინააღმდეგო არგუმენტად ამჯერადაც ის გამოიყენა, რომ აქ ოსმალთა ბატონობის დროიდან სიტყვიერი სახალხო სასამართლოები მოქმედებდნენ. ამ მოტივით სასოფლო სასამართლოების შემოღება საჭიროდ აღარ ჩაითვალა.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საგრძნობი ცვლილებები განიცადა მმართველობის სისტემამ. ნაწილობრივ გაუქმდა ძველი მმართველობის სტრუქტურები. მარტში შეიქმნა დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. ბათუმისა და ყარსის ოლქებში დანიშნეს საგანგებო კომისრები, ხოლო ოკრუგებსა და უბნებში-უბრალოდ კომისრები. 1917 წლის მაისში გააუქმეს ბათუმისა და ართვინის

---

[58] Обзор Карской области за 1906 год. Карс, 1907, с. 3.
[59] КК на 1907 год. Тиф., 1906, с. 156-158.

ადმინისტრაციული ოკრუგები, რომლებიც ზედმეტად ჩათვალეს. დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნით ჩამოაყალიბეს არჩევითი ორგანოები — აღმასრულებელი კომიტეტები. ერთობ წინააღმდეგობისა და დაპირისპირების ვითარებაში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული ერთეულების ახალი სამმართ-ველო აპარატის მოხელეთა დანიშვნები თუ არჩევნები.

საერთო შეფასებით რუსული მმართველობის წესები და სისტემა უფრო ბიუროკრატიული იყო, ვიდრე ოსმალური. ადრე ადგილობრივ პრივილიგირებულ წოდებას ხელი მიუწვდებოდა მმართველობის სტრუქტურებში. ხიმშიაშვილებს, თავდგირიძეებს, აბაშიძეებს, ბეჟანიძეებს, ჯაყელებს საკმაოდ მაღალი პოსტები ეკავათ და სამხედრო-საპოლიციო ჩინებსაც ატარებდნენ.

ცარიზმის ბატონობის დროს ყარსისა და ბათუმის ოლქების გუბერნატორებად ქართველები საერთოდ არ ყოფილან. ოკრუგებისა და საპოლიციო უბნების უფროსებად კი იშვიათად. ორმოცი წლის მანძილზე ოკრუგების უფროსად მხოლოდ ორი ქართველი მსახურობდა (გრიგოლ გურიელი და სამსონ ლორთქიფანიძე), საპოლიციო უბნების უფროსად შვიდი ქართველი (მეფისაშვილი, ბერიძე, ხალვაში, აბაშიძე, მახვილაძე, ხიმშიაშვილი, შერვაშიძე). მათგან ადგილობრივი იყვნენ მხოლოდ ჯემალ ხიმშიაშვილი, ახმედ ხალვაში და თუფან შერვაშიძე. მთავრობის აზრით, მკვიდრთა გამოყენება სახელმწიფო თანამდებობებზე საშიში და საზიანო იქნებოდა რეგიონის კოლონიზაციისათვის.

2. ხელისუფლების ღონისძიებები სახელმწიფო მიწათმფლობელობის დასამკვიდრებლად

აგრარული საკითხი რუსეთის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის ძირითადი ნაწილი იყო. ამიტომ მთავრობა ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მას კარგად ჰქონდა გათვლილი, რომ დაპყრობილი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური ათვისება, მათი ანექსია უწინარესად დამოკიდებული იყო ადგილ-მამულების სახელმწიფო საკუთრებაში მოქცევაზე, რუსული სამხედრო და სამიწათმოქმედო ახალშენების მოწყობაზე. ამ მიზანდასახულობის განხორციელებით სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი გაიზრდებოდა, მოსახლეობის მორჩილებაში ყოფნა გაადვილდებოდა და მხარის რუსიფიკაცია დაჩქარდებოდა.

რუსეთის მთავრობა ყარსისა და ბათუმის ოლქების სოციალურ-ეკონომიკურ ათვისებას ამ რეგიონების ოსმალთა ბატონობისგან განთავისუფლებისთანავე შეუდგა. მაგრამ კოლონიური პოლიტიკის განხორციელებისას სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. საქმე ის არის, რომ ოსმალური და რუსული აგრარული წყობა მკვეთრად განსხვავდებოდა. საგლეხო რეფორმის მიუხედავად, რუსეთში მიწაზე მონოპოლიური საკუთრება სახელმწიფო ხაზინამ, საუფლისწულო უწყებამ და მემამულეებმა შეინარჩუნეს. ადგილ-მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი ბურჟუაზიის ხელთ მოექცა. ასევე იყო საქართველოშიც. 1864-1871 წლების აგრარული რეფორმის შემდეგ მიწის საერთო ფონდის 30%-ზე მეტი თავადაზნაურობას დარჩა. XX საუკუნის დასაწ-

ყისში თავადაზნაურების ეკუთვნოდათ კერძო საკუთრების მიწების 77%-ზე მეტი[60].

ოსმალეთის იმპერიაში საადგილმამულო რეფორმის (თანზიმათი) შემდეგ მიწათმფლობელობის სამხედროლენური სისტემა შეიცვალა სახელმწიფო საკუთრებით. რეფორმის შემდეგ ფეოდალებს ადგილ-მამულები ჩამოართვეს და სანაცვლოდ სამემკვიდრეო პენსიები დაუნიშნეს. ბეგები უფლებრივად დანარჩენ სოციალურ ფენებს გაუთანასწორეს და ყველას ერთნაირად დაუწესეს საადგილმამულო გადასახადები[61]. ამავე დროს აგრარული რეფორმის შემდეგ მოსახლეობამ შეინარჩუნა ფაქტობრივად მფლობელობა-სარგებლობაში არსებული მიწები. ამისათვის სახელმწიფოს სასარგებლოდ აშარს იხდიდა.

რუსეთის მთავრობამ ყარსისა და ბათუმის ოლქების მოსახლეობის მიწათმფლობელობის რეალურ მდგომარეობას ანგარიში არ გაუწია და უგულებელყო მათი კერძომესაკუთრული უფლებები. ცარიზმი თავგამოდებით იბრძოდა ამ მხარეების მიწებზე სახაზინო მესაკუთრული უფლებების იურიდიული დაკანონებისათვის. ცხადია, ცარიზმს არ აწყობდა მსხვილი მიწისმფლობელი თავადაზნაურები (აღა-ბეგები), რადგან მათ თავის სოციალურ დასაყდენად არ თვლიდა.

რუსეთის მთავრობამ ყარსისა და ბათუმის ოლქების მოსახლეობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ფაქტობრივი მდგომარეობის იგნორირების მიზნით ოსმა-

---

[60] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V. თბ., 1970, გვ. 525–526.

[61] დაწვრილებით იხ. ო. თურმანიძე. საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში (XVI ს. – 1878 წ.). ბათ., 2001.

ლური კანონმდებლობა მოიშველია. ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა ცარიზმს თავისი მიზნის მიღწევაში მომგებიანად ესახებოდა. მთავრობის მოხელეების ვარაუდით ოსმალური კანონმდებლობა იურიდიული საფუძველი იქნებოდა აქაურ ადგილ-მამულებზე რუსეთის სახელმწიფოსახაზინო საკუთრების დაკანონების, ადგილობრივი მოსახლეობის (განურჩევლად წოდებისა) სახელმწიფო დასახლების კატეგორიაში გადაყვანისათვის. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანით ყარსისა და ბათუმის ოლქებში ჩამოასახლებდა რუს კოლონისტებს, რითაც ერთგულ სოციალურ და ეთნიკურ დასაყრდენს გაიჩენდა. ამასთან მთავრობა გარკვეულ სიფრთხილესაც იჩენდა, რადგან ადგილ-მამულზე მოსახლეობის ინტერესებისა და უფლებების შებღალა მასობრივ სახალხო გამოსვლებთან იყო დაკავშირებული.

ყარსისა და ბათუმის ოლქების შემოერთებისთანავე მთავრობის მაღალი ჩინის მოხელეებმა მოსახლეობას ოფიციალურად გამოუცხადეს, რომ მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა, გადასახადები და ბეგარა-ვალდებულებანი ძველებურადვე იქნებოდა, ე.ი. იმ სახით დარჩებოდა, როგორც თურქთა ბატონობისას არსებობდა. მიწის საკუთრების ფორმების გარკვევამდე მხოლოდ ყიდვა-გაყიდვა იკრძალებოდა[62].

ყარსისა და ბათუმის ოლქებში საადგილმამულო საკითხის გასარკვევად კავკასიის სამეფისნაცვლომ 1879 წლის მარტში შექმნა სპეციალური კომისია, რომლის თავჯდომარედ დანიშნა გამოჩენილი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე.

---

[62] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 48, ფურც. 3–4.

მთავრობის სპეციალური ინსტრუქციით კომისიას ექვს თვეში უნდა შეესწავლა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის ყველა ფორმა, იურიდიულად და ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა, შეეკრიბა მიწათმფლობელობის დოკუმენტები და პირველ რიგში დაედგინა თავისუფალი სახაზინო მიწები[63].

კომისიამ დიდი შრომა გასწია. შეაგროვა მიწათმფლობელობა-მიწათსარ-გებლობის ოსმალური დოკუმენტები, შეისწავლა ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა. მაგრამ იგი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ჯერ ერთი, ყარსისა და ბათუმის ოლქების მოსახლეობის მიწათმფლობელობის რეალური მდგომარეობა ოსმალური აგრარული კანონმდებლობის მიმართ შეუსაბამო იყო. ამ კანონმდებლობას ყარსისა და ბათუმის ოლქებში უფრო ნომინალური ხასიათი ჰქონდა. მეორე, მიწათმფლობელობის მრავალი დოკუმენტი საეჭვოდ ჩათვალეს, რადგან ისინი გაცემული იყო 1878 წლის აგვისტოში, როდესაც თურქები ბათუმს სტოვებდნენ. კომისია დარწმუნდა რომ, ამ დოკუმენტებით საადგილმამულო საკითხების გარკვევა შეუძლებელი იქნებოდა.

საადგილმამულო კომისიის მუშაობას რუსეთის მთავრობისათვის სასურველი შედეგი არ მოუტანია. დ. ბაქრაძე ავადმყოფობის გამო თბილისში დაბრუნდა და კომისიის საქმიანობა 1880 წლის დეკემბერში შეწყდა. 1883 წელს ახალი საადგილმამულო კომისია შეიქმნა ბათუმის ოლქის გუბერნატორის თავჯდომარეობით.

---

[63] იქვე, ფურც. 5.

დასმარებისათვის დ. ბაქრაძე მოიწვიეს. კომისიამ ამჯერადაც გადასინჯა მიწათმფლობელობის დოკუმენტები, აქტების ჩანაწერი წიგნები (დეფთარი). მან ამჯერადაც დაასკვნა, რომ 1878 წლის აგვისტოს აქტების ჩანაწერი წიგნით ხემძღვანელობა არ შეიძლებოდა, რადგან შეტანილი არ იყო კინტრიშის ზემოწელის, ქვემო და ზემო აჭარის ადგილ-მამულები. კომისიის ვარაუდით, ეს ადგილ-მამულები სულთნის მთავრობის მოსელეების მიერ შეგნებულად უნდა ყოფილიყო გამოტოვებული შერიფ ხიმშიაშვილისა და აღა-ბეგების ერთი ნაწილის პრორუსული ორიენტაციის გამო.

ასეთ გაურკვეველ, ერთობ წინააღმდეგობრივ ვითარებაში მიწები მასობრივად იყიდებოდა. მართალია, ხელისუფლება ყველა საშუალებით იცავდა სახელმწიფო საკუთრებას მიწაზე, მაგრამ მან ვერ შეძლო ამ პროცესის შეჩერება. სასამართლო და ნოტარიუსი მიწის ნასყიდობის საბუთებს შეუფერხებლად აფორმებდნენ. იურიდიულ საფუძვლად იყენებდნენ ხანდაზმულობითი მფლობელობის კანონს. მისი არსი ის არის, რომ პიროვნება, რომელიც ათი წლის განმავლობაში ფლობდა მამულს, განუწყვეტლივ ამუშავებდა და მოდავე არ ჰყავდა, საკუთრებაში ეძლეოდა.

ხანდაზმულობითი მფლობელობის კანონი როგორც ოსმალეთში, ისე რუსეთში მოქმედებდა. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას არ აწყობდა მისი გამოყენება ყარსის ოლქში, ბათუმისა და აროვინის ოკრუგებში. ამიტომ აღნიშნული კანონის საფუძველზე ადგილ-მამულების კერძო საკუთრებაში დამტკიცებას მთავრობა არაკანონიერად თელიდა და მის აღკვეთას ცდილობდა.

ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მიწებზე სახელმწიფოს მესაკუთრული უფლების დაცვისათვის თავგამოდებით იბრძოდა კავკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც სასტიკად აკრიტიკებდა სასამართლოსა და ნოტარიუსის სამსახურებს მიწების ნასყიდობის საბუთების გაფორმების გამო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ 1884 წლის ოქტომბერში მინისტრთა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მიწების ყიდვა-გაყიდვის საკითხი. 26 ოქტომბერს მიიღეს დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა მიენიჭა. ამ კანონით სასამართლოსა და ნოტარირიუსის სამსახურებს ფაქტობრივად აეკრძალათ მიწის ნასყიდობის საბუთების გაფორმება-დამტკიცება.ასევე აიკრძალა მიწების აუქციონზე გასაყიდად გატანა. უძრავი ქონების გასხვისება იმ შემთხვევაში დაიშვებოდა, როდესაც გამყიდველს ექნებოდა რუსული კანონების საფუძველზე შედგენილი საბუთები. მაგრამ ყარსის ოლქში, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მსგავსი თითქმის არ მოიძებნებოდა.

მინისტრთა კომიტეტის 1884 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებით იუსტიციის სამინისტროს დაევალა კავკასიის მთავარმართებელთან ერთად დებულების შემუშავება. ამ დებულების საფუძველზე გადაისინჯებოდა და გაუქმდებოდა სასამართლოს განაჩენები და ნოტარიუსის აქტები, რომლებშიც იგნორირებული იყო ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში ადგილ-მამულებზე სახელმწიფოს

მესაკუთრული უფლებები[64]. მოგვიანებით ასეთი დებულების შემუშავება ზედმეტად ჩათვალეს. 1884 წლის 26 ოქტომბრის კანონის მიღების შემდეგ რუსეთის მთავრობამ გააძლიერა ბრძოლა ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ადგილ-მამულებზე სახელმწიფო საკუთრების დაკანონებისათვის.

XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთის ხელისუფლებამ განაახლა ოსმალური საბუთების შესწავლა, რომლებიც ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მოსახლეობის მიწათმფლობელობას ეხებოდა. კავკასიის მთავარმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვის დავალებით 1888 წლის აგვისტოში კონსტანტინეპოლში მიავლინეს დ. ბაქრაძე და მთარგმნელი ჩინოვნიკი მეხტერბაშევი. მათი ამოცანა იყო თურქეთის არქივებში გამოევლინებინათ მიწათმფლობელობის ახალი დოკუმენტები და მათი ჩანაწერი წიგნი (დევთარი), ჩამოეტანათ ასლები. თურქეთის მთავრობამ ახლაც თვალთმაქცობას მიმართა. ნამდვილი წიგნის ნაცვლად ისევ ყალბი მიართვა[65].

კომისიის მუშაობა ამჯერადაც უშედეგოდ დამთავრდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის მთავრობამ, ფისკალურ-კოლონიური ინტერესებიდან გამომდინარე, ბათუმისა და ყარსის ოლქების მიწები სახაზინო საკუთრებად, ხოლო მოსახლეობა სახელმწიფო გლეხებად გამოაცხადა. ამ აქტის ფორმალურ საფუძვლად ოსმალური კანონმდებლობანი გამოიყენა. ყარსისა და ბათუმის ოლქებში მიწათმფლო-

---

[64] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 48, ფურც. 23–24; იხ. აგრეთვე ო. თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან. ბათ., 1973, გვ. 84–85.

[65] სცსსა, ფ. 12, ან. 10, ს. 162, ფურც. 13–15.

ბელობა-მიწათსარგებლობის ხასიათში ცვლილებების შეტანას ცარიზმი თანდათანობით ახორციელებდა. რუსეთის მფლობელობის პირველ წლებში აქაური მიწები სამხედრო-სამოქალაქო მმართველობაში შედიოდა. მიწის საკითხს აღნიშნული ოლქების ადმინისტრაცია სწყვეტდა კავკასიის მთავარმართებელთან შეთანხმებით.

ამ მდგომარეობას ადგილობრივი მოსახლეობა ასე თუ ისე მაინც იტანდა, რამდენადაც სადავო საკითხების გადაწყვეტა ადგილზე შეიძლებოდა. მაგრამ ადგილ-მამულების ადგილობრივ მმართველობაში დატოვება ცარიზმს ნაკლებად აწყობდა. მხარის კოლონიური ათვისების დაჩქარების გამო მიწების იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადასვლა უფრო მომგებიანი იყო. ცარიზმს ეს კარგად ჰქონდა გათვლილი. ამით იყო ნაკარნახევი მთავრობის 1888 წლის 14 ივნისის კანონი, რის საფუძველზე ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მიწები ადგილობრივი (საოლქო) ადმინისტრაციიდან ცენტრალური უწყების – მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგებლობაში გადადიოდა. 1889 წლის 8 იანვრის ინსტრუქციით მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სისტემაში გადადიოდა: დაუსახლებელი მამულები, ტყეები, საძოვრები, მუჰაჯირების მიწები და სხვა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ნადელებს გარეთ რჩებოდა[66].

1893 წელს მთავრობის ახალი ბრძანება გამოვიდა. იგი გლეხთა ნადელებსაც შეეხო. ამიერიდან ყარსის ოლქის,

---

[66] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 48, ფურც. 18; იხ. აკრეთვე ო. თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან. ბათ., 1973, გვ.87.

ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ყველა სახის მიწები, რომელთა შესახებ მოსახლეობას საბუთები არ გააჩნდა, დაუყოვნებლივ გადადიოდა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგებლობაში. როგორც უკვე ვიცით, ასეთი საბუთები მოსახლეობას არ ჰქონდა (თითო-ოროლას გამოკლებით). ამ ნორმატიული აქტის შედეგად ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ყველა სახის მიწის ერთადერთი მესაკუთრე სახელმწიფო ხაზინა გახდა, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სახით.

1895-1896 წლებში აღწერეს ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მიწები, შეადგინეს აქტები და მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ერევნისა და ქუთაისის გუბერნიების სამმართველოებს გადასცეს[67]. მართალია, აღნიშნული მხარეების მიწების მესაკუთრე სახელმწიფო ხაზინა გახდა, მაგრამ ძირითადი სავარგულები, სოფლის საზოგადოებების ტყეები, საძოვრებ-საბალახოები კვლავინდებურად მოსახლეობის სარგებლობაში დარჩა. სახელმწიფო ხაზინას უფრო მეტად გამოუყენებელი მიწები და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები რჩებოდა.

ბათუმისა და ყარსის ოლქების მიწები ადგილობრივი ადმინისტრაციის გამგებლობიდან მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლამ დამატებითი სიძნელეები შექმნა. თხოვნა- საჩივრებს ადგილობრივი საოლქო მმართველობა ვეღარ სწყვეტდა. მთავარი გამგებელი მიწათმოქმედებისა და

---

[67] სცხსა, ფ. 243, ან. 4, ს. 88, ფურც. 42.

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ერევნისა და ქუთაისის სამმართველოები იყვნენ. მაშინდელ პირობებში ყარსის ოლქიდან ერევანში, ხოლო ბათუმის ოლქიდან ქუთაისში ხეტიალი გლეხკაცისათვის უძნელესი იყო.

საქმის ამ მხარეს მოგვიანებით ქართული პერიოდიკაც მიანიშნებდა. "ბათუმის გაზეთი" 1911 წელს წერდა: "ღარიბმა კაცმა ყველა ნაჭერ მიწის საქმეზე ქუთაისში უნდა იმოგზაუროს, ძრიელ კარგი, თუ ერთი, ორი ან სამი წასვლით საქმე გაკეთდება. მართალია, ქუთაისის სახაზინო მმართებლობას თავისი წარმომადგენელი ჰყავს ბათუმში, მარა ის ძლიერ ცოტა საქმეს ეხება და ასე თუ ისე ქუთაისსე მიგითითებს"[68].

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგებლობაში ყარსისა და ბათუმის ოლქების მიწების გადაცემა საკითხის იურიდიული გადაწყვეტა მაინც არ იყო. რუსეთის მთავრობამ საქმის ეს მხარე კარგად იცოდა. ამიტომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში შეუდგა საადგილმამულო კანონპროექტების შემუშავებას. პირველი ასეთი დოკუმენტი "ყარსისა და ყოფილი ბათუმის ოლქის მიწათმოწყობის შესახებ" 1884 წელს შეადგინეს. მასში აისახა რუსეთის ხელისუფლების მიზანსწრაფვა იურიდიულად დააკანონოს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულების ადგილ-მამულები სახელმწიფო საკუთრებად. კანონპროექტის მიხედვით ყარსისა და ბათუმის ოლქების მოსახლეობას საკუთრებაში უნდა დამტკიცებოდა კერძო კატეგორიის მიწები, რომლებიც ოსმალთა ბატონობისას ცნობილი იყო მულქის სახელით.

---

[68] ბათუმის გაზეთი, №8. 1911.

მაგრამ, როგორც ვიცით, ამ კატეგორიის მიწებზე მოსახლეობას საბუთები არ ჰქონდა (მცირე ნაწილის გამოკლებით). მიწების აბსოლუტურად დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებას (ერაზი-მირიე) განეკუთნებოდა. სწორედ ამ კატეგორიის ადგილ-მამულები გადადიოდა ცარიზმის სახაზინო საკუთრებაში. მათი სარგებლობისათვის მოსახლეობა სახელმწიფოს სასარგებლოდ გადაიხდიდა გადასახადებს.

მუჰაჯირების მიწები, ვინც ვერ გაყიდა დადგენილ დროში (სამი წელი), გადაეცემოდა სახელმწიფოს. ასევე რუსეთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა ერზერუმის ღალა ფაშას მეზეთზე შეწირული ხუთი სავაყუფო სოფლის შემოსავალი. როგორც ვიცით, ეს სოფლები მდებარეობდა შავშეთ-იმერხევსა და არტანუჯში. კანონპროექტის მისედვით გამონაკლისი იყო ქალაქები ყარსი და ბათუმი, სადაც გათვალისწინებული იყო უძრავი ქონების, მათ შორის მიწების სრულ საკუთრებაში დამტკიცება[69]. 1884 წლის კანონპროექტი" ყარსისა და ყოფილი ბათუმის ოლქების მიწათმოწყობის შესახებ" იმავე წლის ნოემბერში გაინიხილა კავკასიის მთავარმართებლობის საბჭომ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კანონპროექტში მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული სახელმწიფოს ფისკალური ინტერესები, იგი მაინც არ დაამტკიცეს.

რუსეთის მთავრობის მცდელობა საკანონმდებლო წესით გადაეჭრა საადგილმამულო საკითხი არ შენელებულა მომდევნო წლებშიც. კავკასიის მთავარმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვის ინიციატივით შეიქმნა ახალი კომისია,

---

[69] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 121, ფურც. 22–26.

რომლის თავჯდომარედ დანიშნეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გროსმანი. ამ კომისიამ 1888 წელს შეადგინა "წესები ქ. ბათუმში, ქუთაისის გუბერნიის ართვინისა და ბათუმის ოკრუგებში მიწათმფლობელობის შესახებ". ამ პროექტშიც ართვინისა და ბათუმის ოკრუგებში ყველა მიწა მიჩნეულია სახაზინო საკუთრებად (გარდა საკარმიდამო ნაკვეთებისა)[70].

ზემოაღნიშნული პროექტის საფუძველზე 1889 წელს შეადგინეს "დებულება ყარსის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიის ართვინისა და ბათუმის ოკრუგების საზოგადოებრივი მმართველობისა და მიწათმოწყობის შესახებ". იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი ეხებოდა სოფლის საზოგადოებრივ მმართველობას. განსრახული იყო ბათუმისა და ყარსის ოლქებში სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის იმგვარად მოწყობა, როგორც საერთოდ კავკასიაში იყო. ადგილობრივი მოსახლეობა სახელმწიფო დასახლებად ითვლებოდა. პრივილეგირებული წოდება(აღაბეგები) სოფლის საზოგადოების დანარჩენი მასისაგან გამოცალკევებული არ უნდა ყოფილიყო.

კანონპროექტის მეორე ნაწილში მოცემულია მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის წესები. მიწები სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა. ადგილობრივ მოსახლეობას მფლობელობა-სარგებლობაში რჩებოდა მხოლოდ ნადელები. შესაძლებლობის მიხედვით სოფლის საზოგადოებებს საერთო სარგებლობაში მიეცემოდათ ახლომდებარე თავისუფალი მიწები და ტყეები. მოსახლეობა მიწების მფლობელობა-სარგებლობისათვის სახელმწიფოს სასარგებ-

---

[70] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 1297, ფურც. 2–8

ლოდ საღალო გამოსაღებით იბეგრებოდა. მოახალშენეებს, შესაბამისი ორგანოების ნებართვით, შეძენილი მიწები შთამომავლობით სარგებლობაში ეძლეოდათ. ადგილ-მამულების საკუთრებაში შეძენა თუ გამოსყიდვა, მათი გაყიდვა, აგრეთვე სოფლის საზოგადოებების ტყეებიდან სამასალე ხე-ტყით ვაჭრობა სასტიკად იკრძალებოდა.

კანონპროექტი რელიგიური დაწესებულებების მიწებსაც შეეხო. ქრისტიანულ ეკლესიებსა და მონასტრებს ის მიწები რჩებოდათ, რაც ოსმალთა ბატონობისას ჰქონდათ. მათი გაყიდვა არ შეიძლებოდა. ეკლესიებისა და მონასტრების გაუქმების შემდეგ ადგილ-მამულები უშუალოდ სახელმწიფო სახაზინო უწყებაში გადადიოდა. მუსლიმანური რელიგიის დაწესებულებების მიწები სოფლად სახელმწიფოს უნდა გამოესყიდა, ხოლო ქალაქებში-საქალაქო გამგეობებს. გამოსყიდვის შემდეგ მათი მართვა ამიერკავკასიის მუსლიმანური სასულიერო დაწესებულებების მართვის ანალოგიურად მოეწყობოდა[71].

1889 წლის კანონპროექტი "დებულება ყარსის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიის ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მკვიდრი მოსახლეობის საზოგადოებრივი მმართველობისა და მიწათმოწყობის შესახებ" კავკასიის მთავარმართებელმა 1890 წელს განსახილველად გაუგზავნა პეტერბურგში სამხედრო, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებს.

1892 წელს თბილიში შეიქმნა ამიერკავკასიის ხუთი გუბერნიის სახელმწიფო გლეხთა საადგილმამულო რეფორმის მოსამზადებელი კომისია, რომელსაც ი. მედვედევი

---

[71] სცსსა, ფ. 12, ან. 10, ს. 2026, ფურც. 1–3.

თავჯდომარეობდა. კომისიას განსახილველად გადაეცა აღნიშნული კანონპროექტი. საკითხის შესწავლის შემდეგ ი. მედვედევმა შეადგინა ვრცელი წერილი ამიერკავკასიის ხუთი გუბერნიის სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყარსის ოლქში, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში აბორიგენი მოსახლეობის მიწათმოწყობა შესაძლებელია იმავე საწყისებზე, როგორც ამიერკავკასიის ხუთი გუბერნიის სახელმწიფო გლეხებისაო. იგი გამორიცხავდა საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტას[72].

მედვედევის წერილი ჯერ სპეციალურმა კომისიამ განიხილა, შემდეგ კი მთავრობის შესაბამის ინსტანციებში იმსჯელეს. 1894 წლის ოქტომბერში პეტერბურგში საგანგებო თათბირი გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა, შინაგან საქმეთა, სამხედრო, იუსტიციის სამინისტროებისა და კავკასიის მთავარმართებლობის წარმომადგენლები. თათბირს თავმჯდომარეობდა სახელმწიფო საიდუმლო მრჩეველი ი. ტიხეევი. სულ ოთხი სხდომა ჩაატარეს (11, 13, 17, 24 ოქტომბერს). თათბირზე აშკარად გამოიკვეთა საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა. კავკასიის მთავარმართებლობის, შინაგან საქმეთა, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროების წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფდნენ ადგილობრივი მოსახლეობის კერძომესაკუთრულ უფლებებს ადგილ-მამულებზე ხანდაზმულობითი მფლობელობის კანონის საფუძველზე. მიწების

---

72 Антелава И. Г Реформа поземельного устройства государственнйх крестьян Закавказья в конце XIX веке (документы и материалы). Сухуми, 1952, с. 70-71.

ყიდვა-გაყიდვას არაკანონიერად თვლიდნენ და მოითხოვდნენ ამ საკითხ'ზე სასამართლო-ნოტარიუსის მიერ მიღებ'ული გადაწყვეტილებების გადასინჯვასა და გაუქმებას.

განსხვავებული პო'ზიცია ეკავათ იუსტიციისა და სამხედრო სამინისტროების წარმომადგენლებს. პირველი მათგანი კოლონისტების ინტერესებს იცავდა და მოახალშენეთა მიერ ადგილ-მამულების შეძენას ხანდაზმულობითი მფლობელობის კანონის საფუძველ'ზე სამართლიანად მიიჩნევდა. სამხედრო სამინისტრო კი პირიქით, ფაქტობრივად არსებ'ული მდგომარეობიდან გამომდინარე, ამართლებდა მკვიდრი მოსახლეობის მიერ ხანდაზმ'ულობითი მფლობელობის კანონის საფუძველ'ზე მიწების გასხვისებას[73].

თათბირმა კონკრეტ'ული რეკომენდაციები ვერ 'შეიმუშავა. 1898 წელს კავკასიის მთავარმართებ'ელმა გოლიცინმა გადამუ'შავების მიზნით აღნი'შნული კანონპროექტი გამოითხოვა. 1900 წლის პირველ მაისს იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ დაამტკიცა კანონპროექტი ამიერკავკასიის ხუთი გუ'ბერნიის სახემწიფო გლეხთა მიწათმოწყობის 'შესახებ. მაგრამ იგი ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების საადგილმამ'ულო საკითხს არ ეხებოდა[74]. პეტერბურგის საიმპერატორო კარზე, მთავრობის უმაღლეს ინსტანციებ'ში ერთხელ კიდევ დარწმ'უნდნენ, რომ აქაური მიწების ხაზინის საკუთრება'ში მოქცევა მარტივი არ იყო.

ამასთან დაკავშირებით კავკასიის მთავარმართებ'ელი 1901 წლის 24 მაისს სამხედრო მინისტრს სწერდა: ჩემი მხრიდან დიდად ვზრუნავ, რათა მალე გადაიჭრას ეს

---

[73] ს(;ესა, ფ. 231, ან. 1, ს. 196, ფურც. 3–22.

[74] Антелава И. Г. государственные крестьяне Грузии в XIX веке, II. Тб , 1962, С. 215.

საკითხი. ამ მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებებიც ტარდება, სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ამ ძალზე რთული და მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გასარკვევად მასალები არასაკმარისია, თანაც ეს ეხება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური ყოფის მთავარ მხარეს, მისი გადაჭრისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ამიტომ ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მოსახლეობის საადგილმამულო მოწყობის შესახებ ახალი კანონპროექტის მოკლე დროში შედგენა შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ მის დასაჩქარებლად ყველა ღონისძიებას ყღებულობთ[75].

1905-1907 წლების რევოლუციამ მთავრობაზე საგრძნობი გავლენა მოახდინა. რევოლუციური გამოსვლებით დამფრთხალი კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი ლიბერალიზმის ნიღაბში გაეხვია. ეს კარგად ჩანს მისი 1907 წლის 10 თებერვლის "უქვეშევრდომილესი" ერცელი წერილიდანაც, რომელიც პეტერბურგში გაიგზავნა. მან გააკრიტიკა კავკასიის წინანდელი სამხარეო ადმინისტრაცია ბათუმისა და ყარსის ოლქებში საადგილმამულო საკითხის გადაწყვეტისას კვიდრი მოსახლეობის უფლებებისა და მოთხოვნების უგულებელყოფის გამო. აღიარებდა, რომ ამ პოლიტიკამ ადმინისტრაციის მიმართ უკმაყოფილება, ეჭვები და უნდობლობა გამოიწვიაო.

ვორონცოვ-დაშკოვი მთავრობისაგან მოითხოვდა: ეცნოთ ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობის მფლობელობაში მყოფი მიწები მათსავე საკუთრებად. მოსახლეობას უნდა დაბრუნებოდა სახელმწიფო სახაზინო უწყების მიერ

---

[75] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2866, ფურც. 8.

წართმეული ადგილ-მამულიც, თუ უცხოელ მოახალშენეებს დაკავებული არ ჰქონდათ. მიწების საკუთრებაში დამტკიცების საფუძველი იქნებოდა ხანდაზმულობითი საერო მფლობელობა[76].

1905 წელს კავკასიის სამეფისნაცვლოს კანცელარიაში ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობის მიწათმოწყობის შესახებ კიდევ ერთი, რიგით მესამე, კანონპროექტი შეიმუშავეს. მასზე რევოლუციის გავლენა აშკარად ჩანს. კანონპროექტი ითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის, მოახალშენეებისა და იურიდიული პირებისათვის ადგილ-მამულების კერძო საკუთრებაში დამტკიცებას. მიწების გამოყოფა და საგამიჯვნო სამუშაოები სასამართლოს მოხელეებს ევალებოდათ[77].

რევოლუციის დამარცხების შემდეგ ეორონცოვ-დაშკოვმა ლიბერალიზმის ნიღაბი გადაიძრო და 1907 წლის კანონპროექტს შემდგომი მსვლელობა აღარ მიეცა. ახალ კანონპროექრში, რომელიც 1910 წელს შეადგინეს, იგი აღარ მოითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში ადგილ-მამულების უსასყიდლოდ დამტკიცებას. აღსანიშნავია, რომ 1910 წლის კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტში განზრახული იყო მოსახლეობის საკუთრებაში უსასყიდლოდ დამტკიცებოდა მათ მფლობელობაში არსებული მიწები. მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის საბჭო, რომელზეც ეს კანონპროექტი იხილებოდა, ამ წინადადებას არ დაეთანხმა. საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო ხაზინას ბათუმისა და ყარსის ოლქებში ადგილ-

---

[76] Сельское хозяйство и аграрные отношения, IV, составил профессор Гугушвили П. В. ТБ., 1955, С. 86-87

[77] სცსსა, ფ. 13, აბ. 7, ს. 2866, ფურც. 8.

მამულებზე განსაკუთრებული უფლებები აქვსო. საბჭომ მოითხოვა კანონპროექტის გადამუშავება იმ აზრით, რომ მოსახლეობას მიწების საკუთრებაში დამტკიცებისათვის გამოსასყიდი თანხა გაეღო[78].

გადამუშავებული კანონპროექტი კავკასიის მეფისნაცვლის საბჭომ 1912 წლის 18 აპრილს განიხილა. იგი მოიწონეს და დასამტკიცებლად პეტერბურგში გადააგზავნეს. აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებდა: 1912 წლის პირველი იანვრიდან ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობას საკუთრებაში უნდა დამტკიცებოდა მათ მფლობელობა-სარგებლობაში არსებული აღგილ-მამ'ელები: სახნავ-სათიბი, სახლ-კარმიდამო, საძოვრები, აღგილობრივი მნიშვნელობის ტყეები, რომლებსაც ისინი აქამდე იყენებდნენ. მომთაბარე მოსახლეობას (ქურთები, ბოშები და სხვები) უფლება ეძლეოდათ იჯარით აეღოთ ისეთი საძოვრები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებს აღემატებოდა. თანაც ამისათვის სავალდებულო იყო ამ უკანასკნელის თანხმობა.

კანონპროექტი მოითხოვდა მიწების მკაფიოდ გამიჯვნას, მიწათდაქსაქსულობის აღმოფხრას და სხვა. ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობას მიწების საკუთრებაში დამტკიცებისათვის 28 წლის განმავლობაში უნდა ეხადა გამოსასყიდი თანხა, წლიურად 18 ათასი რუბლის ოდენობით. ჩვენი გაანგარი-შებით, 28 წლის მანძილზე მოსახლეობის გაღებულ თანხას 517440 რუბლი უნდა შეედგინა. გარდა ამისა, მოსახლეობას დაეკისრა საგამიჯნო სამუ-

---

78 სცსსა, ფ. 13. ან. 7, ს. 2866, ფურც. 77–78; ა. ბენდიანი'შვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890–1917 წლებ'ში. თბ., 1965, გვ. 176.

შაოებისათვის გაწეული ხარჯები, დესეტინაზე 30 კაპიკის ოდენობით[79].

ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობა საადგილმამულო საკითხის ამგვარ გადაწყვეტას არ დაეთანხმა. ბოდა მოსახლეობის განწყობა კარგად იცოდნენ ადგილობრივ ადმინისტრაციულ მართველობაშიც და პეტერბურგის საიმპერატორო კარზეც. ბათუმის ოლქის ხამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ ბარათებში აღნიშნავდა, რომ კანონპროექტში გათვალისწინებული არ არის მიწათმფლობელობის ფაქტობრივი ბლანკეტობა. იგი მოახალშენეებს იცავდა და მოითხოვდა მათ ძველობილობა-სარგებლობაში არსებული მიწების საკუთრებაში დამტკიცებას[80]. ბათუმის ოლქის ხამხედრო გუბერნატორის აზრი პეტერბურგში უმაღლეს ხელისუფლებას აცნობეს, მაგრამ ცენტრში აღნიშნული დოკუმენტების შესწავლა-განხილვა გაჭიანურდა.

ამასობაში მსოფლიო ომიც დაიწყო, რის გამოც აღნიშნული საკითხი გაურკვეველი დროით გადაიდო. მართალია, რუსეთის ხელისუფლების მიერ შედგენილი საადგილმამულო კანონპროექტები პროექტებად დარჩა და რეალიზაცია არ ეღირსა, მაგრამ ისინი თვალნათლივ გვისურათებენ ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკის ხასიათს.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად იმპერიის აგრარული ურთიერთობის გადაწყვეტის თითქოსდა ახალი ეტაპი დაიწყო, მაგრამ აღნიშნულ რეგიონებს ამ მხრივ ცვლილებები ნაკლებად შეეხო. იმპერიის მასშტაბით

---

[79] სკსსა, ფ. 13. ან. 7. ს. 2909, ფურც. 116–120.

[80] იქვე, ფურც. 137–138.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ის იყო, რომ რომანოვების საგვარეულოს ადგილ-მამულები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. ასე მოხდა აჭარაშიც. ცარიზმის ხელისუფლების დამხობის შედეგად ჩაქვის საუფლისწულო მამული სახელმწიფო საკუთრება გახდა.

ერთ-ერთი სიახლე გახლდათ აგრეთვე მომრიგებელი კამერების დაარსება. ისინი მეწარმეებსა და მუშებს შორის სადავო საკითხებს იხილავდნენ. მართალია, მომრიგებელი კამერები ქალაქებში შეიქმნა, მაგრამ ისინი სოფლის მეურნეობის მუშებსაც აერთიანებდნენ. მაგალითად, ჩაქვის სახელმწიფო მამულის მუშებს ბათუმის მომრიგებელ კამერაში წარგზავნილი ჰყავდათ 6 კაცი.

რუსეთის დროებითი მთავრობა აგრარული საკითხის ძირეულ გადაწყვეტას დამფუძნებელი კრების პრეროგატივად თვლიდა. თუმცა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს საადგილმამულო რეფორმის მოსამზადებლად. კერძოდ, 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში აღწერეს იმპერიის, მათ შორის ყარსისა და ბათუ-მის ოლქების ადგილ-მამულები და შეადგინეს სათანადო მასალები. 1917 წლის ოქტომბრის მოვლენების შედეგად დროებითი მთავრობა დაემხო და დამფუძნებელი კრების მიმართ იმედები გაქარწყლდა. შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასია დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული გახდა. ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატები მოვიდნენ და საადგილმამულო საკითხის გადაწყვეტის ახალი პერსპექტივა გამოჩნდა.

რუსეთის ხელისუფლებამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ადგილ-მამულებზე ხაზინის მესაკუთრული უფლებები კანონმდებლობით

ვერ გააფორმა. ამის მიუხედავად, რუსეთი ამ მხარის მიწების ძირითად მესაკუთრედ დარჩა. ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა დაძლია და ბოლომდე შეინარჩუნა სახელმწიფო საკუთრება ადგილ-მამულებზე. მოსახლეობა სახელმწიფო დასახლების კატეგორიაში გადაიყვანა.

XX საუკუნის დასაწყისში ყარსის ოლქში რუსეთის სახელმწიფოს საკუთრება იყო 1670756 დესეტინა. აქედან არტაანის ოკრუგზე მოდიოდა 472375, ხოლო ოლთისისაზე 285510 დესეტინა[81]. ბათუმის ოლქში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საერთო მიწები 860305 დესეტინას ითვლიდა, ბათუმის ოკრუგში – 570305, ართვინისაში – 290000 დესეტინა. 1909 წლის ცნობით ბათუმის ოკრუგში კერძო საკუთრების მიწები 13159 დესეტინას შეადგენდა. მართალია, სანადელო მიწები სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ ხაზინის უშუალო საკუთრებაში შედიოდა თავისუფალი მიწები, სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები. ბათუმის ოლქში თავისუფალი მიწები არ იყო, ხოლო ტყეებს – 541132 დესეტინა ეკავა, (ბათუმის ოკრუგში – 454547, ართვინისაში – 86585 დესეტინა)[82]. ყარსის ოლქში თავისუფალი, დაუსახლებელი მიწები საკმაო რაოდენობით არსებობდა. ტყეებს კი მცირე ფართობი ეკავა. 1895 წლის ცნობით, ყარსის ოლქში ტყეს ეკავა 131503 დესეტინა, აქედან არტაანის ოკრუგში – 56213, ხოლო ოლთისისაში- 27326 დესეტინა[83]. მეტნაკლებად ასე იყო სხვა დროსაც.

რუსეთის მთავრობამ უშუალოდ ხაზინის საკუთრებაში მოაქცია აგრეთვე მუჰაჯირების ადგილ-მამულების დიდი

---

81 Обзор карской области за 1906 год. Карс, 1907, С. 3.
82 Обзор Батумской области за 1903 год. БАТ. 1904, С. 20.
83 Обзор карской области за 1895 год. Карс, 1896, С. 6.

საწილი. ეს იყო ადგილობრივი ემიგრანტების ბედისანაბარად მიტოვებული მიწები, საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის შენობები. საკვლევ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ემიგრირებას განუწყვეტელი ხასიათი ჰქონდა. ამიტომ მათ მიერ მიტოვებული ადგილ-მამულების და სხვა უძრავი ქონების ზუსტად დადგენა არ ხერხდება. მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული მასალები საშუალებას იძლევა ამ საკითხის შესახებ გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად.

მოსახლეობის იძულებით ემიგრაციას მრავალ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თავისებურება ის იყო, რომ აქედან მოსახლეობას სხვა ქვეყნებში აშკარა ძალით არავინ აძევებდა. ერთი შეხედვით, ხალხი მშობლიური კერიდან თავისი ნებით მიდიოდა. ცხადია, ეს ასე არ იყო. იძულებას ფარული ხასიათი ჰქონდა. მეჰაჯირობის მიზეზების გასარკვევად საჭიროა ყველა ფაქტორის ერთობლიობაში აღება. ეს არის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რელიგიური ფანატიზმი, წამქეზებლობა, მოსახლეობაზე პოლიტიკური და ფსიქოლოგიურიზეწოლა, რუსული სამხედრო-პოლიციური აპარატის აღვირახსნილობა და სხვა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ემიგრაციით დაინტერესებული იყო როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის მთავრობები. რუსეთს ემიგრანტების მიწების უშუალოდ ხაზინის საკუთრებაში მოქცევა სურდა. შემდეგ ამ მიწებს კოლონიური მიზნებისათვის იყენებდა. ამის შესახებ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი 1910 წელს კავკასიის მეფისნაცვალს სწერდა: როგორც საერთო,

ისე სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე სასურველია ამ მსარიდან მუსლიმანების წასვლა და რუსების ჩამოსახლებაო[84]. ოსმალეთის მთავრობასაც აწუხებდა ემიგრირებული მოსახლეობის მიღება. სულთნის ხელისუფლების ვარაუდით, ემიგრანტების მიღების შედეგად გაიზრდებოდა ოსმალეთის სახელმწიფოს ისედაც შეთხელებული მოსახლეობა. სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ გადასახდების გადამხდელთა რიცხვიც გადიდდებოდა. ამავე დროს რუსეთის სახელმწიფოს მიმართ მტრული ელემენტებიც გამრავლდებოდნენ.

ამიტომ ისინი შეთანხმდნენ მუჰაჯირების შესახებ. ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით მუჰაჯირებს უფლება ეძლეოდათ სამი წლის განმავლობაში გაეყიდათ თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება და გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში. მუჰაჯირების ნაწილმა მოასწრო მიწების და შენობების გაყიდვა, ანდა ნათესავებს დაუტოვა. სხვებმა კი ბედისანაბარა მიატოვეს. XIX საუკუნის 90-იანი წლების მონაცემებით ბათუმის ოკრუგის კინტრიშის საპოლიციო უბნის ხუთ სოფელში (დიდიჯამე – ამჟამად ჩაისუბანი, გორგაძეები, სახალვაშო, ხალა, ჩაქვისთავი) მუჰაჯირების ადგილმამულები 1300 დესეტინას შეადგენდა. ორთაბა-თუმში-62, ართვინის ოკრუგში – 210 დესეტინას (1909 წელს)[85]. გამოდის, რომ ამ სოფლებში მუჰაჯირების მიწები, ერთად აღებული, 1572 დესეტინას შეადგენდა. ეს ალბათ, მუჰაჯირების მიწების ერთი მესამედიც არ იქნება.

---

[84] ასმსფ, ს. 220, ფურც. 41.
[85] სცსსა. ფ. 351, ან. 1. ს. 8, ფურც. 7; ფ. 12, ან. 11, ს. 2011, ფურც. 118, 122-123; ფ. 13, ან. 7, ს. 2805, ფურც 7; აცსა. ფ. ი–22, ან. 1, ს. 36. ფურც. 70–71.

რუსეთის მთავრობას თავდაპირველად განსრახული ჰქონდა მუჰაჯირების მიწები გაეცა იჯარით, ხოლო შენობები გაეყიდა აუქციონზე. მაგრამ შემდეგ ეს განზრახვა შეცვალა. მუჰაჯირების მიწები გადასცა სოფლის საზოგადოებებს აშარის გადახდის საფუძველზე, ხოლო შენობებს, ხეხილის ბაღებსა და ბოსტნებს ფულადი იჯარით აძლევდა მსურველებს[86]. ამის მიზეზი ის კი არ იყო რომ აშარის გამოსაღები მეტი იყო, მიწის საიჯარო ქირაზე, არამედ ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მწვავედ განიცდიდა მიწის სიმცირეს და დაბეჯითებით მოითხოვდნენ მუჰაჯირების მიწების დატოვებას სოფლის საზოგადოებების სარგებლობაში. პირველ წლებში ხელისუფლება რამდენადმე ანგარიშს უწევდა მოსახლეობის მოთხოვნებს.

მთავრობის ასეთი პოზიცია დროებითი და მოჩვენებითი იყო. მომდევნო ეტაპზე მუჰაჯირების მიწები მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგებლობაში გადავიდა და უშუალოდ დაექვემდებარა აღნიშნული უწყების სატყეო სამსახურს. იჯარამ აშკარად სპეკულაციის სახე მიიღო. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა შესაბამისი უწყება დაინტერესებული იყო მიწები იჯარით იმათთვის მიეცა, ვინც მეტ თანხას გადაიხდიდა. მაგალითად, 1887 წელს ბათუმის ოკრუგის კინტრიშის საპოლიციო უბანში სახელმწიფოს მიერ იჯარით გაცემული იყო 539 ნაკვეთი, სულ 1141 დესეტინა. უმეტესობა – 793 დესეტინა (70%) მოახალშენეებმა და სოფლის შეძლებულმა ფენებმა აიღეს: პირველმა – 598 (52,4 %), ხოლო მეორემ –

---

86 ო. თურმანიძე. აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან.ბათ., 1973, გვ. 82.

195 დესეტინა (17,6%). მათ კი ეს მიწები მეორადი იჯარით მაღალ ფასებში სხვებს გასცეს[87]. 1906 წელს მუჰაჯირების მიწების იჯარით გაცემის შედეგად მარტო ართვინის ოკრუგიდან სახელმწიფო საზინაში შევიდა 4000 რუბლი. 1914 წელს ანალოგიური მაჩვენებელი ბათუმის ოლქში 14058 რუბლს შეადგენდა[88].

რუსეთის ხელისუფლებამ სახელმწიფო საკუთრებაში გადაიყვანა სავაყუფო სოფლები. მართალია, მთავრობა ანგარიშს უწევდა იმპერიის დანარჩენი მუსლიმანური პროვინციების მოსახლეობის სარწმუნოების ფანატიზმს, მაგრამ სახელმწიფოს ფისკალური ინტერესები უფრო მაღლა დააყენეს. ბათუმის ოლქში სავაყუფო სოფლები არც ისე მრავალრიცხოვანი იყო. ზემო აჭარაში ოთხი სავაყუფო სოფელი ითვლებოდა (ალმე — ამუამად ვაშლოვანი, ღორჯომი, დიდაჭარა, პაქსაძეები). ისინი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილმა ხულოს მეჩეთს შეწირა 1829 წელს. ართვინის ოკრუგში შავშეთ-იმერხევსა და არტანუჯის უბნებში ხუთი სავაყუფო სოფელი აღირიცხა, რომლებიც ერზერუმის ლალა-ფაშას მეჩეთზე იყო შეწირული. სავაყუფო სოფლები, რომლებიც სახელმწიფო დასახლებაში გადაიყვანეს, ხაზინის სასარგებლოდ იხდიდნენ საადგილმამულო გადასახადს. სასოფლო მმართველობისა და საგადასახადო რეფორმის შემდეგ აღნიშნული სოფლები დაიბეგრა მიწის საღალო გამოსაღებითა და საერობო მოსაკრებლით.

რუსეთის სახელმწიფომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კოლონიური ათვისების შედეგად მნიშვნელოვნად გა-

---

[87] აცსა, ფ. 22, ან. 1, ს. 36, ფურც. 70–74; დაჯამებული და პროცენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.
[88] სცსსა, ფ. 231, ან. 1, ს. 387, ფურც. 13; ფ. 13, ან. 7, ს. 2353, ფურც. 1.

ზარდა ხაზინის შემოსავალი. ამ შემოსავლის სხვადასხვა მუხლი არსებობდა. მიწის გადასახადის გარდა, სახელმწიფოს ხაზინაში შედიოდა საარენდო თანხები, სატყეო მეურნეობის შემოსავლები და სხვა. 1912 წლის ცნობით, ს. ჭელიძემ სახელმწიფოსაგან ორწლიანი იჯარით აიღო 14 დესეტინა და 511 კვადრატული საჟენი მიწა. ყოველწლიური საიჯარო თანხა 170 რუბლს უდრიდა. საშუალოდ დესეტინაზე მოდიოდა 12 რუბლი და 20 კაპიკი ცხადია, ეს ერთეული შემთხვევა არ ყოფილა. ბათუმის ოლქის სატყეო მეურნეობიდან 1903 წელს სახელმწიფო ხასინაში შევიდა 26642 რუბლი. ამ თანხიდან ბათუმის ოკრუგზე მოდიოდა 16707 რუბლი, ხოლო ართვინისაზე — -9935 რუბლი. 1915 წელს ბათუმის ოლქში 55 სატყეო უბანი ითვლებოდა (ართვინის ოკრუგში — 25, ბათუმისაში — 30). სამასალე ხე-ტყის გაყიდვის შედეგად სახელმწიფო ხაზინაში შევიდა 31034 რუბლი. მათ შორის ბათუმის ოკრუგიდან — 28154, ხოლო ართვინის ოკრუგიდან — 2880 რუბლი[89].

სატყეო მეურნეობის შემოსავალი გაცილებით მეტი იყო ყარსის ოლქში. 1906 წელს ამ რეგიონის სატყეო მეურნეობიდან სახელმწიფო ხაზინაში შევიდა 75608 რუბლი. თანხის დიდი ნაწილი ამოღებული იყო სამასალე ხე-ტყის გაყიდვიდან (64846 რუბლი). ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ყარსის ოლქში შემავალი ქართული პროვინციების წილი. იმავე წელს არტაანის სატყეო მეურნეობიდან სახელმწიფო ხაზინაში შევიდა 8348 რუბლი, ფოცხოვის სატყეოდან — 3141, ხოლო ოლთისის სატყეო მეურნეობიდან — 2181 რუბლი. 1915 წელს არტაანის ოკრუგში 7, ხოლო

---

89 Обзор батумскоы области за 1903 год. Бат., 1904, С. 20; აცსა. ფ. ი—24, ან. I, ს. 28, ფურც. 4; КК на 1917 год. Тиф., 1916, С. 328.

ოდლოთისისაში 11 სატყეო უბანი ითვლებოდა. სამასალე ხეტყის გაყიდვით სახელმწიფო ხაზინაში შეევიდა შესაბამისად 200119 და 10055 რუბლი[90].

ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსავალში მნიშნელოვანი ადგილი ეკავა მიწის საიჯარო თანხებს. 1885 წლამდე ქალაქის მიწები იჯარით ეძლეოდათ საწყობებისა და სავაჭრო დუქნების ასაგებად. შემდგომში კერძო პირები მიწებს არენდით იღებდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიზნით. იჯარის ვადა განისაზღვრებოდა ერთიდან თორმეტ წლამდე. საიჯარო ფასები განსხვავებული იყო. ბათუმში თვითმმართველობის შემოღებამდე მიწებს იჯარით ქალაქის თავი აძლევდა ქუთაისის გუბერნიის შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით. თვითმმართველობის შემოღების შემდეგ საიჯარო ხელშეკრულებებს ქალაქის გამგეობა აფორმებდა და სათათბირო ამტკიცებდა.

1889წ. 17 ივნისს ქალაქის გამგეობამ მიწის საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა ინგლისის ნავთობმრეწველობის სააქციო საზოგადოებასთან. მას 12 წლის იჯარით გადაეცა 4257 კვადრატული საჟენი მიწა ნავთობპროდუქტების შესანახი ბაკების მოწყობისა და ექსპლოატაციისათვის. წლიურად ერთი კვადრატული საჟენი მიწის ღირებულება ერთ რუბლს შეადგენდა. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება განახლდა ოღონდ კვადრატული საჟენი მიწის საიჯარო ღირებულება ერთი რუბლი და 50 კაპიკი დაადგინეს. 1897წ. მიწის საიჯარო ხელშეკრულება განახლდა რუსეთის ნავთობმრეწველობის ფირმასა და ბათუმის საქალაქო გამგეობას შორის. ხსენებულ ფირმას ათწლიანი

---

90 Обзор карской Области за 1906 год. Карс, 1907, С. 24; КК на 1917 год. Тиф., 1916, С 328.

იჯარით გადაეცა 1809 კვადრატული საჟენი მიწა, წლიურად უნდა გადაეხადა 2714 რუბლი[91]. ბათუმში რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოებას 1897-1913 წლებში იჯარით აღებული ჰქონდა 375 კვადრატული საჟენი მიწა. კვადრატულ საჟენში წლიურად ისდიდა 6 რუბლს[92].

კერძო პირებსე მიწების იჯარით გაცემას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. 1910წ. ბათუმის ბიუჯეტში საიჯარო მიწებიდან შევიდა 29124 რუბლი, 1911 წ. - 40249, ხოლო 1912 წ. 36895 რუბლი (წინაწლების ნარჩენებთან ერთად). 1913 წ. საიჯარო მიწების შემოსავალი 32374 რუბლსა და 50 კაპიკს უდრიდა. 1914წ. 128 პიროვნებას ქ. ბათუმის ტერიტორიასე იჯარით აღებული ჰქონდა 26390 კვადრატული საჟენი (11 დესეტინა) მიწა. გეგმით საიჯარო თანხა 29799 რუბლსა და 31 კაპიკს შეადგენდა[93].

ცარიზმი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ბათუმის ოლქის ზღვისპირეთის სოციალურ-ეკონომიკური ათვისებისათვის. აქ ხელსაყრელი პირობები არსებობდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის. სწორედ ამას ისახავდა მიზნათ 1902 წლის 11 მარტის კანონი. ამ კანონით ნება ეძლეოდათ კერძო პირებს შეეძინათ მიწის ნაკვეთები ვენახის, ხეხილის ბაღის და სხვა ძვირფასი კულტურების მოშენება-განვითარებისათვის. გუბერნიებისა და ოლქების ჩამონათვალში კავკასიაც შეიტანეს. კერძო პირებს უფლება ეძლეოდათ თავდაპირველად მიწის ნაკვეთები აეღოთ ხუთწლიანი იჯარით, შემდეგ კი

---

[91] აცსა. ფ. ი–7, ან. 1, ს. 431, ფურც. 16–18.
[92] იქვე. ს. 550, ფურც. 11–12.
[93] იქვე. ფ. ი–81, ან. 1. ს. 82. ფურც. 22, 32–33, 49–53.

შეეძინათ საკუთრებაში. დესეტინაზე საიჯარო გადასახადი დაწესდა 25 კაპიკი.

რუსეთის ხელისუფლების 1902 წლის 7 ივნისის კანონის საფუძველზე ბათუმის ოკრუგის კოლონისტ მოახალშენეებს სტოიანოვს, ვუჩინოს, დალფონსს, ლოპატოს საკუთრებაში დაუმტკიცეს აქ შეძენილი მიწები. დესეტინაზე უნდა გადაეხადათ 25 კაპიკი სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოთ. ამავე დროს 1902 წლის 11 მარტის კანონის მოქმედება ვრცელდებოდა ბათუმის ოკრუგის რამდენი-მე სოფელზე. ესენია: მახინჯაური, აჭყვა, ჩაქვი, ყარადერე, ბარცხანა და სხვა. 1903 წლის 20 ივლისის უმაღლესი დადგენილებით 1902 წლის 11 მარტის კანონი გავრცელდა ბათუმის ოკრუგის ზღვისპირეთის დანარჩენ სოფლებზე (ანგისა, ჩუ-რუქსუ, ხოლოდნაია სლობოდა, კაპრეშუმი, ორთაბათუმი, ახალშენი, იჯადიე, სალიბაური, ურეხი, ფერია, ჯაიათი, ხუცუბანი)[94]. ცხადია, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტები იყო მთავრობის მორიგი ღონისძიებანი მხარის სოციალურ-ეკონომიკური ათვისების გზაზე. 1910 წლის 11 აპრილს გაუქმდა 1884 წლის 26 ოქტომბრის კანონი, რომელიც მიწების საკუთრებაში შეძენას კრძალავდა. პრაქტიკულად მთავრობის ეს ღონისძიება კოლონისტ მოახალშენეებზე ვრცელდებოდა.

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაგალითზე ცარიზმმა კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი კოლონიალური სახე. მართალია, საქართველოს ამ რეგიონის ადგილ-მამულებზე სახელმწიფოს მესაკუთრული უფლებე-

---

[94] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2788, ფურც. 3–4.

ბი იურიდიულად ვერ გააფორმა, მაგრამ ფაქტობრივად ბოლომდე შეინარჩუნა სახასინო საკუთრება. ადგილობრივი მოსახლეობის, განურჩევლად წოდებისა, სახელმწიფო დასახლების თანრიგში გადაყვანით მათი ექსპლუატაცია გაძლიერდა, ხოლო სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

3. რუსული სამიწათმოქმედო ახალშენები

ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო რუსული ახალშენების შექმნა. საქართველოში უცხო ქვეყნების ახალშენების ისტორია სათავეს შორეულ წარსულში იღებს. ჯერ კიდევ ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში საქართველოს შავიზღვისპირეთში პირველი ახალშენები ბერძნებმა დაარსეს (დიოსკურია, ფაზისი, გიენოსი-ოჩამჩირე, ტრაპეზუნტი, კერასუნტი და სხვა). ბერძნული ახალშენები საქართველოზე ვერ გაბატონდნენ. ისინი საკაჭრო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული ახალშენები კოლხეთის სახელმწიფოს გავლენაში იყო მოქცეული. მომდევნო საუკუნეებში საქართველოში ახალშენები შექმნეს თურქ-სელჩუკებმა, ირანელებმა, ოსებმა, სომხებმა და სხვა ხალხებმა. თურქ-სელჩუკების ახალშენების შექმნა XI საუკუნეში დაიწყო. დავით აღმაშენებლის ბრძნული პოლიტიკა და გაბედული პრაქტიკული მოქმედება რომ არა, დღეს საქართველო თურქ-სელჩუკების ქვეყანა იქნებოდა. ოსების ახალშენები სათავეს XIII საუკუნეში იღებენ. საბოლოოდ

ოსური ახალშენები საქართველოში XVIII საუკუნის პირველ მესამედში ჩამოყალიბდნენ[95].

საქართველომ ვერ შეძლო თავისი ისტორიული მიწა-წყლის დაცვა და შენარჩუნება. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე საღმა აზრმა გაიმარჯვა. ეს იყო სწორი ორიენტაცია. სხვა შემთხვევაში ირანი და ოსმალეთი საქართველოს საბოლოოდ გადაყლაპავდნენ. ორი ქვეყნის (რუსეთისა და საქართველოს) ნორმალური, ე.ი. თანასწორუფლებიანი ურთიერთობის პირობებში საქართველო შეძლებდა შინაური და გარეშე პრობლემების მოწესრიგებას, უწინარესად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და შენარჩუნებას. მაგრამ მეფის რუსეთი, საქართველოს მიმართ ნორმალური ურთიერთობის დამყარების ნაცვლად, აშკარა აგრესიაზე გადმოვიდა. ამას რამდენადმე ხელი შეუწყო ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების პოლიტიკამაც. გეორგიევსკის ტრაქტატით (1783 წ.) ქართლ-კახეთის სამეფო საგარეო სუვერენიტეტს თმობდა. ქვეყნის შიგნით, კერძოდ, სამეფო საგვარეულოში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო გიორგი XII საშინაო სუვერენიტეტზეც ხელს იღებდა (1799 წ.). ამ აქტებმა დააჩქარეს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსია. ცარიზმმა 1801 წელს ქართლ-კახეთის, ხოლო მომდევნო წლებში საქართველოს დანარჩენი ნაწილების ოკუპაცია-ანექსია მოახდინა. ამრიგად, საქართველო მეფის რუსეთის კოლონია გახდა და 117 წლის განმავლობაში ცარიზმის ბატონობაში იმყოფებოდა.

---

[95] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV. თბ., 1973, გვ. 429.

XIX საუკუნის ბოლოს რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთ დიდ კოლონიურ სახელმწიფოდ ითვლებოდა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად ცარიზმმა ამიერკავკასიაში დამატებით 23.108 კმ^2 ტერიტორია შეიძინა. როგორც უკვე ითქვა, 15.894 კმ^2 იყო საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი.[96]

ცარიზმი ყველა საშუალებით ცდილობდა არ დაეშვა ქართული მხარეების კონსოლიდაცია, მათი ერთ ეროვნულ ორგანიზმად შეკვრა. ამიტომ სხვადასხვა კუთხის ქართველობას ერთმანეთს უპირისპირებდა. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის აღწერის მასალებში შემოერთებული მხარის მოსახლეობა თურქებად იყო წარმოდგენილი.[97] ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ადგილობრივ მოსახლეობას ველურებსა და ფანატიკოსებს უწოდებენ.[98] ამავე დროს ცარიზმი აქაური მოსახლეობის მიმართ გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა: ნაკლებად ერეოდა მათ ყოფა-ცხოვრებაში, რელიგიასა და ადათ-წესებში, რათა ადგილი არ ჰქონოდა მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველების დაახლოებას.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ეკონომიკური სარგებლობა რუსეთისათვის. მთავრობის უმაღლესი მოხელეები საქართველოს სამხრეთ ციმბირს უწოდებდნენ. მას, ამიერკავკასიის სხვა მხარეებთან ერთად, რუსეთისათვის უნდა გაეგზავნა სამხრეთული პროდუქცია (აბრეშუმი,

---

[96] Обзор Карской области за 1906 год. Карс, 1907, с. 2-3; КК на 1902 год. Тиф., 1901, с. 28-29.

[97] Первая всеобщая перепись населения российской империи 1897 г. Карская область. Тиф., 1904, с. 28-29; Кутайская губерния. Тиф., 1905, с. 88-89.

[98] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს.115, ფურც. 3; Обзор Батумской области за 1903 год. Бат., 1904, с. 1.

ბამა). რუსეთის მფლობელობაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გადასვლის შემდეგ კოლონიური პროდუქციის ასორტიმენტი გაიზარდა. ამიერიდან იგი რუსეთს ჩაის, ციტრუსებს, ზეთისხილს, თამბაქოს და სხვა პროდუქტებს მიაწვდიდა.

საქართველოს, კერძოდ, აჭარის მნიშვნელობა რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებში სატრანსიტო ვაჭრობითაც გამოირჩეოდა. იგი დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი იყო. ბათუმს, როგორც საზღვაო ჭიშკარს, იმპერიის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაში მთავარი ადგილი ეკავა მსარის ათვისებას. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას არაქართველი, კერძოდ, რუსი კოლონისტების ჩამოსახლება და მათთვის ახალშენების მოწყობა კოლონიური ბატონობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საფუძვლად მიაჩნდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი 1910 წელს კავკასიის მეფისნაცვალს სწერდა: "რუსეთის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია, ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრაციაში წასვლა, უწინარესად იმ რაიონებიდან, სადაც კარგი ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, მდიდარი წიაღისეულია". ასეთ რაიონებად გუბერნატორი თვლიდა კინტრიშის უბანს, გონიოს უბნის სარფის სასოფლო ოკრუგს, ართვინიდან — მურღულის ხეობას. რუსები აქ უნდა დავასახლოთ მკაცრად მოფიქრებული გეგმით. ბათუმის ოლქის დანარჩენი ნაწილი კი მთაგორიანია, ძნელად მისასვლელია და ამდენად ცხოვრებისათვის გამოუსადეგარია.[99]

---

[99] ასმსფ, ს. 220, ფურც. 41-42.

მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ამ მხარის პოლიტიკური დაპყრობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რუსული ორგანიზმთან მის მიერთებას. ეს ამოცანა მაშინ გადაწყდებოდა, როდესაც მას სოციალურ-ეკონომიკურად და დემოგრაფიულად აითვისებდა. ხელისუფლება ამას არც მალავდა. იმპერატორი ნიკოლოზ I ამბობდა, რომ კოლონისტებს კავკასიაში უნდა განემტკიცებინათ ცარიზმის ბატონობა და უსრუნველეყოთ ადგილობრივი მოსახლეობის სრული მორჩილება.[100] მეფისნაცვლის კანცელარიის 1845 წლის 29 ნოემბრის დოკუმენტში ნათქვამია: ამიერკავკასიაში რუსების ჩამოსახლება სასარგებლოა, როგორც პოლიტიკური, რუსეთის მფლობელობის განმტკიცების მიზნით, ისე სამრეწველო განვითარებისათვის.[101]

კოლონიური ბატონობის განმტკიცებაში, უწინარესად, იგულისხმებოდა რუსული ენის, ფსიქოლოგიის, წესების დამკვიდრება.[102] რუსული ახალშენების მოწყობით საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია მკვეთრად შეიცვლებოდა. ასეთ პირობებში უკიდურესად შევიწროვდებოდა ქართული ენის მოქმედების არეალი, მკვიდრი ეროვნების წინააღმდეგობაც ძალას დაკარგავდა და მათი დამორჩილება ადვილად მოხერხდებოდა.

ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში კოლონისტების ჩამოსახლება და რუსული ახალშენების მოწყობა XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან დაიწყო. 1817-1819 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში გერმანელთა 500,[103] ხოლო

---

[100] Акты, т. 8, с 301.

[101] Акты, т. 10, с. 110.

[102] Колониальная политика царизма в Азербайджане. I, М.-Л., 1936. с. 280.

[103] Акты, т. 8, с. 230-231; იხ. აკრეთვე გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები

1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ოსმალეთიდან სომეხი და ბერძენი ეროვნების ექვსი ათასი კომლი ჩამოასახლეს. ყველა ისინი მიწით უზრუნველყვეს, თან დიდი კრედიტებიც მისცეს. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ინტენსიურად მიმდინარეობდა საქართველოში რუსების ჩამოსახლება. აქ იქმნებოდა სამიწათმოქმედო და სამხედრო კოლონიები. 1854 წლის ბოლოს საქართველოში 21 რუსული ახალშენი იყო (13 თბილისის, ხოლო 8 ქუთაისის გუბერნიებში). 1859 წლიდან რუსული სამხედრო ახალშენები სამხედრო უწყებიდან სახელმწიფო ქონებათა უწყებას დაექვემდებარა. აქ მცხოვრები რუსები კი სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში გადაიყვანეს.[104]

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ გაიზარდა რუსეთის საკოლონიზაციო მიწები საქართველოში. ეს იყო ახალი რეგიონების შემოერთების საფუძველზე შექმნილი მიწების ფონდი. მასში მუჰაჯირების მიწებიც შევიდა. მთავრობა მაშინვე შეუდგა ადგილ-მამულების სახაზინო საკუთრებაში გადარიცხვას და რუსული ახალშენების მოწყობას.

კავკასიის არმიის მთავარსარდლის ნ. სვიატოპოლკ-მირსკის 1879 წლის 5 თებერვლის ინსტრუქცია ავალებდა ყარსისა და ბათუმის ოლქების სამხედრო გუბერნატორებს განსაკუთრებული მზრუნველობა გამოეჩინათ ამ მხარეებში საკოლონიზაციო მიწების შერჩევისა და რუსი ეროვნების მოსახლეობის ჩამოსახლებისათვის. ამასთან, მთავარსარდალი ითვალისწინებდა მკვიდრი მოსახლეობის მცირემიწია-

---

ამიერკავკასიაში, თბ., 1974, გვ. 77.

[104] Акты, т. 12, с. 1349.

ნობას და მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, გუბერნატორებს ურჩევდა საკოლონიზაციო მიწების შერჩევისას არ შეელახათ ადგილობრივ მცხოვრებთა უფლებები. სვიატოპოლკ-მირსკის უნებართვოდ იკრძალებოდა რუსეთიდან თვითნებური ჩამოსახლება. ამ უფლებას მთავარსარდალი თავისთვის იტოვებდა.[105]

მცირემიწიანობისა და უმიწობის მიუხედავად, ბათუმის ოლქში რუსული ახალშენების მოწყობისათვის მიწები მაინც გამონახეს. აქ პირველი რუსული ახალშენი 1881 წელს მოეწყო ქობულეთის მახლობლად, ფიჭვნარში. მისთვის 2440 დესეტინა შეარჩიეს. მას სმეკალოვკა ეწოდა (ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ა. სმეკალოვის პატივსაცემად).

სმეკალოვკაში რუსი მოახალშენეების პირველი ჯგუფი, სულ 114 ოჯახი, 1881 წელს ჩამოასახლეს. თითოეულ კომლს ოფიციალურად 14 დესეტინა სავარგული გადასცეს, გამოუყვეს საერთო სარგებლობის საძოვრები და სათიბები. სახელმწიფო ფინანსურადაც დაეხმარა. 1884 წელს მოახალშენეებს 4991 რუბლი, ხოლო 1900 წელს 2150 რუბლი საჩუქრად გადასცეს. ასეთი დახმარება მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა.

რუსი გლეხები პირველ წლებში ვერ შეეგუენენ აქაურ კლიმატურ პირობებს (მაღალი ტენიანი ჰავა, მალარიის საშიშროება) და მათი დიდი ნაწილი უკან გაბრუნდა. 1897 წელს სმეკალოვკაში 49 კომლიდა დარჩა.[106] მალე აქაურობას კოლონისტების ახალი ტალღა მოასკდა. უკვე 1917

---

[105] სცსსა, ფ.13, ან. 7, ს. 2909, ფურც. 145.
[106] ასმხფ, ს. 172, ფურც. 12-15,186.

წლის ბოლოს სმეკალოვკაში 234 კომლი (1031 სული) მოახალშენე სახლობდა.[107] ეს სოფელი აჭარაში ყველაზე მსხვილი კოლონისტური დასახლება იყო.

ფიჭვნარში რუსული ახალშენის შექმნას ქართული პერიოდიკაც გამოეხმაურა. გაზეთი "ივერია" ერთ-ერთ თავის კორესპოდენციაში მიუთითებდა, უკვე ექვსი წელია ჩურექ-სუში (ქობულეთი) ახალშენი აქვთ რუსებს, სადაც 100-მდე კომლი სახლობსო.[108]

აჭარაში მეორე რუსულ ახალშენს 1892 წელს ჩაეყარა საფუძველი ბათუმის შემოგარენში (ბარცხანა), მას "ხოლოდნაია სლობოდა" შეარქვეს. აქ დასახლებულ რუს მოახალშენეებს მუჰაჯირებისა და სახაზინო მიწები გადასცეს.[109]

XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის მთავრობის მოხელეებმა დეტალურად შეისწავლეს ბათუმის ოლქში რუსული ახალშენების შექმნის შესაძლებლობანი. ზღვისპირა ზოლის გარდა, ისინი ეწვივნენ ზემო და ქვემო აჭარას, მაჭახელს, შავშეთ-იმერხევს, ლივანას, არტანუჯს, მაგრამ კოლონისტებისათვის თავისუფალი მიწები ვერ აღმოაჩინეს. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებული კავკასიაში 1898 წლის 21 ოქტომბერს მთავარმართებელს მოახსენებდა, რომ აქ ახალშენების შექმნისათვის თავისუფალი მიწები არ მოიპოვებაო.[110]

სამაგიეროდ ნაყოფიერი მიწების სიუხვით გამოირჩეოდა ყარსის ოლქი. 1880-1903 წლებში აქ ხუთი რუსული კოლონია შეიქმნა (გიულგერანი, ოდინცოვსკი, პლოდოროდ-

---

[107] იქვე. ს. 216, ფურც. 13.
[108] ივერია, 17 მაისი, 1887.
[109] სმხფ. ს. 235, ფურც- 45-46.
[110] სცსსა, ფ. 12, ან. 11, ს. 2011, ფურც.. 116-117.

ნენსკი, გოლიცინსკი, პეტროპავლოვსკი), სადაც 1365 მოახალშენე ცხოვრობდა. მათ 8358 დესეტინა ნაყოფიერი მიწა გამოუყვეს, ერთ კომლზე საშუალოდ 61,3 დესეტინა. ყველაზე მსხვილი დასახლება იყო ოდინცოვსკი და პლოდოროდნენსკი. პირველს მთავრობამ გადასცა 2120 დესეტინა, რომელზეც 397 მოახალშენე მოეწყო. მეორეში 381 კოლონისტი ჩამოსახლდა. მათ 2429 დესეტინა მიწა გამოუყვეს.[111]

რუსული ახალშენების ნაირსახეობას წარმოადგენდა საუფლისწულო მამულები. რომანოვების საგვარეულომ საქართველოში დიდძალი მიწები იგდო ხელთ და მსხვილი მეურნეობები მოაწყო. ამ მამულების სამმართველო აპარატის მოსამსახურენი და მუდმივი მუშახელის ნაწილი ძირითადად რუსები იყვნენ. ჩაქვის საუფლისწულო მამულში 100-მდე რუსი ეროვნების ოჯახი ჩამოასახლეს.

საიმპერატორო კარი, მთავრობის უმაღლესი და ადგილობრივი მოხელეები მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საქართველოს კოლონიზაციის დაბალი ტემპების გამო. ისინი წუხდნენ მიწის ფონდის სიმცირის გამოც. ეს ყველაზე მეტად ბათუმის ოლქზე ითქმის. 1898 წლის 6 აგვისტოს გოლიცინი იმპერიის ფინანსთა მინისტრს მოახსენებდა: ამიერკავკასიაში რუსების ჩამოსახლების შესახებ ზემდგომი ორგანოების დავალების შესრულებას მზრუნველობას არ ვაკლებ, მაგრამ დიდ დაბრკოლებებს ვაწყდები თავისუფალი მიწის ფონდის სიმცირის გამო. ამიტომ რუსების დასასახლებლად კერძო მფლობელთა მიწები უნდა გამოვიყენოთ. აქაური თავადაზნაურების მიწები, — განაგრძობდა გოლიცინი, — სომეხი ეროვნების ვაჭარ-

[111] სცსსა, ფ. 12, ან. 3, ს. 147, ფურც. 229.

მრეწველების ხელში გადადის. აუცილებელია ამ მიწების დასაკუთრება. ამისათვის საჭიროა თბილისში გაიხსნას რუსეთის სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილება, რომელიც მიწებს შეიძენდა და რუს გლეხებს დაასახლებდა.[112]

გოლიცინის მმართველობის დროს ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, რუსი კოლონისტების ჩამოსახლების საქმე უფრო ორგანიზებულად წარიმართა. 1899 წ. მთავარმართებლის ადმინისტრაციასთან შეიქმნა სპეციალური საგადასახლებო სამმართველო. მას კავკასიის ყველა რაიონში ჰყავდა თავისი წარმომადგენელი, ე.წ. აგენტი. რუსული ახალშენების მოწყობის სპეციალური დებულებაც კი შეიმუშავეს. მას საფუძვლად დაედო კავკასიის მეფისნაცვლის ი.ვორონცოვ-დაშკოვის 1907 წლის 13 თებერვლის ცირკულარი.

ამ დებულებით წინასწარ სწავლობდნენ ახალშენების შექმნისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებს, მათ ვარგისიანობას, მოახალშენეთა მეურნეობის მოწყობის, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობის, გზების გაყვანის, წყლითა და ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხებს.[113] 1906 წელს თბილისში საგლეხო ბანკის განყოფილებაც გაიხსნა, რომელიც მიწების შეძენისათვის სესხს იძლეოდა, მაგრამ რევოლუციური მოძრაობის გავლენით მთავრობა კრედიტს მარტო რუსებს ველარ აძლევდა. ამით სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც სარგებლობდნენ.

---

112 ა. ბუნდიანი'შვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში, თბ., 1965, გვ. 145.

113 Обзор переселенческого дела на Кавказе за пятилетие 1908-1912 гг. С.-Петербург, 1913, с. 2.

კავკასიის კოლონიზაცია კიდევ უფრო დაჩქარდა ვორონცოვ-დაშკოვის მმართველობის დროს. კავკასია დაიყო ხუთ ქვერაიონად (ჩერნომორსკის, სოხუმის, ბაქო-დაღესტნის, ყუბან-თერგის, ელიზავეტოპოლის), სადაც საგადასახლებო სამმართველოს სპეციალური განყოფილებები შეიქმნა. თბილისის და ერევნის გუბერნიებში, ყარსისა და ბათუმის ოლქებში ასეთი ქვერაიონების შექმნა საჭიროდ არ ჩათვალეს. აქ რუსული ახალშენების მოწყობისათვის სპეციალურ მოხელეებს აგზავნიდნენ.[114]

საგადასახლებო სამმართველოს მოხელეებმა საგუბერნიო, საოლქო ადმინისტრაციასთან თანამოქმედებით გამონახეს მნიშვნელოვანი საკოლონიზაციო მიწები. კავკასიაში 1908-1912 წლებში რუსული ახალშენები მოეწყო 277601 დესეტინაზე, სადაც 50000 კოლონისტი დასახლდა. ეს საგრძნობლად აღემატებოდა იმ საკოლონიზაციო მიწების ოდენობას, რაც გამოიყო წინა 107 წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, კავკასიის მეფისნაცვალი მაინც უკმაყოფილო იყო. იგი, ისევე როგორც თავისი წინამორბედნი, უნიოდა თავისუფალი სავარგულების სიმცირეს.[115]

რუსული ახალშენების მოწყობისათვის მთავრობა დიდძალ თანხებსაც ხარჯავდა. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურად უჭირდა. 1908-1912 წლებში ხაზინა ახალშენებში გზების მშენებლობაზე მილიონ რუბლზე მეტი გაიღო, ხოლო კოლონისტებს საჩუქრად გადასცა 436 ათასი რუბლი.[116]

საქართველოში ფართო მასშტაბის კოლონიზაცია გაი-

---

[114] იქვე. გვ. 10-12.
[115] იქვე. გვ. 4, 36.
[116] იქვე. გვ. 10-12.

შალა ყარსის ოლქსა და სოხუმის ოკრუგში. ყარსის ოლქში 1908-1912 წლებში რუსული კოლონიების მოსაწყობად შეარჩიეს 42509 დესეტინა, ხოლო სოხუმის ოკრუგში — 31 ათასი დესეტინა. საგულისხმოა, რომ მეფის მთავრობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა აფხაზეთის კოლონიზაციისადმი. 1908-1912 წლებში აქ 38 რუსული დასახლება შეიქმნა. მხოლოდ 3 წლის (1910-1912) განმავლობაში აფხაზეთში 688 რუსი მოახალშენეთა ოჯახი (2036 სული) ჩაასახლეს.[117]

საკოლონიზაციო მიწები ბათუმის ოლქშიც გამოძებნეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველაზე უფრო მცირემიწიანია. 1909 წელს აქ 2485 დესეტინა საკოლონიზაციო ნაკვეთები შეარჩიეს.[118] მდინარე კინტრიშის დაბლობში, ყოროლისწყლის ხეობაში, ჭოროხის ორივე ნაპირზე ერგედან დაწყებული ზღვასთან შესართავამდე განლაგებულ სოფლებში (თხილნარი, ჭარნალი, ახალსოფელი, გონიო) კოლონისტების ჩასახლებისათვის საკმარისი ნაყოფიერი მიწები გამოყვეს. ახალსოფელსა და დონგუზადაში (მდინარე ჭოროხის შესართავის მარცხენა სანაპირო) რუსული ახალშენების მოწყობის მიზნით ჯერ კიდევ 1899 წელს 580 დესეტინა მიწა შეარჩიეს და 69 არაქართველი კოლონისტი ჩამოასახლეს. 1914 წელს აღნიშნულ ტერიტორიაზე ძირითადად სექტანტები და ბაპტისტები სახლობდნენ.

ყოროლისწყლის ხეობის (ბათუმის შემოგარენი) სუთ სოფელში (ყოროლისთავი, ორთაბათუმი, აგარა, კაპრეშუმი, ყარადერე), ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროვების ხარჯზე, 567 კოლონისტს 1151 დესეტინა გადასცეს. მოტი-

---

[117] იქვე, გვ. 2, 6, 24-26.
[118] იქვე, გვ. 26.

ვად ის გამოიყენეს, რომ ბათუმის კლიმატური პირობები მათთვის აუტანელია და ჯანმრთელობის გაჯანსაღებისათვის სოფლის აგარაკები ესაჭიროებოდათ.[119] სინამდვილეში კი ეს იყო კოლონიური პოლიტიკით ნაკარნახევი ღონისძიება.

900-იან წლებში ბათუმის შემოგარენშიც, მდინარე ჭოროხის შესართავის მარჯვენა მხარეს, შეიქმნა ახალშენი ალექსეევკა, სადაც 1917 წელს 46 კომლი (117 სული) ცხოვრობდა. ამავე ხანაში ქობულეთის მახლობლად, ზღვისპირა ზოლში, მოეწყო ახალშენი კომაროვკა (ბათუმის ოლქის პირველი გუბერნატორის გენერალ კ.კომაროვის საპატივცემულოდ), რომელიც შედარებით მოზრდილი დასახლება იყო. აქ 1917 წელს 106 კომლი (362 სული) ცხოვრობდა.[120] 1912 წელს ქობულეთის მახლობლად კიდევ ერთი რუსული ახალშენი შეიქმნა, რომელსაც რომანოვკა ეწოდა (ეს სახელწოდებაც ბათუმის ოლქის გუბერნატორს რომანოვ-სკი-რომანკოს უკავშირდება). 1914 წელს კოლონისტების ჩამოსახლებისათვის კავკასიაში გამოიყო 50534 დესეტინა. მათ შორის სოხუმის-ოკრუგში 6518, ხოლო ყარსის ოლქში — 1520 დესეტინა. ბათუმის ოლქში დამატებით შეარჩიეს 273 დესეტინა სავარგული.[121]

ცარიზმი ხელს უწყობდა აგრეთვე ბერძნებს, სომხებსა და სხვა არაქართველებს სამიწათმოქმედო ახალშენების შექმნაში. საკვლევ პერიოდში კინტრიშის უბანში ბერძნებისა და სომხების ოთხი სამიწათმოქმედო ახლშენი არსე-

---

119 სცსსა, ფ. 12, ან. 3, ს. 28, ფურც. 9-11; ფურც. 243, ან. 10, ს. 29. ფურც. 92; ასმხფ, ს. 235, ფურც. 40-46; ს. 694, ფურც. 1.

120 ასმხფ, ს. 216, ფურც. 13-15.

121 КК на 1916 год. Тиф., 1915, с. 101-102.

ბობდა (კვირიკე, დაგვა, აჭყვა და ახალშენი). ამ სოფლებში ბერძნები ქართველებისაგან გამიჯნული იყვნენ და დამოუკიდებელი დასახლება ჰქონდათ. 1889 წელს სოფელ კვირიკეს ბერძნულ ახალშენში 25 კომლი (135 სული) ცხოვრობდა, დაგვაში-58 კომლი (310 სული), აჭყვაში — 20 კომლი (79 სული), სოფელ ახალშენის ნაწილ'ში ბერძნები სომხებთან ერთად 46 კომლს (207 სული) ითვლიდა.

ჰემშილების სამიწათმოქმედო ახალშენები შეიქმნა გონიოში (25 კომლი, 108 სული), მაკრიალ'ში (56 კომლი, 200 სული)[122]. 1917 წელს სამიწათმოქმედო ახალშენების უმეტეს ნაწილში მაცხოვრებელთა რიცხვი გაიზარდა. მაგალითად, კვირიკეს ბერძნულ სამიწათმოქმედო ახალშენში კომლების რიცხოვნება 75-მდე, ხოლო დაგვაში-117 კომლამდე გაიზარდა და სხვა. მათ იმაზე მეტი მიწები ჰქონდათ, ვიდრე მკვიდრ ქართველებს[123]. ბათუმის შემოგარენის სოფელ მინდიაში მოწყობილი იყო აფხაზების სამიწათმოქმედო ახალშენი, რომელსაც სტეფანოვკა შეარქვეს. 1917 წელს ამ ახალშენში 32 კომლი (133 სული) ცხოვრობდა. სომხების ჩასახლება ართვინის ოკრუგ'ში ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს დაიწყო. რუსეთის ხელისუფლების დროს მათი რაოდენობა გაიზარდა. ართვინის ოკრუგში სომხების სამიწათმოქმედო ახალშენები ძირითადად არტანუჯის უბანში მოეწყო. აჭარაში, რუსული ახალშენების გარდა არაქართველი ვაჭარ-მრეწველების, მეფის რუსეთის ჩინოვნიკების, კადრისა თუ თადარიგის სამხედრო პირების აგარაკ-დასახლებები მოეწყო ვრცელი ბაღ-

---

[122] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 97-98, 103.
[123] ასმხფ, ს. 216, ფურც. 13-16.

პარკებით (მახინჯაურში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, ჩაქვში, კაპრეშუმში, სალიბაურში, ყარადერეში (განთიადი), ახალშენში, ანგისაში და სხვა). 1905 წელს ციხისძირში არაქართველების 85, ხოლო მახინჯაურში — 70 ოჯახი ცხოვრობდა. 1914 წელს მწვანე კონცხზე 195, ჩაქვში კი 840 მოახალშენე აღირიცხა, რაც აღნიშნული სოფლების მკვიდრ მოსახლეობას საგრძნობლად აღემატებოდა.[124]

აჭარის ზღვისპირა ზოლში შეძენილ მამულებში მოახალშენეებმა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მეურნეობები მოაწყვეს. მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები ჰქონდათ საუფლისწულო უწყებას, კ. პოპოვს, ვ. ბიხოვცევს, მ. პასეკს, ა.სობეცკის, ა.სტოიანოვს და სხვებს. ნიშანდობლივია, რომ მთავრობა ადგილობრივ მოსახლეობას მამა-პაპისეულ ადგილ-მამულებზე ედავებოდა, მათ საკუთრების უფლებას არ აღიარებდა. კოლონისტებს კი შეძენილი მიწები კერძო საკუთრებაში დაუმტკიცა, რასაც საფუძვლად ის დაუდო, რომ ეს მიწები კულტურულ ნაკვეთებად აქციეს, გააშენეს ჩაი, ციტრუსები, სხვა სუბტროპიკული კულტურები. რა თქმა უნდა, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც საიმპერატორო კარი კოლონიური ინტერესებიდან გამოდიოდა.

საქართველოს კოლონიზაციის შედეგად დიდძალი ადგილ-მამულები მოექცა არაქართველების ხელში. მარტო აჭარის ზღვისპირა ზოლში კოლონისტებმა 70000 დესეტინა დაისაკუთრეს.[125] ამან საგრძნობლად შეცვალა დემოგრაფიული სიტუაციაც. 1800 წ. საქართველოს საერთო მოსახ-

---

[124] სცსსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 12-46; აცსა, ფ. ი-1, ს. 697, ფურც. 4, 101.
[125] ასმხფ, ს. 235, ფურც. 47-48.

ლეობის 80%) ქართველი იყო, 1865 წ. 73,8%), 1897 წ. 69,4%, ხოლო 1926 წ. 66,8)%.[126] ამრიგად, საქართველოს კოლონიზაციის შედეგად არაქართველებმა ქვეყნის საერთო მოსახლეობის მესამედს გადააჭარბეს.

კოლონიზაციის შედეგად ქართველი მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა მესხეთ-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, აფხაზეთში, აჭარაში. 1914 წ. 1 იანვრის მონაცემებით აჭარის (ბათუმის ოკრუგის) მოსახლეობა 134226 სულს ითვლიდა. აქედან 46589, ე.ი. საერთო რაოდენობის 35%)-მდე არაქართველი იყო (რუსები 22 383 (17%), სომხები 18853 (14%), და სხვები - 5353 (4%).[127]

ამის შედეგად ბათუმი ტიპიურ კოლონიურ ქალაქად გადაიქცა. 1878-1914 წლებში მისი მოსახლეობა თითქმის 11-ჯერ 3 ათასიდან 32038 სულამდე გაიზარდა, მაგრამ ქართველები მხოლოდ 9919 სულს – საერთო რიცხვის მესამედზე ნაკლებს შეადგენდნენ. მოსახლეობის ორი მესამედი (20048 სული) რუსები და სომხები იყვნენ.[128]

რუსეთის ხელისუფლება მაინც არ იყო კმაყოფილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კოლონიზაციით. ყველა შესაძლებელ შემთხვევას იყენებდა ამ რეგიონიდან მოსახლეობის აყრა-გასახლების, რუსებისა და სხვა არაქართველების ჩამოსახლებისათვის. სწორედ ამითაც იყო განპირობებული 1914-1918 წლებში მაჰმადიანი ქართველების მოღალატის ბრალდებით შერაცხვა. რუსეთის ხელისუფლების მაღალი ჩინის მოხელეები ამ განძრახვას არც მალავდნენ.

---

126 ვახტანგ ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII–XX საუკუნეებში, თბ., 1984, გვ. 217.

127 КК на 1915 год. Тиф., 1915, с. 222-223, პროკენტი გამოთვლილია ავტორის მიერ.

128 КК на 1915 год. Тиф., 1915, с. 222-223; Батум и его окрестности, Бат., 1906, с. 23.

1914 წლის 15 დეკემბერს ბათუმის ოლქის გუბერნატორი ლიახოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს პეტერსონს ნებართვას სთხოვდა ქვემო აჭარის მოსახლეობის მიერ მიტოვებულ სოფლებში ჩაესახლებიათ ბათუმში ლტოლვილი რუსები. ამავე დროს წინადადებას აყენებდა მომავალში განთავისუფლებული და მოსახლეობისაგან დაცლილ უბნებში ჩაესახლებინათ რუსები, სომხები და ბერძნები.[129]

სხვა ეროვნების ხალხები შორეული წარსულიდან ბინადრობდნენ საქართველოში, მაგრამ ამის გამო აქ ეთნიკური პრობლემა არ წარმოქმნილა. ცარიზმი კი ქართველების გადაშენებაზე ოცნებობდა. ამ მზაკვრული ჩანაფიქრის აღსრულებას ემსახურებოდა სწორედ მისი კოლონიური პოლიტიკაც.

ამ მზაკვრული გეგმის განხორციელების გზაზე რუსეთის ხელისუფლება კიდევ უფრო შორს წავიდა. ამის დასტურია მინისტრთა კაბინეტის 1915 წლის 28 აპრილის დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: 1. ბათუმისა და ყარსის ოლქების რუსეთის ქვეშევდომი მუსლიმანები, რომლებიც მოღალატურად მოქმედებდენ ჩვენი ჯარების წინააღმდეგ და წავიდნენ თურქეთში, ამორიცხულ იქნენ რუსეთის მოქალაქეობიდან, რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემოსვლის მუდმივად აკრძალვით და ჩამოერთვათ სარგებლობაში მყოფი მიწები. 2. ბათუმისა და ყარსის ოლქებში ამჟამად მცხოვრები რუსეთის ქვეშევდომი მუსლიმანები, რომლებიც ცნობილი იქნებიან მოღალატეებად, გადასახლებულ იქნან ციმბირში და ჩამოერთვათ მათ სარგებ-

---

[129] სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3139, ფურც. 1 (საარქივო მასალა მოყვანილია მ. სიორიძის წიგნიდან „საძხრეთ–დასავლეთი საქართველო 1914–1918 წლებში." ბათ., 2002, გვ. 144).

ლობაში მყოფი მიწები. 3. მუსლიმანებისათვის ჩამორთმეული მიწები გადაეცეს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მთავარ სამმართველოს, რათა დაასახლოს ომში აქტიური პირები არმიიდან[130].

ცარიზმის მაღალი ჩინის მოხელეები საქართველოს, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთი რეგიონის კოლონიზაციაში დიდ როლს აკისრებდნენ რუსულ ადმინისტრაციულ მმართველობას. ეს კარგად ჩანს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის 1910 წლის მიმართვიდან კავკასიის მეფისნაცვლისადმი. მასში ნათქვამია: წარმატებული კოლონიზაციისათვის საჭიროა ადმინისტრაციული აპარატის მოხელეების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რათა მოვიზიდოთ რუსი ეროვნების საუკეთესო კადრები.[131]

რუსეთის ხელისუფლების ამ გეგმის განხორციელებას ერთიანად წინ აღუდგა ქართული საზოგადოება. ცარიზმმა ვეღარ შეძლო მისი განხორციელება. მაჰმადიანი ქართველები თავიანთი მიწა-წყლიდან მასობრივად, დედაფუძიანად ვერ გაასახლეს. ამის მიუხედავად გენერალ ლიახოვის ბრძანებით ბათუმის ოლქიდან 500-მდე კაცი მაინც გაასახლეს რუსეთში, ხოლო 9 პიროვნება მოღალატის ბრალდებით ბათუმის სასამართლოს გადასცეს.[132] ამ ძნელბედობის ჟამს აჭარის მოსახლეობის დასახმარებლად თბილისში დაარსდა საქველმოქმედო საზოგდოება. მისი ინიციატივით აჭარლებს მატერიალური და ფინანსური

---

130 სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3139, ფურც. 1 (საარქივო მასალა მოყვანილია მ. სიორიძის წიგნიდან „სამხრეთ–დასავლეთი საქართველო 1914–1918 წლებში". ბათ., 2002, გვ. 145).

131 ასმხფ, ს. 220, ფურც. 42

132 ო. გოგლიშვილი. სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში. ბათ., 2005, გვ. 90

დახმარება აღმოუჩინეს.

აჭარის მოსახლეობის მიმართ გულითად მსრუნველობასა და დახმარებას დიდად აფასებდენ ამ კუთხის მამულიშვილები. მემედ აბაშიძე 1920 წელს ქართველი მუსლიმანებისადმი მიმართვაში ამბობდა: "თვითმყრობელობას გადაწყვეტილი ჰქონდა სავსებით გავენადგურებინეთ, სავსებით ავეყარეთ ჩვენი საყვარელი მიწა-წყლიდან და ჩვენს სამოსახლოზე კაზაკები ჩაგვესახლებინა. მთელი ქართველობა აღაშფოთა თვითმყრობელობის ასეთმა ვერაგულმა საქციელმა. მთელი ქართველი ერი აღსდგა და დაემუქრა თვითმყრობელობას, რომ თუ ის ქართველი მუსლიმანების ტანჯვასა და წამებას თავს არ დაანებებდა, ქართველი ერი აჯანყდებოდა".[133] ქართველი საზოგადოების დიდი თანადგომის, მზრუნველობისა და დახმარებისათვის აჭარის მოსახლეობის სახელით გულწრფელი მადლიერების გრძნობა გამოხატა გაზეთ "ივერიის" უხუცესმა კორესპონდენტმა აბდულ მიქელაძემ და სხვებმა.

ამრიგად, ძნელბედობის ჟამს ქართველი ხალხი ერთიანად აღსდგა რუსეთის ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ წინააღმდეგობის გამო ცარიზმმა ვეღარ შეძლო აჭარიდან მოსახლეობის დედაფუძიანად გასახლება, რასაც მთავრობის გეგმა ითვალისწინებდა. ამის მიუხედავად რუსეთის ხელისუფლებამ ნაწილობრივ მიაღწია თავისი მიზნის განხორციელებას. ბათუმისა და ყარსის ოლქებში რამდენიმე სამიწათმოქმედო ახალშენი შექმნა და ჩამოსახლებული რუსები მიწებით უზრუნველყო. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მკვიდრი

---

[133] მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები. თბ., 1973, გვ. 34.

მოსახლეობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა. ფაქ-ტობრივად სამხრეთ-დასავლთ საქართველოს ქართველობას მამულის დაკარგვის დიდი საფრთხე შეექმნა.

თავი მეორე
მიწათმფლობელობის ფორმათა ევოლუცია და მესაკუთრეთა ჯგუფები 1878-1917 წლებში

1. გლეხობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა

რუსეთის მფლობელობის დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გლეხობა სახელმწიფო დასახლების კატეგორიაში შედიოდა. სახელმწიფო დასახლების მიწები ორ ნაწილად იყოფოდა: საკომლო-სანადელო და სათემო. სათემო მიწებში შედიოდა - სოფლის საერთო სარგებლობის საძოვრები, მდელოები, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები. იალაღები საზაფხულო საძოვრებია, ხოლო ყიშლაღებისაშემოდგომო. ამ სახის საძოვრები და მდელოები მდებარეობდა ზემო და ქვემო აჭარაში, მაჭახელში, შავშეთ-იმერხევში, არტანუჯში, ლივანასა და ოლთისში. საკუთრების ეს ფორმა არქაული დროიდან მომდინარეობდა.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის ოლქის მოსახლეობის მფლობელობა-სარგებლობაში არსებული მიწები 138341 დესეტინას ითვლიდა (ართვინის ოკრუგში – 74066 და ბათუმის ოკრუგში – 64275 დესეტინა)[134]. მეტნაკლებად ასე იყო სხვა დროსაც. მაგალითად, 1909 წ. მოსახლეობის მიწები 127058 დესეტინას, ხოლო 1915 წ. –105450 დესეტინას (ართვინის ოკრუგში – 54771, ბათუმის ოკრუგში – 50679 დესეტინას) შეადგენდა[135]. ყველა სახის მიწა, რომელსაც

---

[134] kk на 1907 год. ТИФ., 1906, С. 22-23.

[135] სცსსა, ფ. 13,ან. 7, ს. 2805. ფურც. 7: kk на 1917 год. Тиф., 1916, С. 340-341

სახელმწიფო თავის საკუთრებად თელიდა, საღალო გამოსაღებით იბეგრებოდა.

ბათუმის ოლქის ტერიტორიის მეტი ნაწილი მთიანეთზე მოდიოდა, სადაც სახნავ-სათესი და ბაღ-ვენახები მცირე იყო. მაგალითად, ზემო აჭარის სამოლეთის სოფლის საზოგადოების სარგებლობაში არსებული მიწები 2379 დესეტინას ითვლიდა. აქედან სახნავზე, კარმიდამოსა და ხეხილზე მოდიოდა 618 დესეტინა, ტყე-ბუჩქნარზე – 1672, გამოუსადეგარი იყო 89 დესეტინა. ანალოგიური სურათია რეგიონის დანარჩენ სოფლებში (ზღვისპირეთის გამოკლებით)[136].

მოსახლეობის საკომლო-სანადელო მიწებში შედიოდა როგორც სავარგულები (სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვრები, ბაღ-ვენახები), ტყე, ისე უვარგისი მიწებიც. მაგრამ სავარგულები ჭარბობდნენ. მაგალითად, 1917 წ. აღწერით საკომლო-ნადელებში უვარგის მიწებს 177 დესეტინა ეკავა (175 დესეტინა ქვემო აჭარაში, ხოლო 2 დესეტინა კინტრიშის საპოლიციო უბანში). მთლიანად აღებულ ხანაში ბათუმის ოლქის მოსახლეობის საკომლო-სანადელო სავარგულების შესახებ მსჯელობა შეიძლება პირველ ცხრილში მოყვანილი მონაცემებით (დესეტინობით)[137].

---

[136] ასმახფ. ს. 325. ფურც. 156.

[137] ცხრილი შედგენილია: სცსსა, ფ. 229. ან. 2, ს. 674, ფურც. 284–289; ასმხფ. ს. 216. ფურც53–59.

ცხრილი 1

საპოლიციო უბნებისა და ოკრუგების დასახელება	1890 წ.		1917 წ.	
	სოფ-ლები	სავარგუ-ლები	სოფ-ლები	სავარგუ-ლები
კინტრიშის	41	5862	53	8816
გონიოს	61	3341	76	2844
ქვემო აჭარის	64	3530	65	2185
ზემო აჭარის	130	7491	131	4471
საშუალოდ ბათუმის ოკრუგში	296	20224	325	18316
ართვინის	57	2011	56	262
არტანუჯის	51	4294	49	483
შავშეთ-იმერხევის	59	5791	57	13459
საშუალოდ ართვინის ოკრუგში	167	12096	162	14204
სულ ბათუმის ოლქში	463	32320	487	32520

1-ლი ცხრილიდან ჩანს, რომ შესასწავლ სანაში ბათუმის ოლქში საკომლო-სანადელო სავარგულები საშუალოდ 200 დესეტინით გაიზარდა. ეს ზრდა კინტრიშისა და შავშეთ-იმერხევის საპოლიციო უბნების ხარჯზე მოხდა. მაგალითად, კინტრიშის უბანში სავარგულები 2954 დესეტინით, ხოლო შავშეთ-იმერხევისაში — 7768 დესეტინითაა

გაზრდილი. დანარჩენ უბნებში მაჩვენებლები მნიშვნლოვნად შემცირებულია. გონიოს უბანში საკომლო-სანადელო სავარგულები 500 დესეტინით, ქვემო აჭარაში-1345, ზემო აჭარაში – 3020 დესეტინით, თითქმის სანახევროდაა შემცირებული. საშუალოდ ბათუმის ოკრუგში 1908 დესეტინით ნაკლებია, ვიდრე 1890 წ. იყო. ართვინისა და არტანუჯის უბნებში კი ერთი ათად შემცირდა. ეს ცვლილებები (სავარგულების კლება) გამოწვეულია მოსახლეობის მიგრაციითა და მიწების ნაწილის კერძო საკუთრებაში გადასვლით. პირველი მსოფლიო ომის წლებში სოფლის მოსახლეობის დიდი მიგრაცია ართვინისა და არტანუჯის უბნებში აღირიცხა, რის შედეგად სოფლების მეტი ნაწილი თითქმის დაცარიელდა.

ამასთან ცხრილი ცხადყოფს მიწათდაქსაქსულობის დიდ მასშტაბს. ბათუმის ოლქში დიდი ფართობის სავარგულები, გაშლილი ველები იშვიათობას წარმოადგენს. 32320 დესეტინა საკომლო-სანადელო სავარგული 1890 წ. 463 სოფელზე ნაწილდებოდა. საშუალოდ თითო სოფელზე 69,88 დესეტინა მოდიოდა. 1917 წელს აღნიშნული მახასიათებელი 66.77 დესეტინას შეადგენდა.

ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მიწები დაბალნაყოფიერია. საღალო გამოსაღებიც საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებული იყო. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში რუსეთის მთავრობის მოხელეებმა აღწერეს ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების მიწები და ვარგისიანობის მიხედვით კატეგორიებად დაიყო. ბათუმის ოკრუგის გონიოს, ზემო და ქვემო აჭარის საპოლიციო უბნების მიწები, დაბალი ნაყოფიერების გამო, 6 კატეგო-

რიად იყო დაყოფილი. ამ მიდგომის მიხედვით 5 კატეგორიად დაიყო ართვინის ოკრუგის არტანუჯისა და ართვინის საპოლიციო უბნების მიწები. ნაყოფიერების მიხედვით შედარებით განსხვავებულია კინტრიშისა და შავშეთ-იმერხევის საპოლიციო უბნების მიწები. ისინი 3 კატეგორიად იყოფოდა[138].

როგორც უკვე აღინიშნა, 1917 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა რუსეთის დროებითი მთავრობის მოხელეებმა ჩაატარეს დამფუძნებელი კრებისათვის საადგილმამულო რეფორმის კანონპროექტის მომზადების მიზნით. ამ აღწერაში არ შევიდა უცხოელი მოახალშენებისა და ადგილობრივი პრივილეგირებული წოდების ადგილ-მამულები. 1917წ. აღწერის მიხედვით გლეხთა საკომლო-სანადელო მიწების მეტი ნაწილი სახნავსა და სათიბებზე მოდიოდა. გარკვეული დროის განმავლობაში ხდებოდა მათი მონაცვლეობა. ნიადაგის გამოფიტვის შედეგად სახნავ მიწას სათიბად აქცევდნენ და პირიქით. ეს წესი მოსავლის გაზრდის ერთ-ერთი საშუალება იყო. იგი შეუქცევად ხასიათს ატარებდა.

გლეხობის საკომლო-სანადელო მიწებში მეორე ადგილი ტყეებსა და ბუჩქნარებს ეკავა. მათზე მოდიოდა საერთო ნადელების 16%-ზე მეტი. ტყეები შედარებით მეტი იყო ბათუმის ოკრუგში. ასევე ბათუმის ოკრუგზე მოდიოდა სანადელო ბუჩქნარების დიდი ნაწილი. გლეხობის სანადელო მიწებში საძოვრები თითქმის არ შედიოდა. ამ კატეგორიის მიწები (6 დესეტინა) ბათუმის ოკრუგის კინტრიშის საპოლიციო უბანში აღირიცხა. საბალასოების დიდი ნაწილი

---

[138] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 284–289.

ართვინის ოკრუგზე მადიოდა. უვარგისი 177 დესეტინა მიწიდან 175 დესეტინა მდებარეობდა ქვემო აჭარაში, ხოლო დანარჩენი კინტრიშის საპოლიციო უბანში[139].

ცხადია, მცირემიწიან რეგიონში მიწის სიმცირეს ყველაზე მეტად გლეხობა უსიოდა. ბათუმის ოლქში გლეხების თითო კომლზე და ორიეე სქესის თითო სულზე სანადელო სავარგულები, მათ შორის სახნავი მიწები ასე ნაწილდენოდა (იხ. ცხრილი 2, დესეტინობით)[140].

ცხრილი 2

ოკრუგების დასახელება	1887 წ.				1917 წ.			
	საშუალოდ თითო კომლზე მოდიოდა		ორივე სქესის თითო სულზე მოდიოდა		საშუალოდ თითო კომლზე მოდიოდა		საშუალოდ ორივე სქესის თითო სულზე მოდიოდა	
	სავარ-გული	სახნავი	სავარ-გული	სახნავი	სავარ-გული	სახნავი	სავარ-გული	სახნავი
ბათუმის	2.45	0.85	0.42	0.14	2.0	1.0	0.29	0.15
ართვინის	1.8	1.2	0.3	0.15	3.0	1.78	0.47	0.27
სულ ბათუმის ოლქში	2.16	1.1	0.34	0.16	2.4	1.3	0.35	1.19

[139] ასმხფ, ს. 216, ფურც. 53–56.

[140] გამოთვლილია: სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 279–289; kk на 1894 год. ТИФ., 1893, с. 192-193; ასმხფ. ს. 216, ფურც. 43–56.

XIX საუკუნის 80-იან წლებში სახელმწიფო საადგილმამულო კომისიის განსაზღვრით ბათუმის ოკრუგში საშუალოდ კომლის სანადელო მიწა უნდა შეადგენდეს 11-35 დესეტინას, ხოლო ართვინისაში – 15-40 დესეტინას[141]. როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, 1887 წ. ერთ კომლზე ბათუმის ოკრუგში მოდიოდა 4.5-14.3-ჯერ, ხოლო ართვინისაში 8.3-22.3-ჯერ ნაკლები ნადელები. ვიდრე მთავრობის მიერ იყო განსაზღვრული. ამასთან მე-2 ცხრილის მონაცემებით ვრწმუნდებით: ბათუმის ოკრუგში სავარგულები საშუალოდ თითო კომლზე ერთი მეხუთედით, ხოლო ორივე სქესის თითო სულზე 1.45-ჯერ შემცირდა, სახნავი მიწა კი – 5.7-ჯერ. ეს განპირობები იყო არა მარტო კომლებისა და სოფლის მოსახლეობის სულადობის გაზრდით, არამედ აგრეთვე მიწების გაყიდვის გამოც. მიწებს შეძლებული გლეხები ჰყიდდნენ, ძირითადად უცხოელ მოახალშენეებზე. ცხადია, ღარიბ გლეხს გასაყიდი და გასაჩუქებელი არ გააჩნდა.

მართალია, 1917 წლისათვის ართვინის ოკრუგში თითო კომლზე და ორივე სქესის თითო სულზე სავარგულები გაზრდილია, მაგრამ იგი საერთო ტენდენციას არ გამოხატავს. ჯერ კიდევ მსოფლიო ომამდე შეიმჩნეოდა ამ რეგიონში საკომლო-სანადელო სავარგულების შემცირების ტენდენცია. მაგალითად, 1912წ. ართვინის ოკრუგში გლეხთა თითო კომლზე 1.25 დესეტინა, ხოლო ორივე სქესის თითო სულზე 0.18 დესეტინა სავარგული მოდიოდა. სახნავი მიწა კი შესაბამისად: 1.0 და 0.15 დესეტინა[142]. ცხადია, ეს

---

[141] სცსსა, ფ. 12, ან. 10, ს. 162, ფურც. 22

[142] გამოთვლილია: სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2788, ფურც. 7.

მაჩვენებლები 1890 წელთან შედარებით საგრძნობლად დაბალია.

ერთობ საინტერესოა ცალკე სოფლების მოსახლეობის სანადელო მიწებით უზრუნველყოფის მდგომარეობა. მაგალითად, 1917 წ. მონაცემებით ქვემო აჭარის ცხმორისის სასოფლო ოკრუგში, სადაც 19 პატარა სოფელი შედიოდა, სანადელო მიწებს 960 დესეტინა ეკავა. მათ შორის იყო: სახნავ-სათესი 599, ტყე – 84, ბუჩქნარები – 145, საქონლის საბალახო-9, გამოუსადეგარი-57 დესეტინა. ამრიგად, სავარგულებს სულ 903 დესეტინა ეკავა. სასოფლო ოკრუგში მაშინ 881 კომლი და 5618 სული ცხოვრობდა[143]. ჩვენი გაანგარიშებით, საშუალოდ თითო კომლზე მოდიოდა 1.0 დესეტინა, ხოლო ერთ სულზე 0.18 დესეტინა. ცხადია, საშუალოდ თითო კომლზე და თითო სულ მაცხოვრებელზე სახნავ-სათესი გაცილებით ნაკლები იყო. კერძოდ, თითო ოჯახზე მოდიოდა 0.6, ხოლო თითო სულზე 0.17 დესეტინა.

ზოგიერთ სასოფლო ოკრუგში გლეხობის მიწით უზრუნველყოფა კიდე უფრო უარესი იყო. მაგალითად, ზემო აჭარის საპოლიციო უბნის დიდაჭარის სასოფლო ოკრუგში, სადაც 1024 კომლი და 8635 კაცი ცხოვრობდა, სავარგულებს 525 დესეტინა ეკავა. აქედან სახნავ-სათესზე მოდიოდა 223, სათიბზე 23 დესეტინა, ტყე 2 დესეტინას, ხოლო საბალახო 1 დესეტინას შეადგენდა. ბუჩქნარებს 7 დესეტინა ეკავა[144]. ამრიგად, გლეხობას ტყე და საბალახო საკომლო-სანადელო საკუთრებაში საერთოდ არ გააჩნდა.

---

[143] ასმხფ, ს. 216, ფურც. 43, 53–56.

[144] იქვე.

სახნავ-სათესი თითო კომლზე მოდიოდა 0.2, ხოლო თითო სულზე — 0.03 დესეტინა. ანალოგიური ვითარებაა სათიბების მფლობელობის მიხედვითაც.

ბათუმის ოლქში გლეხთა თითო კომლისა და თითო სულის საკომლო-სანადელო მიწები 8-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე თბილისის გუბერნიაში. ამ მახასიათებლით ქუთაისის გუბერნიას 2-ჯერ ჩამოუვარდებოდა. გამონაკლისი იყო კინტრიშის საპოლიციო უბანი (ბათუმის ოკრუგი). აქ 1890წ. თითო კომლზე საშუალოდ 5 დესეტინა, ხოლო ორივე სქესის თითო სულზე 0.8 დესეტინა მოდიოდა[145]. აღნიშნული მახასიათებელი ქუთაისის გუბერნიის ანალოგიურ მაჩვენებელს საგრძნობლად აღემატებოდა. სამაგიეროდ თბილისის გუბერნიისას 3.53-ჯერ და 3.44-ჯერ ჩამოუვარდებოდა.

მოსახლეობას შორის სანადელო მიწები უთანაბროდ იყო განაწილებული. საუკეთესო სავარგულებს ფლობდნენ სოფლის შეძლებული გლეხები, იგივე აღები. მაგალითად, 1896წ. ცნობით, სოფელ ხუცუბანში (ბათუმის ოკრუგი, კინტრიშის უბანი) ყველა სახის მიწა 550 დესეტინას ითვლიდა. აქედან 50 დესეტინა ტყეს ეკავა და სათემო საკუთრებას შეადგენდა. დანარჩენი კი, როგორც ნადელები, 48 კომლს შორის იყო განაწილებული. მათგან ორი ოჯახიოსმან და ხასან ნაკაიძეები 265 დესეტინას, ე.ი. სოფლის მთლიანი სანადელო მიწების 53% ფლობდნენ[146].

XX საუკუნის დასაწყისის მონაცემებით, კასაბრის ველის (ბათუმის შემოგარენი) ხუთ სოფელში (მინდია,

---

[145] გამოთვლილია: სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 283; kk на 1899 год. Тиф: 1898, С. 30-31.
[146] აცსა, ფ. 24—ი, ს. 6, ფურც. 10.

ადლია, თოფალოლლი, ანგისა, ხელვაჩაური) ყველა სახის მიწები 697 დესეტინას შეადგენდა. აქედან 582 დესეტინა, ე.ი. საერთო ფართობის 83.5% ექვს პრივილეგირებულ ოჯახზე (ადა-ბეგები) მოდიოდა. 198 გლეხის ოჯახზე 115 დესეტინა ნაწილდებიდა, თითო კომლზე საშუალოდ 0.58 დესეტინა[147]. მეტნაკლებად ასეთი მდგომარეობა იყო სხვა სოფლებშიც.

კიდევ უფრო, მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ხიზნები. ბათუმის ოლქში ხიზნების ორი კატეგორია არსებობდა: ადგილობრივი ქართველები და უცხო ქვეყნებიდან შემოხიზნულნი. მათი ნაწილი მოჯამაგირე იყო, ხოლო დანარჩენები საიჯარო მიწებით ცხოვრობდნენ. საჭირო წყაროების უქონლობის გამო ქართველი ხიზნების რიცხვის ზუსტი დადგენა არ ხერხდება. ერთი ცნობით, 900-იან წლებში აჭარაში (ბათუმის ოკრუგი) 750 კომლი (5200 სული) უმიწაწყლო იყო და მოჯამაგირეობით თავს ირჩენდა. 1803 კომლი (12621 სული) მიწის მოიჯარეებად გვევლინებიან[148]. ფაქტობრივად ისინი შეხიზნული იყვნენ კაპიტალისტების, ადა-ბეგების მამულებში, ანდა სახაზინო მიწებზე სახლობდნენ. ხიზანთა მეორე კატეგორიაში ირიცხებიან ქურთები, ბერძნები და ბოშები. XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მათი რიცხვი 521 ოჯახს ითვლიდა. მათ შორის იყო: ქურთების-309 კომლი, ბერძნების-158, ხოლო ბოშების 54 კომლი. ბერძნები დასახლებული იყვნენ კინტრიშის საპოლიციო უბნის სოფლებში (აჭყვა, დაგვა, ორთაბათუმი, ყოროლისთავი, ახალშენი, კვირიკე, ბობოყვათი), ბოშები-

---

147 1905 წელი. ბარიკადები ბათუმში (მოგონებანი კრებული). ბათ; 1925, გვ. 87.
148 ასმსფ, ს. 208, ფურც. 17

ართვინის ოკრუგში, ხოლო ქურთები კასაბრის ველზე, გონიოში, ჩაქვში და სხვა. ისინი სოფლის საზოგადოების წევრებად არ ირიცხებოდნენ, საკომლო ნადელებიც არ ჰქონდათ და საადგილმამულო გადასახადს (აშარი) არ იხდიდნენ. ქურთები და ბოშები ძირითადად მომთაბარეობდნენ, მესაქონლეობას მისდევდნენ. ამ მიზნისათვის იყენებდნენ როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო საძოვრებს[149].

უმიწო და მცირემიწიანი გლეხობისათვის მიწის იჯარას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. რეგიონში გამოიყენებოდა როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი იჯარა, არენდატორები იყვნენ: სახელმწიფო ხაზინა, აღა-ბეგები, ეკლესია-მონასტრები, (მენეთები), საეფლიწულო უწყება და სოფლის ბურჟუაზია (მოახალშენეები), ბათუმის ოლქში გავრცელებულიიყო იჯარის ორივე ფორმა – ნატურალური და ფულადიც. ფორმის ამორჩევა დამოკიდებული იყო არენდატორზე. ხაზინა და კაპიტალისტები მიწებს ფულად იჯარაზე აძლევდნენ, ხოლო მემამულეები (აღა-ბეგები) ძირითად ნატურალურ შემოსავალზე. ნატურალურ იჯარაზე გაიცემოდა სათიბები, საძოვრები და სახნავი მიწები. მაგალითად, ხიმშიაშვილები საძოვრებზე საიჯარო ქირას მეცხოველეობის პროდუქტებით ახდევინებდნენ.

მიწებზე იჯარის ოდენობა დამოკიდებული იყო მის ვარგისიანობაზე. ამის მიხედვით მემამულეები მიწას სანახევრო, მესამედ და მეოთხედ საიჯარო ქირაზე აძლევდნენ[150]. მცირემიწიანობის პირობებში უფრო მეტად მონახევრეობა ყოფილა გავრცელებული. მაგალითად, ჩაქველი მემამულეე-

---

[149] სცსსა, ფ. 229, აბ. 2, ს. 674, ფურც. 3–4.

[150] Тимофеев С. Н. селько-хозяйственный очерк Батумского окрестности. Сборник «Батуми и его окресности». Батум, 1906, С. 218.

ბი ბეჟანიძეები მიწებს აძლევდნენ როგორც სანახევრო, ისე მესამედ იჯარაზე[151]. მოიჯარეები ძირითადად იყვნენ ადგილობრივი გლეხები. ქუთაისის გუბერნიის 1889 წ. მიმოხილვაში ნათქვამია, რომ ართვინის ოკრუგში მონახევრეობა, როგორც საიჯარო ფორმა, ყველაზე მეტად მეთამბაქოებაში გამოიყენებაო[152]. სანახევროდ საიჯარო მიწებს იღებდნენ როგორც ქართველი გლეხები (ადგილობრივი და თურქეთიდან გადმოსული ლაზები), ისე არაქართველები (სომხები და სხვები)[153].

ყველაზე დიდი არენდატორი სახელმწიფო ხაზინა იყო, მის საიჯარო ფონდში ძირითადად თავისუფალი (დაუსახლებელი, ადგილ-მამულები და მუჰაჯირების მიწები შედიოდა. ეს უკანასკნელი სახნავი და საბაღე მიწების, აგრეთვე საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის შენობებისაგან შედგებოდა.

ხელისუფლების დახმარებით ბათუმში მაცხოვრებელმა უცხო ეთნიკური წარმომავლობის პირებმა ო. ვედენიევმა, მ. აკიმოვმა, ჰ. ბირიუკოვმა, მ. გრიშინმა, ო. ზოლოტურინმა 1899 წ. გონიოს საპოლიციო უბნის ახალსოფელში იჯარით აიღეს 300 დესეტინა ადგილ-მამული. წელიწადში საიჯარო გადასახადი 60 რუბლს შეადგენდა[154]. გამოდის, რომ ერთი დესეტინის ფასი 5 რუბლს უდრიდა. ცხადია, მოიჯარადრეები ამ მიწებს მეორადი იჯარით უფრო მაღალ ფასებში გასცემდნენ. ადგილ-მამულების ადგილობრივი მმართველობიდან მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამი-

---

[151] ასმხფ, ს. 285, ფურც. 19.
[152] ქუთაისის ცსსა, ფ. 130, ს. 166(ბ), ფურც. 7.
[153] Русские субтропики , №2, 1914, С. 21.
[154] სცსსა, ფ. 12, ან. 3, ს. 28, ფურც. 4–9.

ნისტროს სისტემაში გადასვლის შედეგად მიწის საიჯარო საქმე კიდე უფრო დამძიმდა. მეორადი იჯარა გაიზარდა, თანაც მიწის ფასიც გადიდდა, საიჯარო ურთიერთობაში ფართოდ გავრცელდა სპეკულაცია.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ ბათუმის საოლქო ადმინისტრაციაც დააფიქრა, რადგანაც იგი გლეხთა მოძრაობის საფუძველს აძლიერებდა. რევოლუციით შეშინებული ბათუმის ოლქის გუბერნატორი 1906 წ. კავკასიის სამეფისნაცვლოს წოდებრივ-საადგილმამყლო საკითხების მომწესრიგებელი კომისიის თავმჯდომარისადმი მიმართვაში აღიარებდა, რომ ღარიბი გლეხობა მუჰაჯირების მიწებითა და სხვა უძრავი ქონებით ვერ სარგებლობსო. ამ მიწებს ისეთი პირები იღებენ, რომლებიც სოფლის საზოგადოების წევრებად არ ირიცხებიან. ისინი იჯარით აღებული მიწით სპეკულაციას ეწევიანო[155]. მიმართვას შედეგი არ მოჰყოლია. საიჯარო მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა და სპეკულაცია ისევ გრძელდებოდა. ამიტომ მწარმოებელს – გლეხკაცობას მიწის იჯარით აღება ძვირი უჯდებოდა და შრომის შედეგიც უმნიშვნელო იყო. 1911 წ. "ბათუმის გაზეთი" სამართლიანად წერდა: "მიწას სავსებით არსად არ ფლობს ის, ვინც მასზე შრომობსო[156].

მიწების სპეკულაციის პირობებში საიჯარო ფასიც გაიზარდა. 1913 წ. ბათუმის ოკრუგში 1 დესეტინა ურწყავი მიწის საიჯარო ფასი 10.6 რუბლს შეადგენდა[157]. ადრე ჩაქვის საუფლისწულო მამული 1 დესეტინა საიჯარო მიწაში მოიჯარადრეს 3 თუ 4 რუბლს ახდევინებდა. 1911 წ.

---

[155] სცსსა, ფ. 231, ან. 1, ს. 387, ფურც. 10–11.

[156] ბათუმის გაზეთი, №55, 1911.

[157] Сельское хозяыство и аграрные отношения, IV. Тб., 1955, С. 429.

აღნიშნული მამულიდან იჯარით გაცემული იყო 3.5 დესეტინა, სამ პიროვნებას აღებული ჰქონდა თითო დესეტინა, ხოლო მეოთხე მოიჯარადრეს – 0.5. დესეტინაში წლიურად იხდიდნენ 6 რუბლს[158].

მიწის საიჯარო ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა პირველი მსოფლიო ომისა და უცხოელი სახელმწიფოების ბატონობის დროს. 1920წ. 20 აპრილის კონტრაქტით ვინმე ს. ასმეისვამ სალიბაურში ხაზინისაგან იჯარით აიღო 2 დესეტინა სახნავი მიწა. წლიურად საიჯარო ფასი 144 რუბლს შეადგენდა, რაც დესეტინაზე 77 რუბლს უდრიდა[159]. ეს თანხა 7-ჯერ აღემატებოდა პირველ მსოფლიო ომამდე არსებული საიჯარო ფასებს. მართალია, ომის წლებში საქონლის ფასები დიდად გაიზარდა, მაგრამ მიწის საიჯარო გადასახადის გაღება გლეხობისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ცხადია, მცირემიწიანი და უმიწო გლეხები საიჯარო მიწებში ამ ოდენობის თანხას ვერ გადაიხდიდნენ. ამიტომ ისინი იძულებული იყვნენ მიწის მეპატრონეებს დათანხმებოდნენ მონახევრეობაზე. იჯარის ეს ფორმა გაბატონებული იყო ბათუმისა და ართვინის ოკრუგების გლეხურ მეურნეობებში.

მოსახლეობა თითოეულ გოჯა მიწას მაქსიმალურად იყენებდა და რაციონალურად ანაწილებდა აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად. მიწის გასანოყიერებლად ორგანულ სასუქს (ნაკელს) იყენებდა. გლეხებისათვის მიუწვდომელი იყო მინერალური სასუქები

---

[158] აცსა, ფ 22-ი, ან. I, ს. 389, ფურც. 18.

[159] აცსა, ფ-ი. 24-ი, ან. I, ს. 28, ფურც. 4, 10–11; ს. 37, ფურც. 4, 10.

და შპამ-ქიმიკატები. სამიწათმოქმედო იარაღები შეასაუქმნეების იერსახეს ატარებდა. ძირითადი სახვნელი საშუალება იყო ჯიღდა, არვანა, ჯიღდა-გოგორა და სხვა. რომლებსაც ადგილზე ამზადებდნენ. მთაგორიანი რელიეფის პირობებში ფართოდ გამოიყენებოდა თოხი და კირკა, რომლებსაც ასევე ადგილზე ამზადებდნენ. მრავალგვარი იყო ხალხური სატრანსპორტო საშუალებები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაც ასევე მრავალფეროვანი იყო. მემინდვრეობიდან მოსახლეობას მოჰყავდა სიმინდი, ხორბალი, ქერი, ჭვავი, ბრინჯი, ღომი, ფეტვი, კარტოფილი და სხვა. სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურებიდან შესამჩნევად განვითარდა მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა, თესლოვანი და კურკოვანი მეხილეობა. საკმაოდ განვითარებული იყო ბერძნული ნიგოზისა და თხილის კულტურა და სხვა. გლეხურ მოსახლეობაში ნატურალური მეურნეობა ჭარბობდა. ამასთან გლეხობა, შინამოხმარების გარდა, ნამეტ პროდუქციას აწარმოებდა, რომელიც გასაყიდად არამარტო ადგილობრივ ბაზარზე გადიოდა. 1917წ. ბათუმის ოლქიდან ბაზარზე გასაყიდად გაჰქონდათშემდეგი სახისა და ოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (იხ. ცხრილი მე-3, ფუთობით)[160].

როგორც ვხედავთ, ბაზარზე გასაყიდად უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები ბათუმის ოკრუგიდან გადიოდა. გამოირჩეოდა კინტრიშის საპოლიციო უბანი, საიდანაც გასაყიდად გაჰქონდათ მთლიანი მანდარინის ნაყოფი, ბათუმის ოლქში მოყვანილი ვაშლის ნახევარზე მეტი (26795 ფუთი), კარაქის 84.5%(7719 ფუთი), მნიშნელოვანი

---

[160] ასმხფ, ს. 216, ფურც. 77–83.

ოდენობის მსხლის ნაყოფი, ნიგოზი და ფრინველი (21991 ფრთა). ფორთოხლის ნაყოფი ბაზარზე გაჰქონდათ სოფელ გონიოდან და სარფიდან. ზემო და ქვემო აჭარიდან გასაყიდად გატანილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში აღსანიშნაცია ვაშლი, მსხალი, ნიგოზი, ქლიავი, კარაქი, ყველი, თაფლი, ფრინველი და ა.შ[161].

ცხრილი 3

პროდუქციის დასახელება	ბათუმის ოკრუგი	ართვინის ოკრუგი	სულ ბათუმის ოლქი
ვაშლი	45432	6168	51600
მსხალი	22998	3442	26440
ქლიავი	956	---	956
მანდარინი (ცალობით)	310816	---	310816
ფორთოხალი (ცალობით)	8000	---	8000
ნიგოზი	7933	6340	14273
კარაქი	1198	---	1198
ერბო	----	1169	1169
ყველი	1911	368	2279
თაფლი	672	---	672
ფრინველი (ფრთა)	39064	5594	44658

სასაქონლო მნიშვნელობა ჰქონდა ყურძენს, ღვინოსა და თამბაქოს. 1895წ. ცნობით ბათმის ოკრუგიდან ბაზარზე გაუტანიათ 5000 ფუთი ყურძენი, ხოლო ართვინის ოკრუ-გიდან-30000 ფუთი. აქაური მევენახეობა-მეღვინეობის პრო-

[161] ასმხფ, ს. 216, ფურც. 77–83.

დუქცია გასაყიდად გაჰქონდათ ქ. ბათუმში, ყარსის ოლქსა და ახალციხის მაზრაში. 1914 წ. ბათუმის ოლქში მოიწიეს 68512 ფუთი თამბაქოს ფოთოლი, რომელიც მთლიანად სასაქონლო იყო[162]. ასევე სასაქონლო ხასიათი ჰქონდა ჩაის პროდუქციას, რომელსაც მოახალშენეები აწარმოებდნენ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეარგისიანი მიწით მდიდარ მხარეთ ითვლება კოლა-არტაანი, რომელიც ისტორიულად საქართველოს პურის ბეღელი და მესაქონლეობის ძირითადი რეგიონი იყო. შემდეგ აღსანიშნავია ჩილდირი, ფოცხოვი, ტაოსკარი და ოლთისი. როგორც ცნობილია, საქართველოს ეს ისტორიული კუთხეები რუსეთის მფლობელობის დროს შეადგენდნენ არტაანისა და ოლთისი ოკრუგებს. 1887 წ. აღწერით არტაანისა და ოლთისი ოკრუგებში მიწის სავარგულები შემდეგნაირად ნაწილდებოდა (იხ. მე-4 ცხრილი, დესეტინობით)[163].

არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში, ბათუმის ოლქისაგან განსხვავებით, მიწების დიდი სავარგულებია. არტაანის ოკრუგში სავარგულებს ეკავათ საერთო ფართობის 87%, ხოლო ოლთისისაში – 60%. მიწების საერთო სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ჰქონდა საძოვრებს. ამ სახის მიწაზე მოდიოდა: არტაანის ოკრუგში – 60%, ხოლო ოლთისისაში – 24,5%. ამ უკანასკნელში იყო აგრეთვე საერთო სარგებლობის საძოვრები, რომლებიც რუსეთის მთავრობის ოფიციალურ მასალებში ცნობილია საქონლის "ვიგონის" სახელით. ამ სახის მიწები ნადელებში არ შედიოდა.

---

[162] ო. თურმამანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 71, 94–95
[163] КК НА 1895 год. ТИФ., 1894, С. 107.

ცხრილი 4

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	სახნავი და სათიბი	საძოვრები	ბაღი	ტყე	უვარგისი მიწები	სულ
არტაანის საპოლიციო უბანი	30751	123427	---	8631	17499	180308
კოლას "--------"	35206	96704	---	8385	6916	147211
ნილდირის "--------"	18138	44236	---	---	31543	93917
ფოცხოვის "--------"	14242	18952	---	11192	6553	50939
საშუალო არტაანის ოკრუგში	98337	283319	---	28208	62511	472375
ოლთისის საპოლიციო უბანი	35158	47815	193	37041	71081	191288
ტაოსკარის "--------	16860	29944	606	12390	44666	97466
საშულოდ ოლთისის ოკრუგში	52018	70759	799	49431	115747	288754

მეორე ადგილზე გამოდიოდა სახნავ-სათიბი. მათ ეკავათ თანმიმდევრობით აღნიშნული ოკრუგების საერთო მიწების 21% და 18%. ხეხილის ბაღები 1887 წ. მხოლოდ ოლთისის ოკრუგში აღირიცხა, ისიც უმნიშვნელო ოდენობისა.

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, სავარგულებით გამოირჩეოდა არტაანის, კოლასა და ოლთისის საპოლიციო უბნები. არტაანის ოკრუგში არსებული საძოვრების თითქმის ნახევარი და სახნავ-სათიბების მესამედი ამავე დასახელების საპოლიციო უბანში შედიოდა. კოლას უბანში შედიოდა შესაბამისად: 35.6% და 34.1%. ოლთისის ოკრუგის

სახნავ-სათიბებისა და საძოვრების 67.6% ამავე დასახელებ-ების საპოლიციო უბანში შედიოდა. ჩილდირის, ფოცხოვისა და ტაოსკარის საპოლიციო უბნები სავარგულებით შედა-რებით ღარიბია, მაგრამ მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბათუმის ოლქის ანალოგიურ მახასიათებელს.

მიწების დიდი ნაწილი საკომლო ნადელებს შეადგენდა. 1887წ. ცნობით, საკომლო-სანადელო მიწები შეადგენდა: არ-ტაანის ოკრუგში 335838 დესეტინას, ხოლო ოლთისისაში 233430 დესეტინას. აქედან სავარგულები იყო პირველში 293549, მეორეში კი 118640 დესეტინა[164].

არსებითი ცვლილებები მომდევნო წლებში არ ყოფილა. 1913წ., პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, არტაანის ოკრუგში გლეხთა საკომლო-სანადელო მიწები 285984 დესეტინას შეადგენდა. აქედან სახნავს ეკავა 43059 დესე-ტინა, სათიბებს – 42406, ხოლო საძოვრებს-200519 დესეტი-ნა. სახნავი და სათიბი ერთად აღებული 85465 დესეტინას ითვლიდა. ოლთისის ოკრუგში საკომლო-სანადელო მიწები 116647 დესეტინს შეადგენდა. ამ მიწებიდან სახლ-კარმი-დამოს ეკავა 381 დესეტინა, ბაღ-ვენახებს – 334, სახნავს-12899, სათიბს – 3943, საძოვრებს – 99090 დესეტინა[165].

როგორც XIX საუკუნის 80-90-იან, ისე XX საუკუნის 10-იან წლებში არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში მიწის საერთო სტრუქტურაში წამყვანი ადგილი ეკავა საძოვრებს. 1913წ. არტაანის ოკრუგში ამ სახის მიწაზე მოდიოდა საერთო საკომლო-სანადელო სავარგულების 70.1%, ხოლო ოლთისისაში 85%. თუ ამ მონაცემებს შევადარებთ XIX

---

[164] КК на 1895 год. ТИФ., 1894, С. 107.
[165] КК на 1914 год. ТИФ, 1913, С. 146-147

საუკუნის 80-90-იანი წლების ანალოგიურ მანვენებელს, ცხადი ხდება, რომ 1913 წლისათვის არტაანისა და ოლთასის ოკრუგებში საკმაოდაა გაზრდილი საძოვრები. ამ საძოვრებისათვის მოსახლეობა საღალო გამოსაღებსა და საერობო მოსაკრებელს იხდიდა. ეს მდგომარეობა ერთხელ კიდე მიგვანიშნებს მეცხოველეობის, კერძოდ, მესაქონლეობის განვითარების დიდ მასშტაბსა და პერსპექტივაზე.

ცხადია, მიწის სავარგულების ასეთ პირობებში თითო კომლზე და ორივე სქესის თითო სულზე გაცილებით მეტი მიწა მოდიოდა, ვიდრე საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ამ მიწების დიდი ნაწილი უცხო ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობის ხელთ მოექცა. საკვლევ პერიოდში არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში სანადელო მიწების განაწილება კომლებისა და სულადობის მიხედვით ასახულია მე-5 ცხრილში (დესეტინობით)[166].

ზემოაღნიშნულ ოკრუგებში საკომლო-სანადელო მიწებით შედარებით უკეთ იყო უზრუნველყოფილი კოლას, არტაანისა და ჩილდირის საპოლიციო უბნები. 1887 წ. ცნობით, ამ კუთხეებში თითო კომლზე საშუალოდ მოდიოდა: 69, 53 და 52 დესეტინა სავარგული. ოლთისის საპოლიციო უბანში თითო კომლზე საშუალოდ მოდიოდა 48.1 დესეტინა.

---

[166] გამოთვლილია: სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 253–256; ОБЗОР КАРСКОЙ ОБЛАСТИ ЗА 1909 год. 1910, КАРС. С. 3; КК НА 1895 ГОД. ТИФ., 1894. С. 107 სცსსა, КК НА 1914 ГОД. ТИФ., 1913, С. 146-147.

ოკრუგის დასახელება	1887წ.				1913წ.			
	საშუალოდ თითო კომლზე მიწის	მათ შორის	საშუალოდ ერთეულ სქესის თითო სულზე მოსულიწა	მათ შორის	საშუალოდ თითო კომლზე მიწის	მათ შორის	საშუალოდ ერთეულ სქესის თითო სულზე მიწის	მათ შორის
		სახნავი და სათიბი		სახნავი და სათიბი		სახნავი და სათიბი		სახნავი და სათიბი
არტაანის	50.6	17.2	6.3	2.1	34.6	10.4	4.3	1.3
ოლთისის	40.0	16.4	6.0	2.5	32.3	4.7	3.4	0.5

ეს მახასიათებლები, როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, საგრძნობლად აღემატებოდა არტაანისა და ოლთისის ოკრუგების საშუალო მაჩვენებლებს. საკომლო ნადელები შედარებით ნაკლები იყო ფოცხოვისა და ტაოსკარის საპოლიციო უბნებში. აღნიშნული მახასიათებელი პირველში უდრიდა 26, ხოლო მეორეში – 26.6 დესეტინას[167].

მე-5 ცხრილიდან ცხადია, რომ მომდევნო წლებში საკომლო ნადელები მნიშვნელოვნად შემცირდა. 1913 წლისათვის თითო კომლზე აღნიშნული მახასიათებელი შემცირდა არტაანის ოკრუგში 31.4%, ხოლო ოლთისაში – 20%. შესაბამისად სახნავ-სათიბი შემცირდა 39.5% და 71.7%-ით. ეს საერთო ტენდენციას წარმოადგენდა, რომელიც დამახასიათებელი იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერ-

[167] ცცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 253–256.

ნიებისათვის., მთლიანად საქართველოსათვის[168]. პროცესების ასეთი განვითარების მიზეზია მოსახლეობის სრდა. 1886-1909 წლებში არტაანის ოკრუგში კომლების საერთო რაოდენობა გაიზარდა 5732-დან 8257-მდე (44%), ხოლო სულადობა 45947-დან 75406-მდე (64.1%). შესაბამისი თანმიმდევრობით ოლთისის ოკრუგში გადიდდა 3168-დან 3612-მდე (14%) და 20935-დან 34755 სულამდე (66%).[169]

ამის მიუხედავად ყარსის ოლქში, კერძოდ, არტაანის ოკრუგში სავარგულების მნიშვნელოვანი რეზერვი არსებობდა. რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებიდან მოსახლეობა სისტემატურად თხოვნით მიმართავდა ცარიზმის ხელისუფლებას ამ რეგიონში ჩასახლების შესახებ. მთხოვნელები ძირითადად იყვნენ რუსები, სომხები და სხვა არაქართველები. ყარსის ოლქში ჩასახლების შესახებ 1892წ. კავკასიის ადმინისტრაციას თხოვნით მიმართეს თურქეთიდან გადმოხვეწილმა სომხებმა, ელიზავეტოპოლის გუბერნიის გლეხებმა. ანალოგიური მოთხოვნები სხვა დროსაც იყო, 1894 წ. ყარსის ოლქში ჩასახლებას მოითხოვდნენ ართვინის ოკრუგის სომხები, 1896 წ. – ვორონეჟისა და ელიზავეტოპოლის გუბერნიების მოსახლეობა[170]. მართლაც, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში დიდი რაოდენობით არაქართველები ჩაასახლეს, რის გამოც ამ მხარეში კიდევ მეტად შეიცვალა დემოგრაფიული ვითარება. ეროვნული ფუძე-მამული უცხოელების ხელთ მოექცა.

---

[168] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V თბ. 1970, გვ. 549.
[169] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 253–256; ОБЗОР КАРСКОЙ ОБЛАСТИ ЗА 1909 ГОД. КАРС, 1910, С. 3; პროცენტი გაანგარიშებულია ავტორის მიერ.
[170] სცსსა, ფ. 229, ან. 2, სს. 1064, 1092, 1264, 1483, 1484.

ამრიგად, ცარიზმის ხელისუფლების დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გლეხობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა გაუარესდა. მოსახლეობის გამრავლების შედეგად შემცირდა საკომლო-სანადელო მიწები. ბათუმის ოლქში ადგილობრივი მოსახლეობის, კერძოდ, გლეხობის მიწა-წყლით უსრუნველყოფა არსებითად დამოკიდებული იყო აგრარულ-დემოგრაფიულ რეფორმაზე.

აუცილებელი იყო ამ მხარის განტვირთვა ჭარბი მოსახლეობისაგან. მათი ჩასახლება საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობდა. ყარსის ოლქის ქართულ კუთხეებში, სადაც მიწის მნიშნელოვანი რესერვი არსებობდა, ცარიზმი მხოლოდ რუსებისა და სხვა არაქართველების ჩასახლებისათვის ზრუნავდა.

საქართველო, რომელსაც 1801 წლიდან ეროვნული სუვერენული სახელმწიფო აღარ გააჩნდა, მოკლებული იყო შესაძლებლობას თავის რეგიონებში ჩაესახლებინა ის ქართველები, რომლებიც მიწის სიმცირეს განიცდიდნენ. ცარიზმი ამ პროცესს ხელოვნურად და მიზანმიმართულად ხელს უშლიდა. რუსეთის ხელისუფლებას აწყობდა საქართველოში ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობა, რათა ეროვნული მოძრაობისათვის ფართო სარბიელი მოესპო, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გაძნელებულიყო.

2. მემამულე-თავადაზნაურებისა და რელიგიურ დაწესებულებათა მიწათმფლობელობა

მემამულე-თავადაზნაურები და რელიგიურ დაწესებულებათა მსახურნი საზოგადოების პრივილეგირებულ წოდებად ითვლებოდნენ. ოსმალეთის იმპერიაში აგრარული რეფორმის განხორციელების შედეგად მემამულეებს, ე.წ. აღაბეგებს ჩამოართვეს ყმა-მამულები და მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობისათვის დააკისრეს გადასახადები სახელმწიფო ხაზინის სასრგებლოდ. გავლენიანი ბეგების ნაწილს სამემკვიდრეო პენსიები დაუნიშნეს, ხოლო აღები (აზნაურები) სახაზინო გლეხთა კატეგორიაში გადაიყვანეს[171]. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურები, საადგილმამულო რეფორმის შემდეგ, ფაქტობრივად აღაბეგის წოდებას ნომინალურად ატარებდნენ. კერძო საკუთრებაში ყმა-მამულები აღარ ჰქონდათ. ამის მიუხედავად, თავადაზნაურები მოსახლეობაში დიდი გავლენით სარგებლობდნენ. ეს გავლენა განპირობებული იყო ისტორიული ინერციით, მემკვიდრეობის დინებით.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნების წინ გავლენიან ბეგებად ითვლებოდნენ ხიმშიაშვილები, თავდგირიძეები, აბაშიძეები, შერვაშიძეები, ბეჟანიძეები, სურმანიძეები, ჯაყელები, ბიბინეიშვილები, წელუკიძეები, ნაკაშიძეები და სხვები. ლაზისტანის სანჯაყში-ზვანბიები, მანელიშვილები, მოურავიშვილები, ბალთაშვი-

---

[171] დაწვრილებით იხ. ო. თურმანიძე, საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში (XVIII. – 1878წ.). ბათ., 2001.

ლები, შალიკაშვილები, შაინოღლები და სხვა. აგრარული რეფორმის მიუხედავად, მათ შეინარჩუნეს ადგილ-მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი მფლობელობა-სარგებლობის უფლებით. ადრე ამ საგვარეულოთა აღსვევებას ხელს უწყობდა სულთნის მთავრობა. ასეთი პოლიტიკით ოსმალეთის ხელისუფლება ცდილობდა ქართული წარჩინებული საგვარეულოთა შორის მტრობისა და შუღლის ჩამოგდებას, დაპირისპირების გაძლიერებას, საბოლოოდ კი მათ დაუძლურებას.

ოსმალთა ბატონობის დროს, კერძოდ, XVIII საუკუნიდან იწყება ამ მხარის წარჩინებული საგვარეულოების (ჯაყელები, დიასამიძეები, შალიკაშვილები და სხვები) დაკნინება-დაუძლურება. მათი შთამომავლობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სახლობდნენ, მაგრამ წინანდელი დიდებისაგან მხოლოდ სახელი შემორჩათ. მაგალითად, შავშეთ-იმერეთის სოფელ ეელში ჯაყელების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. მათგან აღსანიშნავია ფუათ, ზექერია, მუსა, შერიფ, მურთაზ ათაბაგები, რომლებიც ქონებრივი და სოციალური მდგომარეობით საგრძნობლად დაკნინებული იყვნენ.

ისინი აშკარად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას სულთნის მთავრობისადმი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რუსეთის მფლობელობაში გადასვლის შემდეგ ზემოდასახელებული პირები არანაკლებ უკმაყოფილონი იყვნენ ცარიზმის ხელისუფლებისაგან. რუსეთის მთავრობისადმი მტრული დამოკიდებულებისა და ანტირუსული პროპაგანდის გა-

მო ისინი არაეთხელ დააპატიმრეს. ასე მოხდა 1914 წლის მაისშიც[172].

შავშეთ-იმერხევში ჯაყელების საგვარეულოს ადგილ-მამულების ერთი ნაწილი შეისყიდეს ხიმშიაშვილებმა, იმერხევის სოფელ ოქრობაქეთში მცხოვრები ათაბაქების საგვარეულოს წარმომადგენლები ისე დაქვეითებული იყვნენ, რომ მათი ძირითადი სარჩო საადგილმამულო პენსია ყოფილა. გ. ყაზბეგი, რომელმაც 1874 წ. იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში, შენიშნავდა, რომ იმერხევის ბეგები (ლაპარაკია ჯაყელებზე. ო.თ.) ამუამად ღარიბები არიანო[173]. ასევე ითქმის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დანარჩენ კუთხეებში მოსახლე ჯაყელების შესახებაც. გ. ყაზბეგის ცნობით, ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილმა ლივანში ლაშქრობისას გადაწვა-გადაბუგა ამ მხარის წარჩინებული ბეგის ალი ჯაყელის სახლ-კარი. მისივე ცნობით, XIX საუკუნის 70-იან წლებში ართვინში ცხოვრობდა ჯაყელების 10 ოჯახი, მაგრამ მათ წინანდელი სოციალური და ქონებრივი პრივილეგიები აღარ ჰქონდათ და აღებისაგან ნაკლებად გამოირჩეოდნენ[174].

XIX საუკუნის 70-იან წლებში ლაზისტანის სანჯაყის პრივილეგირებული წოდება კიდევ მეტად დაკნინებული იყო. ამ შეფასებას ადასტურებს დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, ჯ. პალგრევის (ინგლისის კონსული ტრაპიზონში) მიერ მოყვანილი მასალები. დ. ბაქრაძის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით ლაზისტანის მემამულე-თავადაზნაურები საკმაოდ დასუსტებული და დაქვეითებული ყოფილან

---

[172] აცსა, ფ. ი–1, ან. 1, ს. 693, ფურც. 26.
[173] გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათ; 1995, გვ. 94-95.
[174] იქვე. გვ. 113.

ადრინდელთან შედარებით, მათ მიწების მეტი ნაწილი და ეკრმები ჩამოართვა სულთნის მთავრობამ და უბრალო ხალხთან გათანაბრებას ცდილობდა[175]. ამასვე ადასტურებს ჯ. პალგრეევი. მისი თქმით ბეგებს სისტემატურად აქვეითებენ და ამ მდგომარეობის დაკანონებას ცდილობენო[176].

სულთნის მთავრობა ასეთ პოლიტიკას შეგნებულად და მიზანმიმართულად ატარებდა. ლაზისტანის სანჯაყში, როგორც დანარჩენ დაპყრობილ ქართულ მხარეებში, ხელოვნურად გამოიწვიეს დაპირისპირება ქართული წარმომავლობის ფეოდალებს შორის. ამის შედეგად ლაზისტანის სანჯაყში პრივილეგირებული წოდების ნაწილმა დაკარგა თავისი გავლენა, მაგალითად, ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის მიერ ლაზისტანში განხორციელებული ლაშქრობისას მნიშვნელოვნად შეირყა ამ მხარის ფეოდალთა სიძლიერე, გავლენა და სოციალური მდგომარეობა.

ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მემამულეებს კერძო საკუთრებაში ადგილ-მამულები თითქმის აღარ ჰქონდათ, ანდა უმნიშვნელო რაოდენობით შემორჩათ. მაგალითად, შერიფ ახმედის ძე ხიმშიაშვილს აგრარულ რეფორმამდე საკუთრებაში ჰქოდა 8681 დესეტინა. მასვე ეკუთნოდა ზემო აჭარის ოთხი საეკლესიო სოფლის (ალმე, პაქსაძეები, დიდაჭარა, ღორჯომი) შემოსავალი, რაც წლიურად მაშინდელი რუსული ფულის კურსით 300 რუბლს შეადგენდა. აგრარული რეფორმის შემდეგ შერიფ ხიმშიაშვილს საკუთრებაში დაუტოვეს მხოლოდ 16 დესეტინა. დანარჩენი ადგილ-მამული

---

[175] დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათ; 1987, გვ. 29.

[176] ИКОИРСО. VII, №1, ТИФ., 1882, с. 82-83.

ოსმალეთის სახელმწიფოს სახაზინო საკუთრებად გამოაცხადეს და საადგილმამულო ღალით (აშარი) დაბეგრეს[177]. საადგილმამულო კომისიის დასკვნით, რომელიც ოსმალურ დოკუმენტებს ემყარებოდა, სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებს აგრარული რეფორმის შემდეგ საკუთრებაში დარჩათ 125 კილი აღგილ-მამული, რაც 73 დესეტინას უდრის. ეს იყო სახნავი მიწა, რის გამოც ოსმალეთის ხაზინის სასარგებლოდ აშარს ისდიდნენ[178]. ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ სხვებიც.

რუსეთის მთავრობა ოსმალეთის აგრარულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ცდილობდა სახაზინო საკუთრებაში მოექცია აღა-ბეგების მამულები. ამიტომ ცარიზმის ბატონობის მთელ პერიოდში გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობდა რუსეთის მთავრობის მოხელეებსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწათმფლობელ პრივილეგირებულ წოდებას შორის.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოთხ ოკრუგში (არტაანის, ოლთისის, ბათუმის, ართვინის) 1897 წლის აღწერით ადგილობრივი შთამომაელობითი მემამულეების რიცხოვნობა 2267 სულს მიითვლიდა. თუ ერთ ოჯახზე საშუალოდ ხუთ სულს ვიანგარიშებთ, მაშინ ისინი 453 კომლს შეადგენდნენ. არტაანის შთამომავლობით მკვიდრ მემამულეთა ფენას მიეკუთნებოდა 151 სული (დაახლოებით

---

[177] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2820, ფურც. 103; ს. 2909, ფურც. 82; ფ. 12, ან. 10, ს. 2026, ფურც. 17; იხ. აგრეთვე თ.სახოკია, მოგზაურობანი. ბათ., 1985, გვ. 274.
[178] აცსა, ფ. ი–81, ან. 1, ს. 1, ფურც. 65–70.

30 კომლი), ხოლ ოლთისის ოკრუგ'ში 133 სული (27 კომლი)[179].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ არტაანის და ოლთისის ოკრუგებში შთამომავლობით ქართველი მემამულეები ადგილ-მამულებს ფაქტობრივად აღარ ფლობდნენ. ეს მამულები ოსმალეთის ხელისუფლებამ ჩამოართვა და სამემკვიდრე პენსიები დაუნიშნა, რასაც რუსეთის მთავრობა არ ცნობდა. ყარსის ოლქის 1895 წლის მიმოხილვაში ნათქვამია: ყარსის ოლქში მემამულეთა და ვაჭართა მიწები არ არისო. გამონაკლისია 18207 დესეტინა, რომელიც დროებით უმაღლესი დადგენილების მიღებამდე ეკუთვნის რამდენიმე გავლენიან პირსო[180].

ადგილობრივი შთამომავლობითი თავადაზნაურები (მემამულეები) შედარებით მრავალრიცხოვანი იყვნენ ბათუმის ოლქში, ამ რეგიონში უმეტესად ცხოვრობდნენ საშუალო და წვრილი მემამულეები, მცირემიწიანობის მიუხედავად ბათუმის ოლქში მემამულეთა (აღა-ბეგების) საერთო სულადობა, 1897 წლის აღწერით, 1989 სულს (396 კომლი) შეადგენდა. აღა-ბეგების სიმრავლით გამორჩეული იყო ბათუმის ოკრუგი, სადაც მემამულე-თავადაზნაურთა საერთო რიცხოვნობა 1722 სულს (344 კომლი) მიითვლიდა. ართვინის ოკრუგში 261 სული (52 კომლი) აღირიცხა[181].

1878-1917 წლებში ბათუმისა და ყარსის ოლქებში უცხო ქვეყნების შთამომავლობითი მემამულეებიც მომრავლდნენ.

---

[179] первая всеобщая перепись населения российской империи 1897 год. LXIV карская область с-петербург. 1904. с. 2.

[180] обзор карской области за 1895 год. карс, 1896, с. 5.

[181] первая всеобщая перепис населения российской империи 1897 год. LXVI кутаисская губерния. с-петербург. 1905. с. 38-39.

ისინი მსახურობდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში, ეწეოდნენ ვაჭრობასა და მეწარმეობას.

კაპიტალიზმის პირობებში თავადაზნაურული წოდება დრომოჭმული ჩანდა. საქართველოში თავადაზნაურების მცირე ნაწილმა აითვისა ახალი ცხოვრების წესები, სწორად შეაფასა სასქონლო-ფულადი ურთიერთობის მომავალი და თავიანთი მამულები კაპიტალისტურ საწყისზე მოაწყო. სამწუხაროდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა ძველი ცხოვრების ტყვეობაში დარჩა. ისინი ოცნებობდნენ და იბრძოდნენ ფეოდალური წოდების შენარჩუნებისა და ამ წოდების მთავრობის მიერ ოფიციალურად აღიარებისათვის, ამისათვის მათ არაერთხელ მიმართეს რუსეთის სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს, ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოს.

თავადაზნაურობის წოდების აღიარება თუ მინიჭება მთავრობის მიერ განიხილებოდა აგრარული საკითხის საერთო კონტექსტში. ამის მიუხედავად 1911წ. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან შეიქმნა წოდებრივი კუთვნილების შემსწავლელი და მიმნიჭებელი კომისია, სამხედრო გუბერნატორის ბ. რომანოვსკი-რომანკოს თავმჯდომარეობით. კომოსიის დადგენილებით რამდენიმე პიროვნებას მიანიჭეს თავადაზნაურის წოდება: მაგრამ უმრავლესობას არ მიანიჭეს. მაგალითად, ბათუმის ოლქში რუსეთის თავადაზნაურის წოდების მინიჭებაზე უარი უთხრეს 299 მთხოვნელს. მათ შორის იყვნენ: ფალავები, ქიქავები, ბაკურიძეები, ნაკაიძეები, ახვლედიანები, მჟავანაძეები, კომახიძეები და სხვები. (კინტრიშის უბანი), ჯაფარიძეები (გონიოს უბანი), ბეჟანიძეები და სხვები (ქვემო აჭარა).

საოცარი ის არის, რომ საგვარეულოს ერთ პიროვნებას ანიჭებდნენ თავადაზნაურის წოდებას, ხოლო მეორეს უარს ეუბნებოდნენ. მაგალითად, ქობულეთელ მემამულეს ყემბერ ხარაზს მიანიჭეს რუსეთის თავადაზნაურის წოდება, ხოლო მის ძმას ხუსეინს უარი უთხრეს. ავალიანების რამდენიმე ოჯახს მიაკუთვნეს თავადაზნაურის წოდება, მაგრამ ხასანსა და მამუდს უარი უთხრეს. ოლთისის ოკრუგში რუსეთის თავადაზნაურის წოდება მიანიჭეს 10 კაცს. არტაანის ოკრუგში ასეთი წოდება მიანიჭეს იქაურ ბეგს ქ. ორბელიანს[182].

საქართველოში 1917 წლის ნოემბერში თავადაზნაურის წოდება, მათივე თხოვნით, გაუქმდა. ცხადია, იგი ბათუმის ოლქს, არტაანისა და ოლქისის ოკრუგებსაც შეეხო. მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის მიხედვით მემამულე-თავადაზნაურებს შორის შეიძლება ოთხი ჯგუფი გამოიყოს: უმსხვილესი (500 დესეტინაზე ზევით), მსხვილი (100-დან 500-მდე), საშუალო (25-დან 100 დესეტინამდე), წვრილი (25 დესეტინამდე). ამ დაყოფას საფუძვლად უდევს საქართველოს ისტორიაში მიღებული ნორმები[183].

ამ კრიტერიუმების მიხედვით უმსხვილეს მემამულეებს მიეკუთვნებიან ხიმშიაშვილები, აბაშიძეები, თავდგირიძეები. (ეს უკანასკნელნი, აჭარის თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ოსმალეთში გადაისვეწნენ). მსხვილი მემამულეები იყვნენ ბიბინეიშვილები, ბეჟანიძეები და სხვა. დანარჩენები საშუალო და წვრილი მემამულეები იყვნენ. ზემოთ ჩამოთვლილი თავადაზნაურების ადგილ-

---

[182] ცსა, ფ. ი-78, ან. 1, ს. 3, ფურც. 5-12; ს. 4 ფურც. 6-8.

[183] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V. თბ., 1970, გვ. 520.

მამულები XX საუკუნის დასაწყისამდე გამიჯნული არ იყო, გამიჯვნის შედეგად ზოგიერთი მათგანის ადგილ-მამული შემცირდა. ცხადია, კატეგორიაც შეიცვალა.

რესეთის მფლობელობის დროს ადგილ-მამულების გამიჯვნის მიუხედავად, ხიმშიაშვილების საგვარეულო მსხვილ მემამულეებად დარჩნენ. მათ მიწები ჰქონდათ არტაანის, ართვისისა და ბათუმის ოკრუგებში. შერიფ-ბეგისა და მისი მემკვიდრეების ხანგრძლივი დავის შედეგად სპეციალური კომისია სწავლობდა ამ საგვარეულოს მიწისმფლობელობის საკითხს. ამ კომისიის დასკვნის საფუძველზე რუსეთის იმპერატორმა 1912 წლის 25 აპრილს შერიფ-ბეგის მემკვიდრეებს კერძო საკუთრებაში დაუმტკიცა 8295 დესეტინა ადგილ-მამული. ოსმალთა დროინდელი მიწებიდან მხოლოდ 385 დესეტინა ჩამოაჭრეს და სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში მოაქციეს. აღნიშნული ადგილ-მამული ძირითადად იყო ტყის ნაკვეთი, რომელიც არტაანის ოკრუგის სოფელ ურში მდებარეობდა[184].

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი პრივილეგიური წოდებიდან ხიმშიაშვილები გამონაკლისი იყვნენ. ეს აიხსნება პირადად შერიფ ხიმშიაშვილის დამსახურებით რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში. ამ დამსახურების გამო მას რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ გენერალ მაიორის წოდება მიანიჭა, ფულითა და სხვა საჩუქრებით დააჯილდოვა. მაგრამ ვითარება შეიცვალა ალექსანდრე მესამის გამეფების შემდეგ. ადგილ-მამულების კერძო საკუთრებაში დამტკიცების თაობაზე შერიფ ხიმშიაშვილი და მისი მემკვიდრეები განუწყვეტლივ

---

[184] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2820, ფურც. 103.

ჯაობდნენ. მათი თხოვნა-საჩივრების დაკმაყოფილება დიდ-ხანს გაიწელა. ბოლოს კი, როგორც ითქვა, დადებითად გადაწყდა. ხიმშიაშვილების ადგილ-მამულები შედგებოდა სახნავ-სათესის, სათიბების, ტყის მასივების, საბალახოებისა და მდელოებისაგან. ბათუმის ოკრუგში (ზემო აჭარა) მათ ეკავათ 5833 დესეტინა და 1825 კვადრატული საჟენი. აღნიშნული ადგილ-მამულები მდებარეობს ზემო აჭარის ხულოს, სხალთის, ჭერის, ფაჩხას, წაბლანის, ბაკოსა და პაპოშვილების სოფლებში, მთა ბეშუმსა და ახალდაბაში (სარი-ჩაირი). არტაანის ოკრუგის სოფელ ურსა და ალაგეზ ყარაბახში ხიმშიაშვილებს ჰქონდათ 2462 დესეტინა. ამ საერთო ფართობიდან ტყეს ეკავა 1870 დესეტინა. დანარჩენი იყო სახნავი, სათიბი, საბალახოები და მდელოები.

როგორც ვხედავთ, ხიმშიაშვილების ადგილ-მამულების ორმესამედზე მეტი ზემო აჭარაში მდებარეობდა. ზემო აჭარაში სახნავი იყო 406 დესეტინაზე მეტი, სათიბი, საბალახო და მდელო — 3558 დესეტინა. არტაანის ოკრუგის სოფელ ურში მდებარეობდა 1737 დესეტინა სახნავი და სათიბ-საბალახო, ხოლო ალაგეზ-ყარაბახში — 725 დესეტინა[185].

სოფელ ხულოსა და სხალთაში ხიმშიაშვილებს ჰქონდათ სახლ-კარმიდამოები, ბაკოში (ქოჩახი) საზაფხულო აგარაკი, მთა სარი-ჩაირზე — დასასვენებელი სახლები. ერთი სიტყვით, შერიფ ხიშიაშვილი უმსხვილესი მემამულე იყო, ხოლო მისი მემკვიდრეები, ადგილ-მამულების დაყოფის შემდეგ, მსხვილ მემამულეებად დარჩნენ.

შერიფ ხიმშიაშვილი 1892 წ. გარდაიცვალა (63 წლის ასაკში). მას დიდი ოჯახი ჰყავდა. შერიფმა ხუოჯერ იქორ-

---

[185] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2820, ფურც. 103. აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 106, ფურც. 32;

წინა, შეეძინა 25 შვილი (13 ვაჟი და 12 ასული). შერიფ ხიმშიაშვილის მეუღლეები წარჩინებული საგვარეულოდან ყოფილან. მაგალითად მისი მეორე ცოლი (ნაირა) ფოცხოვის ბეგის ასლან ათაბაგის ასული იყო. 1879 წ. ცოლად შეირთო დანიის მეფის კარლ მეცხრის ძმისწული და რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის ქვისლი გახდა[186].

ამ გარემოებამაც რამდენადმე განაპირობდა ის, რომ შერიფ ხიმშიაშვილის მემკვიდრეებს კერძო საკუთრებაში დაუმტკიცეს ადგილ-მამულების დიდი ნაწილი. რუსეთის მთავრობის მიერ ადგილ-მამულების კერძო საკუთრებაში დამტკიცებამდე, შერიფ ხიმშიაშვილის მემკვიდრეებმა მიწების ნაწილი გაყიდეს. როგორც უკვე ითქვა, მათ შავშეთ-იმერხევის ბეგს ფუათ ათაბაგს მიყიდეს მთა ჩირუხი (მდელოები, საძოვარ-საბალახო და ტყე). აბას ხიმშიაშვილმა სოფელ თხილვანაში ადგილობრივ მოსახლეობას მიჰყიდა 368 დესეტინა. აქედან საძოვრებზე მოდიოდა 288 დესეტინა[187]. ეს გარიგება უნდა მომხდარიყო 1879-1880 წლებში, რამდენადაც აბას ხიმშიაშვილი 1880 წლისათვის გარდაცვლილია.

შერიფ ხიმშიაშვილის შვილების ნაწილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნებამდე გარდაიცვალნენ. XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და 900-იან წლებში ცხოვრობდნენ ჯემალი (1859-1924 წწ), თემური (1863-1918 წწ.), ზექერია, ზაბითი, ჯეფერი, ისა, ყაია

---

186 შ. ბოლქვაძე, ხიმშიაშვილთა წინაპარი. ჟურნ. ლიტერატურული აჭარა, №5, 2003, გვ. 101–102; თეოდო სახოკია, რომელიც აჭარას 1897 წ. ეწვია, ასახელებს შერიფ ხიმშიაშვილის 20 შვილს (11 ვაჟი და 9 ქალი). იხ. თ. სახოკია, მოგზაურობანი. ბათ., 1985, გვ. 275.

187 ასმსფ, ს. 325, ფურც. 100.

და სხვა. მაინი მამული გაყოფილი არ იყო და საერთო ძალისხმევით უძღვებოდნენ. აჭარაში ხიმშიაშვილის მიწების დიდი ნაწილი (საძოვრები, მდელოები, ტყე) სოფლის საზოგადოების საერთო მიწებიდან გამიჯნული არ ყოფილა. ამიტომ სახელმწიფო საღალო გამოსაღებსა და საერობო მოსაკრებელს სოფლის საზოგადოებას აწერდა.

ხიმშიაშვილები მამულის ნაწილს თვითონ საკუთარი შრომით ამუშავებდნენ. დანარჩენს კი იჯარით აძლევდნენ გლეხებს. იჯარის ძირითადი ფორმა იყო მონახევრეობა. იჯარით მიწის გაცემა არ ჭირდა, რადგან აქაური გლეხები მცირემიწიანი იყვნენ. მიწის დამუშავებისას იყენებდნენ ორმინდვრიან სისტემას. რამდენიმე წლით ასვენებდნენ სახნავ მიწას. ამ დროს სავარგული გამოიყენებოდა სათიბად და საძოვარ-საბალახოდ. საძოვრებს აძლევდნენ მომთაბარე ქურთებსა და ადგილობრივ გლეხებს. ქურთები თითოეულ მსხვილფეხა საქონელზე იხდიდნენ 20 კაპიკს, ხოლო წვრილფეხა საქონელზე – 3 კაპიკს. ადგილობრივი გლეხები ნატურით იხდიდნენ: თითო სულ მსხვილფეხა საქონელზე ხიმშიაშვილებს აძლევდნენ სამ გირვანქა კარაქსა და ექვს გირვანქა ყველს. ქუთაისის სახაზინო პალატის ცნობით, ადგილობრივ ბაზარზე ერთი გირვაქა კარაქი ღირდა 40 კაპიკი, ხოლო ყველი – 20 კაპიკი[188].

1913 წლისათვის ხიმშიაშვილების საძოვრებზე იყო 25 ათასი სული წვრილფეხა საქონელი და 3000 სული მსხვილფეხა. ცხადია, აქედან ისინი მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდნენ. ხიმშიაშვილებს საკუთრივ ჰყავდათ 2000

---

[188] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 106, ფურც. 33; ერთი გირვანქა უდრის 453,59 გრამს (იხ. КК НА 1897 ГОД. Статист. Отд., Тиф., 18966 с. 12).

სული წვრილფეხა (თხა-ცხვარი) და 30 სული მსხვილფეხა საქონელი.[189]

სახნავ მიწებზე მოჰყავდათ სიმინდი, თამბაქო და სხვა. საკმაოდ ჰქოდათ სათიბები. ხიმშიაშვილები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ტყეს, რადგან ამ დარგიდან სოლიდურ შემოსავალს იღებდნენ. სამასალე მერქანს ტყის მრეწველები ყიდულობდნენ, შეშასა და საოჯახო ხე-ტყის მასალას – ადგილობრივი გლეხები.

ქუთაისის გუბერნიის სახაზინო პალატის მონაცემებით, 1913 წ. ხიმშიაშვილების მამულის შემოსავალი ბათუმის ოკრუგში 5324 რუბლს შეადგენდა. აქედან სათიბებსა და საძოვრებზე მოდიოდა 1700 რუბლი, სიმინდის მოსავალზე 2030, თამბაქოზე – 1000, გლეხებზე ხე-ტყის მიყიდვით – 400 რუბლი და სხვა. სოფელ ხულოში, რომელიც წარმოადგენდა ზემო აჭარის საპოლიციო უბნის რეზიდენციას, ხიშიაშვილებს ჰქოდათ სავაჭრო დუქნები, საწყობები და სხვა შენობა – ნაგებობანი. სავაჭრო დუქანში დაქირავებული ჰყავდათ ეროვნებით ბერძენი ვაჭარი ე. ეფრემიდი, რომელსაც წლიურად 100 რუბლს უხდიდნენ[190].

ხიმშიაშვილები მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდნენ არტაანის ოკრუგის მამულებიდან. თუმცა ამის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია. 'მერიფ ხიმშიაშვილის მემკვიდრეების 1913 წ. 3 აგვისტოს კოლექტიური განცხადებით, რომელიც მათ წარუდგინეს კავკასიის მეფისნაცვალს, აღნიშნულია, რომ 1901 წლიდან 1913 წლის პირველ იანვრამდე არტაანის ოკრუგში არსებული მამულების საღ-

---

189 აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 106, ფურც. 33-34.

190 იქვე.

ალო გამოსაღებისა და საერობო მოსაკრებლის ნარჩენების ("ნედოიმკები") საეთო თანხა 4027 რუბლს შეადგენდა. აქედან სოფელ ურის მამულზე მოდიოდა 871 რუბლი, ხოლო ალაგეზ-ყარაბახის მამულზე 3157 რუბლი[191].

სახელმწიფოს მიერ ასეთი დიდი ოდენობის საადგილ-მამულო გადასხადებით დაბეგვრა უდავოდ მოწმობს ამ მამულების სოლიდურ შემოსავალს. ხიმშიაშვილები საქონლის ხორცით ბათუმს ამარაგებდნენ. 1901 წ. იანვრამდე ერთ ფუთ საქონლის ხორცში (ცოცხალი წონა) ბათუმის საქალაქო გამგეობა უხდიდა 2 რუბლსა და 80 კაპიკს. ქალაქის გამგეობამ ხიმშიაშვილებს 18000 ათასი რუბლი გადაუხადა. 1901 წ. სექტემბერში ქ. ბათუმის გამგეობამ ჯელალ და ყაია ხიმშიაშვილებთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა ქალაქისათვის საკლავი საქონლის მიწოდების შესახებ. ამიერიდან თითო ფუთ საქონლის ხორცში 4 რუბლს მოითხოვდნენ. ქალაქის გამგეობამ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და წინასწარ ავანსის სახით მისცა 5000 რუბლი. ქალაქის სათათბირომ 1901 წ. 24 სექტემბერს დაამტკიცა ბათუმის გამგეობის მიერ ხიმშიაშვილებთან გაფორმებული ხელშეკრულება.[192]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მეორე უმსხვილესი მემამულე აბაშიძეების საგვარეულო იყო. ამ გვარის ისტორიის შესახებ უკანასკნელ დროს არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა. სამწუხაროდ, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის შესახებ საეროოდ არ არის საუბარი. ძირითადად წარმოჩენილია აბაშიძეების გვარშვილობის წარმომავლობა

---

[191] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 106, ფურც. 18.
[192] აცსა, ფ. ი-7, ს. 371, ფურც. 7-9.

და ზოგიერთი მათგანის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული საქმიანობა. არადა აჭარის გასაპჭოებამდე საადგილმამულო საკითხი აბაშიძეების საგვარეულოს, როგორც ამ მხარის სხვა პრივილეგიური წოდების, უმთავრესი პრობლემა და, როგორც იტყვიან, ცხოვრების ხერხემალი იყო.

აბაშიძეები სანჯაყ-ბეგის წოდებას ატარებდნენ, ცხოვრობდნენ ბათუმში. ადგილ-მამულები ჰქონდათ ქალაქ ბათუმსა და მის შემოგარენში. სამწუხაროდ, მათი ზუსტი დადგენა არ ხერხდება, რადგან რუსეთის მთავრობა არ ცნობდა აბაშიძეების კერძომესაკუთვრულ უფლებებს. ცარიზმის ბატონობის მთელ ხანაში აბაშიძეებსა და რუსეთის სახელმწიფო მოხელეებს შორის გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობდა ადგილ-მამულებთან დაკავშირებით.

აჭარაში აბაშიძეების საგვარეულო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების წინ წარმოდგენილი იყო იუსუფ აბაშიძის შვილების (ემინი, სალიხი, ხუსეინი, იბრაიმი, ახმედი) და მათი შთამომავლებით. აბაშიძეების ადგილ-მამულები XX საუკუნის დამდეგამდე გამიჯნული არ იყო. ისინი მიწებს საერთო ძალისხმევით ამუშავებდნენ. საიჯარო გარიგებისას თუ გასხვისებისას ერთად ადგენდნენ საბუთებს, ანდა საგვარეულოს ერთ-ერთი პირი აფორმებდა საბუთებს გვარის დანარჩენი წევრების რწმუნების სახელით. ამის შესახებ სახელმწიფო საარქივო ფონდებში არაერთი საბუთია დაცული. ცარიზმის ბატონობის ხანაში ადგილ-მამულების შენარჩუნებისათვის თავდადებით იბრძოდნენ ხუსეინი, სალიხი, იბრაიმი

და მათი შთამომავლები: ხია, მემედი, ფეესლი, ფეიზი, ღურსუნი, სულეიმანი, ისმაილი, აღი და სხვა.

მართალია, ბათუმის ოლქის საადგილ-მამულო კომისიამ 1879 წ. აბაშიძეებს საკუთრებაში დაუდგინა 73 დესეტინა, მაგრამ მათ მფლობელობა-სარგებლობაში გაცილებით მეტი მიწები ითვლებოდა. რამდენადაც რუსეთის მთავრობამ არ ცნო აბაშიძეების კერძომესაკუთრული უფლებები ადგილ-მამულებზე, ისინი შეეცადნენ მიწების გასხვისებას და მათი დიდი ნაწილი კიდეც გაყიდეს. 1879 წ. ბათუმის ტერიტორიასა და სოფელ ურეხში გაყიდეს 457 დესეტინა და 1527 კვადრატული საჟენი. იგი იყიდა ვიცე პოლკოვნიკმა იასონ იოსელიანმა, რომელმაც გადაიხადა 60 ათასი რუბლი. იმავე წელს ერთი დესეტინა და 754 კვადრატული საჟენი მიწა აბაშიძეებმა მიყიდეს დურმიშხან ჟურულსა და ივანე შადინოვს.

აბაშიძეებსა და იოსელიანს შორის მიწის ყიდვა-გაყიდვის საბუთი გაფორმდა 1880 წ. 11 სექტემბერს. საბუთს აბაშიძეების მხრიდან ხელს აწერდნენ ხუსეინი, იბრაიმი, სულეიმანი, ღურსუნი, ისმაილი და სალიხი. იგი გააფორმა ბათუმის ნოტარიუსმა, დაამტკიცა მომრიგებელმა სასმართლომ, ხოლო იმავე წლის 18 სექტემბერს-ქუთაისის საოკრუგო სასამართლომ. მაგრამ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს მოხელეთა დაუინებითი მოთხოვნის შედეგად თბილისის სასამართლო პალატამ 1900 წ. გააუქმა[193].

თბილისის სასმართლო პალატის მიერ განაჩენის გამოტანისას იასონ იოსელიანი ცოცხალი აღარ იყო (გარდაიც-

---

[193] აცსა, ფ. ი-81, ან. I, ს. I, ფურც. 52-53, 170-172.

ვალა 1989წ. 13 ივლისს). მას დარჩა ერთადერთი ქალიშვილი ელენე, რომელიც სრულწლოვანი გახდა 1901 წლის 2 იანვარს. ი. იოსელიანის მიწების ნაწილი მანმადე გაიყიდა, ვიდრე მისი ქალიშვილი სრულასაკოვანი გახდებოდა. 1894წ. იოსელიანისეული მიწების ნაწილი იყიდა ყარა-აღა ზადე ხუსეინ ეფენდიმ. ნასყიდლობის საბუთი ჯერ ჩოხოტაურში გააფორმეს, შემდეგ-ბათუმის ნოტარიუსში[194]. იოსელიანის ქალიშვილი ცოლად გაყვა კონსტანტინე აფხაზს და ამის შემდეგ ერთობლივი ძალით დაიწყეს ბრძოლა მამის მიერ ნაყიდი ადგილ-მამულის კერძო საკუთრებაში დამტკიცების შესახებ, მაგრამ ამ დავიდან არაფერი გამივიდა.

აბაშიძეებმა სოფელ ფერიაში (ბათუმის შემოგარენი) 1882 წ. გაყიდეს 10 დესეტინა და 1848 კვადრატული საჟენი მიწა. იგი მიყიდეს თურქეთის სახელმწიფოს ქვეშევდომებს მუსტაფ ეფფენდი ჰაჯი მამუდ ზადეს და ოსმან ეფენდი სალილ-აღა ზადეს 4000 რუბლად. ნასყიდობის აქტს აბაშიძეების მხრიდან ხელს აწერდნენ ხუსეინი, ახმედი, სალიხი, იბრაიმი და დურსუნი[195].

აბაშიძეებმა 1895 წ. გაყიდეს 229 დესეტინა მიწა სოფელ ანგისაში (ბათუმის შემოგარენი). მიწა იყიდეს ილია შარაშენიძემ და ალეკო მიქელაიშვილმა, რომლებიც ბათუმში ცხოვრობდნენ. ნასყიდობის აქტი დაამოწმა ბათუმის ნოტარიუსმა და დაამტკიცა ქალაქის მომრიგებელმა სასამართლომ. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც რუსეთის სახელმწიფოს შესაბამისი სამასახური ამ გარიგებას უკნო-

---

[194] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 1, ფურც. 50-51. 70.

[195] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 93-94; ფ. ი-25 ან. 1, ს. 9, ფურც. 62-63.

ნოთ თვლიდა. სადავო საკითხი კინტრიშის საუბნო სასამართლომ განიხილა და აბაშიძეების სასარგებლოდ გადაწყვიტა. მაგრამ ამით დავა არ შეწყვეტილა[196].

რუსეთის სახელმწიფო მოხელეებსა და აბაშიძეებს შორის საადგილმამულო ბრძოლა გამწვავდა 1898წ. შემდეგ. იგი დაკავშირებულია აბაშიძეების მიწების ახალ აღწერასთან. აბაშიძეებსა და რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოხელეებს შორის ხელჩართული ბრძოლაც გაიმართა. ამ აღწერამდე აბაშიძეები კოლექტიურად ჰყიდნენ მიწებს და ასევე კოლექტიურად აფორმებდნენ ნასყიდლობის საბუთებს. 1898წ. აღწერის შემდეგ მოსდა აბაშიძეების საგვარეულოს ადგილმამულების გამიჯვნა. ამის შემდეგ ისინი მიწის ნასყიდობის საბუთებს უმეტეს შემთხვევაში პერსონალურად აფორმებდნენ. ამასთან მათ განაახლეს მანამდე გაფორმებული მიწის ნასყიდობის აქტები. 1899 წ. ზია აბაშიძემ ანგისაში გაყიდა 39.6 დესეტინა მიწა. 14 დესეტინა მიყიდა არტემ ქევხიშვილს, რომელიც წარმოშობით კახეთიდან (სიღნაღი) იყო და ბათუმში ცხოვრობდა. 12 დესეტინამდე მიწა მიყიდა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის აგენტს, შოამომაველობით მემამულეს ზაქარია დეკანოზოვს, 8.5 დესეტინა — ოზურგეთელ ჟოზეფ შევარდნაძეს, 5.1 დესეტინა ბათუმელ ვაჭრებს ძმებს ტარიელ და ვლადიმერ თავართქილაძეებს. ა. ქევხიშვილმა გადაიხადა 1000 რუბლი, ჟ. შევარდნაძემ — 400, ხოლო თავართქილაძეებმა — 500 რუბლი. იმავე წელს მემედ აბაშიძემ ანგისაში გაყიდა 4.2

---

[196] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 133, 178; ასმხფ, ს. 64, ფურც. 69-74.

დესეტინა მიწა, იგი იყიდა იმერელმა თავადმა მ. ჩიკვაიძემ[197].

1898 წ. მანვე 11.6 დესეტინა მიწა, რომელიც სოფელ ანგისაში მდებარეობდა, მიჰყიდა თბილისელ მისეილ ბერიძეს. ნასყიდობის აქტი განახლდა 1900 წ. 5 ივლისს. 1904 წ. ანგისაში 800 რუბლად მიწა მიჰყიდა ესედ-აღა კომახიძეს. ამის თაობაზე მათ შორის დავაც ყოფილა[198].

ზემოჩამოთვლილი მიწის ყიდვა-გაყიდვის საბუთები ძირითადად ეხებოდა მსხვილ და საშუალო მამულებს. ამის გარდა აბაშიძეებმა ქალაქ ბათუმსა და მის შემოგარენში გაყიდეს მიწის წვრილი ნაკვეთები. უმეტესი მათგანი იყო სამოსახლო და საბოსტნე. მაგალითად, 1882 წელს ახმედ აბაშიძემ ქალაქ ბათუმში 200 რუბლად გაყიდა 200 კვადრატული საჟენი მიწა. იგი იყიდა ჩვენთვის უკვე ცნობილმა ვიცე პოლკოვნიკმა იასონ იოსელიანმა[199]. 1894-1898 წლებში აბაშიძეებმა ბათუმში გაყიდეს ათი მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი 2551 კვადრატულ საჟენს აღემატებოდა. კონკრეტულად, 1894 წ. დურსუნ და ისმაილ აბაშიძეებმა ქალაქ ბათუმის მე-4 კვარტალში 1160 კვადრატული საჟენი მიწა მიყიდეს პ. გეგენავასა და ს. სარჯველაძეს. იბრაიმ აბაშიძის ქერიმმა სალიე აბაშიძემ 88.5 კვადრატული საჟენი მიწა მიყიდა პ. მედუსს, რომელმაც გადაიხადა 1215 რუბლი. 1896-1898 წლებში მემედ აბაშიძემ გაყიდა 55

---

[197] აცსა. ფ.ი-81, ან. 1, ს. 5. ფურც. 190, 196, 211, 221, 243, 327;
[198] იქვე. ფ.ი-19, ან. 1, 404, ფურც. 1.
[199] იქვე. ფ.ი-25, ან. 1, ს. 4. ფურც. 92.

კვადრატული საჟენი, ალი აბაშიძემ – 756, ფეხლიმ – 223 კვადრატული საჟენი და სხვა.[200]

მართალია, აბაშიძეებმა ადგილ-მამულების ძირითადი ნაწილი 1879-1898 წლებში გაყიდეს, მაგრამ მიწის წვრილ ნაკვეთებს მასობრივად ასხვისებდნენ მომდევნო პერიოდშიც. ეს აიხსნება რუსეთის სახელმწიფოს მოხელეებსა და აბაშიძეებს შორის პოლიტიკური და საადგილმამულო ბრძოლის გამწვავებით. ალბათ, იმის შიშითაც, რომ ისინი მათ მფლობელობაში არსებულ მიწებს დაკარგავდნენ. 1899-1900 წლებში აბაშიძეებმა გააფორმეს მიწის ნასყიდობის 57 აქტი (სოგიერთი განაახლეს). ამ წლებში ადგილ-მამულებს ძირითადად ასხვისებდნენ ზია და მემედ აბაშიძეები. ზია აბაშიძემ გააფორმა თუ განაახლა მიწის ნასყიდობის 39 აქტი, ხოლო მემედ აბაშიძემ – 18. რამდენიმე აქტი მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ გააფორმა დურსუნ აბაშიძემ (ზია აბაშიძესთან ერთად). 57 ნასყიდობის აქტიდან 31 ეხებოდა ანგისისაში არსებულ ადგილ-მამულებს, ხოლო დანარჩენი-ბათუმში გაყიდულ მიწებს. 1899-1900 წლებში აბაშიძეების მიერ გაყიდული მიწები წვრილი ნაკვეთები იყო, რომელთა ფართობი 55 კვადრატული საჟენიდან 1018 კვადრატულ საჟენამდე აღწევდა. ამ წვრილი ნაკვეთების საერთო ფართობი, ჩვენი გაანგარიშებით 5.9 დესეტინას შეადგენდა. ცხადია, ამაში არ იგულისხმება საშუალო სიდიდის მიწის ნაკვეთები, რომელთა შესახებ ზემოთ აღინიშნა.[201]

---

[200] იქვე, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 11-16, 36, 40, 61, 71, 151, 156, 169. წყაროში ნაჩვენები კვადრატული საჟენები ჩვენს მიერ გადაყვანილია დესეტინებში. ერთი დესეტინა უდრის 2400 კვადრატულ საჟენს.

[201] იქვე

1901 წლიდან აბაშიძეების მიერ ადგილ-მამულების გაყიდვა შემცირდა, რამდენადაც ძირითადი ნაწილი მანამდე გაასხვისეს. 1901-1902 წლებში აბაშიძეებმა გაყიდეს მხოლოდ ექვსი მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი 773 კვადრატულ საჟენს შეადგენდა.[202]

თუ შევაჯამებთ ზემოაღნიშნულ მასალებს, გამოდის, რომ აბაშიძეებმა 1879-1902 წლებში გაყიდეს დაახლოებით 660 დესეტინა ადგილ-მამული. საკითხავია, ამის შემდეგ რა დარჩათ მფლობელობა-სარგებლობაში, როგორ გადანაწილდა საკუთრებაში არსებული მამულები საგვარეულოს ოჯახებს შორის და რომელი კატეგორიის მემამულეებს ეკუთვნოდნენ მიწების გაყიდვისა და კომლობრივი განაწილების შედეგად.

ცხადია, ეს ძალზე მნიშვნელოვანია აბაშიძეების მემამულურ მეურნეობათა დახასიათებისათვის. 1905 წ. ცნობაში, რომელიც რუსეთის მთავრობის შესაბამისი უწყების მოხელეებმა შეადგინეს, მოცემულია კინტრიშისა და გონიოს საპოლიციო უბნების კულტივირებული მიწის ნაკვეთების მფლობელთა სია და მათი მამულების ფართობის მაჩვენებლები. ამის მიხედვით აბაშიძეებს ჰქონდათ, როგორც საერთო სარგებლობის, ისე ერთმანეთისაგან გამიჯნული მიწები. ადგილ-მამულები მდებარეობდა ურეხსა და ანგისაში, სახლ-კარმიდამოები, საბოსტნე და მცირე ოდენობის სახნავი მიწები – ქალაქ ბათუმში. დიდი ოდენობის მამულების გასხვისების მიუხედავად მათ მაინც დარჩათ საკმარისი მიწები. ზია აბაშიძეს, ურეხში ეკუთვნოდა 200 დესეტინა სავარგული. ცხადია, იგი მსხვილ მიწათმფლო-

---

[202] იქვე, ფ. ი-81, ან. 1, ს.5, ფურც. 416-418

ბელად დარჩა. ანგისაში დურსუნ აბაშიძეს ჰქონდა 42.5 დესეტინა სახნავი მიწა, მემედ აბაშიძეს – 38.5, ფევზი აბაშიძეს – 33.4 დესეტინა.

ზემოჩამოთვლილი სამი ოჯახი მიწისმფლობელობის მიხედვით საშუალო კატეგორიის მემამულეებად გვევლინებიან. სოფელ ურეხში აბაშიძეები კოლექტიურად ფლობდნენ 58 დესეტინა სახნავ მიწას.[203] აბაშიძეების მიერ მიწების და სხვა უძრავი ქონების გაყიდვა 1905 წ. შემდეგაც დაფიქსირდა. მაგალითად, 1914 წ. მემედ აბაშიძემ ანგისაში გაყიდა 10400 კვადრატული საჟენი მიწა 5000 რუბლად. იგი მიყიდა ბათუმელ ს. ბესტავაშვილს.[204] 1919 წ. სულეიმან აბაშიძის მეუღლემ ქალაქ ბათუმში 100 კვადრატული საჟენი მიწა შენობებითურთ გაყიდა 14300 რუბლად.[205] აბაშიძეების ქონებრივი დაქვეითების მაჩვენებელია მამულების დაგირავება. მაგალითად, 1901 წ. ფეზლი და ალი აბაშიძეებმა მიწა დააგირავეს 2500 რუბლად ეროვნებით სომეხ ა. აბგარიანზე. 1902 წ. იბრაიმ აბაშიძის ქვრივმა (რწმუნებული იყო მისი შვილი მემედი) 100 რუბლად ორი წლით დააგირავა მიწის ნაკვეთი.[206] ეს ფაქტები გამონაკლისი არ ყოფილა.

აბაშიძეებს ყველა პირობა ჰქონდათ სამეწარმეო საქმიანობისათვის. ადრე ამისათვის მატერიალური და ფინანსური საშუალებები მეტი გააჩნდათ. მაგრამ ეს სფერო მათ არ იზიდავდა. აბაშიძეების მამულები ძირითადად ოჯარით გაიცემოდა. გამოიყენებოდა გრძელვადიანი და მოკლევა-

---

[203] სცსა, ფ. 13, ან. 7, ს. 604, ფურც. 25-26, 37-38.
[204] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 22, ფურც. 261.
[205] იქვე, ს5, ფურც. 428
[206] იქვე, ფურც. 405, 421

დიანი იჯარა. ანაზღაურება ხდებოდა როგორც ნატურით, ისე ფულის სახით. მაგალითად, მემედ აბაშიძემ 1901წ. ანგისაში იჯარით გასცა 625 კვადრატული საუენი მიწა. იჯარა იყო გრძელვადიანი (12 წლიანი). ყოველწლიური საიჯარო გადასახადი იყო 25 რუბლი. იმავე ანგისაში 1452 კვადრატული საუენი სახნავი მიწა თორმეტწლიანი იჯარით მისცეს ვინმე დიმიტრიადს, რომელსაც ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 15 რუბლი, როგორც საიჯარო თანხა.[207]

აბაშიძეების მიერ მიწების იჯარით გაცემას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. ეს იყო მათი შემოსავლის ძირითადი წყარო. 1901წ. აბაშიძეებმა ბათუმში გრძელვადიანი იჯარით მიწა მისცეს ლომინაძის საავჭრო სახლს 600 რუბლად, ყოველწლიური საიჯარო გადასახადი 50 რუბლს შეადგენდა. სალიხ აბაშიძის ქვრივმა აიშემ ანგისაში მდებარე 596 კვადრატული საუენი მიწა იჯარით გასცა ე. ჯორბენაძეს და პ. ზაქარაძეს. გარიგებას ხელს აწერდნენ ფეზლი და ალი აბაშიძეები. ყოველწლიური საიჯარო გადასახადი 30 რუბლს უდრიდა.

1911წ. ფეზლი და ალი აბაშიძეებმა 8 დესეტინა მიწა იჯარით მისცეს ა. რუსიას. საიჯარო ვადა იყო სამი წელი, ხოლო ყოველწლიური გადასახადი 100 რუბლი. 1913წ. მემედ აბაშიძემ მიწები იჯარით გასცა ბესტავაშვილსა და ხატისოვს. 1916წ. ალი აბაშიძემ მიწები იჯარით გასცა ნ. მანჯგალაძეს, ს. შამათავას, ი. გოგმაჩაძეს და ს. ანდღულაძეს. აბაშიძეების მიწებს იჯარით იღებდნენ აგრეთვე სპარსელები და სხვა.[208]

---

[207] აცსა, ფ.ი-81, ან. 1, ს.5, ფურც. 433, 457, 469.
[208] იქვე, ფურც. 433, 434, 462, 464, 466; ს. 22, ფურც. 257.

თავდგირიძეები, რომლებიც თურქთა მფლობელობის დროს მსხვილი მემამულეები იყვნენ, 1878 წ. ოსმალეთში გადასახლდნენ, მაგრამ ამ საგვარეულოს ზოგიერთმა წევრმა მოახერხა აჭარაში გადმოსელა და მიწების გაყიდვას შეუდგა. მათგან აღსანიშნავია მურად, ასლან, რეშიტ, ბეხრი თავდგირიძეები. მაგალითად, 1881 წ. მურად თავდგირიძემ ქობულეთში (ფიჭვნარი) მიწის ექვსი ნაკვეთი, სულ 7 დესეტინა და 1000 კვადრატული საჟენი მიჰყიდა ყურშუმ ჭყონიას 2000 რუბლად. 1882 წ. რეშიტ, დურსუნ, მამუდ და ბეხრი თავდგირიძეებმა იმავე ქობულეთში 6 დესეტინა და 2230 კვადრატული საჟენი ადგილ-მამული მიყიდეს მ. ტახტაჯანიანს, ა. ჯელათოღლის და ნინო გურიელს 2800 რუბლად. ასლან თავდგირიძემ 1892 წელს ნოტარიუსის მეშვეობით საკუთრებაში გაიფორმა 135 დესეტინა და 536 კვადრატული საჟენი მიწა. ამის შემდეგ აღნიშნული ადგილ-მამული მიყიდა შტაბ-კაპიტანს ფ. ათარბეგოვს. [209]

თუ ამ მონაცემებს შევაჯამებთ გამოდის, რომ თავდგირიძეებმა ოსმალეთში გადასახლების შემდეგ მაინც მოახერხეს გაეყიდად 148 დესეტინა და 859 კვადრატული საჟენი მიწა. აღნიშნული ადგილ-მამული კინტრიშის საპოლიციო უბანში მდებარეობდა.

1900 წლისათვის ასლან თავდგირიძე ცოცხალი აღარ იყო. მისი მეუღლე და ვაჟიშვილი ბათუმში ცხოვრობდნენ, როგორც ჩანს, მატერიალურად უჭირდათ. 1900 წ. ასლან თავდგირიძის ვაჟიშვილმა (ხასანი) დედის მეურვეობით ზია-ბეგ აბაშიძისაგან ანგისაში იყიდა 643 კვადრატული საჟენი მიწა, რომელშიც 300 რუბლი გადაუხდია. 1902 წ.

---

[209] აცსა, ფ.ი-25, ან. 1. 1, ს. 9, ფურც. 3-5; ფ.ი-81, ან. 1. ს. 25, ფურც. 81-91.

ხუსეინ-აღა მოლა-ზადე აბაშიძეს ასლან თავდგირიძის ქვრივს (ლუთბიე) ქალაქ ბათუმში მიეყიდა 143 კვადრატული საჟენი მიწა.[210] ასე დასრულდა აჭარაში თავდგირიძეების წარჩინებული საგვარეულოს მიწათმფლობელობის ისტორია.

თავდგირიძეების საგვარეულოს ერთი შტო ხელვაჩაურსა და ქვემო აჭარაში (მახუნცეთი და სხვა) ცხოვრობდა. ოსმალეთში არ გადასახლებულან. მაგრამ ბეგობის წოდებას ფორმალურად ატარებდნენ. 1924 წ. ცნობით სოფლებში ხელვაჩაურსა და კაპანდიბში (ქ. ბათუმის შემოგარენი) თავდგირიძეების 4 ოჯახი აღირიცხა, რომელთა საკუთრებაში ითვლებოდა 32 დესეტინა და 770 კვადრატული საჟენი მიწა.[211]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნების შედეგაც ამ მხარეში მსხვილ მემამულეებად გვევლინებიან ბეჟანიძეები. მათ მამულები და სახლ-კარ-მიდამოები ჰქონდათ ქვემო აჭარაში, ჩაქვის ხეობასა და ბათუმში. XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩაქვის ხეობაში სამი თუ ოთხი ოჯახი ცხოვრობდა. (ფერათის, მემედის, ხემიდის, ხუსეინის). მომდევნო წლებში ოჯახები გაიყო, ამასთან მიწების ერთი ნაწილი გაყიდეს. ცხადია, მათი მიწათმფლობელობაც შემცირდა. XX საუკუნის დასაწყისში ბეჟანიძეები საშუალო მემამულეები იყვნენ.

რუსეთის სახელმწიფოს შესაბამის უწყებათა ოფიციალური ცნობით, 1895 წ. დასაწყისში ჩაქვის ხეობაში ბეჟანიძეებს ეკუთვნოდათ 278.7 დესეტინა ადგილ-მამული. აქედან

---

[210] იქვე, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 381, 428
[211] აცსა, ფ. რ-17, ან. 1, ს. 29ᵃ), ფურც. 7.

გამოსადეგი იყო 157.25 დეს.ეტინა, ტყეს ეკავა 103.8, ხოლო გამოუსადეგრად ითვლებოდა 17.65 დესეტინა.[212]

ბათუმის შემოგარენის სოფლებში (ყარადერე და ბარცხანა) ბეჟანიძეებს ეკუთვნოდათ 14 დესეტინა და 1480 კვადრატული საჟენი მიწა. ქალაქ ბათუმის ერთ-ერთ უბანში (სარიუსი) მათვე ჰქონდათ 12.3 დესეტინა (29440 კვადრატული საჟენი). რუსეთის მთავრობამ 1885 წელს ჩამოართვა აღნიშნული მამული და მხოლოდ 4358 კვადრატული საჟენი დაუტოვეს. ჩამორთმეული მიწიდან რკინიგზის უწყებას გადასცეს 12325 კვადრატული საჟენი (5.1 დესეტინა), დანარჩენი-ქალაქს საზღვაო ნავსადგურის მშენებლობა-გაფართოებისათვის. მაგრამ 1887 წელს ოსმან ბეჟანიძემ ქუთაისის საოკრუგო სასამართლოს გადაწყვეტილებით 12755 კვადრატული საჟენი (5.3 დესეტინა) დაიბრუნა.[213] ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნების პირველ წლებში ბეჟანიძეები ფლობდნენ 305 დესეტინაზე მეტ ადგილ-მამულს. თუ ამ მიწებს 3 ოჯახზე გადავანაწილებთ, ისინი მსხვილი მემამულეების ჯგუფში გადიან. მარტო ჩაქვის ხეობის ადგილ-მამულების მფლობელობისათვის ბეჟანიძეები სახელმწიფოს სასარგებლოდ ყოველწლიურად იხდიდნენ 786 რუბლსა და 68 კაპიკს საღალო გამოსაღებს.[214] ეს იყო ადგილ-მამულების წლიური შემოსავლის ერთი მეათედი. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ჩაქვის მამულის შემოსავალი წლიურად 7873 რუბლს უდრიდა. ბეჟანიძეებმა მიწების გასხვისება დაიწყეს XIX

---

[212] სცსსა, ფ. 351, ან. 1, ს. 16, ფურც. 58.
[213] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 82; ს. 1, ფურც. 31.
[214] სცსსა, ფ. 351, ან. 1, ს. 8, ფურც. 264.

საუკუნის 80-იან წლებში და გაგრძელდა 900-იან წლებამდე. 1880წ. სოფლების ყარადერესა და ბარცხანაში მიწები მიყიდეს კოწია ბაგრატიონ მუხრანსკის.[215]

1888წ. ფერათ ბეჟანიძემ ჩაქვის მამულიდან 10 დესეტინა მიყიდა ე. კოპლატაძეს, ამდენივე ს. ჭელიძეს. 1893 წ. 20 აპრილის გარიგებით ფერათ ბეჟანიძემ სოფელ აჭყვა'ში (ჩაქვის სეობა) გაყიდა 64 დესეტინა და 1900 კვადრატული საჟენი. იმავე წელს სოფელ სახალვა'შოში ოსმან ბეჟანიძემ ვ. დალფონსს მიყიდა 8 დესეტინა და 1800 კვადრატული საჟენი მიწა 1200 რუბლად. 1894 წ. ბეჟანიძეებმა 107.2 დესეტინა ჩაქვის ნაყოფიერი მიწები მიყიდეს რუსეთის საიმპერატორო სახლს 27 ათას რუბლად. ამ ნასყიდობის პირველი აქტი გააფორმეს მემედ ბეჟანიძემ და მისმა შვილებმა (55.2 დესეტინა 14 ათას რუბლად). ნასყიდობის მეორე აქტი გააფორმეს ხუსეინ ბეჟანიძის შვილებმა (52 დესეტინა 13 ათას რუბლად ვერცხლის ფულით). 1896 წ. ხელშეკრულებით ოსმან ხუსეინის ძე ბეჟანიძემ 1.5 დესეტინა მიწა, რომელიც სოფელ სახალვა'შოში მდებარეობდა, მიყიდა ვ. დალფონსს 200 რუბლად ვერცხლის ფულით.[216]

ბეჟანიძეებს, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა მიწისმფლობელებს, საკმარისი პირობები ჰქონდათ სასაქონლო კაპიტალისტური მეწარმეობის განვითარებისათვის, მაგრამ ტრადიციას არ ღალატობდნენ და მოძველებულ წესს ებღაუჭებოდნენ. ისინი მიწებს არამარტო ჰყიდდნენ, არამედ აგირავებდნენ, რამდენადაც ახალ პირობებში ცხოვრება ფულს თხოულობდა. 1895 წ. ფერათ

---

[215] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 82;
[216] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 2, ფურც. 36-37; ს. 6, ფურც. 19-28, 31-38; ფ.ი-25, ან. 1, ს. 9, ფურც. 20-31.

და მემედ ბეჟანიძეებმა ა. ვაკიესაგან ოთხი წლით სესხად აიღეს 9000 რუბლი ვერცხლის ფულით წლიურად 20%-იანი გადასახადით. სანაცვლოდ ვაკიეს გირაოდ მისცეს 197 კვადრატული საჟენი მიწა ქალაქ ბათუმში. ცხადია, ეს ერთეული შემთხვევა არ იყო. ამ გარიგების თავდებში გამოვიდა ს. ჭელიძე, რომელიც ფერათ და ოსმან ბეჟანიძეების რწმუნებული იყო. მაგალითად, 1897 წ. იმავე ს. ჭელიძის თავდებობით ფერათ ბეჟანიძის მცირეწლოვანმა ვაჟიშვილმა ორი წლით დააგირავა სოფელ სახალვაშოში 4 დესეტინა და 1340 კვადრატული საჟენი მიწა 25000 რუბლად.[217]

მამულების დასამუშავებლად ბეჟანიძეები იჯარის ყველა ფორმას იყენებდნენ. და მაინც ძირითადი იყო მონახევრეობა, რაც ყველაზე მეტად გავრცელებული იყო აჭარაში მცირემიწიანობის გამო. ბეჟანიძეებმა, საგვარეულოს წევრებთან შეთანხმებით, მიწების იჯარით გაცემა და საერთო მართვა მიანდეს სულეიმანს. ეს სათანადო აქტითაც გააფორმეს.[218]

წარჩინებულ წოდებას ეკუთვნოდნენ ბიბინეიშვილები, რომლებსაც საცხოვრებელი სახლები ჰქონდათ სოფელ ერგეში და ქალაქ ბათუმში, სოლო საზაფხულო აგარაკიმთა სარი-ჩაირზე. სახლები და სხვა შენობა-ნაგებობანი იჯარით გაუციათ კაპიტალისტ რ. რიხნერზე, რომელსაც ერგეში სპილენძსადნობი ქარხანა გააჩნდა. ბიბინეიშვილებს მამულები ჰქონდათ ერგეში, ხელვაჩაურსა და კახაბერში. ოსმალთა ბატონობის უკანასკნელ დროს მათ 50 დესეტინა

---

[217] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 6, ფურც. 14, 29;
[218] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 6, ფურც. 35-36;

მიწა, რომელიც კახაბერში მდებარეობდა, ერგეს მესეთს შეწირეს. ისინი ამ მესეთის მუთეველად ითვლებოდნენ. ცხადია, ამ მიწების შემოსავალის ნაწილი მათ რჩებოდათ.

XX საუკუნის დასაწყისში ბიბნეიშვილების საგვარეულო შედგებოდა ხუთი ოჯახისაგან (ხუსეინის, სკენდერის, ჰაიდარის, სულიბეგის, რემზის). ბათუმის ოლქში ადგილმამულების სამხედრო-სამოქალაქო მმართველობიდან მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სისტემაში გადაცემისას, ბიბნეიშვილები, როგორც სხვა მემამულეები, შეეცადნენ მიწების საკუთრებაში გაფორმებას. 1896 წ. ხუსეინ ბიბინეიშვილმა ბათუმის ნოტარიუსს საკუთრებაში დაამოწმებინა 11 მიწის ნაკვეთი, სულ 56 დესეტინა. იგი მაშინ 4600 რუბლად შეფასდა.[219] 1905 წ. ცნობით, ბიბინეიშვილებს ერგესა და კახაბერში ეკუთვნოდათ 150 დესეტინა მიწა.[220] 1923 წ. ცნობით, ბიბინეიშვილებს ჰქონდათ 120 მიწის ნაკვეთი, რომლებიც გაფანტული იყო სხვადასხვა ადგილას. თითო ნაკვეთის ფართობი ერთ დესეტინას აღემატებოდა.[221]

ჩაველეიშვილები სამცხე-საათაბაგოს წარჩინებული საგვარეულოს შალიკაშვილების შთამომავლებია. ისინი აჭარაში სამი გვარის სახელითაა წარმოდგენილი (შალიკაშვილები, ჩაველეიშვილები და მელიქიშვილები). ჩაველეიშვილები ცხოვრობენ სოფელ მახუნცეთში და ბათუმის შემოგარენში (ადლია, კახაბერი, სტეფანოვკა). ახმედ ჩაველეიშვილს ადლიაში ეკუთვნოდა 45 დესეტინა და 1510 კვადრატული საჟენი მიწა, მემედს - 23, ყადირსა და დურსუნს -

---

219 აცსა, ფ. ი-25, ან. 1, ს. 9, ფურც. 154-155;
220 1905 წელი. არიკადები ბათუმში (მოგონებათა კრებული). ბათ., 1925, გვ. 87.
221 აცსა, ფ.რ-2, ან. 1, ს. 187, ფურც. 87.

15 დესეტინა და 128 კვადრატული საჟენი, ხოლო შაქირ ჩავლეიშვილს 14 დესეტინა და 1265 კვადრატული საჟენი (სოფელი სტეფანოწმინდა)[222] მათ შორის საშუალო მემამულე იყო ახმედ ჩავლეიშვილი, დანარჩენი სამი ოჯახი წერილ მემამულეთა კატეგორიას ეკუთვნოდა. შალიკაშვილების საგვარეულოს განაყოფის მეორე შტოს ერთ-ერთი ოჯახი, კერძოდ, ოსმან-აღა მელიოღლი (მელიქიშვილი) სოფელ სტეფანოწმინდაში ფლობდა 29 დესეტინა და 877 კვადრატულ საჟენ სახნავ მიწას.[223] ჩავლეიშვილებსა და მელიქიშვილებს ძირითადად სიმინდი მოჰყავდათ, მისდევდნენ მესაქონლეობასა და მებოსტნეობას.

შთამომავლობით პრივილეგიურ წოდებას ეკუთვნოდნენ ქვემო აჭარის ბეგები: სურმანიძეები, წულუკიძეები, შერვაშიძეები, ნაკაშიძეები, ავალიანები და სხვა. თუფან შერვაშიხე დიდხანს მსახურობდა ქვემო აჭარის საპოლიციო უბნის უფროსად და მილიციის მაიორის ჩინს ატარებდა. მართალია, მის წინაპრებს, მამულების ჩამორთმევის სანაცვლოდ, ოსმალეთის მთავრობამ სამემკვიდრეო პენსიები დაუნიშნა, მაგრამ მიწათმფლობელობის მიხედვით არ გამოირჩეოდნენ.

შერვაშიძეების მამულები წერილი ნაკვეთებისაგან შედგებოდა და გაფანტული იყო ქვემო აჭარის რამდენიმე სოფელში. მათგან აღსანიშნავია სოფლები ქედა, ალიქოღლები, ორცევა და სხვა. თუფან შერვაშიძეს სახლ- კარმიდამო და მიწის ნაკვეთი გააჩნდა ქალაქ ბათუმში, რომელიც იყიდა 1896 წელს.[224] საგვარეულო მამულის განაწი-

---

222 იქვე. ფ.-17, ან. 1, ს. 29ა, ფურც. 3, 63-64.
223 იქვე.
224 აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 34-35;

ლების შედეგად შერვაშიძეები წვრილ მემამულეებად ბრძანდებიან.

სურმანიძეებმა თავიანთი პრივილეგიური წოდების დასადასტურებლად 1911წ. განცხადებით მიმართეს კავკასიის მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს. განცხადებას ხელს აწერდნენ მუსტაფ, ბესრი, იუსუფ, ხესეინ, ახმედ და ხემიდ სურმანიძეები. შეიქმნა სპეციალური კომისია ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის რომანოვსკი-რომანკოს მეთაურობით. მოკვლევა ჩაატარა ართვინის ოკრუგის უფროსის თანაშემწემ ნ. ვოიჩეკმა. საკითხის შესწავლის შედეგად 1911 წ. 10 ოქტომბერს შეადგინეს "ნაფიცობის მოკვლევის" ოქმი.[225] ფიცის ქვეშ დაკითხულმა პირებმა დაადასტურეს, რომ სურმანიძეები ნამდვილად ეკუთვნიან თავადაზნაურობის წოდებას. მათი წინაპარი სულეიმან-ფაშა თურქეთის გენერალი და ბათუმის მხარის მმართველი იყო. სურმანიძეებს სახლ-კარმიდამო და ძირითადი მამული ჰქონდათ ქვემო აჭარაში (სოფელი ძენწმანი). აქედან ისინი გადანაწილდნენ ზემო აჭარაში (სოფელი ჭალა) და ბათუმის შემოგარენში (ხელვაჩაური და კახაბერი). 1923 წლისათვის სურმანიძეების საგვარეულოდან სოფელ ძენწმანში სახლობდა ხუთი ძმა. მათი მიწები და სხვა უძრავი ქონება განაწილებული არ იყო. სურმანიძეები მიწისმფლობელობის მიხედვით წვრილ მემამულეებს წარმოადგენდნენ. მაგალითად, ფ. სურმანიძეს, რომელიც ძენწმანში ცხოვრობდა, 1914 წ. ცნობით, საკუთრებაში ჰქონდა 3,5 დესეტინა მიწა.[226]

---

[225] ნაფიცობის მოკვლევის ოქმი გამოაქვეყნა და ქართული თარგმანი მოგვაწოდა პროფესორმა რამაზ სურმანიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.
[226] ასმხფ, ს. 51, ფურც. 127.

დაახლოებით ასეთი იყო დანარჩენი სურმანიძეების ოჯახების მიწათმფლობელობა. რაც შეეხება ჭვანის ხეობის (ზემო აჭარა) სურმანიძეებს, სოფელ ჭალაში, ზემოხევსა და გომარდულში ეკუთვნოდათ 19 აღგილ-მამელი: სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვარი და ტყე.[227] მათი ფართობი ვერ დავადგინეთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭალა, ზემოხევი და გომარდული მცირემიწიანია, ამასთან მიწები პარცელურ ნაკვეთებს შეადგენს, მაშინ გამოდის, რომ სურმანიძეები მიწისმფლობელობით შეძლებული გლეხებისაგან ბევრად არ გამოირჩეოდნენ.

წერილი მემამულეები იყვნენ ნაკაშიძეები (გვარელოლლები), რომლებიც სახლობდნენ ქვემო აჭარაში (სოფლები მილისი და უსხითი). წოდებრიობის დამდგენმა ბათუმის საოლქო კომისიამ 1912 წელს ნაკაშიძეებს მიანიჭა რუსეთის თავადაზნაურის წოდება. 1914 წელს ხუთი ოჯახი აღირიცხა. მართალია, ისინი პრივილეგიურ წოდებას ეკუთვნოდნენ, მაგრამ მიწისმფლობელობის მიხედვით არ გამოირჩეოდნენ. მაგალითად, 1914 წ. მემედ ნაკაშიძეს საკუთრებაში ჰქონდა 5 დესეტინა საეარგული, მურადს – 8,5 დესეტინა, იუსუფს – 6,5, ისაბეგს – 10,5, ხოლო შაქირ ნაკაშიძეს – 12,5 დესეტინა. მთლიანობაში აღებული ხუთ ოჯახს ეკუთვნოდა 43 დესეტინა საეარგული.[228]

XIX საუკუნის 10-იან წლებში მაჭახლის ხეობაში წულუკიძეთა საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი იყო იმერეთის მეფის სოლომონ მეორის სარდალი ბერი წულუკიძე და მისი ძმა გიორგი. ისინი სოლომონ მეორეს

---

227 რ. სურმანიძე, სურმანიძეები. ბათ., 2001, გვ. 67.
228 ასმხფ, ს.51, ფურც. 127, 131; აცსა. ფ.-2, ან. 1, ს. 237, ფურც. 19.

ჯერ ახალციხეში გაჰყვნენ, შემდეგ კი ტრაპიზონში. სოლომონ მეორის გარდაცვალებამდე (გარდაიცვალა 1815 წ.) უკან დაბრუნდნენ და მაჭახლის ხეობაში დასახლდნენ. ასეთი არნეევანი იმით იყო ნაკარნახევი, რომ აღნიშნული ხეობა ძნელად მისაწვდომი იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის. წულუკიძეებმა ბინა დაიდეს სოფელ მაჭახლისპირში, შეიძინეს მიწები, ააგეს საცხოვრებელი სახლები და სხვა შენობა-ნაგებობანი. მათი შთამომავალი სულიბეგ წულუკიძე (მეტსახელად მაჭახლელი) მონაწილეობდა თბილისში გამართულ საზეიმო წვეულებაზე (1878 წ. 20 ნოემბერი) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნების აღსანიშნავად. სულიბეგ წულუკიძე 1881 წ. გარდაიცვალა ოსმალეთში გაურკვეველ ვითარებაში[229]

მაჭახლელი, წულუკიძეები, ალბათ, შენიღბვის მიზნით სხვადასხვა გვარს ატარებდნენ. ადრე ცნობილი იყვნენ კვირიტაძეების სახელით. 1914 წ. ერთ-ერთ ცნობაში მაჭახლისპირის ბეგად დასახელებულია იუსუფბეგ აზაბ-აღაზადე. 1923 წ. მასალებში პირდაპირ ნახსენებია წულუკიძეები, როგორც ბეგები. 1914 წ. ცნობით მაჭახლის ხეობაში მათ ჰქონდათ 69 დესეტინა სავარგული. აქედან იუსუფ წულუკიძეს (აზაბ-აღაზადე) ეკუთვნოდა 20 დესეტინა სავარგული, დევრიშბეგს - 10, რიზაბეგს – 5, ოსმანბეგს – 10, რიფეთბეგს – 9, ხოლო იზეთბეგს – 7 დესეტინა სავარგული. 1923წ. ცნობით ხელვაჩაურში წულუკიძეებს ჰქონდათ 21.8 დესეტინა მიწა, ხოლო სოფელ გონიოში 3.5

229 ი. წულუკიძე. ვინ იყო სულიბეგ მაჭახლელი? გაზ. აღორძინება, 25 თებერვალი, 1997.

დესეტინა.[230] ამრიგად, აჭარის გასაბრჭოების წინ წულუკიძეებს მაჭახლის ხეობაში, ხელვაჩაურში, კახაბერსა და გონიოში, ერთად აღებული, ჰქონდათ დაახლოებით 94.5 დესეტინა სავარგული. ცხადია, ისინი წვრილი მემამულეების კატეგორიაში გადიოდნენ. მართალია, ჯაყელები, შავშეთ-იმერხეველი ხიმშიაშვილები პრივილეგიურ წოდებას ეკუთვნოდნენ, მაგრამ მიწათმფლობელობის მიხედვით შეძლებული გლეხებისაგან ნაკლებად გამოირჩეოდნენ.

აჭარელი ავალიანები ადგილობრივი მნიშვნელობის ბეგის წოდებას ატარებდნენ. ეს წოდება მათ მიანიჭა ბათუმის საოლქო წოდებრივმა კომისიამ 1912 წელს. ავალიანების საგვარეულოს წევრები თვლიან, რომ ისინი სვანური წარმომავლობისანი არიან. ქვემო აჭარაში დასახლებულან XVII საუკუნის 30-იან წლებში. ავალიანები სახლობდნენ ქედის რაიონის დანდალოს საკრებულოს სამ სოფელში (გოგიაშვილები, ჟანივრი, ტაკიძეები). საგვარეულოს ერთერთი წევრი დანდალოდან ზესჯფელში ჩასახლებულა. მათი მიწათმფლობელობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია. არაპირდაპირი მონაცემებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ავალიანები წვრილი მემამულეები იყვნენ.

1917 წლის ცნობით, დანდალოს სასოფლო საზოგადოების ტერიტორიაზე 118 კომლი (713 სული) აღირიცხა. მათ ფლობელობაში იყო 379 დესეტინა და 255 კვადრატული საჟენი სავარგული. ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 3,2 დესეტინა.[231] მაშინ ქვემო აჭარაში ავალიანების 10-მდე ოჯახი სახლობდა. მართალია, მათ გლეხებთან შედარებით

---

[230] აცსა, ფ.რ -2, ან. 1, ს. 237, ფურც. 2-3; ფ.რ-17, ან.1, ს. 29ᲐᲑ, ფურც. 6; ასმხფ. ს. 51, ფურც. 133.
[231] აცსა, ფ.ი-81, ან. 1, ს. 203, ფურც. 37-41; ასმხფ, ს. 216, ფურც. 20.

მეტი მამული ჰქონდათ, მაგრამ მაინც წვრილმემამულეთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ.

ზოგიერთ მემამულეს (აღა) ბეგებზე მეტი მიწა ჰქონდა. მაგალითად, მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ ხუცუბნელი (კინტრიშის საპოლიციო უბანი) ძმები ოსმან და ხასან ნაკაიძეები. 1893წ. ქუთაისის ნოტარიუსმა მათ საკუთრებაში გაუფორმა 309 დესეტინა და 411 კვადრატული საჟენი ადგილ-მამული. აღნიშნული მიწები მდებარეობდა ხუცუბანში ქობულეთსა და ფიჭვნარში.[232]

ოსმან და ხასან ნაკაიძეები ხუცუბანში მფლობდნენ 265 დესეტინა სავარგულს. ძმებმა ნაკაიძეებმა ხუცუბნის მიწებიდან იმერეთის (შოროპანი) თავადს არჩილ აბაშიძეს მიყიდეს 88 დესეტინა, ნური ჯიჯავაძესა და მემედ მუავანაძეს — 8, ხოლო მ. ასამბაძეს — 1,5 დესეტინა.[233]

შემდგომში არჩილ აბაშიძემ ნაკაიძეების მიწები ხუცუბანში მთლიანად შეძინა. 1905 წ. ცნობით, არჩილ აბაშიძეს სოფელ ხუცუბანში ეკუთვნოდა 265 დესეტინა სავარგული.[234] ცხადია, იგი მსხვილი მემამულე იყო. პრივილეგირებული წოდებიდან საშუალო მიწისმფლობელი იყო ხუსეინ ბაკურიძე (ყარა-აღა ზადე). მან 1894 წ. საკუთრებაში გაიფორმა 56 დესეტინა მიწა, რომელიც გონიოს საპოლიციო უბნის კახაბრის დაბლობში მდებარეობდა[235] ხ. ბაკურიძის საშუალო კატეგორიის მიწისმფლობელობას ისიც მოწმობს, რომ იგი წლების განმავლობაში არჩეული იყო ქ. ბათუმის სათათბიროს წევრად. ასევე საშუალო მიწისმფლობელი

---

232 აცსა, ფ.ი-25, ან. 1, ს. 25, ფურც. 53-54;
233 იქვე, ფ.ი-24, ან. 1, ს. 6, ფურც. 9-10;
234 სცსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 40-41.
235 აცსა, ფ.ი-25, ან. 1, ს. 9, ფურც. 62-63;

იყო ომერ-აღა მემედ ზადე (უსტიაშვილი), რომელსაც საკუთრებაში ჰქონდა 31 დესეტინა სავარგული. აქედან 20 დესეტინა მდებარეობდა კახაბრის ველზე, ხოლო 11 დესეტინაზე მეტი სოფელ ორთაბათუმში.[236] ომერ-აღა მემედ ზადე წლების განმავლობაში არჩეული იყო ქ. ბათუმის სათათბიროს წევრად.

საშუალო მიწისმფლობელი იყო ხუსეინ შერიფ-აღა-ზადე (ჯინჭარაძე). იგი ქ. ბათუმში ცხოვრობდა, ხოლო მიწები ჰქონდა ქალაქის შემოგარენის სოფლებში. ხუსეინ ჯინჭარაძეს საკუთრებაში ჰქონდა 96 დესეტინა ადგილმამული, რომელიც 13 ნაკვეთისაგან შედგებოდა. ამ მიწებზე ედავებოდა ახმედ-აღა ქიქავა. 1902 წ. 9 აგვისტოს ბათუმის მომრიგებელმა მოსამართლემ სადავო ადგილმამული ხუსინ შერიფ-აღა-ზადეს დაუბრუნა. განაჩენის სამართლიანობა ახმედ ქიქავამაც აღიარა და მოხსნა პრეტენზიები.[237] ანტონ ბედია სოფელ სახალვაშოში (კინტრიშის საპოლიციო უბანი) ფლობდა 35 დესეტინა ადგილმამულს.[238]

პრივილეგიური წოდებიდან წვრილ მიწათმფლობელებად გვევლინებიან ქიქავები, ფაღავები, ახულედიანები (კირისილოღლები), მიქელაძეები (თოფალოღ-ლები), მახარაძეები (ისმაილ ბაშა-აღა-ზადე), ვარშალომიძეები, ჯაფარიძეები, მარშანიები და სხვები. ბათუმის ნოტარიუსის 1893 წ. 11 მარტის ჩანაწერის მიხედვით, ორთაბათუმელმა ფატმა ქიქავამ 52 დესეტინა და 480 კვადრატული საჟენი ადგილ-

---

236 აცსა. ფ. ი-81, ან. 1, ს. 5, ფურც. 24; 1905 წელი. ბარიკადები ბათუმში (მოგონებათა კრებული). ბათ., 1925, გვ. 87.
237 ქუთაისის ცსსა. ფ. 12, ან. 1, ს. 153, ფურც. 115-116.
238 სცსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 39-40.

მამული გაიფორმა, მერჯან-აღა მარშანიამ 17 დესეტინა და 100 კვადრატული საჟენი, მ. კლავდიამ-17 დესეტინა და 1300 კვადრატული საჟენი. ისმაილ ბაშა-აღაზადე (მახარაძე) მახინჯაურსა და მწვანე კონცხზე ფლობდა 17.7 დესეტინა ადგილ-მამულს.[239] ისინი მიწებს, როგორც სხვები, საკუთარი შრომით ამუშავებდნენ, ნაწილს კი საიჯარო ქირაზე აძლევდნენ. მაგალითად, არჩილ აბაშიძემ 1903წ. მიწა იჯარით გასცა ა. რუხაძეს. ვფიქრობთ, მოყვანილი მასალები საკმარისია მემამულე-თავადაზნაურების მიწათმფლობელობის დახასიათებისათვის.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რელიგიურ დაწესებულებებს – ეკლესია-მონასტრებსა და მეჩეთებს მცირე მოცულობის მიწები ჰქოდათ. ოსმალთა ბატონობის დროს რელიგიურ დაწესებულებათა მიწები ხელშეუვალი იყო. რუსეთმა ეს წესები მემკვიდრეობით მიიღო. პოლიტიკური მოსაზრების გამო ცარიზმის ხელისუფლება მათდამი სიფრთხილეს იჩენდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის გამუსლიმანების შედეგად ამ მხარის ყველა დიდ დასახლებაში მეჩეთები ააგეს. მაგრამ მიწები მათ მცირე ნაწილს გააჩნდა. ა. ფრენკელი წერდა: მეჩეთები მხარეში ბევრია. იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც მეჩეთი არ იყოს. სასულიერო წოდება შემოწირულობებზეა დამოკიდებულიო.[240] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისას ბათუმში იყო სამი მეჩეთი და ერთი ქრისტიანული ეკლესია (ბერძნების, წმინდა ნიკოლოზის სახელობის).

---

[239] აცსა, ფ.ი-25, ან. 1, ს. 9, ფურც. 32-33; ფ.ი-81, ან. 1, ს. 2, ფურც. 24-26; ს. 5, ფურც. 433; სცსსა. ფ.13, ან. 10, ს. 604, ფურც. 30-34.

[240] Френкель А. Очерки Гуруксу и Батума, Тиф., 1879, ыю 62.

ეკლესია-მონასტრებისა და მეჩეთების მშენებლობა რუსეთის მფლობელობის დროსაც მიმდინარეობდა, მაგრამ მიწების შეწირვის ფაქტი აღარ დაფიქსირებულა. ქრისტიანული რელიგიიდან პატარა მოცულობის მიწები ჰქონდათ სომხურ- კათოლიკურ ეკლესიებს ართვინის ოკრუგში. 1889 წ. ამ მხარეში 7 ეკლესიასა და ერთ გზას (ტანსოტის ეკლესიასთან არსებული) საკუთრებაში ჰქონდა 7.3 დესეტინა მამული. მათ შორის დაბა ართვინის სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას გააჩნდა 0.5 დესეტინა, არტანუჯის სადაბო ეკლესიას — 0.4 დესეტინა. გარდა ამისა, 5 სასოფლო სომხურ-კათოლიკური ეკლესიიდან უნუსხევისას გააჩნდა 1.1 დესეტინა, ტანსოტის — 1.5, კლარჯეთისას — 0.3 დესეტინა. შავშეთის მხარეში სათლელ-რაბათის სომხურ-კათოლიკური ეკლესია ფლობდა 3.8 დესეტინას და სხვა.[241]

სომხურ-კათოლიკური ეკლესიების არსებობის მთავარ წყაროს შეადგენდა საიჯარო შემოსავალი. იგი არაერთგვაროვანი იყო. შედარებით მეტ შემოსავალს იღებდნენ ის ეკლესიები, ვისაც ხეხილის ბაღები და სავაჭრო დუქნები ჰქონდათ. მაგალითად, არტანუჯის სადაბო სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას, გარდა სახნავი მიწისა, გააჩნდა ორი ქვის ფურნე, რამდენიმე სახლი, რომელსაც სასტუმროდ იყენებდა. მისი საერთო წლიური შემოსავალი 142 რუბლს უდრიდა. სათლელ- რაბათის ეკლესიის მიწის საიჯარო შემოსავალი 52 რუბლს შეადგენდა, ხოლო ტანსოტის ეკლესიისა — 15 რუბლს. არტანუჯის მეორე სომხურ-კათოლიკური ეკლესიის მიწის იჯარის ყოველწლიური შემოსა-

---

[241] აკსა, ფ.ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 39-47; წყაროში ფართობი მოცემულია დონუმებში, რაც ჩვენს მიერ გადაყვანილია დესეტინებში. ერთი დონუმი უდრის 177 კვადრატულ საჟენს.

ვალი მხოლოდ 4 რუბლს ითვლიდა. ამრიგად, ქრისტიანულ ეკლესიებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცირე მოცულობის მამულები გააჩნდათ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საგრძნობლად განვითარდა მუსლიმანური სასულიერო დაწესებულებების მიწათმფლობელობა. მართალია, რუსეთმა იგი მემკვიდრეობით მიიღო ოსმალეთისაგან, მაგრამ ცარიზმის ხელისუფლებას არ აწყობდა სავაყუფო მიწათმფლობელობის შენარჩუნება. რუსეთის მაღალი რანგის სახემწიფო მოხელეები თვლიდენ, რომ "ვაყიფი სახემწიფოა სახელმწიფოში". მათი აზრით, მუსლიმანური სასულიერო წოდება ყველაზე საშიშია რუსეთის ხელისუფ-ლების განმტკიცებისათვის შემოერთებულ მხარეში. რუსეთის სახელმწიფოს მაღალი ჩინის მოხელეები მოითხივდნენ სავაყოფო მიწათმფლობელობის გაუქმებას. მათი შეხედულებით ქალაქებში სავაყუფო მიწები უნდა გამოესყიდა საქალაქო თვითმმართველობას, სოლო სოფლად - სახელმწიფო ხაზინას.[242]

ამასთან რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლება სიფრთხილეს იჩენდა სავაყუფო მიწათმფლობელობისადმი. საკითხის მოწესრიგებას უკავშირებდა საადგილმამულო პრობლემების საერთო საკანონმდებლო კონტექსტში გადაწყვეტას. საადგილმამულო საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტა კი წლობით გაიწელა და ფაქტობრივად რუსეთის მფლობელობის დროს გადაუჭრელი დარჩა. ერთ-ერთი ღონისძიება, რაც მთავრობამ განახორციელა, ის იყო, რომ ხულოს მეჩეთის სავაყუფო სოფლები (ღორჯომი, ალმე, დიდაჭარა, პაქსაძეები) ხიმშიაშვილებს ჩამოართვა და

---

[242] აცსა, ფ. ი-81, ან. I, ს. 25, ფურც. 114-116;

სახსინო საკუთრებაში გადაიყვანა. ასევე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნებისთანავე რუსეთის სახელმწიფოს საკუთრებაში მოექცა შავშეთ-იმეხევის სავაყუფო სოფლები (დაბა, სენდაბა, ახალდაბა, ხანთუმეთი, ვერხუნალი), რომლებიც შეწირული იყო ერსერუმის ლალა-ფაშას მეჩეთზე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დანარჩენმა მეჩეთოებმა (აზიზიეს მეჩეთის გამოკლებით) შეინარჩუნეს ოსმალთადროინდელი მიწათმფლობელობა. XIX საუკუნის 90-იან წლებში ბათუმის ოლქში 107 სავაყუფო მამული აღირიცხა. აქედან კინტრიშის უბანში იყო 21, გონიოს უბანში — 11, ხოლო ქალაქ ბათუმში-3 ვაყუფი. ართვინის ოკრუგში ფარსებული 72 სავაყუფო მამულიდან ამავე დასახელების საპოლიციო უბანში ითვლებოდა 37, არტანუჯის — 24, ხოლო შავშეთ-იმეხევის საპოლიციო უბანში — 11 ვაყიფი. ამთლიანად ბათუმის ოლქში სავაყუფო მიწების საერთო ფართობი 144,2 დესეტინას შეადგენდა. აქედან ბათუმის ოკრუგზე მოდიოდა 84,6 დესეტინა, ხოლო ართვინის ოკრუგზე — 59,6 დესეტინა.[243]

სავაყუფო მიწების უმრავლესობა პატარა მოცულობისა იყო მათი დაჯგუფება ფართობის სიდიდის მიხედვით მოცემულია მე-6 ცხრილში.[244]

---

[243] სცსსა, ფ. 13, ან. 10, ს. 2026, ფურც. 49-51. სავაყუფო ადგილ-მამულების საერთო რაოდენობიდან 13 ერთეული შეწირული იყო წყალსადენებზე, გზებზე, ხიდებზე, წისქვილებზე, რომელთა საერთო ფართობი 10.7 დესტენას შეადგენდა. ამ სახის ვაყუფებს მეჩეთები მართავდნენ (აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 39-49).
[244] ცხრილი შედგენილია: სცსსა. ფ. ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 39-49.

ცხრილი 6

ფართობის სიდიდე	ბათუმის ოკრუგი		ართვინის ოკრუგი			სულ ბათუმის ოლქში
	ჭინჭრიშის უბანი	ბონიოს უბანი	ართვინის უბანი	არტანუჯის უბანი	ჩაგშეთ-იმერხევი უბანი	
ერთ დესეტინამდე	13	4	23	10	6	56
1-დან 3 დესეტინამდე	4	2	13	12	5	36
3-დან 5 დესეტინამდე	2	1	1	1	—	5
5-დან 10 დესეტინამდე	3	-	--	1	—	4
ათ დესეტინაზე მეტი	1	4	—	—	--	5

როგორც ვხედავთ, სავაყუფო მიწების ნახევარზე მეტი წვრილი მამულებია (დესეტინაზე ნაკლები). ერთიდან სამ დესეტინამდე მიწები საერთო სავაყუფო მიწათმფლობელობის ერთ მესამედს შეადგენდა. მაროალია, შედარებით მსხვილი სავაყუფო მამულები რაოდენობრივად მცირე იყო, მაგრამ მათზე მოდიოდა ბათუმის ოლქის სავაყუფო მიწების დიდი ნაწილი.

ბათუმის ოლქში მსხვილი სავაყეფო მამული ჰქონდა ერგეს მეჩეთს, რომელიც ბიბინეიშვილებმა ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს შეწირეს. მამული მდებარეობდა კახაბრის ველზე და შეადგენდა 50 დესეტინას.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ერგეს ვაყუფის მმართველი იყო დურსუნ ბიბინეიშვილი, რომელიც შემოსავლის ნაწილს მეჩეთს ახმარდა. ერგეს მეჩეთის საგაყუფო მამული კი მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდა. 1879-1880 წლებში ერგეს მეჩეთის საგაყუფო მამულის შემოსავალი 80 რუბლს შეადგენდა. 1881-1883 წლების თითოეულ წელს 150 რუბლი შეადგინა. მომდევნო წლებში შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 1884წ. მიღებულია 200 რუბლი, 1885 წ. – 300, 1886 წ. – 400, 1887 წ. – 450, ხოლო 1888 წ. – 500 რუბლი. 1905 წ. ცნობით, ერგეს მეჩეთის მამული 52 დესეტინასა და 270 კვადრატულ საჟენს უდრიდა.[245]

ანალოგიური ვითარება იყო სხვა წლებშიც. მაგალითად, 1896 წ. ერგეს მეჩეთის კახაბრის მამულიდან მიღებულია 500 რუბლი. ვაყუფის მმართველმა დურსუნ ბიბინეიშვილმა ამ თანხიდან 250 რუბლი მეჩეთს მოახმარა.[246] ცხადია, დანარჩენი თანხა მას რჩებოდა. მეორე შედარებით მსხვილი საგაყუფო მამული ქ. ბათუმში მდებარეობდა, რომელიც აზიზიეს მეჩეთს ეკუთვნოდა. იგი დაარსდა ოსმალეთის სულთან აბდულ აზიზიეს ბრძანებით და ამიტომაც ეწოდა მისი სახელი. მეჩეთი მომსახურებას უწევდა ბათუმში დისლოცირებულ ოსმალეთის გარნიზონს. აზიზიეს მეჩეთს საკუთრებაში გადაეცა ერაზი-მირიეს მიწები, სულ 15 დესეტინა (36000 კვადრატული საჟენი). ეს მიწები გაფანტული იყო ქალაქის ტერიტორიაზე და შედგებოდა 268 ნაკვეთისაგან.[247]

---

245 სცსსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 42; აცსა. .ი-81, ან. 1, ს.25, ფურც. 95.
246 Черноморский вестник, 1897, 14 Июня.
247 აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 162, ფურც. 2;

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ აზიზიეს მეჩეთის არსებობას აზრი აღარ ჰქონდა. დაისვა საკითხი მისი ქრისტიანულ ეკლესიად გადაკეთების შესახებ. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას მწარე გამოცდილება ჰქონდა, როდესაც ქ. ყარსში მეჩეთი მართლმადიდებელ ბერძნულ ეკლესიად გადააკეთეს. მოსალოდნელი იყო ამ ღონისძიებას ახალი მღელვარება გამოეწვია აჭარაშიც. ამიტომ წინადადება აზიზიეს მეჩეთის ქრისტიანულ მართლმადიდებელ ეკლესიად გარდაქმნის შესახებ მაშინათვე უარყვეს.

რუსეთის მფლობელობის დროს აზიზიეს მეჩეთი ფინანსურად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ოსმალეთის ბატონობის დროს მეჩეთის მამულებს სახელმწიფო ადმინისტრაციული სამასხური მართავდა. სახელმწიფო მოხელეები თვითონ კრეფდენ საიჯარო თანხას. ეს თანხა შეჰქონდათ ხაზინის სალაროში. ხაზინა კი მეჩეთის მომსახურე პერსონალს ჯამაგირს აძლევდა. ბათუმის დაბრუნების შემდეგ ვითარება შეიცვალა. ქალაქი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და აზიზიეს მეჩეთის მიწების ნაწილი ბათუმის ფარგლებში მოექცა. მეორე ნაწილი კი კერძო პირების ხელში აღმოჩნდა. მეჩეთის მიწები ხელიდან ხელში გადადიოდა და მიწის გამოსაღების ამოღება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

ასეთ პირობებში 1885 წლიდან ბათუმის საქალაქო ბიუჯეტიდან აზიზიეს მეჩეთს ყოველწლიურად ეძლეოდა 612 რუბლი. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მეჩეთს ამ თანხის გაცემა გაჭიანურდა. 1890 წ. 4 დეკემბერს აზიზიეს მეჩეთის

ყალი და მუთაველი მ. ვერძაძე ბათუმის საქალაქო გამგეობას სთხოვდა საჭირო თანხის გამოყოფას.[248]
1910წ. ბოლოს, ბათუმის ტერიტორიის გაფართოების შედეგად, ახიზიეს მეჩეთის მიწები თითქმის ორჯერ, 8.9 დესეტინამდე შემცირდა.[249]

მოიჯარადრეები კი გადასახადის გადახდას კვლავ თავს აარიდებდნენ. სასულიერო წოდების თხოვნა-ჩივილის გამო ახიზიეს მეჩეთის მიწათმფლობელობის საკითხი რამდენჯერმე განიხილა ქუთაისის საოკრუგო სასამართლომ, „კავკასიის სამეფისნაცვლომ, პეტერბურგის სახელმწიფო სენატმა. ამ საკითხზე მთავრობის სპეციალური კომისია წლების განმავლობაში მუშაობდა. 1910-1912წლებში კომისიამ რამდენიმე სხდომა გამართა. კომისიის ერთ-ერთ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბათუმის საქალაქო გამგეობამ უნდა აღუდგინოს მეჩეთს ყოველთვიური გასამჯელო 612 რუბლი, რაც 1885-1888 წლებში ეძლეოდა.[250]

ბათუმის "ახმედიესა" და "მუფტიეს" მეჩეთების მიწათმფლობელობა თითქმის უცვლელი დარჩა. ქალაქ ბათუმის "მუფთიეს" მეჩეთის მიწები 3.2 დესეტინას შეადგენდა[251]. "ახმედიეს" მეჩეთს 0.4 დესეტინაზე მეტი მამული გააჩნდა სოფელ შუაგორაში (ართვინის საპოლიციო უბანი). მეჩეთი აღნიშნულ მამულს იჯარით აძლევდა იმავე სოფლის მოსახლეობას[252]. მამულების დამუშავების ამ ფორმას თითქმის ყველა მეჩეთი იყენებდა. სამწუხაროდ, კონკრეტუ-

---

[248] იქვე. ს. 25, ფურც. 226;
[249] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 409, ფურც. 10-11.
[250] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 162, ფურც. 75.
[251] სცსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 43.
[252] აცსა. ფ. ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 40.

ლი მასალები ნაკლებადაა შემონახული. 1917წ ბათუმის "მუფტიეს" მეჩეთმა ერთწლიანი იჯარით გასცა მიწის ნაკვეთი ეროვნებით სომეხ მოიჯარადრეს. საიჯარო გადასახადი 13 რუბლს უდრიდა[253].

კინტრიშის საპოლიციო უბანში არსებული ვაყუფებიდან აღსანიშნავია ლეღვას, სოფელ ქობულეთისა და დაგვის მეჩეთების მამულები. პირველს ეკუთვნო-და 10 დესეტინა, მეორეს-8, სოლო მესამეს – 7 დესეტინა.[254] აღნიშნულ მეჩეთებს სახნავთან ერთად ხეხილიც ჰქონდათ და შემოსავალსაც მეტს იღებდნენ. გონიოს საპოლიციო უბნის სოფელ ქვედამურჯიდის მეჩეთის მამული 37 დესეტინასა და 1580 კვადრატულ საჟენს შეადგენდა, სიმონეთისა-38 დესეტინასა და 114 კვადრატულ საჟენს. როგორც წესი, მათი მიწები იჯარით გაიცემოდა, სოლო აქედან მიღებულ შემოსავალს მეჩეთი მოიხმარდა. ართვინის ოკრუგში გამოირჩეოდა დაბა არტანუჯის მეჩეთის მამული, რომელიც 7.2 დესეტინას შეადგენდა. მეჩეთს მიწები ჰქონდა სოფლებში: კავთა, ბაცა, უნუსხეეი, მეცეკერა, მუქთი და ბიდმაში. მეჩეთს ეკუთვნოდა ხეხილის ბაღი, წისქვილი და ტყავის ქარსანა. მათი ყოველწლიური შემოსავალი 232 რუბლს უდრიდა.[255]

ამრიგად, რუსეთის მმართველობის დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მემამულე-თავადაზნაურობამ სოციალურ-ეკონომიკური დეგრადაცია განიცადა. ცარიზმის მიერ მათი მესაკუთრული უფლებებისა და ფაქტობრივი

---

253 ასმხფ, ს. 47, ფურც. 1.

254 სცსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 42-43; აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 39-46.

255 სცსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 42-43; აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 25, ფურც. 39-46.

მიწათმფლობელობის იგნორირებით პრივილეგიურ წოდებაში წარმოიშვა ფსიქოლოგიური შიში, რომ ისინი მამულს დაკარგავდნენ. ამ ფაქტორმაც რამდენადმე განაპირობა მიწების მასობრივი გაყიდვა. ამის შედეგად შემცირდა აქაური მემამულე-თავადაზნაურების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა. ისინი ვერ აღმოჩნდნენ სასქონლო-ფულადი ურთიერთობის მოთხოვნათა დონეზე და დარჩნენ ძველი, დრომოჭმული ცხოვრების ტყვეობაში. რელიგიურ დაწესებულებათა მიწათმფლობელობის ფორმები თითქმის უცვლელი დარჩა. ნაწილობრივი ცვლილებები, რომლებიც ბათუმის აზიზიეს მეჩეთს შეეხო, ვითარებას ვერ ცვლიდა.

3. მიწის კაპიტალიზაცია და მიწისმფლობელთა ახალი ფენები

სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში მიწას განსაკუთრებული ფასი დაედო. იგი კაპიტალად იქცა და სასაქონლო მიმოქცევაში მოექცა. XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ბათუმის ოლქის ზღვისპირეთში ერთი დესეტინა მიწა ღირდა 1200 რუბლი, ზღვიდან მოშორებით — 900 რუბლი. გაზ. „ჩერნომორსკის ვესტნიკის ცნობით, ადრე დესეტინა მიწა იყიდებოდა 80 რუბლიდან 150 რუბლამდე. იშვიათად 200 რუბლად. 1905 წ. ცნობით, ბათუმის ოლქში ერთი დესეტინა მიწის ფასი 1000-1200

რუბლს უდრიდა.[256] ეს იყო გლობალური პროცესი. საქართველოში მიწის კაპიტალიზაცია დაჩქარდა საგლეხო რეფორმის შემდეგ. აჭარაში ამ პროცესის თავისებურება ის იყო, რომ მიწის კაპიტალიზაციამ კიდე უფრო დიდი მაშტაბი შეიძინა და ქართველობას ახალი ტკივილი გაუჩინა ნაყოფიერი ადგილ-მამულები უცხოელთა ხელში ექცეოდა. ისინი კაპიტალს არ იშურებდნენ მიწების შესაძენად და ამ მიწებზე ახალი ტიპის მეურნეობებს აწყობდნენ.

მიწის ყიდვა-გაყიდვა ბათუმის ოლქში ამ მხარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისთანავე დაიწყო. მიწებს ჰყიდნენ აქაური მემამულე-თავადაზნაურები, უცხოეთში გადასახლებული ქართველები, რომლებმაც ბედისანანბარად მიატოვეს თავიანთი ოჯახები. მყიდველებად მოგვევლინენ უცხოელი ბიზნესმენები, სახელმწიფო მოხელეები, თადარიგში მყოფი მაღალი ჩინის სამხედროები. მრავალმა მათგანმა მიწა სპეკულაციის ობიექტად აქცია. იაფად შეძენილ მამულებს მაღალ ფასებში ჰყიდნენ და ამ გზით კაპიტალს აგროვებდნენ. უცხოელთა მეორე ნაწილმა აჭარაში შეძენილი მიწები საიჯარო სფეროში მოაქცია და ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროდ აქცია. არაქართველები საქართველოს ამ ძირძველ მხარეში ფუძეს იდებდნენ, რითაც ავიწროებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიწათმფლობელობას, ცვლიდნენ დემოგრაფიულ ვითარებას.

აჭარაში მიწის კაპიტალიზაცია ყველაზე მეტად გაერცელდა ზღვისპირეთში, ჩოლოქიდან სარფამდე. ამ ზოლში ძირითადად იყიდებოდა მსხვილი სავარგულები, ხოლო

---

[256] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 1388, ფურც. 23; Черноморский вестник, 18 января, 1897.

ქ. ბათუმში პატარა მოცულობის მიწები, რომლებსაც სამრეწველო და სავაჭრო ობიექტების ასაგებად, სამოსახლოდ და საბოსტნედ იყენებდნენ. XIX საუკუნის 80-იან წლებში ქ. ბათუმის ნოტარიუსმა 300-ზე მეტი საბუთი გააფორმა მიწის ნასყიდობის შესახებ. უმეტესი მათგანი ქ. ბათუმის მიწებს ეხებოდა.[257] მაგალითად, ინჟინერ-ტექნოლოგმა ალექსანდრე პავლეს ძე ბახმეტიევმა 1881-1883 წლებში ქ. ბათუმში იყიდა 9 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი 8611 კვადრატულ საჟენს (3.6 დესეტინა) შეადგენდა. სულ გადაიხადა 2700 რუბლი. კაპიტალისტმა ანდრეი ანდრეის ძე ბუნგემ შეიძინა 11 მიწის ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი კი 16090 კვადრატულ საჟენს (6.7 დესეტინა) უდრიდა. მიწის ნასყიდობის საერთო თანხა 8205 რუბლსა და 50 კაპიკს შეადგენდა[258].

ვაჭარმა სოლომონ სიმონისძე საბაშვილმა 1881-1882 წლებში ქ. ბათუმში იყიდა მიწის ოთხი ნაკვეთი, სულ 639 კვადრატული საჟენი, რომელშიც გადაიხადა 530 რუბლი. მანვე 1889წ. 200 რუბლად შეიძინა 168 კვადრატული საჟენი მიწა. მთლიანად აღებული 1881-1889 წლებში 730 რუბლად შეიძინა 807 კვადრატული საჟენი მიწა. ეროვნებით სომეხმა მიკირტუმ ტერ-ასატუროვმა 1881წ. ქ. ბათუმში მიწის ნასყიდობაზე 7 ხელშეკრულება გააფორმა, 509 კვადრატულ საჟენ მიწაზე 2510 რუბლი გადაიხადა.[259] ასეთი ფაქტები მრავლად იყო.

ქ.ბათუმში მიწის მყიდველებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია სომხებმა, ბერძნებმა და სხვა არაქართველებმა. მათგან

---

[257] აცსა, ფ. ი–25, ან. 1, სს. 2, 3, 4, 6.
[258] აცსა, ფ. ი–25, ს. 3, ფურც. 26–44, 73–81; ს. 6, ფურც. 1–2
[259] იქვე. ს. 2, ფურც. 81; ს. 3, ფურც. 54-59, ს. 7, ფურც. 58.

გამოირჩეოდნენ ნ. პუჩინიანი, ი. საგოიანი, გ. მავრიპულო, მ. დიმიტრიადი და სხვები. ქალაქად უძრავი ქონების შეძენაზე რუსეთის ხაზინაც იყო დაინტერესებული. 1882წ. მან შეისყიდა „სტატსკი სოვეტნიკის“ პეტრე ლეონისძე ჯიუდიხის სახლკარმიდამო და 800 კვადრატული საჟენი მიწა, რომელშიც გადაიხადა 50 ათასი რუბლი[260].

XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩაქვის ხეობასა და ბათუმის შემოგარენში მსხვილი მამულები შეიძინეს მოახალშენეებმა დალფონსმა, ნესტოროვმა, სოლოვცოვმა, ოლინსკიმ, ზურაბოვმა, ლევაშევმა, სტოიანოვმა, მაცოკმა, გესელმა და სხვებმა. 1878-1888 წლებში 43 პიროვნებამ შეიძინა ადგილმამული. შთამომაყლობით მემამულემ, ეროვნებით ფრანგმა, მ. დალფონსმა 1878-1881 წლებში ჩაქვის ხეობაში ბეჟანიძეებისა და სხვებისაგან იყიდა 127 დესეტინა. შემდგომ ეს მიწები მიყიდა სხვებს. კონკრეტულად, ზეიდლიცს მიყიდა 47 დესეტინა, პოლიტკოვსკის-20, სიმონოვიჩს-6, ზურაბოვს - ამდენივე, ბესლოუსს-15 დესეტინა და სხვა. ზეიდლიცისაგან 40 დესეტინა მამული შეისყიდა რუსეთის ვაჭრობისა და ნაოსნობის საზოგადოების აგენტმა ვაკიემ. მიწების გადაყიდვის შედეგად მ. დალფონსს დარჩა 23 დესეტინა. ამ მამულზე მან მეყვავილეობისა და მესილეობის მეურნეობა მოაწყო. 1889წ. მ. დალფონსის მიერ მეურნეობის მოწყობაზე გაწეული ხარჯები 30 ათას რუბლს შეადგენდა[261].

მსხვილი მიწისმფლობელი იყო თადარიგში მყოფი პოლკოვნიკი ა. სოლოცოვი, რომელმაც აჭარაში იყიდა 300 დესეტინა მამული. აქედან 1881-1883 წლებში ჩაქვის ხეობაში

---

[260] აცსა, ფ. ი-25, ან. 1, ს. 2, ფურც. 73

[261] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 48, ფურც. 20-22.

შეიძინა 255 დესეტინა და 2200 კვადრატული საჟენი. ეს მიწები შეიძინა ბეჟანიძეების, სულეიმან ჩაფიოღლის, იუსუფ სოფიოღლის, ალიაღა ქამიშოღლისა და სხვებისაგან. 1882წ. ქ. ბათუმში იყიდა მიწის ორი ნაკვეთი, სულ 310 კვადრატული საჟენი, რომელშიც 800 რუბლი გადაიხადა. მომდევნო წლებში ჩაქვის ხეობაში შეიძინა 21 დესეტინა, ხოლო სოფელ კაპრეშუმში-23 დესეტინა. სოლოცოვმა ჩაქვში ჩაისა და მეხილეობის მეურნეობა მოაწყო, რისთვისაც დახარჯა 100 ათასი რუბლი. მეურნეობაში გააშენა ჩაის კულტურა, ხეხილი, მაღლარი ევენახი და სხვა. ააგო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 15 შენობა. სოლოვცოვი ითვლება სამრეწველო მეჩაიეობის განვითარების პიონერად საქართველოში. მის მეურნეობაში ჩაის პლანტაციას 1893წ. ეკავა 2 დესეტინა, 1897 წ. – 55, ხოლო 1899 წ. – 99 დესეტინა. ა. სოლოცოვმა პირველმა ააშენა ჩაის ფოთლის გადამმუშავებელი საწარმო[262].

სოლოვცოვის გარდაცვალების შემდეგ (გარდაიცვალა 1896წ. 21 დეკემბერს) მისი მეურნეობა გაპარტახდა. მეურნეობის დიდი ნაწილი ჩაქვის საუფლისწულო მამულმა შეიძინა. დანარჩენი ნაწილი მოახალშენეებმა. ა. სოლოცოვს მნიშვნელოვანი წელილი აქვს შეტანილი საქართველოში სამრეწველო მეჩაიეობის განვითარებაში. პრაქტიკულად მან საფუძველი ჩაუყარა მეურნეობის ახალ დარგს[263].

---

[262] სცსუა, ფ. 229, ან. 1, ს. 48, ფურც. 20-22.; ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 29-30, 40-41; აცსა, ფ. 0-25, ან. 1, ს. 4, ფურც. 58-59; ასმხფ, ს. 55, ფურც. 54, 68; სანკტ-პეტერბურგის ცსსა, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 6.

[263] დაწერილებით იხ. ო. თურმანიძე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878–1920წწ.). ბათ., 2004

პირველმა მოახალშენეებმა მარტო ნაქვის ხეობაში მამულების შეძენასა და მეურნეობათა მოწყობაზე 1878-1890 წლებში დახარჯეს 182500 რუბლი. აქედან სტოიანოვმა დახარჯა 23 ათასი, ზურაბოვმა, მაცოკმა, გესელმა სამ-სამი ათასი რუბლი, სკურატმა-500 რუბლი, დალფონსმა და პოპოვმა ერთად აღებული, როგორც ზემოთ აღინიშნა-130 ათასი რუბლი[264].

1880-1889 წლებში კინტრიშის საპოლიციო უბანში, აბაშიძეების, თავდგირიძეებისა და ბეჟანიძეების გარდა, ადგილ-მამულებს ჰყიდნენ ფაღავები, ქიქავები, ბაკურიძეები და სხვები. მასობრივად იყიდებოდა მუჰაჯირების მიწები. 1881-1882 წლებში ჩურუქსუში გაიყიდა მუჰაჯირების 4 მამული, სულ 16 ნაკვეთი, რომელთა საერთო ფართობი 16 დესეტინასა და 1630 კვადრატულ საჟენს შეადგენდა. ყურშუმ-ადა ჭყონიამ 7 დესეტინასა 1000 კვადრატულ საჟენ ადგილ-მამულში გადაიხადა 2000 რუბლი, თავადის ასულმა ნინო გურიელმა-3 დესეტინასა და 250 კვადრატულ საჟენში-700 რუბლი, მელიჯან ტახტაჯიანმა 4 დესეტინასა და 240 კვადრატულ საჟენში – 1600 რუბლი და ა.შ.[265]

კინტრიშის საპოლიციო უბნის სოფლებში (მახინჯაური, ყარადერე, ბარცხანა, ახალშენი, ფერია, ორთაბათუმი, ყოროლისთავი, აგარა) 1878-1889 წლებში გაიყიდა 22 ადგილ-მამული. უმეტესობა იყო მუჰაჯირების მიწები. გაყიდული მიწების საერთო ფართობი 391 დესეტინას აღემატებოდა. მხოლოდ ხუთი მყიდველი იყო ადგილობრივი მაცხოვრე-

---

264 სცსსა, ფ. 229, აღ. 1, ს. 48, ფურც. 22.
265 აცსა, ფ. ი–81, აღ. 1, ს. 25, ფურც. 81–91.

ბელი. დანარჩენები იყვნენ უცხოელები (რუსები, სომხები, ბერძნები და სხვა).

უცხოელები აჭარიდან ემიგრირებული მოსახლეობის მამულებს იაფად ყიდულობდნენ. ეს განპირობებული იყო მუჰაჯირების ტანჯული ცხოვრებით. ყველაზე მეტი მიწები სომხებმა ჩაიგდეს ხელთ. მაგალითად, 1878 წ. სოფელ მახინჯაურში მ. სააკიანმა იყიდა მუჰაჯირების მიწები, 5 ნაკვეთი სულ 46.5 დესეტინა. ამავე დასახლებაში პ. მეგოვორიანმა, ი. მაზღუმიანმა, ს. მალხაზიანმა 1794 რუბლად შეიძინეს 203.7 დესეტინა ადგილ-მამული. ა. ვალიკიანმა 1881წ. ყარადერეში შეიძინა 32 დესეტინა 1450 რუბლად. ა. კირიკოსიანმა — 9.5 დესეტინა 240 რუბლად. ეროვნებით გერმანელმა კ. პანცერმა დასახლება ბარცხანაში ხუსეინ და ალი კირისილოღლებისაგან (ახვლედიანები) 1881 წ. 4417 რუბლად იყიდა 12 დესეტინა და 700 კვადრატული საჟენი მიწა. სოფელ ყოროლისთავ'ში მუჰაჯირების ადგილ-მამულები იყიდეს ბ. მაკროპულომ (6.4 დესეტინა), ბ. პოპანდოპულომ (3.9 დესეტინა), ორთაბათუმში — ს. იოსიფიდიმ (8 დესეტინა) და სხვა.

თითო-ოროლა ქართველიც ყიდულობდა ადგილ-მამულებს. მაგალითად, სოფელ ყოროლისთავში ხ. ბაკურიძემ იყიდა 7 მიწის ნაკვეთი, 10.1 დესეტინა. ისმაილ-აღა ბა'შა ზადემ (მახარაძე) მახინჯაურში კირისილოღლისაგან 'შეიძინა 7 მიწის ნაკვეთი, 11.6 დესეტინა, გადაიხადა 1560 რუბლი. თავადმა კ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ 1880წ. ყარადერეში იყიდა 14.6 დესეტინა ადგილ-მამული, ი. კლავდიამ — 20.5 დესეტინა[266].

---

[266] იქვე. ფურც. 40, 75–91.

ართვინის ოკრუგში მუჰაჯირების ადგილ-მამულები ძირითადად იყიდებოდა სახლ-კარმიდამოთი. აქ მყიდველები სომხები იყვნენ, რომლებმაც კიდე უფრო იაფად შეიძინეს მიწები. ართვინის საპოლიციო უბანში მოახალშენეებმა შეისყიდეს 144 მუჰაჯირის ადგილ-მამული, რომელთა საერთო ფართობი 1163.5 დონუმს (86.8 დესეტინა) უდრიდა. ამ მიწებზე იდგა საცხოვრებელი სახლები, სხვა შენობა-ნაგებობანი, მოშენებული იყო ხეხილი. ამ 144 ადგილ-მამულში გადაიხადეს 39454 რუბლი.[267] გამოდის, რომ საშუალოდ ერთი ადგილ-მამული 274 რუბლად შეიძინეს.

მუჰაჯირების ადგილ-მამულები შეიყიდეს სოფლებში: თოლგომი, სვეტიბარი, სინკოტი, გურჯიეთი, ირსა, ლომაშენი, იშხიბალი, ბერთა და სხვა. მაგალითად, სოფელ ირსაში შეისყიდეს 14 მუჰაჯირის მამული, სულ 70 დონუმი (5.2 დესეტინა), ნასყიდობის თანხა 1192 რუბლსა და 50 კაპიკს უდრიდა. თოლგომში იყიდეს 10 მამული, სულ 49.5 დონუმი (3.7 დესეტინა), გადაიხადეს 1193 რუბლი. იშხიბარში შეიძინეს 22 მუჰაჯირის მამული, 178.5 დონუმი (13.6 დესეტინა), რომლის საერთო ღირებულება 6530 რუბლს უდრიდა. ბერთაში შეისყიდეს 13 მუჰაჯირის მამული, 67.5 დონუმი (5 დესეტინა). შემსყიდველებმა გადაიხადეს 1526 რუბლი და 50 კაპიკი. სოფელ ცრიაში გაიყიდა 50 მუჰაჯირის მამული, რომელთა საერთო ფართობი 73 დონუმს (5.4 დესეტინა), ხოლო ნასყიდობის ღირებულება 3910 რუბლს შეადგენდა[268].

---

[267] აცსა, ფ. ი–81, ან. 1, ს. 25, ფურც. 7–19. ციფრები დაჯამებულია ჩვენს მიერ და დონუმები გადაყვანილია დესეტინებში.
[268] აცსა, ფ. ი–81, ან. 1, ს. 25, ფურც. 8–35.

არტანუჯის საპოლიციო უბანში 173 პირმა შეიძინა მუჰაჯირების მიწები, საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სხვა სახის შენობა-ნაგებობანი. შავშეთ-იმერხევში გაიყიდა 181 მუჰაჯირის მამული. ამ კუთხეში მუჰაჯირების მამულებს, სომხებთან ერთად, ყიდულობდნენ ადგილობრივი ქართველები, რომელთაც ნორმალური ცხოვრებისათვის საკმარისი მიწა არ ჰქონდათ. ემიგრირებული მოსახლეობის ადგილ-მამულით გამოირჩეოდა სოფლები: ტბეთი, ციხისძირი, ოქრობაქეთი, ზენდაბა, ხანთუმეთი, საბუდარა, სათლელ-რაბათი და სხვა. მაგალითად, ტბეთში გაიყიდა 25 მოაჯირის მამული, სულ 15 დესეტინა, ნასყიდობის საერთო თანხა 1685 რუბლს უდრიდა. ციხისძირში მუჰაჯირთა 19 ადგილ-მამული (11.2 დესეტინა) შეიძინეს 1025 რუბლად[269].

XIX საუკუნის 90-იან წლებში იწყება მიწის კაპიტალიზაციის მეორე ეტაპი. მიწის ყიდვა-გაყიდვა კიდევ მეტად გაიზარდა. ამ ეტაპზე ასევე გაიზარდა მოახალშენეთა სამეურნეო-სამეწარმეო საქმიანობა. მცირემიწიანობის მიუხედავად, ბათუმის ოლქს კალიასავით მოედნენ უცხოელი მოახალშენეები. 1892-1896 წლებში აჭარის ზღვისპირეთში 112 მოახალშენემ შეიძინა ადგილ-მამული და ნასყიდობის საბუთები ნოტარიუსში დაამოწმებინა[270]. რუსეთის სახელმწიფო უკანონოდ თვლიდა ამ საბუთებს და მიწებს კერძო საკუთრებაში არ უმტკიცებდა. ხელისუფლება აიძულებდა მოახალშენეებს ორმაგი ფასი გადაეხადათ ერთსა და იმავე მიწაში. ისინი მიწის ღირებულებას პირველად უხდიდნენ

---

[269] იქვე, ფურც. 20–38.
[270] სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2909, ფურც. 92

ადგილობრივ მიწისმფლობელებს, შემდეგ-სახელწიფო ხაზინას. ამის მიუხედავად, მოახალშენეებს მამულები კერძო საკუთრებაში მაინც არ ეძლეოდათ. მათზე მხოლოდ მფლობელობის უფლება ერცელდებოდა და ვალდებული იყვნენ სახელმწიფოსათვის გადაეხადად ჯერ მიწის შემოსავლის ერთი მეათედი (აშარი), საგადასახადო რეფორმის შემდეგ (1901 წლიდან) - სალალო გამოსაღები.

მთავრობის მიმართ უკმაყოფილებას მიწისმფლობელთა ყველა ჯგუფი გამოხატავდა. მიწის მყიდველ-გამყიდველთა თხოვნა-საჩივრები და მიმოწერები სახელმწიფო ორგანოებთან განუწყვეტლივ მიმდინარეობდა, ბათუმის საოლქო ადმინისტრაციიდან დაწყებული პეტერბურგის უმაღლეს ხელისუფლებამდე გათავებული. მიწების გადაყიდვა გრძელდებოდა. აბაშიძეებისაგან შეძენილი მიწები გაყიდეს ი. იოსელიანმა და მისმა მემკვიდრეებმა, ა. მიქელაიშვილმა, ი. შარაშენიძემ და სხვებმა. XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანაში, როდესაც ადგილ-მამულები სამხედრო-სამოქალაქო მმართველობიდან მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სისტემაში გადადიოდა, მიწისმფლობელებმა (მყიდველ-გამყიდველი) განაახლეს ნასყიდობის საბუთები. 1891-1898 წლებში ბათუმის ნოტარიუსმა მამულების საკუთრებაში დამტკიცებისა და ყიდვა-გაყიდვის 199 საბუთი დაამოწმა.[271]

XIX საუკუნის 90-იან წლებში აჭარაში დიდძალი ადგილ-მამული შეიძინა პეტერბურგის საუფლისწულო უწყებამ და ამ მიწებზე მსხვილი სუბტროპიკული მეურნეობის მოწყობას შეუდგა. აჭარა გამონაკლისი არ იყო. პეტერბურ-

[271] აცსა, ფ. ი-25, ს. 9, ფურც. 1–199.

ვის საუფლისწულო უწყებას კაპიტალისტური ტიპის მეურნეობები ჰქონდა რუსეთის იმპერიის სხვა მხარეშიც. საქმე ის არის, რომ რომანოვების საიმპერატორო სახლი XIX საუკუნემდე ხაზინის კმაყოფაზე იმყოფებოდა. 1797 წ. იმპერატორმა პავლე პირველმა ამ საგვარეულოს საკუთრებაში გადასცა 4162 ათასი დესეტინა მიწა, სადაც ცხოვრობდა 460 ათასი სული გლეხი. ისინი რომანოვების საგვარეულოს ღალას უხდიდნენ. რომანოვების საიმპერატორო სახლს სამრეწველო და საეჭრო ობიექტებიც გააჩნდა. საერთო ქონების მართვისათვის შეიქმნა სპეციალური სამინისტრო, ხოლო საუფლისწულო მამულების ხელმძღვანელობისათვის — მთავარი სამმართველო.

საგლეხო რეფორმის წინ რომანოვების საგვარეულოს საკუთრებაში იყო 10 მილიონი დესეტინა მიწა და 826 ათასი სული ყრმა-გლეხი. ისინი ღალის სახით ყოველწლიურად იხდიდნენ სამ მილლიონ რუბლს. საგლეხო რეფორმის შემდეგ საუფლისწულო უწყების გლეხები მესაკუთრედ გამოაცხადეს, მაგრამ ყმობიდან გამოსყიდვა სავალდებულო იყო. 1897 წლამდე ნადელების გამოსყიდვისათვის გლეხებმა გადაიხადეს 63 მილიონი რუბლი. საუფლიწულო უწყების შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცა ივჯარა. 1896 წ. ივჯარით გაცემული იყო 1471 ათასი დესეტინა მიწა[272].

XIX საუკუნის 80-იან წლებში საუფლისწულო უწყებამ საკუთარი მეურნეობების მოწყობა დაიწყო. საგლეხო რეფორმის შემდეგ ახალი მიწები შეიძინა იმპერიის სხვადა-

---

[272] Сто летья уделов. Санкт-петербург, 1897.

სხვა მხარეში. საქართველოში შეიძინა 90 ათასი დესეტინა მიწა, სადაც მოაწყო მებამბეობის, მებაღეობის, მევენახეობა-მეღვინეობისა და მეცხოველეობის მეურნეობები. აქედან საუფლისწულო უწყება სოლიდურ თანხას იღებდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საუფლისწულო უწყებამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ჩაქვის ხეობისადმი. არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. ჩაქვის ხეობაში ამ დროისათვის მოწყობილი იყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების პირველი მეურნეობები. ჩაის პროდუქციასა და სუბტროპიკული კულტურების ნაყოფზე (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი და სხვა) რუსეთში დიდი მოთხოვნილება იყო. საუფლისწულო უწყების მოხელეები თვლიდნენ, რომ ამ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციით მნიშვნელოვან შემოსავალს მიიღებდნენ. ამიტომ პეტერბურგის საუფლისწულო უწყების მოხელეები ძალასა და ენერგიას, მატერიალურ და ფინანსურ საშუალებებს არ იშურებდნენ ჩაქვის ხეობაში მეურნეობის მოსაწყობად.

პეტერბურგიდან და თბილისიდან აჭარაში სისტემატურად ჩამოდიოდნენ საუფლისწულო უწყების მაღალი რანგის მოხელეები, რომლებიც გულმოდგინედ სწავლობდნენ ჩაქვის ხეობას, მის ბუნებრივ და შრომით რესურსებს. შეადგინეს ტოპოგრაფიული რუკა, რომლის მიხედვით ჩაქვის ხეობის საერთო ფართობი 16378 დესეტინას შეადგენდა. აქედან სავარგული იყო 3934 დესეტინა, ტყე-12180, ხოლო გამოუსადეგარად ითვლებოდა 264 დესეტინა. სასზღვრო დაცვასა და რკინიგზის უწყებას ეკავა 9 დესეტინა. ხეობის 6 სოფელში (დიდიჯამე, სახალვაშო, ხალა, გორგაძეები, აჭყვა, ჩაქვისთავი) 205 კომლი აღირიცხა, რომელთა მფლო-

ბელობაში იყო 6053 დესეტინა ადგილ-მამული. დანარჩენ მიწებს (10314 დესეტინა) რუსეთის სახელმწიფო სახაზინო საკუთვრებად თვლიდა[273].

საუფლისწულო უწყებამ თავისი მამულები ვიატკისა და პერმის გუბერნიებში გაუცვალა სახელმწიფოს ჩაქვის ხეობის სახაზინო მიწებზე. ამ გზით თავის საკუთვრებაში მოაქცია 10304 დესეტინა (სასზღვრო დაცვისა და რკინიგზის უწყების მიწების გამოკლებით). საუკეთესო სავარგულები ადგილობრივი მოსახლეობის მფლობელობა-სარგებლობაში იყო. ამიტომ საუფლისწულო უწყება 1894 წლიდან შეუდგა ადგილობრივი მოსახლეობიდან მიწების შეძენას. თავდაპირველად შეიძინეს ემიგრირებული მოსახლების მიერ მიტოვებული მიწები — 182.6 დესეტინა. 1895-1896 წლებში ადგილობრივი მოსახლეობისაგან იყიდეს 326 დესეტინა, რომელშიც გადაიხადეს 2325 რუბლი[274].

ჩაქვის ხეობაში მიწების შეძენა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. 1899 წლისათვის ადგილობრივი მოსახლეობისაგან ნაყიდი მიწები 2272,3 დესეტინას შეადგენდა. მათ შეძენაზე დახარჯეს 213142 რუბლი ამაში შედის შენობებისა და ხეხილის ნარგავების ღირებულებაც. თუ მათ გამოვრიცხავთ, მაშინ მიწის ღირებულება 177959 რუბლს შეადგენდა[275]. საუფლისწულო უწყებამ შეისყიდა აგრეთვე სოლოვცოვის, ვერუს, ვუჩინოს და სხვა მოახალშენეთა მამულები. ერთი სიტყვით, ჩაქვის ხეობაში რომანოვების საიმპერატორო საგვარეულოს საკუთრებაში მოექცა 14000

---

273 სცსსა, ფ. 351, ან. 1, ს. 16, ფურც. 58.
274 სცსსა, ფ. 351, ან. 1, ს. 16, ფურც. 1–5.
275 სანკტ-პეტერბურგის ცსსა, ფ. 515, ან. 45, ს. 678, ფურც. 54.

დესეტინამდე ადგილ-მამული. იგი აჭარაში უმსხვილეს მიწისმფლობელად ითვლებოდა.

საუფლისწულო მამულის მშენებლობა 1895 წლიდან იწყება. გააშენეს ჩაი და სხვა სუბტროპიკული კულტურები (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ბამბუკი და სხვა). მოაწყვეს სანერგე, მეტეოროლოგიური სადგური, ააგეს ჩაის ფაბრიკა, ბამბუკის სახელოსნო, საცხოვრებელი სახლები, ადმინისტრაციული, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სხვა სახის შენობა-ნაგებობანი. 1900წ. ბოლოს დამუშავებული იყო მამულის საერთო ფართობის 1.6% (194 დესეტინა). ჩაის კულტურა გააშენეს 90 დესეტინაზე, ციტრუსები – 2.4, ბამბუკი – 7.1, ხეხილი – 19.5, ქაღალდის ხე (რამის მცენარე) – 4 დესეტინაზე[276]. ამ დროისათვის მეურნეობის მშენებლობისათვის გაწეული საერთო ხარჯები 662055 რუბლს უდრიდა.

ჩაქვის საუფლისწულო მამულში მეურნეობის მთავარი დარგი მეჩაიეობა იყო. მისი ფართობი 1901-1913 წლებში 110 დესეტინიდან 500 დესეტინამდე, სოლო მოსავალი – 635 ათასი გირვანქიდან 1038.5 ათას გირვანქამდე გაიზარდა. 1914 წ. მეჩაიეობიდან მიღებული ფულადი შემოსავალი 240 ათას რუბლს უდრიდა. ეს მაშინ, როდესაც 500 დესეტინა პლანტაციიდან სრულმოსავლინი იყო 276 დესეტინა. მეურნეობის მეორე უმნიშნელოვანეს დარგად მეხილეობა ითვლებოდა. ძირითადად მოშენებული იყო სუბტროპიკული კულტურები. 1905წ. ხეხილი გაშენებული იყო 88 დესეტინაზე, მათ შორის სუბტროპიკული კულტურები-54 დესე-

---

[276] აცსა, ფ. ი–22, აღ. 1, ს. 101, ფურც. 1–2.

ტინაზე. 1914წ. მანდარინის კულტურას ეკავა 32 დესეტინა, ხოლო ლიმონის კულტურას-6 დესეტინა.[277]

ჩაქვის საუფლიწულო მამული კარგად ორგანიზებული და რენტაბელური მეურნეობა იყო. 1904-1917 წლებში ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის მოსამსახურენი 83-127 კაცს შორის მერყეობდა, დაქირავებული მუშები 600-დან 900-მდე აღწევდა. 1917წ. მეურნეობას ესაჭიროებოდა 1500-მდე დაქირავებული მუშახელი, მაგრამ მათი მოზიდვა გაძნელდა. ცხადია, სამუშაოები შეფერხდა. რუსეთში რომანოვების ხელისუფლების დამხობის შემდეგ ჩაქვის საუფლისწულო მამული სახალხო მეურნეობად გამოცხადდა და სახელმწიფოს დაქვემდებარებაში გადავიდა. უცხოელების (თურქები, ინგლისელები) ბატონობის დროს ჩაქვის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგი მძიმე კრიზისს განიცდიდა.

აჭარაში ერთ-ერთი მსხვილი მიწისმფლობელი იყო კონსტანტინე პოპოვი, რომელმაც ამ რეგიონში მეჩაიეობის მეურნეობა შექმნა. სოციალური მდგომარეობით იგი სავაჭრო კაპიტალის ფენას ეკუთვნოდა და წარმატებულ ბიზნესმენად ითვლებოდა. კ. პოპოვს ჰქონდა ჩაის პროდუქციის სავაჭრო ფირმა, რომელიც 300 მეპაიეს აერთიანებდა. მისი ძირითადი კაპიტალი 1.5 მილიონ რუბლს შეადგენდა[278].

კ. პოპოვის სავაჭრო-სამეწარმეო საქმიანობა ვრცელდებოდა ევროპასთან ერთად აზიასა და ამერიკაში. ჩინეთში

---

277 სანკტ-პეტერბურგის ცსსა, ფ. 515, ან. 91, ს. 164, ფურც. 241, 301-302. დაწვრილებით იხ. ო. ოურმანიძე. სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ.) ბათ., 2004.

278 Устав товарищества чайной торговли. К. и С. Поповы, м., 1891, с. 6.

იჯარით აიღო ჩაის პლანტაციები და ფაბრიკები. რუსეთის 90-ზე მეტ ქალაქში გახსნა მაღაზიები, საწარმოები, ჩაის გადამწონი ფაბრიკები (მოსკოვსა და ოდესაში). 1895წ. ჩაის სავაჭრო წერტი ბათუმშიც გახსნა. კ. პოპოვის ფირმის წმინდა მოგება 1897-1899 წლებში უდრიდა 493 ათას რუბლს, ხოლო 1910-1911 წლებში 601.7 ათას რუბლს აჭარბებდა[279].

კ. პოპოვმა აჭარაში 1892-1897 წლებში იყიდა 300 დესეტინა მიწა. ჩაქვში – 100 დესეტინა, სალიბაურში – 140, ხოლო კაპრეშუმში – 60 დესეტინა. მიწები შეიძინა როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლების, ისე მოახალშენეებისაგან. 1892წ. ჩაქვში დალფონსისაგან იყიდა 18 დესეტინა, ბეჟანიძეებისაგან – 64.8 დესეტინა (1893 წ.) დანარჩენი მიწები – სხვა მიწათმფლობელებისაგან. სალიბაურსა და კაპრეშუმში მიწები შეიძინა იზეთ ყარა-აღა ქიქავას, შაბან-ალი მეიზანოღლის, ახმედ მელაშვილის, ფატმა ხაჯიოღლის, იუსუფ ბაშოღლის, თემოე ჯინოღლის, სასან ქურიძის, დაუთ დელიოღლის, ხასან ბაკურიძისა და სხვებისაგან. მიწების შეძენასა და ნასყიდობის საბუთების გაფორმებაზე დახარჯა 75 ათასი რუბლი[280].

კ. პოპოვმა ჩაის შედარებით მსხვილი მეურნეობა მოაწყო, რომლის მშენებლობა 9 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და 1901 წ. დასრულდა. 1902 წ. 300 დესეტინიდან დამუშავებული იყო 140 დესეტინა. აქედან ჩაის პლანტაციას ეკავა 127, ხოლო სანერგეს – 13 დესეტინა. ჩაქვში ჩაის პლანტაციასა და სანერგეს ეკავა 40

---

279 სანკტ-პეტერბურგის ცსსა, ფ. 23, ან. 24, ს. 892, ფურც .27-64.

280 სანკტ-პეტერბურგის ცსსა, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც, 151; აცსა, ფ. ი-25, ან. 1, ს. 9, ფურც. 15-16, 30-31, 37-38, 63-67, 78-79; ფ. ი-24, ან. 1, ს. 28, ფურც. 4.

დესეტინა, სალიბაურში — 70, ხოლო. კაპრეშუმში — 30 დესეტინა. კ.პოპოვმა მეურნეობაში ააგო ჩაის ფაბრიკა, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული შენობები, გაიყვანა გზები, ბილიკები, ტერასები და სხვა. მთლიანად 1892-1901 წლებში მეურნეობის მშენებლობისათვის დახარჯა 1855 ათასი რუბლი. ამ მეურნეობის ყოველწლიური გასავალი ხარგები 40 ათას რუბლს შეადგენდა[281]. 1914წ კ. პოპოვს მეურნეობის მშენებლობისათვის დახარჯული ჰქონდა 6 მილიონი რუბლი.

პირველ წლებში შემოსავალი ვერ ფარავდა გასავალს. მაგრამ მას შემდეგ, როდესაც ჩაის პლანტაციები სრულმოსავლიანი გახდა, შემოსავალიც გაიზარდა. მაგალითად, 1902 წ. კ. პოპოვის მეურნეობაში მოიწიეს 66284 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი, 1905წ. _ 221413, ხოლო 1916 წ. — 258802 გირვანქა[282]. მეურნეობის შტატიანი მუშა-მოსამსახურენი 69 კაცს შეადგენდა. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონზე პლანტაციებში 200-მდე დაქირავებული მუშახელი მუშაობდა. კ. პოპოვს სამივე მამულში ჰყავდა გამგეები, დამხმარე პერსონალი, ხოლო სალიბაურში იყო ცენტრალური ადმინისტრაცია და საბუღალტერო სამსახური. აქვე მდებარეობდა ჩაის ფაბრიკა. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობა საქმეს ემსახურებოდა ექთანი. ერთი სიტყვით, კ. პოპოვის მეურნეობა კარგად მოწყობილი და რენტაბელური იყო. მაგრამ 1917 წ. შემდეგ მეურნეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გამწვავებული პოლიტიკური ვითარების გამო კ. პოპოვმა ბედისანაბარად მია-

---

281 სანკტ-პეტერბურგის ცსსა, ფ. 22, ან. 2, ს. 1810, ფურც. 152–153.

282 ო. თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან. ბათ., 1973, გვ. 27.

ტოვა მეურნეობა. სამუშაოები ნორმალურად აღარ ჩატარებულა და იგი გაპარტახდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებსა და 900-იან წლებში მიწის მფლობელთა ფენას არაერთი მოახალშენე შეემატა. "კოლეგუნი სოვეტნიკმა" კონსტანტინე სიბირიაკოვმა, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა, ბათუმის ოკრუგის ყარადერესა და მახინჯაურის სოფლებში 1895-1896 წლებში იყიდა 37.5 დესეტინა ადგილ-მამული, რომელშიც გადაიხადა 34 ათასი რუბლი. ნასყიდობის საბუთი დაამოწმა ბათუმის ნოტარიუსმა. მომდევნო წლებში ახალი მიწები შეიძინა და 1905წ. სიბირიაკოვის მამული 56 დესეტინას შეადგენდა[283]. იგი საშუალო მიწისმფლობელი იყო. კ. სიბირიაკოვმა მამულის ერთ ნაწილზე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მეურნეობა მოაწყო. მამულის მეორე ნაწილს იჯარით აძლევდა.

მეორე გილდიის ვაჭარმა, ბათუმში მაცხოვრებელმა გაიტურ მეგოვორიანმა 1894წ. სოფელ მახინჯაურში 85.5 დესეტინა მიწა 4020 რუბლად იყიდა. მამული შეიძინა თანამოგვარისა თუ ნათესავის ოვანეს მეგოვორიანისაგან. როგორც ჩანს, გ. მეგოვორიანმა ამ მამულის ნაწილი გაყიდა. 1905წ. იგი ფლობდა 75.5 დესეტინა მიწას და მიწისმფლობელთა საშუალო კატეგორიას ეკუთვნოდა. კ. პანცერმა ჯერ კიდევ 1880წ. შეიძინა ადგილ-მამული, რომელშიც გადაიხადა 2050 რუბლი. 1893წ. ბათუმის ნოტარიუსში გაიფორმა 23 დესეტინა ადგილ-მამული, რომელიც მახინჯაურში შეიძინა. მისმა შვილმა იოანე პანცერმა იმავე წელს მახინჯაურში

---

283 აცსა, ფ. ი-25, ან. 1, ს. 9, ფურც. 87-88, 97-99, 162; სცსსა, ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 32–33.

შეიძინა 6 დესეტინა და 976 კვადრატული საჟენი 600 რუბლად. 1892 წ. ოლდა ლოპატომ სოფელ ოროაბათუმში ახმედ გიორგაძისაგან იყიდა 10 დესეტინამდე ადგილ-მამული, რომელშიც 500 რუბლი გადაიხადა[284]. ალექსანდრე ვალინგმა სოფელ ყარადერეში 3000 რუბლად შეიძინა 27 დესეტინა მიწა შენობა-ნაგებობით. ფეოდორ ბურკგარდმა მახინჯაურში 2500 რუბლად იყიდა 16 დესეტინა და 921 კვადრატული საჟენი ადგილ-მამული[285].

მსხვილ მიწათმფლობელებად ითვლებოდნენ მარიამ და ნიკოლოზ პასეკები. 1905 წლის ცნობით, მათი ადგილ-მამული შეადგენდა 114 დესეტინას და მდებარეობდა მახინჯაურსა და ხელვაჩაურში. მახინჯაურში 7.5 დესეტინა მიწა შეიძინეს 1897 წელს ხუსეინ ბაგრატოღლისაგან, რომელშიც გადაიხადეს 3000 რუბლი. შემდეგ ამავე სოფელში იყიდეს 12.7 დესეტინა მიწა. ხელვაჩაურში შეიძინეს 93.8 დესეტინა. აქედან სახნავი იყო 70, საბალახო-2.8 დესეტინა[286]. მართალია, პასეკებმა ჩაი და სუბტროპიკული კულტურები მოაშენეს, მაგრამ მეტ შემოსავალს იღებდენ მიწების იჯარით გაცემით.

საშუალო მიწისმფლობელები იყვნენ ბათუმელი ვაჭრები: ძმები სანაძეები და ქუთათელაძეები. მათ 35 დესეტინა მიწა ჰქონდათ მახინჯაურში, ამაზე მეტი ერგეში, ქვემო და ზემო ჯოჯოში. აქვე ჰქონდათ მეცხოველეობის ფერმა. სანაძეებისა და ქუთათელაძეების ამხანაგობამ მოაწყო სუბტროპიკული კულტურების მეურნეობა. დანარჩენ მიწებს იჯარით აძლევდნენ და მნიშვნელოვან შემოსავალს

---

284 სცსსა. ფ. 13, ან. 10, ს. 604, ფურც. 31-32; აცსა. ფ. ი-25. ან. 1, ს. 9, ფურც. 61-62.
285 აცსა. ფ. ი-25, ს. 2 ფურც. 14, ს. 9, ფურც. 16-17, 19-20, 30-32.
286 სცსსა. ფ. 3, ან. 10. ს. 604, ფურც. 25-26,30-31; აცსა, ფ. ი-25, ან.1, ს.9, ფურც. 175.

იღებდნენ. 1924-1925 წწ. სანაძეებისა და ქუთათელაძეების ამხანაგობის მიწებს ერგეში, ქვემო და ზემო ჯოჭოში ამუშავებდა 91 კაცი. ასევე საშუალო კატეგორიის მიწის მფლობელები იყვნენ: ლიტვინოვი, გრინევიჩი, რილსკი, უპენეკი, კაბაჩნიკოვი და სხვა. ლიტვინოვმა ჩამოაყალიბა ამხანაგობა, რომელსაც მახინჯაურში ჰქონდა 50 დესეტინა კულტივირებული მამული. მამულის ერთ ნაწილში გაშენებული იყო ჩაის მცენარე და სუბტროპიკული კულტურები. მეორე ნაწილს კი ივარით აძლევდა. გრინევიჩის მამული შეადგენდა 26 დესეტინას, რილსკის – 25-ს, რეევსკის – 24-ს, კაბაჩნიკოვის – 25-ს, უპენეკის მამული – 26 დესეტინას და სხვა.[287]

აჭარაში საშუალო კატეგორიის მიწისმფლობელი გახდა ეროვნებით ჩინელი ლაუ ჯონ-ჯაო, რომელმაც სოფელ სალიბაურში შეიძინა 25 დესეტინაზე მეტი ადგილ-მამული. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ კ. პოპოვის, შემდეგ კი ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის ფაბრიკის გამგედ და მნიშნელოვანი კაპიტალი დააგროვა. ლაუ ჯონ-ჯაომ თავის მამულში გააშენა ჩაის მცენარე, ხეხილი, მათ შორის ციტრუსოვანთა კულტურები. ბათუმის თამბაქოს მრეწველმა ლაზარეი ბინიათ-ოღლიმ სოფელ კაპრეშუმში ზაბით და ახმედ ბაკურიძეებისაგან იყიდა 2 მიწის ნაკვეთი, სულ ათი დესეტინა.

ბათუმში მაცხოვრებელმა ვასილ ბიხოეცევმა 1895 წელს სოფელ მახინჯაურ-ში მოახალშენე კრისტაფოვიჩისაგან იყიდა მიწის 4 ნაკვეთი, სულ 19 დესეტინა და 1670 კვადრა-

---

[287] აცსა, ფ.ი – 84, ან. 1, ს. 46, ფურც. 147-148; ს. 52, ფურც. 76.; ფ.რ-4, ან 1, ს. 110, ფურც. 6-9.

ბ.ული საუნი, რომელშიც გადაიხადა 9000 რუბლი. 1901 წ.ელს ალექსანდრე კიშენსკიმ სოფელ სოუქსუზე იყიდა 18 დ.ესეტინა და 1540 კვადრატული საუნი მიწა. იმავე წელს ნ.ახევარი მიყიდა ბ. მარკოვს. ამის შემდეგ ა. კიშენსკის დარჩა 9 დესეტინა და 1763 კვადრატული საუნი. მარიამ სინიცინმა სოფელ ყარადერეში მოლა მელიქზადე აბაშ.ისა და ჰაკი-ბეგ ტაიროღლისაგან იყიდა 19 დესეტინა და 840 კვადრატული საუნი ადგილ-მამული, რომელშიც გადა.ოხადა 1300 რუბლი[288]. მართალია, ვ. ბიხოვცევი და მ. სინიცინი წვრილი მემამულეები იყვნენ, მაგრამ მათ მსხვილი ჩაის პლანტაციები გააშენეს და მნიშვნელოვან შემოსავალსაც იღებდნენ. მაგალითად, 1906 წელს ვ. ბიხოვცევის ჩაის პლანტაციას 10 დესეტინა ეკავა. მეურნეობაში მოშენებული ჰქონდა ციტრუსოვანთა კულტურები, ეწეოდა მეფეტვილეობასაც. 1905-1913 წლებში ვ. ბიხოვცევის მეურნეობაში ჩაის ფოთლის მოსავალი 2680 გირვანქიდან 13831 გირვანქამდე (5.3-ჯერ) გაიზარდა.

მ. სინიცინს 1904 წელს ჩაის პლანტაცია გაშენებული ქონდა 6 დესეტინაზე, ხოლო 1912 წელს 9 დესეტინამდე გაიზარდა. 1905-1916 წლებში ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი 9800 გირვანქიდან 26000 გირვანქამდე (2.7-ჯერ) გაიზარდა. 1905 წელს ააგო ჩაის ფაბრიკა და საკუთარი ნედლეულის გარდა სხვა პლანტატორების ჩაის ფოთოლს ამუშავებდა. ცხადია, მ. სინიცინის მეურნეობა, როდესაც ჩაის პლანტაცია სრულმოსავლიანი გახდა, უფრო მეტ

---

[288] აცსა, ფ. ი-25, ან. 1, ს. 5, ფ. 50; ს. 9, ფურც. 85-86, 92-93, 189-190; სცსსა, ფ. 13, ან. 24, ს. 527, ფურც. 1-2,6.

შემოსავალს იძლეოდა[289]. 1895 წელს ი. ვერუმ ჩაქვში მ. დალფონსისაგან იყიდა 22 დესეტინა მიწა, რომელშიც გადაიხადა 3000 რუბლი. ს. ბორდელიუსმა სოფელ ყარადერეში ა. სოლოვცოვისაგან შეიძინა 21.5 დესეტინა მამული 500 რუბლად. ნ. ზურაბოვმა მახინჯაურში იყიდა 17 დესეტინა ადგილ-მამული 2000 რუბლად[290].

წვრილი მიწისმფლობელი იყვნენ ვუჩინო და დიადიუში. ბინა იაკობის ძე ვუჩინომ ადგილ-მამული შეიძინა ჩაქვში, რომლის ფართობი 23 დესე-ტინას შეადგენდა. მეურნეობაში გააშენა ჩაის კულტურა, ციტრუსები, სამრეწველო მნიშვნელობის ყვავილები. 1895 წელს ჩაის კულტურას 5 დესეტინა ეკავა. ბ. ვუჩინომ პირველი მოსავალი მიიღო 1898 წელს. სულ 370 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი. 1906 წელს მოიწია 6654 გირვანქა ნედლეული. მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდა მეყვავილეობისა და მეხილეობისაგან. 1906 წელს ბ. ვუჩინომ 4 დესეტინა ჩაის პლანტაცია მიეყიდა მასლოვს.

იური ივანეს ძე დიადიუშიმ, რომელიც ჩაქვის საუფლისწულო მამულის სანერგეს გამგედ მუშაობდა, ადგილ-მამული იყიდა ფერიასა და სოუქსუზე. ამ მამულში გააშენა ჩაის კულტურა, ციტრუსები, ხეხილი, მოაწყო სუბტროპიკულ მცენარეთა სანერგე. 1909 წელს ჩაის პლანტაციას 7 დესეტინა ეკავა. მეურნეობაში მანდარინის კულტურა შეადგენდა 1500 ძირს. ი. დიადიუშიმ 1909 წელს ააგო ჩაის გადამმუშავებელი საწარმო. 1906-1916 წლებში ჩაის ფოთლის მოსავალი 814 გირვანქიდან 10000 გირვანქამდე

---

[289] ო. თურმანიძე, სოფლის მეურნეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1920 წწ.). ბათ., 2004, გვ. 147-148, 150-151.

[290] აცსა, ფ. ი-25, ან. 1, ს. 9, ფურც. 85-86, 91-92, 103-104.

(1123-ჯერ) გაიზარდა. 1908 წელს 6000-მდე ცალი მანდარინის ნაყოფი მოკრიფა. მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდა სანერგეედან, ბამბუკის შოლტებისა და ყვავილების რეალიზაციით. მართალია, ი. დიადიუშის ჩაის ფაბრიკა კუსტარული საწარმო იყო, მაგრამ საგრძნობ შემოსავალს იძლეოდა. საკუთარი ჩაის ფოთლის გარდა, სხვა პლანტატორების ნედლეულსაც ამუშავებდა[291].

XIX საუკუნის ბოლოს ბათუმის შემოგარენის ორ სოფელში-ფერიასა და სოუქსუზე 10 დესეტინა მამული შეიძინა სობეცკიმ. მართალია, მიწის ფართობით იგი წვრილი მემამულეების კატეგორიას ეკუთვნოდა, მაგრამ შემოსავლით საშუალო მემამულედ ითვლებოდა. 10 დესეტინიდან თითოეული გოჯა მიწა დამუშავებული იყო მაქსიმალურად. ჩაის პლანტაციას ეკავა 5 დესეტინა, ხოლო ბამბუკს-2 დესეტინა. დანარჩენ ფართობზე გაშენებული იყო ციტრუსები, ყვავილები. სობეცსკის კარგად მოწყობილი სანერგეც ჰქონდა, სადაც 1909 წელს გამოუყვანია მანდარინის, ლიმონის, ციტრონის და სხვა მცენარეთა 10000 ნერგი[292].

ზვერევის მამულს, რომელიც სოფელ სალიბაურში მდებარეობდა, 8 დესეტინა ეკავა. მამულის დიდი ნაწილი ჩაის კულტურაზე მოდიოდა. 1915 წელს ი. ზვერევმა ააგო ჩაის ფოთლის გადამამუშავებელი კუსტარული საწარმო. მსხვილი ვაჭარი და დიდი ქონების პატრონი იყო ნ. საბაევი. ამავე დროს იგი გახდა მიწისმფლობელიც. 900-იანი წლების დასაწყისში სოფელ სალიბაურში შეიძინა 8 დესეტინა

---

[291] ო. თურმანიძე. სოფლის მეურნეობა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში (1878–1920წწ.). ბათ., 2004, გვ. 149–150, 155–156.

[292] იქვე. გვ. 152–153.

მიწა, სადაც სანიმუშო მეურნეობა მოაწყო. 1912 წლის ცნობით, ნ. საბაევის მეურნეობის შემოსავალი 3000 რუბლს შეადგენდა[293].

მსხვილი მიწისმფლობელი გახდა ფირმა "ანისიმოვი" ს. ა. კ", რომელიც დაფუძნებული იყო ქ. ბათუმში. ამ ფირმას წვრილი მამული ბათუმის შემოგარენში ჰქონდა. გარდა ამისა 1915-1916 წლებში 384.6 დესეტინა ადგილ- მამული შეიძინა ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩოჩხათში. ეს იყო სახნავი მიწა, სამასალე ხე-ტყე და საბალახე. აღნიშნულმა ფირმამ ადგილ-მამული იყიდა ლეკან, ტარიელ, ვახტანგ და ვასილ გურიელების, აგრეთვე იყანე სვანიშვილისაგან[294].

მასობრივად იყიდებოდა პატარა მოცულობის მიწები სამოსახლოდ, საბოსტნედ და აგარაკების მოსაწყობად. ქ. ბათუმში, აბაშიძეებს გარდა, პატარა მოცულობის მიწები გაყიდეს ოსმან-აღა და ხუსეინ-აღა მოლა მელიქ ზადე აბაშიძეებმა. მათ 1897 წელს 376.2 კვადრატული საჟენი მიწა მიყიდეს ს. საბახტარიშვილს 3000 რუბლად, რ. რომანოს — 211 კვადრატული საჟენი 1200 რუბლად, გ. ხაჯიშვილს — 520 კვადრატული საჟენი. აღნიშნული აბაშიძეებისაგან მიწები იყიდეს აგრეთვე ი. გოზალოვმა, ი. დუმბაძემ, 1898-1900 წლებში — ხ. ბაირასტაროღლიმ, პ. მღებროვმა, ე. კაკაბაძემ და სხვებმა[295].

მიწის კაპიტალიზაცია 1921 წლამდე შეუჩერებლად მიმდინარეობდა. ქ. ბათუმში, კინტრიშის, გონიოს, ართვინისა და არტანუჯის უბნებში ადგილობრივმა ქართველებმა

---

293 აცსა, ფ. ი-84, ან. 1, ს. 52, ფურც. 76; ო. თურმანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 153-154.
294 აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 130, ფურც. 3-45.
295 აცსა, ფ. ი-81, ს. 5, ფურც. 61, 73, 76, 78, 83, 128, 170, 183, 386, 400.

საუკეთესო სავარგულები გაყიდეს. ეს იყო იძულებით განპირობებული, მაგრამ დიდი ეროვნული ტრაგედია, დანაშაულის ტოლფასი. მიწის კაპიტალიზაციის შედეგად არამარტო დემოგრაფიული, არამედ სოციალური სურათიც შეიცვალა. ჩამოყალიბდა მიწისმფლობელთა ახალი ჯგუფი, რომელიც ძირითადად უცხოელებისაგან შედგებოდა. ეს იყო კაპიტალისტური ტიპის მიწისმფლობელთა ჯგუფი.

სოციალურ-ეკონომიკური შინაარსით პროგრესული, ვიდრე დრომოჭმული მემამულე-თავადაზნაურების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა. მაგრამ ეროვნული ინტერესებისათვის საზიანო.

კაპიტალისტური წარმოების წესმა თვისებრივად ახალი შინაარსი შეიტანა მხარის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობაში. გარდა იმისა, რომ მიწა კაპიტალად იქცა და დაჩქარდა მისი კაპიტალიზაციის პროცესი, მან შეიძინა ახალი ნიშან-თვისება: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განხორციელდა აგრარული, სამრეწველო, სავაჭრო და საფინანსო კაპიტალის ინტეგრაცია. მიწისმფლობელთა ერთი ნაწილი სამრეწველო კაპიტალისტები იყვნენ (ა. ბუნგე, რ. რიხნერი, რილსკი, ბურკგარდი, ლ. ბინიათ-ოღლი, ენფინჯიანცი და სხვა.). მეორე ჯგუფი იყვნენ კომერსანტები, ე.ი. სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები. ამ ჯგუფში შედიოდნენ კ. პოპოვი, ნ. საბაევი, გ. მეგოვორიანი, ს. ანისიმოვი და სხვები. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა საბანკო კაპიტალი. ბანკები ფულის სესხების სანაცვლოდ მამულებს იღებდნენ გირაოდ. საკვლევ პერიოდში ამის შესახებ არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. მაგალითად, 1913 წელს თბილისის თავადაზნაურთა კომერცი-

ულმა ბანკმა 2483 რუბლი და 60 კაპიკი გასცა გიორგი პისტოფიდს, რომელმაც ამის სანაცვლოდ ბანკში გირაოდ ჩადო 8 დესეტინა და 1800 კვადრატული საჟენი მიწა, რომელიც კინტრიშის საპოლიციო უბნის სოფელ ქათიბაურში მდებარეობდა[296].

მოახალშენეებმა აჭარაში შეძენილი მიწები კულტივირებულ მამულებად აქციეს. 1914 წელს აღირიცხა 461 კულტივირებული მეურნეობა. ისინი შერეული მეურნეობები იყო. ჩაის მცენარესთან ერთად მოშენებული ჰქონდათ ხეხილი, ძირითადად ციტრუსები, მაღლარი ვენახი, ყვავილები და სხვა სასაქონლო კულტურები. კულტივირებული მამულების უმრავლესობა წვრილი მეურნეობები იყო. 1914 წლისათვის 0.25-3 დესეტინა ფართობის მქონე მეურნეობა 110 ერთეულს შეადგენდა. 4-5 დესეტინა ფართობი ეკავა 51 მეურნეობას, 6-10 დესეტინა-47, 11-15 დესეტინა – 11, 20 დესეტინა – 8, 25 დესეტინა-2 მეურნეობას. სამი მეურნეობიდან თითოეულის ფართობი 40, 45 და 130 დესეტინას შეადგენდა. კულტივირებული მამულების საერთო ფართობი 1190 დესეტინას შეადგენდა. ეს მამულები მდებარეობდა ორთაბათუმის რაიონში, მახინჯაურში, მწვანე კონცხსა ად ციხისძირში. [297] მოახალშენეების მსხვილი ადგილ-ამულები მდებარეობდა მახინჯაურში, მწვანე კონცხსა და ციხისძირში. ბარათოვის მამული შეადგენდა 19.5 დესეტინას, ლიტვინოვისა და მისი ამხანაგობის წევრების – 50, მალხასიანის – 12, უპენეკის – 26, სტოიანოვის – 19.5, ბოროდინას – 11, გოლოვინის – 14, პენკოვის – 13.5, ურინოვსკის

---

[296] кавказ, 6 ноября, 1913, с. 10.

[297] აცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 12, ფურც. 43.

მამული-12 დესეტინა. სოფელ ყარადერეში, როგორც აღინიშნა, მ. სინიცინის მამულს ეკავა 19.5, ხოლო ბორდელისის მამულს – 17 დესეტინა.

კულტივირებულ მამულებში ჩაის მცენარეს ეკავა საერთო ფართობის 11.9%, ციტრუსებს – 46.3%, სამრეწველო მეეკავილეობას – 0.7%, ხეხილს – 12.4%, დეკორაციულ ბაღებსა და ტექნიკურ კულტურებს – 17%, ბამბუკს – 0.8%. დანარჩენი ფართობი იყო სახნავი, საბალახოები და მდელოები[298].

კულტივირებული მამულების შესახებ ნათელი სურათის შესაქმნელად დამატებით მოვიყვანთ რამდენიმე ცნობას. მაგალითად, თადარიგში მყოფი გენერლის ფესენკოს მეურნეობა, რომელიც მახინჯაურში მდებარეობდა, შედგებოდა 5 დესეტინისაგან. ჩაის პლანტაციას ეკავა 2 დესეტინა, დანარჩენ ფართობზე გაშენებული იყო ციტრუსოვანთა კულტურები, ხეხილი, მაღლარი ვენახი, სამრეწველო მნიშვნელობის ყვავილები. ფესენკოს კარგად ჰქონდა მოწყობილი სანერგე. მამულის ერთ ნაწილზე სიმინდს და სხვა ერთწლიან კულტურებს სთესავდნენ.

ფესენკოს აგებული ჰქონდა სამსართულიანი ქვის სახლი 8 ოთახით, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ორსართულიანი ქვის შენობა, წისქვილი და კაპიტალური წყალსადენი. ეზო-კარმიდამო იყო მოასფალტებული. 1925 წლისათვის ფესენკოს მამული გაპარტახებულ-გაჩანაგებულად გამოიყურებოდა[299].

---

[298] აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 370, ფურც. 3-13.
[299] აცსა, ფ. რ–2, ან. 1, ს. 242, ფურც. 189.

კულტივირებული მამულებიდან გამოიჩეოდნენ პანცერის, ენფინჯიანცის, სობეცკის, სიბირიაკოვის, საბაევის და სხვათა მეურნეობები. მაგალითად, იოანე პანცერის მამული (მდებარეობდა მახინჯაურში) 1925 წელს 15 დესეტინას შეადგენდა. იგი კარგად იყო მოვლილი. მისი სახით მკაფიოდ ჩანდა გერმანელისათვის დამახასიათებელი პუნქტუალობა და აკურატულობა. ი. პანცერის მამულში სახნავ-სათესს ეკავა 3 დესეტინა, ხეხილის ბარს — 2 (აქედან 1.5 დესეტინა ციტრუსები), სათიბს — 9 დესეტინა. ჰყავდა 4 სული ფური და ერთი ცხენი. მას გააჩნდა კარგად მოწყობილი ქვის საცხოვრებელი სახლი (აბანოთი), სხვა შენობა-ნაგებობანი.[300]

სოციალური კუთვნილების მიხედვით მოახალშენეები იყვნენ შთამომავლობით მემამულეები, სამრეწველო, საკაჭრო და საფინანსო კაპიტალის წარმომადგენლები. მოახალშენეთა მეორე ნაწილს შეადგენდა სახელმწიფო აპარატის მოხელეები, თადარიგში მყოფი თუ კადრის გენერლები, ოფიცრები და სხვა. მესამე მცირე ჯგუფს წარმოადგენდა ინტელიგენცია (აგრონომები, ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები) და სხვა. მოახალშენეთა უმრავლესობა საზოგადოების პრივილეგიურ წოდებას ეკუთვნოდენ, რომლებმაც დაგროვილი კაპიტალი დააბანდეს ამ კუთხის სამეურნეო-სამეწარმეო სფეროში და მნიშვნელოვან მოგებას იღებდნენ.

ეროვნული კუთვნილების მიხედვით მოახალშენე მიწისმფლობელთა უმრავლესობა რუსებია. მეორე ადგილი ეკა-

---

[300] აცსა. ფ. რ–2, ან. 1, ს. 242, ფურც. 131–132; ს. 447, ფურც. 46; ს. 718, ფურც. 21.

ვათ სომხებსა და ბერძნებს. აჭარაში ახალ მიწისმფლობელთა შორის გვხდებიან ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, იტალიელები, დანიელები, ჩეხები, ლატვიელები, უკრაინელები, თურქები, სპარსელები, პოლონელები, ბელორუსები და სხვა ერის წარმომადგენლები. 1925 წლის ცნობით, 22 მოახალშენე საზღვარგარეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომი იყო[301].

ზემო და ქვემო აჭარაში, შავშეთ-იმეხევში, ართვინისა და არტანუჯის უბნებში მაჭახლისა და ლიგანის ხეობებში კაპიტალისტური მიწისმფლობელთა ფენა თითქმის არ იყო. ანალოგიური ვითარება არსებობდა ოლთისისა და არტაანის ოკრუგებში. მართალია, საქართველოს ამ კუთხეებში ემიგრირებული მოსახლეობის მამულები ყიდვა-გაყიდვის სფეროში მოექცა, მაგრამ იქ მხოლოდ არაქართველი გლეხური მოსახლეობა დასახლდა. მცირე მასშტაბის კაპიტალისტური მეურნეობები მოეწყო ართვინისა და არტანუჯის მხარეში საიჯარო მიწებზე. ამ პლანტაციების მფლობელები იყვნენ სომეხი ვაჭრები, რომლებიც ბათუმში ცხოვრობდენ. აქვე ჰქონდათ თამბაქოს საწყობები და დასაგროვებელი პუნქტები. ასეთი პუნქტები მათ გახსნილი ჰქონდათ ართვინისა და არტანუჯის უბნებში.

კაპიტალისტური მიწათმფლობელობა, ქვეყნის კოლონიური მდგომარეობის მიუხედავად, პროგრესული იყო. მან განაპირობა ფულადი-სასაქონლო მეურნეობის განვითარება. მოარყია ნატურალური, კარჩაკეტილი ცხოვრების წესი. საქართველო, კერძოდ, აჭარა საქონლისა და კაპიტალის

---

[301] აცსა, ფ. ი-84, ან. 1, ს. 45, ფურც. 1.

მსოფლიო მიმოქცევაში ჩაება. ამის შედეგად გაჩნდა ახალი სამეშაო ადგილები, გავრცელდა გაუმჯობესებული სამიწადმოქმედო ტექნიკა, დაინერგა წარმოების პროგრესული ტექნოლოგია (ფაბრიკული წესით პროდუქციის გადამუშავება) და სხვა. მართალია, ყოველივე ეს შეზღუდული მასშტაბისა იყო, მაგრამ მაინც სიახლეა და დადებით შეფასებას იმსახურებს. ამავე დროს მიწის კაპიტალიზაციამ, ბურჟუაზიულმა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობამ აშკარად გამოავლინა თავისი უარყოფითი მხარეები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კაპიტალისტური მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა თავისი ხასიათით იყო ველური და კოლონიური. მას თან ახლდა ბუნებრივი და შრომითი რესურსების უზომო ექსპლუატაცია. მიწის საუკეთესო სავარგულები არაქართველების ხელთ მოექცა. ამის შედეგად ეროვნული მამულის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველობას ხელიდან გამოეცალა. ქართული ეროვნული ფუძე შეირყა, შეიცვალა დემოგრაფიული ვითარება. ამ პროცესების შედეგად ქართველობას დიდი ეროვნული ტკივილი გაუჩნდა.

4. საადგილმამულო გადასახადები და საგადასახადო სისტემა

ბათუმის და ყარსის ოლქებში შესამჩნევი ცვლილებები განიცადა მიწის რენტის ფორმებმა და საგადასახადო სისტემამ. მართალია, არსებობდა მიწის რენტის სამივე ფორმა,

მაგრამ სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარების, საქალაქო ცხოვრებისა და აღებ-მიცემობის აღმაფლობის კვალობაზე გაბატონდა ფულადი რენტა. ახალ პირობებში რენტის ეს ფორმა პასუხობდა როგორც ხაზინის, ისე ბურჟუაზიის, საუფლისწულო უწყებისა და ადგილობრივი აღებ-მცემების ინტერესებს. ამასთან საადგილმამულო საგადასახადო სისტემაში ცვლილებები ნელი ტემპით მიმდინარეობდა. რუსეთის მმართველობის ხანაში, ისევე როგორც ოსმალთა ბატონობის პერიოდში, რენტა და ბეგარა-გადასახადები ერთმანეთს ემთხვეოდა. გლეხკაცის ცხოვრება მძიმე და აუტანელი რჩებოდა. გლეხკაცის ნაშრომნაოფლარს მრავალი წამგლეჯი ჰყავდა. მათგან ყველაზე დიდი ექსპლუატატორი სახელმწიფო იყო. ცხადია, მიწის რენტის უდიდესი ნაწილი ხაზინაში შედიოდა, რამდენადაც სახელმწიფო ყველაზე მსხვილი მესაკუთრე იყო.

ოსმალური გადასახადების სახეები, ბეგარა-ვალდებულებანი და საგადასახადო სისტემა რუსეთის მთავრობამ შეინარჩუნა 900-იან წლებამდე. ასეთი მიდგომა მთავრობისათვის პოლიტიკურად და ეკონომიკურად სარფიანი ჩანდა. ამასთან იგი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შენიღბვის თავისებურ მცდელობად წარმოგვიდგება. გარეგნულად ასე გამოიყურებოდა: რაც აქამდე იყო, უცვლელად რჩებოდა.

მოსახლეობის შესაძლებლობასა და მდგომარეობას ანგარიში არ გაუწიეს. ცარიზმის საგადასახადო პოლიტიკით აღშფოთებული გაზ. "დროება" 1879 წელს წერდა: აჭარლების მდგომარეობა სამწუხაროა. უკანასკნელი ორი წლის იომის გამო ხალხს არ მოუხნავს, არ დაუთესია და, მაშასადამე, მოსავალიც არ მიუღია. ასეთ პირობებში გადასახა-

დების დაკისრება ძალზე ძნელი იქნება. გაზეთი მთავრობისაგან მოითხოვდა გადასახადების სამი-ოთხი წლით მაინც გაუქმებას.[302] ასეთი შეგონება და სამართლიანი მოთხოვნა ცარიზმს აღიზიანებდა, რეპრესიებით პასუხობდა.

ოსმალური გადასახადებისა და გამოსაღებებიდან ცარიზმმა შეინარჩუნა: აშარი, რუსუმათ-არაზი, აღნამ-რასმი და სალიანი. მართალია, აღწერასა და საგადასახადო უწყისებს კვლავ სოფლის მამასახლისი (მუხტარი) აკეთებდა, მაგრამ მთავრობის საოლქო ადმინისტრაცია მკაცრად აკონტროლებდა. საგადასახადო უწყისებს ოკრუგის უფროსი, ანდა მისი თანაშემწე ამტკიცებდა.

რუსეთის ბატონობის პირველ წლებში ბათუმისა და ყარსი ოლქების მოსახლეობა აშარს (მოსავლის მეათედი) ძირითადად ნატურით იხდიდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გლეხები სავაჭრო პუნქტებამდე თვითონ ეზიდებოდნენ. შემდეგ კი გუბერნატორის განკარგულებით იყიდებოდა, ამონაგები თანხა კი სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა.[303]

საძოვარზე დადგენილ გამოსაღებს (აღნამ-რასმი და რუსუმათ-არაზი), აგრეთვე, საკომლო გადასახადი (სალიანი) ფულადი იყო თითოეულ კომლზე 50 კაპიკის ოდენობით. 1886 წელს ბათუმის ოკრუგში (ქალაქის გამოკლებით) 8315, ხოლო ართვინისაში 7130 კომლი ცხოვრობდა. საკომლო გადასახადი ორივე ოკრუგში ერთად აღებული 7723 რუბლს

---

[302] დროება, 22 აპრილი, 1879.

[303] სცხსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 49

შეადგენდა[304]. არტაანის ოკრუგში გაწერილი საკომლო გადასახადი 2929, ხოლო ოლთისისაში - 1686 რუბლი იყო.[305]

საძოვარზე დაწესებული გამოსაღების ოდენობა პირუტყვის სულადობით განისაზღვრებოდა. მოსახლეობა ჯოგის თითოეულ სულზე 15-დან 20 კაპიკამდე იხდიდა (წერილფეხა პირუტყვზე-15 კაპიკი, მსხვილფეხაზე-20 კაპიკი).[306] გაცილებით მძიმე და აუტანელი იყო სახელმწიფო საღალო გამოსაღები. XIX საუკუნის 80-იან წლებში არტაანის ოკრუგის მოსახლეობა საძოვარ-საბალახოებით სარგებლობისათვის 26812 რუბლს იხდიდა. (თითოეულ კომლზე საშუალოდ 4 რუბლი და 40 კაპიკი). ოლთისის ოკრუგში საქონლის სულადობა არტაანთან შედარებით ნაკლები იყო და 8426 რუბლს იხდიდა (კომლზე საშუალოდ 2 რუბლი და 50 კაპიკი).[307] დაახლოებით ასეთივე სურათი გვაქვს ბათუმისა და ართვინის ოკრუგებშიც.

ყველაზე მძიმე და აუტანელი იყო მეათედი. მთავრობის მოხელეთა თვითნებობის, ბოროტმოქმედებისა და საერთო განუკითხაობის პირობებში აღნიშნული გამოსაღები კიდევ უფრო დამძიმდა. გაზეთი "ივერია" მიანიშნებდა: აშარი ხალხისათვის მძიმე და აუტანელი ტვირთია, დიდ უკმაყოფილებასა და ბოროტმოქმედებას ჰბადებსო[308].

1878-1882 წლებში რუსეთის ადგილობრივმა მოხელეებმა აშარის შემოსავალი ზუსტად ვერ დაადგინეს. ამას მთავრობის ჩინოვნიკები იმით ხსნიდნენ, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მიწის მოსავლის საშუალო მახასიათებ-

---

[304] КК на 1899 год. Тиф., 1898. с. 30-31.
[305] Карсская область. Свод статистических данных. Тиф., 1889, с. 276.
[306] КК на 1917 год. Тиф., 1916, с. 324.
[307] Карсская область. Свод статистических данных. Тиф., 1889, с. 276, 279.
[308] ივერია, 15 დეკემბერი, 1890.

ლები ცნობილი არ იყო. ამასთან, მოსახლეობის ნაწილის ოსმალეთში გადახვეწის გამო საერთო მონაცემების დაზუსტება შეუძლებელი იყო. ამიტომ თითოეულ სოფელს განსხვავებული გამოსაღები ჰქონდა შეწერილი და შემოსავალიც უფრო შემცირდა, ვიდრე მთავრობა მოელოდა[309].

მომდევნო წლებში მთავრობის მოხელეებმა საგრძნობი მუშაობა გასწიეს: დეტალურად აღწერეს სოფლები, კომლები, ორივე სქესის მოსახლეობა, ყველა სახის მიწები, მოსავალი, შეადგინეს შესაბამისი ცნობები, დააზუსტეს გადასახადები. ეს მონაცემები საშუალებას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ აშარის ოდენობის შესახებ. 1882-1886 წლებში ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მიწის მეათედი გამოსაღები ასახულია მე-7 ცხრილში (რუბლებით).[310]

ცხრილი 7

საპოლიციო უბნებისა და ოკრუგების დასახელება	1882 წ.	1883 წ.	1884 წ.	1885 წ.	1886 წ.	1882-1886 წწ. თითო კომლზე მოდიოდა
კინტრიშის	4367	5295	5407	3750	3817	4,15
გონიოს	6894	8222	8819	9846	7379	4,66
ქვემო აჭარის	3684	3959	4025	5129	5283	1,72
ზემო აჭარის	7099	7690	7678	8120	9028	3,36
სულ ბათუმის ოკრუგში	22044	25166	25929	26845	25507	3,15
ართვინის	8778	8179	7392	7528	6693	4,35
არტანუჯის	18438	15691	13223	16183	17694	6,49
შავშეთ-იმერხევის	11198	13690	12204	11214	9850	4,32
სულ ართვინის ოკრუგში	38414	37560	32819	34925	34237	4,66

309 სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 2.

310 ცხრილი შედგენილია: სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 10–42.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ წლებში ართვინის ოკრუგიდან ხაზინაში შედარებით მეტი თანხა შედიოდა. ეს იმით აიხსნება, რომ ამ მხარეში დამუშავებუ-ლი მიწები და მოსავალიც მეტი იყო. აღნიშნულ ოკრუგში შედარებით დიდი ოდენობით აშარს იხდიდნენ არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის საპოლიციო უბნების სოფლის საზოგადოების წევრები (განურჩევლად წოდებისა).

ბათუმის ოკრუგში 1882-1886 წლებში აშარის გამოსაღებით მეტად დატვირთუ-ლი იყო ზემო აჭარისა და გონიოს საპოლიციო უბნების მოსახლეობა. საერთოდ აღნიშნულ წლებში თითო კომლზე ყველაზე მეტი გამოსაღები გაუღიათ არტანუჯის, ართვინის, შავშეთ-იმერხევის, გონიოსა და კინტრიშის ზონების მცხოვრებლებს.

აშარს ქალაქ ბათუმის მიწისმფლობელი მოსახლეობაც იხდიდა. მაგალითად, XIX 80-იანი წლების მეორე ნახევარში აშარი 1058 რუბლი და 40 კაპიკი ბათუმის 336 კომლს გადაუხდია (თითო კომლზე საშუალოდ 3 რუბლი და 15 კაპიკი.). 90-იანი წლების საგადასახადო რეფორმამდე აშარისაგან თავისუფალი ყოფილან არაქართველი ხიზნები (ბერძნები, ქურთები, ბოშები) სულ 521 კომლი, თუმცა ოსინი აქაური მიწებით სარგებლობდნენ.[311]

არტაანისა და ოლთისის ოკრუგების მოსახლეობიდან რუსეთის სახელმწიფო ხაზინაში უფრო მეტი თანხები შედიოდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ამ ოკრუგების მოსახლეობის მიერ აშარის (მიწის შემოსავლის მეათედი)

---

[311] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფ. 3-4, 42-43.

შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მე-8 ცხრილი (რუბლებით)[312].

ცხრილი 8

ოკრუგების დასახ.	1884წ.	1885წ.	1886წ.	1887წ.	საშუალოდ 1884-1887 წწ. მოდიოდა	
					თითო კომლზე	თითო სულზე
არტაანის	72517	81247	79179	90326	14.3	1,8
ოლთისის	44437	41237	40944	55015	18,8	2,8

შედარებითი ანალიზით ცხადი ხდება, რომ ზემოდასახელებულ რეგიონებში მოსახლეობა სახელმწიფო ხაზინაში აშარის სახით 2-3-ჯერ მეტ თანხას იხდიდა, ვიდრე ბათუმის ოლქში. ამასთან, თითო კომლზე ასევე 2-3-ჯერ მეტი გადასახადი მოდიოდა. ცხადია, ასეთი ვითარება განპირობებული იყო იმით, რომ არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში მოსახლეობა შედარებით დიდი რაოდენობით საკომლო-სანადელო მიწებს ფლობდა. დიდი გადასახადებით დაბეგრილი იყო არტაანის, კოლას და ოლთისის საპოლიციო უბნები.

აშარის ნატურით ამოღება ძნელი და მოუხერხებელი იყო მთავრობის მოხელეები მოსავლის ოდენობის დადგენას ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. ბუნებრივია, მოსახლეობა შეეცდებოდა დაბალი მაჩვენებლები მიეცათ. ტრანსპორტირება და სავაჭრო პუნქტებში პროდუქციის რეალიზაცია მთელ რიგ სიძნელეებს უკავშირდებოდა. ადგილი

[312] გამოთვლილია: სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 252-256.

ჰქონდა პროდუქციის დანაკარგებსაც.

რუსეთის მთავრობა მიწის ფულადი რენტის შემოღების აუცილებლობის წინაშე იდგა. მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, ფინანსთა სამინისტრომ 1887 წლის 26 ივნისს სპეციალური დებულება დაამტკიცა. ამიერიდან ყარსის ოლქში, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში ნატურალური აშარი ფულადით იცვლებოდა. მიწის მეათედი გამოსაღები მოწეული მოსავლის ნაცვლად, დაწესდა უშუალოდ სავარგულ მიწაზე მისი სიდიდისა და ვარგისიანობის გათვალისწინებით.

ნატურალური რენტის ფულადით შეცვლასთან დაკავშირებით რუსეთის მოხელეებმა აღწერეს ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ადგილ-მამულები, განსაზღვრეს მიწების ვარგისიანობა, შეადგინეს საგადასახადო უწყისები, დაადგინეს გადასახადების ოდენობა. საგადასახადო რეფორმა გატარდა: ყარსის ოლქში 1887-1888, ხოლო ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში 1888-1891 წლებში.

ვარგისიანობის მიხედვით მიწები დაიყო: ყარსის ოლქში-13, ბათუმის ოკრუგში-6, ხოლო ართვინისაში-5 კატეგორიად. ყველაზე ნაყოფიერი მიწები აღირიცხა არტაანის ოკრუგში, კინტრიშისა და შავშეთ-იმერხევის უბნებში. საღალო გამოსაღების სიდიდე დამოკიდებული იყო მიწის ნაყოფიერებაზე.[313] ამის შემდეგ მიწის საღალო გამოსაღები ორი სახისა იყო: სამიწათმოქმედო და არასამიწათმოქმედო. პირველ შემთხვევაში გადასახადები გაწერილი იყო სახნავ-სათიბზე, საძოვრებზე და სხვა. არასამიწათმოქმედო ღალას

---

[313] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 51-55, 278–289.

ახდევინებდნენ ესოებზე, წისქვილებზე და თევზსაჭერ ნაკვეთებზე. მაგალითად, 1891 წელს არასამიწათმოქმედო საგადასახადო მუხლით სახელმწიფო ხაზინაში არტაანის ოკრუგიდან შევიდა 14044 რუბლი, ხოლო ოლთისის ოკრუგიდან-1378 რუბლი[314].

ნატურალური გადასახადის ფულადით შეცვლამ მნიშვნელოვნად დაარქარა სასაქონლო წარმოების განვითარება. ამ აქტმა სოფლის მწარმოებელი მოსახლეობა მჭიდროდ დააკავშირა ქალაქებსა და სავაჭრო დაბებთან. ამდენად, ფულადი გადასახადების შემოღება პროგრესული ღონისძიება იყო, მაგრამ იგი სოფლის მშრომელ მოსახლეობას დამატებით სი'ნელეებს უქმნიდა ბაზარზე საქონლის ტრანსპორტირება, მისი რეალიზაცია, ღამეების თენება, ზოგჯერ ღია ცის ქვეშ, მოხერხებული როდი იყო. ამიტომ გლეხი ამჯობინებდა თავისი პროდუქცია ადგილზე ჩარჩვაჭრებისათვის ჩალის ფასად მიეყიდა.

გადასახადების ოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 1882-1886 წლებში ბათუმის ოკრუგის მოსახლეობა საშუალოდ წლიურად 25424 რუბლს იხდიდა, ფულადი გადასახადის შემოღების შემდეგ, აღნიშნული მახასიათებელი 28607 რუბლამდე, ე.ი. 3283 რუბლით და კიდევ მეტად გაიზარდა. ართვინის ოკრუგში ანალოგიური მაჩვენებლები შესაბამისად 35534 და 37206 რუბლს შეადგენდა. ზოგიერთ უბანში გადასახადები მესამედით და კიდევ მეტად გადიდდა. ასე იყო, მაგალითად, ქვემო აჭარაში.[315] 1884 წელს ყარსის ოლქში მიწის მეათედი გამოსაღები 277696 რუბლს

---

[314] КК на 1894 год. Тиф., 1893, с. 139.

[315] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 51-55. 278-289.

შეადგენდა. 1891 წელს 362 ათას რუბლამდე გაიზარდა[316].

ფულადი რენტის ერთ-ერთ სახედ წარმოგვიდგება ტყის გადასახადი და ბაჟი. პირველი მათგანი დაწესებული იყო ჩამასალე ხე-ტყეზე, ხოლო მეორე-შეშაზე. ტყის გადასახადი რუსეთის მთავრობამ 1895 წლის შემდეგ შემოიღო, როდესაც ადგილ-მამულები მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სისტემაში გადავიდა. მაგალითად, ქვემო აჭარის (ბათუმის ოკრუგი) მოსახლეობა 100 ცალ ყავარზე ორ-ორნახევარ რუბლს იხდიდა. ამასთან, ყველა სოფლის მოსახლეზე ტყის სარგებლობისათვის წლიურად შეწერილი იყო სამ რუბლამდე საბაჟო გადასახადი.

მოსახლეობისაგან გადასახადების ამოღება მთავრობისათვის ადვილი საქმე არ იყო. ხალხი ურჩობდა, გადასახადებზე უარს ამბობდა. მართალია, ურჩების წინააღმდეგ მთავრობა პოლიციასაც იყენებდა, მაგრამ მოვალე კომლები და სოფლები მაინც ბევრი იყო. საკმაოდ დიდი იყო გადასახადების ნარჩენებიც. მიწით მდიდარ ყარსის ოლქშიც კი მოსახლეობის მიერ გადასახადების გადაუხდელობას სისტემატური ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, 1888-1895 წლებში გადასახადების ნარჩენებმა ("ნედოიმკები") 222722 რუბლი შეადგინა[317]

მოსახლეობის ურჩობა სიღარიბით იყო გამოწვეული. მთაგორიანი რელიეფი, ღვარცოფებისაგან ჩამორეცხილი მწირი მიწები და სისტემატური გვალვები ხალხს საშუალებას არ აძლევდა საჭირო ჭირნახული მიეღო. მრავალ-

---

[316] იქვე. ფურც. 252; КК на 1894 год. Тиф., 1893, с. 138.
[317] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 267.

ჯერ აღინიშნა მოუსავლიანობა. 1893-1894 წლებში სოფელ ბორჩხადან (ართვინის ოკრუგი) "ივერიის" კორესპონდენტი იჯაიანი იტყობინებოდა, რომ გვალვებმა მოსავალს დიდი ზიანი მიაყენაო.[318] მეტწილად ასე იყო სხვა წლებშიც. ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის 1896 წლის ანგარიშში ხაზგასმულია ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მოუსავლიანობის შესახებ.[319]

გაზ. "ივერიის" კორესპოდენტის აბდულ მიქელაძის ცნობით, 1897 წელს ქვემო აჭარაში გაზაფხულსა და ზაფხულში ხანგრძლივი გვალვა, ხოლო შემოდგომაზე კოკისპირული წვიმები ყოფილა. ამის შედეგად მოსავალი განადგურებულა.[320] უკვე 1900 წელს აბდულ მიქელაძე იტყობინებოდა: უამინდობის გამო ქვემო აჭარაში სიმინდის ყანები დაიწვა, ხეხილის მოსავალი განადგურდა, ნიგოზის ხეები ისე დაზიანდა, რომ 5 წლის განმავლობაში ნაყოფს ვეღარ მივიღებთო.[321] გაზეთის ცნობით, 1901 წელს აჭარისწყლისა და მაჭახლის ხეობებში წვიმების შედეგად გამოწვეულმა ღვარცოფებმა მიწები მთლიანად ჩამორეცხა და მოსახლეობას ყანების ნაცვლად გატიტვლებული ქედები შერჩათო[322]. უამინდობის შედეგად მოუსავლიანობა 1903 წელსაც აღინიშნა.[323]

რუსეთის მთავრობა სისტემატურ მოუსავლიანობას ანგარიშს არ უწევდა და მოსახლეობისაგან გადასახადების

---

318 ივერია 18 აგვისტო, 1893; 21 მაისი, 1894

319 სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ფონდი, ან. 1, ს. 49, ფურც. 97

320 ივერია, 11 ივლისი, 28 სექტემბერი, 1897.

321 ივერია, 1 აგვისტო, 1900.

322 ივერია, 18 აგვისტო, 1901.

323 ივერია, 28 ოქტომბერი, 1903

გადახდას ჯიუტად მოითხოვდა. კიდევ მეტი, მას სისტემატურად ზრდიდა. გაზ."ივერია" წერდა: მოუსავლიანობის მიუხედავად, ხალხი მეტი გადასახადებით დაბეგრეს, ჯამაგირიანი მამასახლისების და მწერალ-მდივნების თანამდებობები შემოიღეს, სასოფლო მმართველობის კანცელარიების შენობების აგება და მათი მოწყობაც დააკისრეს. "ამის გამო, განაგრძობს კორესპოდენტი, აქაური მცხოვრებლები დიდად შეწუხებული არიან."[324]

ცენტრალური მთავრობა, კავკასიის სამხარეო ადმინისტრაცია კარგად ხედავდა, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში ოსმალური გადასახადების შენარჩუნება სარფიანი აღარ იყო. საგულისხმოა, რომ კავკასიის რეგიონში ერთიანი საგადასახადო სისტემა საერთოდ არ არსებობდა, რაც მრავალ გაუგებრობასა და სიძნელეს ქმნიდა არა მარტო ამ მხარის, არამედ, აგრეთვე, მთლიანად იმპერიის მასშტაბითაც. ამიტომ აუცილებელი იყო ცვლილებები. მთავრობის დადგენილებით, 1901 წელს კავკასიაში საგადასახადო სისტემის რეფორმა გატარდა. ყველა წინანდელი გადასახადი გააუქმეს და ადგილ-მამულების დაბეგვრის ერთიანი წესები შემოიღეს. ეს რეფორმა ყარსის ოლქს, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებსაც შეეხო. აქ, როგორც მთლიანად კავკასიაში, ადგილ-მამულები დაიბეგრა: სახელმწიფო საღალო გამოსაღებით, საერობო მოსაკრებელით და სახელმწიფო მიწის გადასახადით. პირველი სახაზინო მიწებზე დაწესდა, მეორე ყველა სახის მიწებზე, ხოლო მესამე - კერძო საკუთრებაში მყოფ მამულებზე. მთავრობის

---

[324] ივერია, 18 აგვისტო, 1901.

შესაბამისი ორგანოები აღნიშნული სახის გადასახადების ნუსხას სამი წლით წინასწარ ადგენდნენ. ამიერიდან გადასახადები მიწის ფართობზე დაწესდა, მოსავალი სათვალავში აღარ მიიღებოდა.

1903 წლის 12 მაისის უმაღლესი დადგენილებით ამიერკავკასიაში შემოიღეს ახალი წესი და განაკვეთები საგერბო გამოსაღების, საერობო მოსაკრებლის, ბინის, მიწის და სხვა გადასახადების შესახებ. ამ დადგენილებით დასაბეგრ მიწებს ეკუთვნოდა: ვენახი და ხეხილის ბაღები, სახნავი, თამბაქოს პლანტაციები, ტყე და საძოვრები. მანმადე არსებული წესისაგან განსხვავებით, ეზოები და სათიბები გამოყოფილი არ იყო საერთო სავარგულებისაგან. დაბეგრვის ახალი წესის თანახმად დაადგინეს დასაბეგრი მიწების ახალი კატეგორიები. მიწები დაიყო ოთხ თანრიგად. პირველ თანრიგს მიაკუთვნეს კახაბრისა და ჩურუქსუს დაბლობის მიწები, მეორეს-ზღვასთან ასლომდებარე დამრეც გორაკებზე განლაგებული სავარგულები, მესამეს-მთისწინა ფერდობებზე განთავსებული სახნავი, ხოლო მეოთხე თანრიგს — მაღალმთიან ზონაში მკვეთრი ფერდობების სავარგულები.

მიწების საერთო შემოსაველებისა და დანახარჯების გათვალისწინებით დააწესეს საგადასახადო განაკვეთები. მაშინდელ პირობებში ერთი დესეტინა პირველი კატეგორიის სახნავი მიწის შემოსავალი განსაზღვრეს 75 რუბლი, დანახარჯი — 55, ხოლო წმინდა შემოსავალი-20 რუბლი. მეორე თანრიგის მიწებზე შესაბამისად: 65, 53 და 12 რუბლი. მესამე თანრიგის მიწებზე — 45, 37 და 8 რუბლი. მეოთხე კატეგორიის ერთი დესეტინა მიწის საერთო

შემოსავალი დაადგინეს 28 რუბლი, დანახარჯები — 25, ხოლო წმინდა შემოსავალი 3 რუბლი. თამბაქოს პლანტაციები კატეგორიებად არ იყოფოდა. ერთი დესეტინა თამბაქოს პლანტაციის წმინდა შემოსავალი განსაზღვრეს 377 რუბლი და 50 კაპიკი. ერთი დესეტინა ტყისა და საძოვრების შემოსავალი დაადგინეს 30 კაპიკის ოდენობით.

ნაის პლანტაციები და ვენახი 1903 წელს არ იშბეგრებოდა იმ მოტივით, რომ ეს დარგები მნიშვნელოვნად შეანვითარებული არ იყო. ართვინის ოკრუგის მიწები დაბალნაყოფიერად შეაფასეს და ექვს კატეგორიად იყოფოდა. პირველი კატეგორიის ერთი დესეტინა მიწის საერთო შემოსავალი 28 რუბლით განსაზღვრეს, ხოლო წმინდა შემოსავალი — 22 რუბლითა და 50 კაპიკით. ერთი დესეტინა საძოვრებისა და საბალახოების შემოსავალი განსაზღვრა 15 კაპიკით[325]. საერთო და წმინდა შემოსავლები საფუძვლად დაედო ადგილ-მამულების ვარგისიანობის განსაზღვრას და ამის მიხედვით მიწის ფართობზე საადგილმამულო გადასახადების დადგენას.

გადასახადების ამოღება ადგილობრივი, საგუბერნიო, სამხარეო და თვით ცენტრალური ორგანოების მთავარ საქმედ რჩებოდა. რეფორმის შემდეგ ეს საქმე უშუალოდ გუბერნიების სახაზინო პალატებს დაევალათ. საქართველოში ორი ასეთი უწყება არსებობდა: ერთი ქუთაისის, ხოლო მეორე თბილისის გუბერნიაში. ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიის სახაზინო პალატას ექვემდებარებოდა, ხოლო ყარსის ოლქი ერევნის გუბერნიის ანალოგიურ უწყებას. სახაზინო პალატების დასაყრდენი ძალა იყო

---

[325] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 103, ფურც. 27.

სასოფლო საზოგადოებების მამასახლისები და სასოფლო ოკრუგების უფროსები. სახაზინო პალატებს ბათუმის, ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში გამოყოფილი ჰყავდათ საგადასახადო ინსპექტორები. ისინი საგადასახადო საქმეებს აწესრიგებდნენ საოლქო, საოკრუგო, საპოლიციო უბნებისა და სასოფლო ოკრუგების მოხელეებთან თანამოქმედებით.

1901 წლის რეფორმის შემდეგ ბათუმის ოლქის მოსახლეობის საადგილმამულო გადასახდებით დაბეგვრის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მე-9 ცხრილში მოცემული მონაცემები (რუბლრბით)[326]

მე-9 ცხრილში, მართალია, ყველა წლების მონაცემები არ არის, მაგრამ იგი შესაძლებლობას იძლევა გაანალიზოთ რეფორმის შედეგად შემოღებული გადასახადების სახეები, ოდენობა და სიმძიმე. საადგილ-მამულო რენტის ძირითადი სიმძიმე სანადელო მიწებზე მოდიოდა (1905 წელს – 97%, 1915 წელს – 84%). 1915 წელს საღალო გამოსაღებით და საერობო მოსაკრებლით დაბეგრილი იყო 465 სოფელი (ბათუმის ოკრუგში-301, ართვინისაში 164 სოფელი)[327]. ყველა ისინი სახელმწიფო დასახლებად ითვლებოდნენ. მე-9 ცხრილში მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ სანადელე მიწებზე გაწერილი საღალო გამოსაღები მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება.

---

[326] ცხრილი 'შედგენილია:სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2788. ფურც.7; ან. 10, ს. 40, ფურც 136-140; ან.23, ს. 2040, ფურც 1; ან.24. ს.648, ფურც. 3; აცსა, ფ.ი-81, ს.105, ფურც. 14.
[327] КК на 1917 год ТИФ 1916 С 340-341.

ცხრილი 9

ოკრუგების დასახელება	წლები	სახელმწიფო სანადელო მიწების დაბეგვრა			კერძო ადგილ-მამულების დაბეგვრა		
		საღალი გამოსაღები	საერობო მოსაკრებელი	სულ	საადგილმამულო გადასახადი	საერობო მოსაკრებელი	სულ
ბათუმის	1905	18926	10789	29715	294	1355	1649
	1909	13461	8044	21505	2036	—	—
	1912	12829	7175	2000	2100	3915	6015
	1915	15112	7580	4	2429	3915	6344
ართვინის	1905	22600	12882	22692	2	14	16
	1909	8995	5380	35482	—		—
	1912	11171	6248	14375	6	11	17
	1915	11648	5843	17419	7	11	18
				17491			

საერთოდ საგადასახადო განაკვეთები მყარი არ იყო. 1902-1907 წლებში სოფლის მოსახლეობის საადგილმამულო საღალო გამოსაღების განაკვეთები ძირითადად ერთი და იგივე დარჩა. შემცირების ტენდენცია 1908 წლიდან შეიმჩნევა. უკვე 1915 წელს 1905 წელთან შედარებით სანადელე მიწებზე გაწერილი საღალო გამოსაღები მესამედით და კიდევ მეტადაა შემცირებული. ამის მიზეზი იყო მოსახლეობის მიერ მიწის ზოგიერთი ნაკვეთის მიტოვება.

ძირითადად ეს იყო საძოვრები და ტყე-ბუჩქნარები, ნაწილი კი მოახალშენეებმა შეიძინეს.

ბათუმის ოლქის მოსახლეობა, 1917 წლის ცნობით, ღალისა და საერობო მოსაკრებლის სახით იხდიდა სანადელო მიწების საერთო შემოსავლის 20%-დან 47%-მდე. კონკრეტულად, კინტრიშის უბანში იგი შეადგენდა 20%-ს (ნადელების საერთო შემოსავალი იყო 32598 რუბლი, გადასახადი კი შეადგენდა 6484 რუბლს), ქვემო აჭარის უბანში – 20.4%-ს (ნადელების საერთო შემოსავალი-18681 რუბლი, გადასახადი – 3804 რუბლი), გონიოს უბნის ოღლაურის სასოფლო ოკრუგის მოსახლეობაზე გაწერილი ღალა და საერობო მოსაკრებელი შეადგენდა ნადელების საერთო შემოსავლის 23%-ს (სანადელო მიწების შემოსავალი – 3835 რუბლი, გადასახადი-1801 რუბლი). ზემო აჭარის დიდაჭარის სასოფლო ოკრუგში საღალო გამოსაღები და საერობო მოსაკრებელი ნადელების საერთო შემოსავლის 47%-ს უდრიდა[328] (ნადელების საერთო შემოსავალი იყო 9666 რუბლი, ხოლო გადასახადი – 4541 რუბლი).

კერძო მიწებზე გაწერილი გადასახადები საგრძნობლადაა გაზრდილი. მაგალითად, 1905-1915 წლებში ამ კატეგორიის ადგილ-მამულების გადასახადის ოდენობა თითქმის სამჯერ გადიდდა, ძირითადად, კერძო საკუთრების მიწების გაზრდით. ადგილ-მამულების კერძო მესაკუთრენი მეტწილად მოახალშენეებია. 1915 წელს ბათუმის ოლქში კერძო მესაკუთრეა 463 კაცი, რომლებიც საადგილმამულო გადასახადებით იყო დაბეგრილი. ამათგან 439 მესაკუთრე

---

328 გამოთვლილია: აცსა. ფ. ი-81, ან. 1, ს. 203, ფურც. 2-58. ციფრები დაჯამებულია ავტორის მიერ.

ბათუმის ოკრუგში, ძირითადად ზღვისპირეთში, სახლობდა. წლიურად თითოეული მათგანი საშუალოდ 14 რუბლს იხდიდა.[329]

საადგილმამულო ფულადი რენტის სამი სახიდან (საღალო გამოსაღები, საერობო მოსაკრებელი, მიწის გადასახადი) წამყვანი იყო საღალო გამოსაღები. 1915 წელს იგი თითქმის ორჯერ აღემატებოდა სახელმწიფო სანადელო მიწებზე დაწესებულ საერობო გამოსაღებს, ცამეტჯერ – საადგილმამულო გადასახადს, რომლითაც კერძო მიწები იყო დაბეგრილი.

არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში მიწის კერძო მესაკუთრეები თითქმის არ ყოფილან. ამდენად, საღალო გამოსაღები სახელმწიფო დასახლების სანადელო მიწებზე მოდიოდა. 1909 წელს არტაანის ოკრუგში საადგილმამულო საღალო და საერობო გამოსაღები ერთად აღებული 112580, ხოლო ოლთისში – 49130 რუბლს შეადგენდა. დაბეგვრის სიმძიმე აქაც საღალო გამოსაღებზე მოდიოდა (არტაანის ოკრუგში – 63%), ოლთისისაში – 60%).[330] ამასთან, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში სახელმწიფო დასახლების მიწების საღალო და საერობო გამოსაღები 3,5-ჯერ მეტი იყო, ვიდრე ბათუმის ოლქში. 1901 წლის საგადასახადო რეფორმის შემდეგ არ გაზრდილა მოსახლეობის დაბეგვრის როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლები, მაგრამ ხალხს გადასახადების გადახდა კვლავინდებურად უჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ 1901 წლის აშარის ნარჩენები ჩამოწერეს, გადასახადების არგადამხდე-

---

[329] КК на 1917 год. ТИФ., 1916 С. 340-341.
[330] Обзор Карсской области 1909 год. Карс, 1910,с. 66-67; КК на 1917 год ТИФ. 1916 С. 340-341.

ლი კომლები და მოლიანი სოფლებიც კი ყოველწლიურად იზრდებოდა. ნარჩენების რაოდენობა ე.ი."ნედოიმკები" საგადასახადო განაკვეთებს ყოველწლიურად ემატებოდა. მაგალითად, 1905-1909 წლებში ბათუმის ოლქში საღალო გამოსაღებისა და სახელმწიფო მიწის გადასახადის ნარჩენების საერთო ოდენობა 22159 რუბლს უდრიდა. აქედან 1906 წელს შეადგინა 12719 რუბლი, 1909 წელს-4922 რუბლი.[331]

1909 წელს არტაანის ოკრუგში საღალო გამოსაღებისა და საერობო მოსაკრებლის ნარჩენები 43453 რუბლს ითვლიდა, რაც საერთო საგადასახადო თანხის 38.6%-ს შეადგენდა. ოლთისის ოკრუგში საგადასახადო ნარჩენები წლიური საგანაკვეთო თანხის 80%-ს უდრიდა[332].

პირველი მსოფლიო ომის წლებში გადასახადების გადაუხდელობამ მასობრივი ხასიათი შეიძინა. 1914-1916 წლებში საადგილმამულო გადასახადების დიდი ნარჩენები დაგროვდა. ქუთაისი გუბერნიის სახაზინო პალატის უფროსმა არაერთხელ მიმართა ბათუმისა და ართვინის ოკრუგების საგადასახადო ინსპექტორებს გადასახადების ნარჩენების ამოღების შესახებ. 1915 წლის 21 იანვრის მიმართვაში ბათუმის საგადასახადო ინსპექტორისადმი კატეგორიულად მოითხოვა თათბირების ჩატარება ადგილობრივ ორგანოებთან გადასახადები ამოღების თაობაზე[333].

ყარსისა და ბათუმის ოლქების მოსახლეობას რეფორმის შემდეგ კიდევ ახალი სახის საკომლო გადასახადი შეაწერეს სათემო ბეგარა, რომელიც ორი სახისა იყო:

---

[331] სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 1570, ფურც. 17.
[332] Обзор Карсской области за 1909 год. Карс, 1910,с.58;
[333] აცსა, ფ. ი-81, ან. 1, ს. 80, ფურც. 136.

მუდმივი და დროებითი. პირველის შემოსავალი ხმარდებოდა სასოფლო მმართველობის მოხელეების, სასულიერო წოდების, სკოლებისა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა დაბალი ჩინის მოსამსახურე პერსონალის შენახვას. დროებითი სათემო ბეგარის შემოსავლები საზოგადოებრივი შენობების, (ეკლესია-მონასტრები, სოფლის მმართველობის კანცელარიები, სკოლები და სხვა.) მშენებლობისა და რემონტისათვის იყო განკუთვნილი.

ბათუმის ოკრუგში სათემო ბეგარის შემოსავალი 1903 წელს 60711 რუბლსა და 64 კაპიკს, ხოლო 1910 წელს- 62528 რუბლს შეადგენდა (თითო კომლზე შესაბამისად - 4 და 5 რუბლი).[334] დაახლოებით ასე იყო სხვა წლებშიც. არტაანის ოკრუგში 1909 წ. სათემო ბეგარამ 105530 რუბლი შეადგინა (მუდმივი 51513, დროებითი – 53817), ოლთისის ოკრუგში შესაბამისად 46571, 22788 და 23782 რუბლი (კომლზე საშუალოდ მოდიოდა: არტაანის ოკრუგში 13, ხოლო ოლთისისაში - 11 რუბლი).[335]

სათემო ბეგარიდან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი იხარჯებოდა ადგილობრივი დაწესებულებების მომსახურე პერსონალის შენახვაზე. 1910 წელს ბათუმის ოლქში ამ მიზნისათვის დაიხარჯა 83% (52247 რუბლი).[336] საერობო ბეგარის სიმძიმეს ქედის (ბათუმის ოკრუგი) სკოლის მასწავლებლის კონსტანტინე მკურნალის ჩანაწერიც მოწმობს. იგი 1905 წელს წერდა: აჭარლებისათვის განსაკუთრებით მძიმე ტვირთია სასოფლო მმართველობის

---

[334] Обзор Батумской области за 1910 год. Бат., 1912. с. 22; КК на 1906 год. Тиф. 1905 с 138; Обзор Батумской области за 1910 год. Бат., 1912, с. 108

[335] Обзор карской области за 19109 год. Карс. ., 1910, с. 74

[336] Обзор Батумской области за 1910 год. Бат., 1912, с. 108.

კანცელარიების შენიბების შესყიდვისა და მოხელეების შესანახი ხარჯების გაღებაო[337].

არანაკლებ მძიმე იყო ე.წ. სამხედრო ბეგარა. ამ გადასახადს აჭარაში "სალდათის ფულს" ეძახდნენ. რუსეთის მთავრობამ აქაური მოსახლეობიდან არმიაში გაწვევა ვერ შეძლო და იძულებული გახდა ოსმალური ბეგარა ბოლომდე შეენარჩუნებინა. მხოლოდ XX საუკუნის 10-იან წლებში შეეცადა ხელისუფლება მის გაუქმებას და მამაკაცების გაწვევას მეფის არმიაში.

ამ საკითხზე 1910 წელს მიმოწერა ჰქონდათ რუსეთის სამხედრო მინისტრსა და კავკასიის მეფისნაცვალს. ისინი შეთანხმდნენ სამხედრო ბეგარის გაუქმებისა და არმიაში ახალგაზრდობის საყოველთაო გაწვევის შესახებ, მაგრამ ამას წინ აღუდგა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი. იგი 1910 წელს კავკასიის მეფისნაცვალს მოახსენებდა: აქაური მუსლიმანი მოსახლეობა არ შეიძლება იყოს ერთგული და საიმედო ჯარისკაცი. სამხედრო ვალდებულებების შემოღება კი არა, ამ საკითხზე ხმების გავრცელებაც კი პანიკას გამოიწვევს და მოსახლეობა მასობრივად აიყრებაო. იგი სამხედრო ბეგარის გაუქმებას მოითხოვდა, რადგან აქაური მოსახლეობის "სალდათად" გაწვევას ნაადრევად თვლიდა.[338] მართლაც, მთავრობამ ამ განზრახვაზე ხელი აიღო და სამხედრო ბეგარა წინანდებურადვე ძალაში დარჩა. 1910 წელს, მაგალითად, მოსახლეობაზე გაწერილი სამხედრო ბეგარა, ე.წ. "სალდათის ფული" 15013, ხოლო წინა წლების ნარჩენებთან ერთად 17904 რუბლს

---

[337] Газ. «Черноморский вестник», 15 марта, 1905.

[338] ასმხფ. ს. 63, ფურც. 22-26, 34-36; ს. 67, ფურც. 40

შეადგენდა.[339]

გადასახადების ამოღების გაუმჯობესების მიზნით კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა 1915 წლის ივლისში დაამტკიცა ახალი რედაქციით დებულება ყარსისა და ბათუმის ოლქების სასოფლო მმართველობის შესახებ. ამ დებულების სიახლე ის არის, რომ მნიშვნელოვნად იზრდებოდა სასოფლო ოკრუგების უფროსისა და სოფლის მამასახლისის უფლება-მოვალეობანი გადასახადების გაწერისა და ამოღების, საგადასახადო ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების საქმეში. მკაფიოდ განისაზღვრა სათემო მოსაკრებლების ოდენობა და ამოღებული თანხის ხარჯვის სახეები.

როგორც უკვე ითქვა, საღალო გამოსაღები, სახელმწიფო მიწის გადასახადი და საერობო მოსაკრებელი უშუალოდ დაკავშირებული იყო ადგილ-მამულთან. მათი მასშტაბი მიწის ფართობის სიდიდისა და ვარგისიანობით განისაზღვრებოდა. სათემო ბეგარა (მოსაკრებელი) წინასწარ იყო დადგენილი და სოფლის კომლებზე ნაწილდებოდა. 1916 წლის ხარჯთაღრიცხვით თითოეულ სასოფლო ოკრუგზე მოდიოდა 1500 რუბლი, რომელიც შემდეგი სახის ხარჯებისაგან შედგებოდა: მწერალ-მდივნის ჯამაგირი – 280 რუბლი, სასოფლო ოკრუგის უფროსის გასამჯელო – 300, ორი დამტარებლის – 480 რუბლი. სასოფლო ოკრუგების შენობის რემონტისათვის ანდა დაქირავებისათვის გათვალისწინებული იყო 300 რუბლი, საკანცელარიო ნივთების შეძენისა და გათბობა-განათებისათვის 100-100

[339] Обзор Батумской области за 1910 год. Бат., 1912, с 134.

რუბლი.[340]

მძიმე იყო შრომითი ბეგარაც. მართალია, ოსმალთა ბატონობის ბოლო წლებში (თანზიმათის გატარების შემდეგ) გლეხობა ადა-ბეგების კაბალისაგან განთავისუფლდა, მაგრამ შრომამიგება, როგორც შრომითი ბეგარის სახეობა, შემორჩა. რუსეთის მფლობელობის დროს მისი მასშტაბი გაიზარდა და გამოიყენებოდა პრივილეგერებული წოდების მამულებში და სახელმწიფო სახაზინო სამუშაოებზე. აჭარაში შრომამიგებამ ე.წ. ნადის ფორმა შეიძინა.

შრომითი რენტა ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა სახელმწიფო სამუშაოებზე (გზები, ხიდები და სხვა). მისი ნაირსახეობა იყო სატრანსპორტო ბეგარა. ანაზღაურების გარეშე, ანდა უმნიშვნელო საზღაურით მოსახლეობას დიდძალი ტვირთი გადაჰქონდა საკუთარი ხარ-ურემით და ცხენით. 1897 წელს ბათუმის ოლქში შრომით ბეგარაზე 13268 კაცი, 732 ხარ-ურემი და 952 ცხენი გამოუყვანიათ (8538 კაცი ბათუმის ოკრუგიდან იყო). შესრულებული მთლიანი სამუშაოს ღირებულება 12124 რუბლს შეადგენდა.[341]

მომდევნო წლებში მასშტაბები გაიზარდა. 1902 წლის შრომითი ბეგარა 13480 კაცმა შეასრულა (ბათუმის ოკრუგიდან 3370, ხოლო ართვინის ოკრუგიდან - 10120 კაცი). მათ გამოიყვანეს 375 ხარ-ურემი და 647 ცხენი და 17560 რუბლის სამუშაო შეასრულეს.[342]

1903 წელს შრომითი ბეგარით კიდევ მეტი სამუშაოები შერსულდა. კერძოდ, 15160 კაცმა, 567 ხარ-ურემი და 1331

---

[340] აცსა, ფ.ი-81, ან. 1, ს.81, ფურც. 8, 13, 24.
[341] Обзор Кутайской губернии за 1897 год. Кутаис, 1898, с. 44.
[342] Обзор Кутайской губернии за 1902 год. Кутаис, 1903, с. 45.

ცხენი გამოიყვანა, 60771 რუბლი სამუშაო შეასრულა[343]. პირველი მსოფლიო ომის წლებში შრომით ბეგარაზე მასობრივად გამოჰყავდათ ბათუმის ოლქის მოსახლეობა. 1915 წელს ბორჩხაში გზებისა და ხიდების მშენებლობაზე 800 კაცი მუშაობდა.[344]

არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში მოსახლეობას უფრო მეტად საურმე ბეგარა ეკისრებოდა. 1906 წელს 5000 კაცი საკუთარი ხარ-ურემითა და ცხენით მუშაობდა[345].

უმძიმესი იყო სააქციზო გამოსაღები. მას ახდევინებდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, კერძოდ, თამბაქოს, ჩაის, ღვინისა და არაყის წარმოებისათვის. თამბაქოზე აქციზი 1879 წელს, ხოლო მეჩაიეობაზე 1903 წელს შემოიღეს. 1914 წელს ბათუმის ოლქის მოსახლეობა თამბაქოს ნედლეულის წარმოებაზე ყოველწლიურად 100 ათას რუბლამდე სააქციზო გამოსაღებს იხდიდა[346]. მრავალრიცხოვანი იყო საბაჟო გამოსაღებიც (ქორწინების, განქორწინების, უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისას სასამართლო-ნოტარიუსის საბუთების შედგენისათვის და ა.შ.).

გააჩნდა კი მოსახლეობას ამ მრავალრიცხოვანი საადგილმამულო გადასახადების, მოსაკრებლებისა და სათემო ბეგარის გადახდის საშუალება? ცხადია, უმეტესობას ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. გადასახადების ძირითადი გადამხდელი საშუალო გლეხობა იყო. ბათუმის ოლქში ისინი, მდიდარ გლეხებთან ერთად, მოსახლეობის უმცირესო-

---

[343] Обзор Батумской области за 1903 год. Батуми, 1904, с. 22.

[344] თანამედროვე აზრი, 6 დეკემბერი, 1915.

[345] Обзор Карсской области за 1906 год. Карс, 1907, с. 28-29.

[346] ი. თურმანიძე, გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში.ბათ; 1979, გვ. 21.

ბას შეადგენდნენ. გამონაკლისი იყო კინტრიშის უბანი, სადაც საშუალო გლეხი მოსახლეობის უმრავლესობად ითვლებოდა. საშუალო გლეხობა ჭარბობდა აგრეთვე არტაანის და ოლთისის ოკრუგების მოსახლეობაში. ვ.ლისოვსკი, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებში ჭოროხის მხარეს გაეცნო, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ტერიტორიის მეტი ნაწილი მთაგორიანი, ქვიანი და ტყე-ბუჩქნარითაა დაფარულიო. მიწა არასაკმარისია და რაც არის, მისი დამუშავება დიდ შრომასა და გარჯას მოითხოვსო. იგი მიუთითებდა მოსახლეობის უკიდურეს სიღარიბესა და გაჭირვებაზე.[347]

იმერხევში (ართვინის ოკრუგი) მოსახლეობის სიღარიბეზე გაზეთ "ჩერნომორსკი ვესტნიკი" მოგვითხრობდა[348]. ქვემო აჭარის შესახებ ანალოგიურ ცნობებს იძლეოდა მასწავლებელი კონსტანტინე მკურნალი. მისი გადმოცემით, გლეხები ძალზე ცუდად იკვებებოდნენ, ხორცეულს წლის განმავლობაში მუსლიმანური დღესასწაულის დროს თუ მიირთმევენო. იშვიათი იყო ისეთი გლეხური კომლი, ვისაც 3-4 ფრთაზე მეტი ფრინველი ჰყავდა. თითო კომლს მცირე რაოდენობის რქოსანი პირუტყვი და ერთი თხა თუ ეყოლებოდა. ასეთი მდგომარეობა იმათაა გამოწვეული, რომ მოსახლეობას მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებისათვის საჭირო საკვები არ მოეპოვებაო.[349]

გლეხთა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა სტიქიური უბედურებანი და სხვა ტრაგიკული მოვლენები. 1904 წელს შავშეთ-იმერხევში ძლიერი ქარიშხლის დროს,

---

[347] Лисовский В.Я., Чорохский край. Тиф., 1887, с. 20.
[348] Черноморский вестник, 6 марта 1905.
[349] Черноморский вестник, 7 апрелья .1905.

რასაც ხანძარი მოჰყვა, 26 საცხოვრებელი სახლი და სომხურ-კათოლიკური ეკლესიაც დაიწვა. ზარალმა 279130 რუბლი შეადგინა.[350] 1911 წელს დიდთოვლიანი და მკაცრი ზამთრის, შემდეგ კი გვალვიანი გაზაფხულ-ზაფხულის გამო მოსახლეობამ მოსავალი ვერ მიიღო. ამასთან დაკავშირებით "ბათუმის გაზეთი" სინანულით დასძენდა, რომ "სიღარიბისაგან გაძვალტყავებულ ხალხს რაღა ეს მოუსავლიანობა უნდოდაო" [351].

უმძიმესი იყო მოსახლეობის მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომის წლებში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კალიასავით მოედნენ უცხოელი ინტერვენტები. მათ მიერ მოსახლეობის ძარცვა-გლეჯას საზღვარი არ ჰქონდა. ამის გამო ბევრი დაიღუპა, მრავალიც ხიზნად იქცა. გაზეთი "თანამედროვე აზრი" 1915 წელს წერდა: საქართველოს შავიზღვისპირეთის, გონიოს უბნისა და მდინარე ჭოროხისპირა სოფლები თითქმის დაცარიელდა. ვინც სიკვდილს გადაურჩა, ოსმალეთში ტყვედ წაასხესო.[352] კორესპონდენტი ზემო და ქვემო აჭარის შესახებ აღნიშნავდა: დღევანდელმა ომმა მოსახლეობას წარმოუდგენელ ჯოჯოხეთში ყოფნა არგუნაო[353].

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შედეგად მოსახლეობის მდგომარეობა უკეთესობისაკენ არ შეცვლილა. დროებითი მთავრობა შეეცადა პოლიციური ძალების გამოყენებით ამოეღო გადასახადები. ეს საგანგებო ღონისძიება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ 1917

---

[350] სანკტ-პეტერბურგი. სცსსა. ბიბლიოთეკის სპეცფონდი. ან. 1, ს. 49, ფურც. 1.
[351] ბათუმის გაზეთი. 13 დეკემბერი 1913.
[352] თანამედროვე აზრი, 10 აპრილი 1915.
[353] თანამედროვე აზრი. 15 აპრილი და 20 მაისი, 1915.

წლისათვის საადგილ-მამულო გადასახადების გადაუხდელობის შედეგად კიდევ მეტად გაიზარდა ე.წ. "ნედოიმკები". 1917 წლის ივლისის ბოლოს ქუთაისის გუბერნიაში ნადელების საღალო გამოსაღებისა და საერობო მოსაკრებლების ნარჩენები 226982 რუბლს უდრიდა. ბათუმის ოლქში ნადელების გადასახადების ნარჩენები 23652 რუბლს, ხოლო კერძო მიწის მფლობელებისა — 14821 რუბლს შეადგენდა.[354]

საგადასახადო სისტემასა და გადასახადების ამოღების წესებში ცვლილებები განხორციელდა 1917 წლის 29 მაისის კანონის შედეგად. ამ კანონის საფუძველზე იმპერიის ფინანსთა მინისტრმა იმავე წლის 4-5 ივლისს სპეციალური ცირკულარი დაუგზავნა შესაბამის უწყებებს. კანონის თანახმად გადასახადების ამოღება მილიციას დაეკისრა. საგანაკვეთო გაანგარიშებასა და განაწილებას საგადასახადო სამსახური ახორციელებდა. ფოსტა-ტელეგრაფს დაევალა შეტყობინების ფურცლების ადრესატამდე გაგზავნა-მიტანა[355].

1917 წლის აგვისტოში ქ. ბათუმში სპეციალური ყრილობა გაიმართა გადასახადების ამოღების თაობაზე. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ოლქის, ოკრუგების, უბნების ხელმძღვანელები, საგადასახადო სამსახურის ინსპექტორები და მათი თანაშემწეები, სასოფლო ოკრუგების უფროსები. ყრილობის მოთხოვნა-მოსახლეობისაგან ამოეღოთ გადასახადები პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ომის შედეგად განაწამებ ხალხს არათუ გადასახადები

---

[354] აცსა, ფ.ი-81, ან. 1, ს. 81, ფურც. 8, 13, 24.
[355] იქვე, ფურც. 15-16.

სრულყოფილად გადახდა, ფიზიკური არსებობის შენარჩუ-ნების საშუალებაც აღარ ჰქონდა.

ამრიგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რუსეთის ბატონობის დროს საადგილმამულო-საგადასახადო ურთი-ერთობაში ორი ეტაპი გამოიყოფა. პირველ ეტაპზე (1878-1900 წწ..) ოსმალური მიწის რენტისა და საგადასახდო სისტემის შენარჩუნება ძირითადად განპირობებული იყო პოლიტიკური მოტივებით. ამ ეტაპზე დადებით ღონისძიებად ჩაითვლება ნატურალური გადასახდების ფულადით შეცვ-ლა, რამაც დააჩქარა სასაქონლო ურთიერთობის განვი-თარება. საგადასახდო ურთიერთობის მეორე ეტაპზე (1901-1917 წწ.) თვისობრივ-რაოდენობრივი ცვლილებები განიცადა მიწის რენტის ფორმებმა და საგადსახდო სისტემამ. რუსუ-ლი სამიწათმოქმედო გადასახედების შემოღებით და საგა-დასახდო სისტემაში ახალი უწყებების შექმნით ხელისუფ-ლებამ გაზარდა სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი. ამასთან მოსახლეობა აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა. დაჩქარდა მოსახლეობის ახალი მზარდი სოციალურ-პოლიტიკური გამოსვლები.

თავი მესამე
აგრარული მოძრაობა

1. აგრარული მოძრაობა XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და 900-იანი წლების დასაწყისში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აგრარული მოძრაობა სპეციფიკით ხასიათდება. ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ მასში გლეხობასთან ერთად ჩაბმული იყვნენ ადგილობრივი პრივილეგირებული წოდება (აღა-ბეგები) და უცხოელი მოახალშენეები. ამ საკითხით დაინტერესებული იყო რუსეთის ხელისუფლება. ცხადია, საზოგადოების ყველა ჯგუფს თავისი ინტერესები ამოძრავებდა, ბრძოლის ფორმები და მეთოდებიც განსხვავებული იყო.

აგრარული მოძრაობის ძირითადი ძალა გლეხობა იყო. ჯერ ერთი, საკვლევ პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გლეხობა შეადგენდა მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას. მაგალითად, 1897 წლის აღწერით, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მოსახლეობის 80% გლეხობა იყო. არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში ეს მაჩვენებელი 90%-ს შეადგენდა.[356] მეორე, მიწა-წყლისა და გადასახადების საკითხები ყველაზე მეტად გლეხობას აწუხებდა. ნაყოფიერი მიწების სიმცირე, მძიმე გადასახადები და მოსაკრებლები, არქაული სამიწათმოქმედო ტექნიკა გლეხობას საშუალებას არ აძლევდა ნორმალურად

---

[356] Первая всеобщая перепись населения Российской империи. LXVI. Кутайская Губерния. С-Петербург, 1905, с. 1-3; Карская область. LXIV. С-петербург, 1904, с. 2. პროცენტი გაანგარიშებულია ავტორის მიერ.

გამოეკვება ოჯახი. არსებობისათვის აუცილებელ სარჩო-საბადებელს ძნელად, დიდი ფიზიკური და ნერვული ენერ-გიის გაღების ხარჯზე ნახულობდა. ამის შესახებ მოგვითხ-რობენ საარქივო მასალები, იმდროინდელი პერიოდიკა.

გლეხობის გაჭირვებულ მდგომარეობას ცარიზმის მოთავრობის ოფიციალური მასალებიც აღიარებდნენ. ერთ-ერთ მასალაში, რომელიც კავკასიის კალენდარში დაიბეჭ-და, აღნიშნულია, რომ აჭარის გლეხობას სასურსათო მარცვლეული 3-4 თვესაც არ ყოფნისო. ისინი სასურსათო მარცვლეულს ყარსის ოლქიდან, ახალციხის მაზრისა და საქართველოს დანარჩენი კუთხეებიდან ეზიდებიანო.[357] მართალია, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში, განსაკუთ-რებით პირველში ვარგისი მიწები საკმარისად იყო, მაგრამ არქაული სამიწათმოქმედო ტექნიკის, მძიმე გადასახადებისა და მოსაკრებლების პირობებში, გლეხობას უჭირდა.

ცხადია, ოსმალთა ბატონობის დროს გლეხობის ცხოვ-რების პირობები არანაკლებ მძიმე და აუტანელი იყო. ამიტომ მოსახლეობა იმედიანად შეჰყურებდა ამ ბატონობი-საგან განთავისუფლებას და ოანამოძმეებთან გაერთიანე-ბას. მაგრამ რუსეთის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის გამო ეს იმედები გაქარწყლდა. საადგილმამულო ურთიერ-თობანი კიდევ მეტად დამძიმდა. გლეხობის შრომისა და ცხოვრების პირობები გაუარესდა. ცხადია, აგრარულმა მოძრაობამ ახალი შინაარსი შეიძინა, გაიზარდა მისი მასშტაბი, მრავალფეროვანი გახდა ბრძოლის ფორმები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1878-1920 წლებში აგრარულ მოძრაობაში პირობითად ოთხი ეტაპი გამოი-

---

[357] КК на 1883 год. Тиф., 1882, с. 235.

ყოფა. პირველი მოიცავს 1878-1904 წლებს, მეორე–რუსეთის პირველი რევოლუციის ხანას, მესამე – 1907-1917, ხოლო მეოთხე – 1918-1920 წლებს. თითოეული ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია ბრძოლის სპეციფიკური მეთოდები, მასშტაბები და გამოვლენის ფორმები. 1878-1904 წლებში სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს აგრარულ მოძრაობაში დომინირებდა ბრძოლის მარტივი ფორმები (თხოვნა-საჩივრები, ურჩობა, აყრა-გაქცევა). ბრძოლის ამ ფორმას საზოგადოების ყველა ჯგუფი და წოდება მიმართავდა.

მოსახლეობა ყველაზე მეტად აღშფოთებული იყო რუსეთის მთავრობის მიერ აქაურ ადგილ–მამულზე ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების ფაქტობრივი მდგომარეობის იგნორირებით, მიწების ყიდვა–გაყიდვის აკრძალვით, გადასახადების სიმძიმით, მხარის კოლონიზაციის გამო. მოსახლეობა აღელვებული იყო აგრეთვე მიწების ადგილობრივი საოლქო ადმინისტრაციის მმართველობიდან მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სისტემაში გადაცემით. მათ აწუხებდათ მთავრობის მოხელეების აღვირახსნილობა, თვითნებობა და სხვა ბოროტმოქმედებანი. მოსახლეობა უჩიოდა მთავრობის ჩინოვნიკებს, საუფლისწულო უწყების მოხელეებს, კაპიტალისტებს, აღა–ბეგებს.

ადგილ-მამულების კერძო საკუთრებაში დამტკიცება, მიწების ყიდვა-გაყიდვის უფლების აკრძალვა ყველაზე მეტად აღელვებდა ადგილობრივ პრივილეგირებულ წოდებას (აღა-ბეგებს) და კოლონისტებს. ისინი განუწყვეტლივ დავობდნენ ამ უფლების მოპოვებისათვის. ეს გასაგებიც არის, რამდენადაც სხვა შემთხვევაში კარგავდნენ

არამარტო შემოსავალს, არამედ საზოგადოებაზე გაელენასაც.

ხელისუფლების ორგანოებში განუწყვეტლივ იგზავნებოდა როგორც კოლექტიური, ისე კერძო თხოვნა-საჩივრები. ამ საქმეში ყველაზე მეტად აქტიურობდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისეთი გავლენიანი მემამულეები, როგორიც იყვნენ ხიმშიაშვილები, აბაშიძეები, ბეჟანიძეები, ბიბინეიშვილები, შერვაშიძეები, ჯაყელები (ათაბეგების შთამომავლები), წულუკიძეები, ჩავლეიშვილები და სხვები. შერიფ ხიმშიაშვილმა ჯერ კიდევ 1879 წელს რუსეთის მთავრობას პროტესტი განუცხადა ზემო აჭარის სავაყუფო სოფლების შემოსავლის სახელმწიფო ხაზინის მიერ მისაკუთრების გამო და მოითხოვა მისი დაბრუნება.[358]

ხიმშიაშვილების საგვარეულოს წევრები 1879 წლიდან მოყოლებული 1912 წლამდე განუწყვეტლივ ჩიოდნენ ადგილ-მამულების წართმევის გამო, მოითხოვდნენ მათ დაბრუნებას და საკუთრებაში დამტკიცებას. ხიმშიაშვილების საგვარეულოს წევრების მტკიცე პროტესტის, განუწყვეტელი თხოვნა-საჩივრების გამო ამ საკითხს 33 წლის განმავლობაში სწავლობდა რუსეთის მთავრობის სპეციალური კომისია. არანაკლები სიმძაფრის იყო სხვა მემამულეთა მოთხოვნები. 1884 წელს ბათუმის ოლქის მემამულეებმა კოლექტიური განცხადებით მიმართეს რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე მესამეს, რომელშიც გამოთქვეს გულისტკივილი იმის გამო, რომ თავიანთი მამაპაპისეული ადგილ-მამულები სახაზინო საკუთრებად გამოაცხადეს და მიწებით ვაჭრობის უფლებას არ აძლევდნენ. ისინი მოით-

---

[358] სცსსა, ფ. 12, აღ. 10, ს. 162, ფურც. 31.

ხოვდნენ თავიანთი მიწების მათსავე საკუთრებაში დამტკიცებას. რუსეთის მთავრობამ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მთავრობის პასუხში აღნიშნულია: მოეთმინათ საადგილმამულო საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტამდე.[359]

ლოდინი კი წლობით გრძელდებოდა. საქმის ასეთი გაჭიანურების გამო უკმაყოფილო ბათუმის ოლქის აღგილობრივი მემამულეები 1888 წლის 24 ნოემბერს რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე მესამეს განმეორებით სწერდნენ: უკვე ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის ქვეშევრდომი ვართ და მიწათმფლობელობის წესებში ჩვენთან ცვლილებები არ მომხდარა. ყველაზე მეტად მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა გვაწუხებს. მიწები მემკვიდრეობით ან ყიდვა-გაყიდვით გვაქვს შეძენილი. ამიტომ გიხოვთ, ნუ შელახავთ ჩვენს უფლებებსო. ისინი ჩიოდნენ იმის გამოც, რომ სახელმწიფო ხაზინამ წაართვა მუჰაჯირობისაგან შეძენილი მიწები. ბათუმის ოლქის მემამულეები რუსეთის იმპერატორს დაბეჯითებით თხოვდნენ: ყველა სახის მიწა დაეტოვებინათ იმათ საკუთრებაში, რომელთა მფლობელობაშიც ამჟამად არის. მიეცათ ყიდვა-გაყიდვის უფლება. მუჰაჯირების მიწებზე ისეთი შელავათები გავრცელებულიყო, როგორიც იყო ახალციხის მაზრაში[360].

მოსახლეობა აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა ბათუმის საადგილმამულო კომისიის მისამართითაც. მართალია, ადრე მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ, ფიქრობდნენ, რომ საადგილმამულო საკითხი, რაც ყველას დიდად აღელ-

---

[359] სცხსა, ფ. 12, ან. 10, ს. 162, ფურც. 31.
[360] იქვე, ფ. 231, ან. 1, ს. 62, ფურც. 42-48.

ვებდა, გადაწყდებოდა ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ყარსისა და ბათუმის ოლქების საადგილმამულო კომისიებს სულ სხვა ამოცანა დაუსახა: ოსმალური კანონმდებლობის გამოყენებით როგორმე დაესაბუთებინა ადგილ-მამულზე მოსახლეობის კერძომესაკუთრული უფლებების არ არსებობა. ამავე დროს ამ კომისიის შემადგენლობაში თალლითები და მექრთამეები აღმოჩნდნენ. ამის შესახებ გაზეთ "დროების" კორესპონდენტიც სამართლიან წუხილს გამოხატავდა. გაზეთის ცნობით, კომისიის ზოგიერთი წევრი გამოძალვას ეწეოდა, დანაპირებ საქმეს კი ვერ აგვარებდა. ამის გამო არაერთი საჩივარი შეეიდა მთავრობის ორგანოებში. ამ მასალებზე დაყრდნობით გაზეთ "დროების" კორესპონდენტი წერდა: საადგილმამულო კომისიის მოხელემ აჭარელს გამოართვა ქრთამი იმ პირობით, რომ ადგილ-მამულის საკითხის გარკვევაში დაეხმარებოდა, მაგრამ ამაოდ. ამის გამო მიცემულ ქრთამს უკანვე თხოულობენ.[361]

გლეხობა აღშფოთებული იყო მიწის ნაკვეთების მიზომვის ახალი წესის შემოღებით. ეს წესი ტრადიციულად დამკვიდრებულს ეწინააღმდეგებოდა. საქმე ის არის, რომ ოსმალთა ბატონობისას მოსახლეობა მიწებს ფლობდა ნაკვეთობით, ხოლო რუსეთის მთავრობამ საუნობით მიზომვა დაიწყო. მაშინდელი გაზეთების ცნობით, საუნობით მოზომილი მიწა მცირე გამოდიოდა. ზოგიერთ მოსახლეს ეს ორ შუაზე გაუყვეს. გლეხობა თავგამოდებით

---

[361] დროება, 8 აპრილი, 1884.

იბრძოდა ასეთი წესის წინააღმდეგ და გაბედულად მოითხოვდა მიწების ნაკვეთობით მიზომვას.[362]

მთავრობის ორგანოებში დიდძალი თხოვნა-საჩივარი შედიოდა ე.წ. მუჰაჯირების მიწების შესახებ. ემიგრანტებმა, ვინც გათვალისწინებულ დროში ვერ მოასწრო უძრავი საკუთრების გაყიდვა, ნათესავებს დაუტოვეს. მაგრამ რუსეთის მთავრობამ არ ცნო ამ ახალი მესაკუთრეების უფლებები და მიწებს სახელმწიფო დაეპატრონა. არადა მცირემიწიან და უმიწაწყლო გლეხობას მუჰაჯირების მიწების სარგებლობა თუ მფლობელობა რამდენდმე უმართავდა ხელს.

ბათუმის ოკრუგის გონიოს საპოლიციო უბნის 16 სოფლის გლეხებმა 1888 წელს მთავრობას პროტესტი განუცხადეს ემიგრანტების მიწებისა და სხვა უძრავი ქონების ადგილობრივი ადმინისტრაციის მმართველობიდან მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა უწყებაში გადაცემის გამო. კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვკორსაკოვისადმი გაგზავნილ კოლექტიურ განცხადებაში ისინი მოითხოვდნენ მუჰაჯირების მიწების სოფლის საზოგადოებათა გამგებლობაში დატოვებას.[363]

ასეთივე პროტესტი გამოთქვეს 1893 წელს ართვინის ოკრუგის არტანუჯის საპოლიციო უბნის გლეხებმა. თავიანთ საჩივრებში, რომლებიც მთავრობის ორგანოებში გაიგზავნა; ისინი აღნიშნავდნენ, რომ 1881 წელს შეიძინეს მუჰაჯირების მიწები, თორმეტი წლის განმავლობაში სარგებლობდნენ, მთავრობას საიჯარო ქირასაც უხდიდნენ

---

[362]დროება, 25 თებერვალი, 1889; იბერია, 22 მარტი, 1905.
[363] სცსსა, ფ. 243, ან. 4, ს. 88, ფურც. 20-21.

(აშარს), მაგრამ ხელისუფლებამ მაინც წაართვა. გულდაწყვეტილი გლეხები დაბეჯითებით მოითხოვდნენ მუჰაჯირების მიწების მათ მფლობელობა-სარგებლობაში დატოვებას.[364] მთავრობის მისამართით არაერთხელ გამოთქვეს პროტესტი სოფელ ლომაშენის (ართვინის ოკრუგი) გლეხებმა. აღსანიშნავია ახმედ ბაირახტაროღლისა და მისი ნათესავების უკმაყოფილება. ახმედი აიყარა და ემიგრაციაში წავიდა, ადგილ-მამული კი დას ფატიმას დაეტოვა. მაგრამ რუსეთის მთავრობამ არ ცნო მათი მესაკუთრული უფლებები და ძალით წაართვა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც ზეთისხილის სანერგე მოაწყო.[365]

1885 წლის სექტემბერში კავკასიის მთავარმართებლის წინაშე თხოვნა-საჩივარი აღძრეს ქურთებმა, რომლებიც ყარსის ოლქში, ბათუმისა და ართვინის ოკრუგებში მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ისინი თავიანთ განცხადებაში აღნიშნავდნენ, რომ შეწუხებული არიან საძოვრებისა და საბალახოების სარგებლობასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო. კერძოდ, მათი სარგებლობისას ადრე ერთ სულ პირუტყვზე იხდიდნენ 15 კაპიკს, ახლა კი ეს თანხა 30 კაპიკამდე გაიზარდა და მოითხოვდნენ გადასახადის შემცირებას.[366]

წლების განმავლობაში გაგრძელდა სოფელ ორთაბათუმის (ბათუმის ოკრუგი) მიწისმფლობელების სულა, მემედ, ხასან ქიქავებისა და ომერ და იუსუფ ფაღავების თხოვნა-საჩივრები. ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ მთავრობის მისამართით იმის გამო, რომ რკინიგზის უწყებაზე

---

[364] სცსსა, ფ. 243, ან. 6, ს. 94, ფურც. 14.
[365] იქვე, ან. 7, ს. 313, ფურც. 1-2.
[366] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 325, ფურც. 43.

გადაცემული მიწებისათვის მათ არ მისცეს დანაპირები თანხა. თითოეულ კვადრატულ საჟენ მიწაში 7 რუბლის ნაცვლად რკინიგზის უწყება 2 რუბლს აძლევდა. გაჭიანურებული დავის შედეგად კავკასიის მეფისნაცვლის საბჭო, რომელმაც ხსენებული საკითხი განიხილა 1908 წლის 8 მარტს, იძულებული გახდა გაეუქმებინა საადგილმამულო კომისიის დასკვნა, მოითხოვა მისი ხელმეორედ შესწავლა და დაშვებული შეცდომის გამოსწორება.[367]

მოსახლეობის, კერძოდ, გლეხობის ახალი მძლავრი მოძრაობა გამოიწვია ყარსის ოლქის, ბათუმისა და ართვინის ოკრუგების ადგილ-მამულების მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგებლობაში გადაცემამ. ამის შედეგად მოსახლეობის მიწათსარგებლობა კიდევ უფრო გაუარესდა.

გლეხობა ყველაზე მეტად შეწუხებული იყო საძოვრების, მდელოებისა და ტყეების სარგებლობის ტრადიციულად დამკვიდრებული წესების იგნორირების გამო. გლეხთა სამართლიან უკმაყოფილებას მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლებიც ვერ მალავდნენ. მაგალითად, პეტერბურგიდან აჭარაში მოვლინებული ვინმე ბოშჩინი, რომელმაც ჩაქვის საუფლისწულო მამულის ტოპოგრაფიული რუკა შეადგინა, დასძენდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა შეუპოვრად იბრძვის ტყეების სარგებლობაზე ტრადიციულად დამკვიდრებული უფლებებისათვის. ისინი მთავრობის მოხელეებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევე-

---

367 ი.თურმანიძე. გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ბათ., 1979, გვ. 38.

ნო.[368] 1893 წელს ყარსის ოლქის, არტვინისა და ბათუმის ოკრუგების მოსახლეობამ კოლექტიური საჩივრები აღძრეს კავკასიის მთავარმართებლის წინაშე. ისინი მოითხოვდნენ საძოვრების შელავათიან ფასებში გაცემას, სამიწათმოქმედო ღალის გაუქმებას. 1894 წელს მთავრობის ორგანოებში ზემო აჭარისა და შავშეთ–იმერხევის მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამდა სახაზინო ტყისა და საძოვრების სარგებლობისას შევიწროვების გამო.[369]

გლეხთა გამოსვლები განსაკუთრებით მძლავრი იყო 1894-1895 წლებში. 1894 წელს, როდესაც ზემო აჭარის ტყეები მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა უწყებას გადაეცა და მათი დაცვისათვის მთავრობამ მეტყევეები დანიშნა, გლეხები მასობრივად აჯანყდნენ. მათ პატიმრობაში აიყვანეს ზემო აჭარის მეტყევე აბესაძე და იარაღით დაემუქრნენ საპოლიციო უბნის სხვა მოხელეებს.[370] აღშფოთებულები საჯაროდ აცხადებდნენ: ამ სულშემხუთავებს (მეტყევეებს-ო.თ.) თუ არ მოგვაშორებთ, თავი ცოცხალი აღარ გვინდაო. ნოემბერში აჯანყებული გლეხები ხულოში (ზემო აჭარის ადმინისტრაციული ცენტრი) შეიკრიბნენ და მთელი სისასტიკით დაგმეს მთავრობის განსრახვა და ადგილობრივ მოხელეთა მოძალეობა.

ამ შეკრებაზე გლეხებმა ოთხკაციანი დეპუტაცია აირჩიეს და თხოვნა-საჩივრით პეტერბურგში მიავლინეს. ამის თაობაზე თვალსაჩინო მეცნიერი თედო სახოკია, რომელიც ამ ამბის მომსწრე იყო, წერდა: ზემო აჭარის უბნის უფროსმა ბერიძემ და მეტყევე აბესაძემ დიდი ჯაფა

---

368 აცსა, ფ.-ი, ი-22, ან. 1, ს. 62, ფურც. 13.
369 სცსსა, ფ. 229, ან. 2, სს. 1233, 1270.
370 ასმხფ, ს. 63, ფურც. 27.

გასწიეს აჯანყებული ხალხის დასამშვიდებლად. ასინი მოსახლეობას არწმუნებდნენ: მთავრობას თქვენი შევიწროება კი არ სურს, არამედ ტყის არაწესიერი გამოყენების წინააღმდეგ იბრძვისო. თქვენ კვლავინდებურად შეგიძლიათ უბაჟოდ გამოიტანოთ შეშა და სამასალე ხე-ტყეო.[371]

ხალხის მღელვარების ხმა პეტერბურგსაც მისწვდა. საქმეში რუსეთის სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების მაღალი რანგის მოხელეები ჩაერიენ. ამასთან დაკავშირებით იმპერიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი 1895 წლის 12 აპრილს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს სწერდა: მე მაცნობეს, რომ ზემო აჭარის მოსახლეობა აღშფოთებულია, არ სურთ მიწები გადაეცეს სახელმწიფო ქონებათა უწყებას. მეფის სახელით ვაცხადებ, რომ მოსახლეობა შევიწროებული არ იქნება, სავარგულებითა და ტყეებით წინანდებურადვე ისარგებლონო.[372]

მაგრამ ამ დაპირებას მოსახლეობა სერიოზულად არ აღიქვამდა. მათ არ სჯეროდათ რუსეთის მთავრობის მოხელეთა ცრუ სიტყვებისა. ამიტომ გლეხები თავიანთ უფლებებს თავგამოდებით იცავდნენ. რაკი მთავრობამ ეს გამოსვლა მშვიდობიანი გზით ვერ ჩააქრო, ძალადობას მიმართა. დააპატიმრეს აჯანყების მოთავენი, ხალხის მასა კი იარაღით გარეკეს. ამის მიუხედავად გლეხობა არ შეშინებულა. ადგილ-მამულისათვის შეუპოვრად იბრძოდა.

1895 წელს ზემო აჭარისა და შავშეთ-იმერხევის გლეხებმა თხოვნა-საჩივარი გადასცეს კავკასიის მთავარმარ-

---

[371] თედო სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 219.
[372] ასმსფ, ს. 63, ფურც. 4-5.

ოებელს დონდუკოვ-კორსაკოვს. ისინი აღშფოთებას გამოთქვამდნენ მამა-პაპისეულ ადგილ-მამულებზე თავიანთი მესაკუთრული უფლებების იგნორირების გამიო. კონკრეტულად, გლეხები მოითხოვდნენ ტყეების, საძოვრებისა და მდელოების თავისუფლად, ადრინდელი წესებით სარგებლობა-გამოყენებას. გლეხთა პროტესტი ისეთი შეუპოვარი იყო, რომ საქმეში ჩაერია რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი, რომელმაც ურჩია კავკასიის მთავარმართებელს დაეტოვებინა ადგილ-მამულები ადგილობრივი მოსახლეობის შფლობელობა-სარგებლობაში, მაგრამ კავკასიის მთავარმართებელი, მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოხელენი ჯიუტად იცავდნენ თავიანთ პოზიციებს.[373]

გლეხებიც უკან არ იხევდნენ, გაბედულად და შეუპოვრად იბრძოდნენ მშობლიურ მიწა-წყალზე მესაკუთრული უფლებების შენარჩუნებისათვის. მთავრობის პოლიტიკითა და პრაქტიკული ქმედებით აღშფოთებულმა გლეხობამ ბრძოლის ბარბაროსულ მეთოდებსაც მიმართა. ეს იმაში გამოიხატა, რომ ორი წლის განმავლობაში მათ ტყის დიდი ნაწილი გაახმეს. ამის შესახებ თედო სახოკია სინანულით გადმოგვცემს: "გული გწყდება ადამიანს ამ გაეერანებული ტყის ყურებაზე და თანაც ვერ გაგიმართლებია ეს საცოდავი ხალხი და ვერც სულ გაგიმტყუნებია".[374]

მოსახლეობამ ასევე მძლავრი წინააღმდეგობა გაუწია რუსეთის მთავრობის მოხელეებს 1895 წელს, როდესაც აღ-

---

[373] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 1270, ფურც. 1-15, 59.

[374] თედო სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 220.

წერეს ბათუმის ოკრუგის ხელვაჩაურის, ერგეესა და ჯოჯოს სოფლების ადგილ-მამულები. აქაც გლეხები მტკიცედ მოითხოვდნენ მიწებზე თავიანთი მესაკუთრული უფლებების ხელშეუხებლობას. კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ამ ადგილ-მამულების მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა უწყების გამგებლობაში გადაცემას. მართალია, მთავრობის მოხელეები ბევრს ეცადნენ მათ გადარწმუნებას, მაგრამ ამაოდ. გლეხებმა ხელჩართული ბრძოლაც კი გაუმართეს.[375]

ტყის სარგებლობის შესახებ გლეხობის გამოსვლებს მძლავრი და სისტემატური ხასიათი ჰქონდა აგრეთვე ქვემო აჭარაში. ხალხი ვერ აუდიოდა შეშასა და სამასალე ხე-ტყეზე დაწესებულ ბაუებსა და გადასახადებს. გაზეთ "ივერიის" კორესპონდენტის ცნობით ერთი საუენი შეშა 15 რუბლი ჯდებოდა. "... რამდენადაც ერთი საუენის ყიდვას ვერ შეძლებდა უმეტესობა, ამიტომ შიმშილით გამწარებულს, სიცივით აკანკალებს".[376] სამასალე ხე-ტყე გაცილებით ძვირი ღირდა. არადა ტყის გარეშე გლეხკაცის ცხოვრება წარმოუდგენელი იყო.

ხალხისათვის შემზარავი იყო მეტყევეთა და ტყისმცველთა ინსტიტუტის შემოღება. მართალია, გლეხობის შეუპოვარი ბრძოლისა და გაბედული პრაქტიკული ქმედებით შეშინებული მეტყევეები და ტყისმცველები ბათუმის ოლქის ტყეებში თავისუფლად ვეღარ შედიოდნენ, მაგრამ ადგილებზე მთავრობის ღონისძიებებს მაინც ისინი ატარებდნენ. ამიტომ მოსახლეობა ამ თანამდებობათა გაუქმებას

---

[375] სცსსა, ფ. 243, ან. 5, ს. 312, ფურც. 2–4.

[376] ივერია, 6 იანვარი, 1905.

მოითხოვდა. ამის თაობაზე ბათუმის ოლქის სოფლებში ვლეხთა შეკრებები იმართებოდა, სადაც სპეციალურ დეპუტაციებს ადგენდნენ. ეს დეპუტაციები ხალხის დავალებით ბათუმში, ქუთაისში, თბილისში მოგზაურობდნენ და ხელისუფლების ორგანოებში ჩიოდნენ.

XIX საუკუნის 90-იან წლებში სოფელ ბორჩხადან (ართვინის ოკრუგი) ქუთაისში სამი დეპუტაცია გაიგზავნა. ამ დეპუტაციების სამგზავრო ფულს თვითონ ვლეხები აგროვებდნენ. მაგალითად, 1895 წელს სოფელ ბორჩხას ვლეხებმა თითოეული დეპუტაციისათვის 300-400 რუბლი შეაგროვეს. ი.ჯაიანის ცნობით, "...გაუთავებელი და ბოლო მოუღებელი საჩივრისათვის ფულის გაღებამ სომ წელში მოღუნა საწყალი ხალხი".[377] თუმცა ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს მოხელენი, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია ვლეხთა მოთხოვნებს აშკარად უგულებელყოფდა. გულდაწყვეტილი ვლეხობა თავიანთი წარმომადგენლების პეტერბურგში გაგზავნას აპირებდა, მაგრამ უსახსრობის გამო ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ მოუხერხებია.[378]

მართალია, მეტყევეთა და ტყისმცველთა სამსახურის გაუქმება ვლეხებმა ვერ შეძლეს, მაგრამ ზიზღი ამ ჩინოვნიკებისადმი ძალზე დიდი იყო. ისინი არ ეპუებოდნენ მათ, შეშასა და სამასალე ხე-ტყეს მაინც ეზიდებოდნენ. ამავე დროს დაუნდობლად ამხელდნენ მეტყევეთა და ტყისმცველთა თვითნებობასა და ბოროტმოქმედებას. ამ სახის

---

[377] ივერია, 17 თებერვალი, 1895.

[378] იქვე.

ქმედებებს კი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სისტემატური ხასიათი ჰქონდა. 1904 წელს ბათუმის ოკრუგის გონიოს საპოლიციო უბნის სოფლების თხილნარის, გონიოს, სარფის, ახალსოფლის გლეხებმა საჩივარი აღძრეს ამ უბნის ტყისმცველის წინააღმდეგ, რომელიც მოსახლეობას ტყის სარგებლობის საშუალებას არ აძლევდა, სამაგიეროდ ნებართვის გარეშე თვითონ ყიდდა შეშასა და ძვირფას სამასალე ხე-ტყეს. გლეხები ჩიოდნენ, რომ ბათუმის სატყეოს მოხელენი ამ საქმის მონაწილენი არიანო. გლეხთა მიერ აღძრული ფაქტები მთავრობის სხვა მოხელეებმაც დაადასტურეს, მაგრამ უშედეგოდ. ტყისმცველთა თვითნებობა და ბოროტმოქმედება ისევ გრძელდებოდა.[379]

მთავრობის ორგანოებში თხოვნა-საჩივრებით საქმე არ გამოდიოდა. ამიტომ მოსახლეობამ ადგილ-მამულზე დიდძალი სასარჩლო საქმე აღძრა სასამართლო ორგანოებში. ამ საქმეების მეტი ნაწილი მიწების ყიდვა-გაყიდვას ეხებოდა. ქუთაისის საოკრუგო სასამართლომ, ამ ორგანოს ბათუმის განყოფილებამ ადგილ-მამულების ნასყიდობის არაერთი საბუთი დაამტკიცა, მაგრამ მთავრობა მათ კანონიერად არ თვლიდა, სასამართლო და ნოტარიუსის ორგანოებსაც ედავებოდა. სასარჩლო საქმეები სასამართლოს ერთი ინსტანციიდან მეორეში გადიოდა. 1895-1899 წლებში ბათუმელი მემამულეების აბაშიძეების ადგილ-მამულის საქმეს ქუთაისის საოკრუგო სასამართლო იხილავდა, მაგრამ მთავრობამ სასამართლოს განაჩენი მართებულად არ ცნო. საქმე თბილისის სასამართლო პალატამაც გაარჩია, მაგრამ აქაც კანონიერი გადაწყვეტილება ვერ გამოიტანეს. ბოლოს

---

[379] აცსა, ფ.-ი, 39, ან. 1, ს. 5, ფურც. 6-10, 19.

.აბაშიძეებსა და სახაზინო უწყების მოხელეებს შორის ხელჩართული ბრძოლაც გამართულა.

ადგილ-მამულების შესახებ სასამართლო ორგანოებში არაერთი საჩივარი შეიტანეს მემამულე თავდგირიძეებმა. მართალია, ისინი 1878 წელს ოსმალეთში გადაიხვეწნენ. მაგრამ იქიდან ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ჯერ იყო და მურად თავდგირიძე დაეობდა. 1904 წელს ასლან და ბასრი ფაშა თავდგირიძეებმა ადგილ-მამულზე სარჩელი შეიტანეს ქუთაისის საოკრუგო სასამართლოში. მაგრამ მათი ბრძოლა ასევე უშედეგოდ დამთავრდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი მემამულეები და კოლონისტები ყველაზე მეტად დაინტერესებული იყვნენ მიწების ყიდვა-გაყიდვის დაკანონებით. სასამართლო ორგანოები უმეტესად ყიდვა-გაყიდვის საქმეებს იხილავდნენ. ამ მოძრაობაში ჩაბმული იყვნენ რუსეთის მთავრობის თითქმის ყველა რანგის მოხელენი, მოახალშენეები და ადგილობრივი მემამულეები. 1901 წლის იანვარში ბათუმის ოლქში ჩამოვიდა "სტატსკი სოვეტნიკი" გ. ედუბოვი, რომელსაც ადგილზე უნდა გაერკვია მიწების ყიდვა-გაყიდვის საბუთებისა და სასამართლოს განაჩენების სისწორე[380]. მაგრამ ეს "ვიზიტიც" უშედეგო გამოდგა, რადგან ადგილ-მამულებით ვაჭრობა და სასამართლო-ნოტარიუსის ორგანოების მიერ მათი განხილვა და განაჩენის გამოტანა ისევ გრძელდებოდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა აშკარა პროტესტს გამოთქვამდა უცხოელი მოახალშენეების მიერ ადგილ-მამულების დატაცებისა და კოლონიების შექმნის

---

[380] აცსა, ფ.-ი. 19, ან. 1, ს. 94, ფურც. 2.

გამო. XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კინტრიშის საპოლიციო უბნის გლეხებმა დიდი მღელვარება მოაწყვეს ფიჭვნარში (ქობულეთი) რუსული ახალშენის დაარსების გამო. გაზეთ "დროების" ცნობით "ამ გარემოებას გამოუწვევია უთანხმოება, ჩხუბი და აყალ-მაყალი ადგილობრივ მცხოვრებთ და ახალდასახლებულთა შორის".[381] 1889-1902 წლებში ართვინის ოკრუგის სოფელ ირსას გლეხები ჩიოდნენ, რომ იტალიის მოქალაქემ, კაპიტალისტმა ანტონ სალერნიმ მთავრობის დახმარებით 240 დესეტინა მიწა იგდო ხელთ და სამთამადნო წარმოებას შეუდგა. ამის შედეგად მცირემიწიან მხარეში გლეხთა მიწათსარგებლობა უკიდურესად შეიზღუდა. ამიტომ გლეხები მოითხოვდნენ ამ ადგილ-მამულის მათსავე საკუთრებაში დაბრუნებას. საბოლოოდ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მოსახლეობის მოთხოვნა სამართლიანია და აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდესო.[382]

მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია საპოლიციო საგუშაგოებისა და ზოგიერთ სოფელში სამხედრო ნაწილების ჩაყენებამ. ამის შედეგად საგრძნობლად შეიზღუდა გლეხთა მიწათსარგებლობა. აჭარის განთავისუფლების შემდეგ აჭარისწყალზე, ლიმანში, ბორჩხაში, ხულოში, ქედაში, გონიოში, დანდალოში, ჭვანაში, დოლოგანში და სხვა სოფლებში საპოლიციო საგუშაგოების, ე.წ. "საყრდენი პუნქტების" ყაზარმები ააგეს. ამის შედეგად გლეხებს მიწები წაართვეს. აღშფოთებული გლეხობა მოითხოვდა მიწე-

---

381 დროება, 2 დეკემბერი, 1884.

382 სცსსა, ფ. 231, ან. I, ს. 425, ფურც. 2–3,10–11.

ბის დაბრუნებას, ანდა შესაბამისი საზღაურის გადახდას.[383] მაგრამ მთავრობამ გლეხთა ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

ართვინის ოკრუგის სოფელ ბორჩხას გლეხებმა 1893 წელს დავა-საჩივარი აღძრეს გენერალ ამილახვართან, რომელიც იმავე წლის 28 მაისს იქ ჩავიდა. გლეხები უჩიოდნენ იქ დაბანაკებული პლასტუნების პოლკის ასეულის მეთაურს, რომელიც მოსახლეობას უკრძალავდა თამბაქოს დარგვას იმ მოტივით, თითქოს იგი სამხედროებში სურდოს დაავადებას იწვევდა. ამავე დროს კაზაკები გლეხთა ყანებსა და ხეხილის ბაღებს ულმობლად ანადგურებდნენ. გენერალი ამილახვარი, გლეხობის მტკიცე პროტესტის გამო, იძულებული გახდა მათი სამართლიანი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. მაგრამ გენერლის წასვლის შემდეგ კაზაკები თავისას მაირც არ იშლიდნენ. 1896 წელს გაზეთ "ივერიის" კორესპონდენტი ი.ჯანიანი ბორჩხადან იტყობინებოდა: პლასტუნების პოლკის ჯარისკაცები მოსახლეობას სასტიკად აწიოკებენ. გლეხები ამის გამო ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვენ. მრავალ შემთხვევაში ეს უკმაყოფილება მკელელობითაც დამთავრებულა.[384]

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული აჭარის მოსახლეობა შეუპოვრად იბრძოდა საუფლისწულო უწყების წინააღმდეგ, რომელმაც ჩაქვის ხეობის მიწები ხელთ იგდო. ადგილობრივ მოსახლეობას საერთო სარგებლობის ტყეების, მდელოების, საძოვრებისა და საბალახოების სარგებ-

---

[383] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 291, ფურც. 12–36.
[384] ივერია, 6 ივნისი, 1893; 21 იანვარი, 1896.

ლობის საშუალებას არ აძლევდა. ჯერ კიდევ 1893 წელს ჩაქვს ეწვია რუსეთის საიმპერატორო კარის მაღალი რანგის მოხელე, საუფლისწულო მამულების მთავარი საამმართველოს უფროსი თავადი ვიასემსკი. გლეხებმა ვიასემსკის შესჩივლეს, რომ მამაპაპისეულ ადგილ-მამულებს ძალით გვართმევენო. მუდმივმა ჩივილმა და სასამართლოში სიარულმა თავი მოგვაბეზრა და ამ ტანჯვა-წვალების ატანას ლამის მშობლიური მხარის დატოვება გვირჩევნიაო.[385]

მძლავრი მღელვარება მოჰყვა რუსეთის მთავრობის განზრახვას გადაეყვანა ჩაქვის ხეობის გლეხობა საუფლისწულო უწყებაში. ხალასა და გორგაძეების გლეხებმა 1898 წლის აპრილში თავიანთი წარმომადგენლები ა.ჯიჯავაძე, ფ.ყერშუბაძე და ა.იმნაძე თხოვნა-საჩივრით წარგზავნეს კავკასიის მთავარმართებელთან. გლეხთა კოლექტიურ განცხადებაში ნათქვამია: დაახლოებით ერთი თვის წინათ ჩატარდა ხალასა და დიდიჯამეს (გორგაძეები) სოფლების გლეხთა შეკრება. გამოგვიცხადეს, რომ ჩაქვის საუფლისწულო მამულის დაქვემდებარებაში გადაყვანილი ხართო. ეს ჩვენთვის მძიმე ასატანია. საუფლისწულო უწყებამ ჯერ მიწები წაგვართვა, ახლა კი ჩვენი დამონება სურსო. მოსახლეობა საუფლისწულო უწყების დაქვემდებარებაში გადასვლის გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა.[386] ჩაქვის ხეობის გლეხობის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მთავრობამ ვერ გადაიყვანა ისინი საუფლისწულო უწყების დაქვემდებარებაში.

---

385 ივერია, 20 ოქტომბერი, 1893.

386 ხცსსა. ფ. 231, ან. 1. ს. 294. ფურც. 16.

დიდხანს გაგრძელდა გლეხობის ბრძოლა საუფლისწულო უწყებასთან მდელოების, საბალახოების, საძოვრებისა და ტყეების სარგებლობის თაობაზე. ადგილობრივი მოსახლეობა მათ უძველესი დროიდან მოყოლებული სარგებლობდა, მაგრამ ჩაქვის საუფლისწულო მამულის დაარსების შემდეგ ეს უფლება დაკარგეს. ყველაზე მეტად დაზარალდნენ ჩაქვისა და ყოროლისწყლის ხეობების, აგრეთვე ქვემო აჭარის სოფლები (აჭყუა, ხალა, გორგაძეები, სახალვა'მო, აგარა, განთიადი, ყოროლისწყალი, მახ'უნცეთი, წონიარისი, საღორეთი, ზენდიდი, გულები, ვარჯანისი, ზვარე ზ'ენდაგა, დოლოგანი, ზესოფელი და სხვა).

მოსახლეობა არ ეპ'ეებოდა საუფლისწულო უწყების მოხელეებს. ტყეებს, მდელოებს, საძოვრებსა და საბალახოებს გაბედ'ულად იყენებდა, რისთვისაც ზოგჯერ იარაღსაც მიმართავდა. სხვაგვარად მათ არ შეეძლოთ ცხოვრება და არსებობა. ამის გამო საუფლისწულო უწყებამ აჭარელ გლეხთა საქმე არაერთხელ გადასცა სასამართლოს. მათ ბრალს სდებდნენ ნებართვის გარეშე მდელოების გამოყენებაში, შეშისა და სამასალე ხე-ტყის მოჭრაში. 1899 წელს საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციამ პასუხისგებაში მისცა ჩაქველი გლეხი ქემალ ყურშუბაძე.[387]

მთავრობის მიმართ პროტესტის გამოხატვის მიზნით კინტრი'შისა და ქვემო აჭარის საპოლიციო უბნების სოფლად ხალხმრავალი კრებები ჩატარდა. ერთ-ერთი ასეთი შეკრება გაიმართა სოფელ ზ'ენდაგაში (ქვემო აჭარა) 1901 წლის 27 ივლისს, რომელ'შიც 67 ოჯახის წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეკრებაზე დაგმეს საუფლისწულო უწყე-

---

[387] სცსსა, ფ. 231. ან. 1. ს. 250. ფურც. 1.

ბის მოხელეთა ქმედება, რომლებიც სოფლის მოსახლეობას უკრძალავდნენ მთა მტირალას საძოვრების გამოყენებას. მათ კატეგორიულად მოითხოვეს ამ აკრძალვის გაუქმება. კრებაზე აირჩიეს 4 კაციანი დელეგაცია და დავა–საჩივლელად სელისუფლების უმაღლეს ორგანოებში წარგზავნეს.[388] 1902 წელს ქვემო აჭარის სოფლების ზუნდაგას, საღორეთის, მახუნცეთის გლეხებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ჩაქვის მამულის მოხელეებს, რომლებიც მოსახლეობის მოთხოვნებს ანგარიშს არ უწევდნენ მდელოებისა და ხე–ტყის სარგებლობის თაობაზე.

გლეხებმა სოფელ მახუნცეთთან განაიარაღეს ჩაქვის საუფლისწულო მამულის მოხელეები და დარეტიანებული გააძევეს. მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ საქმეში ჩაერევნენ რუსეთის საუფლისწულო უწყების მთავარი სამმართველოს უფროსი კოჩუბეი და კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი. ვითარების შესასწავლად 1902 წელს ბათუმის ოკრუგში ჩამოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი. იგი ართვინის ოკრუგსაც ეწვია, რადგან იქაც უკიდურესად გამწვავებული იყო გლეხთა აგრარული მოძრაობა. ამ მოგზაურობის შემდეგ მთავრობამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ჩაქვის საუფლისწულო მამულისა და აღნიშნული სოფლების მოსახლეობის სადავო საკითხები უნდა შეესწავლა.[389] კომისიამ კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება ვერ შეძლო. ცხადია, სიტუაცია კვლავინდებურად დაძაბული დარჩა.

---

388 სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2868. ფურც. 194.

389 სცსსა, ფ. 13, ან. 7, ს. 2868. ფურც. 9–39.

აჭარის გასაბჭოების შემდეგ, კონკრეტულად, 1922 წლის 7 აგვისტოს შედგა ჩაქვისთავის, ხალას, გორგაძეების, ჩაისუბნის (დიდიჯამე), სახალვაშოს მოსახლეობის რწმენაბულთა კრება. აქ გლეხებმა ერთხელ კიდევ გამოხატეს გულისწყრომა აწ ყოფილი საუფლისწულო უწყების მისამართით. კრების მონაწილემ სოფელ სახალვაშოს მცხოვრებელმა მ.ლორთქიფანიძემ დაახასიათა საუფლისწულო უწყების მოხელეთა მიერ აქაური მკვიდრი მოსახლეობის ექსპლუატაციის შედეგად შექმნილი ვითარება. იგი გულდაწყვეტილი ამბობდა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ წაგვართვა მამულები. აგვიკრძალეს ტყეში ნადირობა, სკების შენახვა, საბალახოებისა და სოძოვრების სარგებლობა, შეშისა და სამასალე ხე-ტყის დამზადება და სხვ.[390]

აგრარული მოძრაობის ისეთ ფორმას, როგორიცაა ურჩობა, ბათუმისა და ყარსის ოლქებში საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. მრავალჯერ გადაიზარდა მასობრივ გამოსვლებში, აჯანყებებში. 1879 წლის იანვარში ზემო აჭარის ტბეთის, ჭვანის, მარეთის ხეობის სოფლების გლეხებმა უარი განაცხადეს გადასახადების გადახდაზე, დაარბიეს შირინ დავითაძის სახლ-კარი, რამდენადაც გაზეთ "დროების" კორესპონდენტის ცნობით, მას მთავრობისაგან დავალებული ჰქონდა გადასახადების აკრეფა.[391] გააქტიურდნენ ბათუმისა და ართვინის ოკრუგების გლეხებიც. მოძრაობა საყოველთაო გახდა.

გადასახადების ამოღებისათვის მთავრობა საგანგებო ზომებს მიმართავდა, მაგრამ ურჩობა მაინც ვერ აღკვეთა.

---

[390] სუისცსსა, ფ. 288, ან. I, ს. 306, ტ. II, ფურც. 386.

[391] დროება, 31 იანვარი, 1879.

ბათუმის ოლქში 1879-1900 წლებში გადასახადების ნარჩენებმა, ე.წ. "ნედომკებმა" 48623 რუბლი შეადგინა. ხელისუფლება იძულებული გახდა აღნიშნული თანხა ჩამოეწერა.[392]

გლეხთა ურჩობას ასევე სისტემატური ხასიათი ჰქონდა ყარსის ოლქში, კერძოდ, არტაანისა და ოლთისის ოკრუგებში. როგორც უკვე ითქვა, 1888 წელს საღალო გამოსაღების ნარჩენებმა 232 რუბლი, 1889 წელს – 445, 1890 წელს – 390, 1891 წელს – 1448, ხოლო 1892 წელს – 1184 რუბლი შეადგინა. მომდევნო წლებში გადასახადების ნარჩენები რამდენჯერმე გაიზარდა. 1893 წელს იგი 5335 რუბლს, 1894 წელს – 6013, ხოლო 1895 წელს – 7671 რუბლს უდრიდა. მთლიანად აღებული 1888–1895 წლებში გადასახადების ნარჩენები 22722 რუბლს აღწევდა.[393] მოსახლეობის მღელვარებამ მასობრივი ხასიათი მიიღო სასოფლო მმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით ახალი გადასახადების შემოღების თაობაზე. გლეხობა აღშფოთებული იყო ამ ხარჯების სიმძიმით. ახალი წესის მიხედვით მათ უნდა შეენახათ სასოფლო ოკრუგებისა და სოფლის საზოგადოებათა მოხელეები. მოსახლეობა ამის გამო პროტესტს გამოთქვამდა ხელისუფლების ყველა ინსტანციაში. კინტრიშის საპოლიციო უბნის ოჩხამურის სასოფლო ოკრუგის მოსახლეობამ სპეციალური დეპუტაცია შეარჩია კავკასიის მთავარმართებელთან წარსადგენად, რათა ოფიციალურად გადაეცა ხალხის პროტესტი. ასეთივე

---

[392] Обзор Батумской области за 1903 год. Бат., 1904, с. 22.

[393] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 674, ფურც. 267.

პროტესტი საჯაროდ გამოთქვეს გონიოს საპოლიციო უბნის გლეხებმა.[394]

რუსეთის მთავრობის აგრარული პოლიტიკისადმი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ კოლონისტებიც. კაპიტალისტი კ.პოპოვი 1916 წლის 21 დეკემბერს რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა: ბათუმის ოლქში 38 წლის განმავლობაში მიწის საკითხი გადაუწყვეტილია, მიწის მყიდველი იძულებულია ორმაგი ფასი გადაიხადოს, პირველად მიწის ღირებულებას უხდის აჭარელს, მეორედ – სახელმწიფო ხაზინას, რადგან ამ მიწებს სახელმწიფო თავის საკუთრებად თვლის. სახელმწიფო მაშინ იძლევა მიწის ყიდვის ნებართვას, როდესაც მყიდველი დააკმაყოფილებს ადგილობრივ გამყიდველს (აჭარელს).[395] ანალოგიურ უკმაყოფილებას გამოთქვამდა ყველა მოახალშენე, ვინც ბათუმის ოლქში მიწები შეისყიდა. ამ ფორმის აგრარული მოძრაობის შესახებ საყურადღებო მასალებია მოყვანილი ვ.ვერუს სტატიაში, რომელიც მიძღვნილია ბათუმის ოლქში საადგილმამულო საკითხისადმი.[396]

საადგილმამულო საკითხთან იყო დაკავშირებული მოსახლეობის მშობლიური მიწიდან აყრა და უცხო ქვეყანაში გადახვეწა. მართალია, ეს იყო ბრძოლის პასიური ფორმა, მაგრამ უკიდურესი. იგი ყველაზე უფრო 1878-1904 და 1914-1918 წლებში გამოვლინდა. მოსახლეობამ ვერარ აიტანა ადგილ-მამულზე ტრადიციული მესაკუთრული

---

[394] ასმსფ, ს. 220, ფურც. 32, 34.

[395] სანკტ-პეტერბურგის ცსსა, ფ.560, ან. 26, ს. 1393, ფურც. 6.

[396] Веру В. О положении земельного вопроса в Батумской области. Журн. «Батумский сельский хозяйн. 1909, №7, с. 200.

უფლებების შელახვა, გადასახადების სიმძიმე და თავშესაფარს უცხო ქვეყანაში ეძებდა. ეს იყო დიდი ეროვნული უბედურება, რომლის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, სერგეი მესხმა, ნიკო ნიკოლაძემ, დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი წერეთელმა, ზაქარია ჭიჭინაძემ და სხვებმა.

ქართველი ერის სულიერი მოძღვარნი შეუპოვრად იბრძოდნენ ამ ეროვნული უბედურების წინააღმდეგ და მთავრობისაგან მოითხოვდნენ ხალხის მძიმე ხვედრის შემსუბუქებას, უწინარესად გადასახადებისა და ბეგარა-ვალდებულებისაგან დროებით მაინც განთავისუფლებას. მამაპაპისეული ადგილ-მამულების მათსავე საკუთრებაში დამტკიცებას. სხვათა შორის რუსეთის სამხედრო კორესპონდენტი ა.ფრენკელიც აღნიშნავდა: ოსმალეთში გადასახლება რომ შეწყდეს, მთავრობამ ოფიციალურად უნდა აღიაროს მოსახლეობის უპირობო უფლება უძრავ ქონებაზე (მიწაზე), რამდენიმე წლით გააუქმოს გადასახადები და ბეგარა-ვალდებულებანი[397].

ხელისუფლებას ამის გაგონება არ სურდა. პირიქით, მიწების სახაზინო საკუთრებაში მოქცევის მიზნით მთავრობა მეთოდურად აიძულებდა მოსახლეობას მშობლიური მიწა-წყალი დაეტოვებინა. სწორედ მთავრობის შეგნებული უმოქმედობით, პრაქტიკულად კი წაქეზებით 1878-1880 წლებში ბათუმის ოლქიდან ოსმალეთში გადაიხვეწა 21370 კაცი. მათგან ნახევარზე მეტი (12350) აჭარისა და ბათუმის ოკრუგებიდან იყვნენ.[398] XIX საუკუნის 80-იან წლებში

---

[397] Френкель А. Очерк Чурук-су м Батума. Тиф., 1879, с. 137.
[398] სცსსა. ფ. 229, ან. I, ს. 12, ფურც. 20.

ყარსის ოლქიდან ოსმალეთში 100 ათასი კაცი გადაიხვეწა. ესენი იყვნენ მუსლიმანები, მათ შორის უმეტესობა-ქართველები.[399]

მართალია, 1882 წელს დამთავრდა ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან მუჰაჯირობის საამწლიანი ვადა, ბერლინის კონგრესით რომ იყო დაგეგმილი, მაგრამ მოსახლეობის აყრა-გაქცევა მაინც გრძელდებოდა. ზ.ჭიჭინაძის ცნობით, 1901 წელს მარტო შავშეთიდან ოსმალეთში 800 კაცი გადასახლდა.[400] ამით შეწუხებული ზ.ჭიჭინაძე რუსეთის მთავრობის მისამართის ამბობდა: თქვენი მოხელენი ისე უჭირვებენ საქმეს, ისე აწვალებენ და სტანჯავენ შავშელებს, რომ ისინი ოხრად სტოვებენ ყველაფერს და მიდიან უცხო ქვეყანაში.[401]

უცხოეთში გადახვეწილი ხალხი ფუძეს ვერ ნახულობდა. ბევრი გზაზე იხოცებოდა. ნაწილი დაბრუნებას ამჯობინებდა, მაგრამ მეფის რუსეთის ხელისუფლება ისევ უკან ერეკებოდა. მრავალთაგან ამის მაგალითია ჩაქველი გლეხის სულეიმან ფითოზოღლის ბედი. იგი 1879 წელს მუჰაჯირობაში წავიდა, მაგრამ უკეთესი ვერაფერი ნახა და 1881 წელს თავის მიწას დაუბრუნდა. მაგრამ აქაც მძიმე პირობები დახვდა და იძულებული გახდა ისევ მუჰაჯირად წასულიყო (1883 წელი). 13 წლის ხეტიალის შემდეგ, 1896 წელს, კვლავ მშობლიურ მხარეში ჩამოვიდა. უკვე სულეიმან ფითოზოღლის ადგილ-მამულს საუფლისწულო უწყება დაპატრონებოდა.

---

399 КК на 1891 год. отд. стат., Тиф., 1890, с. 20.

400 ზ.ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში. თფ., 1912, გვ. 77.

401 ზ.ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირიემიგრაცია. თფ., 1912, გვ. 78.

ადგილ-მამულის გამოსასნისათვის სულეიმან ფეიზულლიმ დიდი ჯაფა გასწია, არაერთხელ მიმართა მთავრობის ორგანოებს თხოვნა-საჩივრით. 1905 წლის 31 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალს გულდაწყვეტილი და იმედგაცრუებული სწერდა: ჩემი ოჯახისათვის მიწის წართმევა სასიკვდილო განაჩენიაო. დაბეჯითებით ითხოვდა დახმარებას, მაგრამ ამაოდ. განაწამები მუჰაჯირის თხოვნა-საჩივარი დიდხანს გაგრძელდა. 1908 წლის 15 მარტს კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით მას უარი ეთქვა ადგილ-მამულის დაბრუნებასა და რუსეთის ქვეშევრდომობაზე.[402]

ქვემო აჭარის 11 სოფლიდან, რომლებიც ჩაქვის საეფლისწულო მამულის ტერიტორიას ესაზღვრებოდნენ, 1878–1908 წლებში მუჰაჯირად წავიდა 257 კომლი (1343 სული). ეს მაჩვენებელი ამ სოფლების საერთო მაცხოვრებელთა ნახევარზე მეტია. მახუნცეთიდან ემიგრირებული იყო 55 კომლი (310 სული), საღორეთიდან–66 (450 სული), წონიარისიდან – 60 (190 სული), ვარჯანისიდან – 35 (150 სული), ზვარედან – 25 (140 სული), ზესოფელიდან – 15 კომლი (50 სული) და ა.შ.[403]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში ფართოდ გავრცელდა ფირალობა, რომელიც ასევე დაკავშირებული იყო აგრარულ საკითხთან. გლეხკაცობა ვეღარ აუდიოდა გადასახადების გაღებას, საძოვრების, საბალახოებისა და ტყეთ სარგებლობისას შეზღუდვებს, რასაც მთავრობის დავალებით შესაბამისი უწყებების მოხელეები

---

[402] სცსსა, ფ. 229, ან. 2, ს. 1105, ფურც. 1-139.
[403] სცსსა, ფ. 243, ან. 7, ს. 557, ფურც. 28.

ახორციელებდნენ. გლეხების ნაწილი იარაღით ებრძოდა მთავრობის მოხელეებს. მათ შორის სისხლისმღვრელი ბრძოლები არაერთხელ გამართულა. 1898 წელს ქვემო აჭარაში ფირალებსა და მეფის ხელისუფლების ჟანდარმერიას შორის შეიარაღებული ბრძოლა გაიმართა. ჟანდარმერებმა ერთ-ერთი გლეხის სახლი, სადაც ფირალები ღამეს ათევდნენ, ალყაში მოაქციეს და მათ შეპყრობას შეეცადნენ. შებრძოლებისას ფირალებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ერთი ჟანდარმერი, ხოლო მეორე – მძიმედ დაჭრეს. ამ შებრძოლებისას ორი ფირალი დაიღუპა.[404]

რუსეთის მთავრობის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ გაბედულად იბრძოდა სულხან დიასამიძე. იგი ქვემო აჭარიდან იყო, რომელიც მძიმე ცხოვრების გამო, ფირალად გავარდა და მთავრობის მოხელეებს შიშის ზარს სცემდა. მის შესაპყრობად მთავრობამ 1903 წელს ქვემო აჭარაში შეიყვანა შეიარაღებული რაზმი, რომელსაც ბათუმის ოკრუგის უფროსის თანაშემწე ეოიჩეკი მეთაურობდა. დიდი წადილის მიუხედავად, მეფის ხელისუფლებამ ფირალის შეპყრობა ვერ შეძლო.[405]

ტერორს, როგორც ბრძოლის ფორმას, გლეხობა სისტემატურად მიმართავდა. მთავრობის მოხელეების ძალადობის, მოსახლეობის ძარცვა-აწიოკების გამო გლეხთა ნაწილი ფიზიკურად უსწორდებოდა მათ. 1890 წელს გლეხებმა მოკლეს ართვინელი ვაჭარი და მთავრობის გავლენიანი პირი მ.პიროიანი, რომელიც მოსახლეობის ძარცვა-გლეჯით გამოირჩეოდა. 1890 წლის 15 (27) აგვისტოს გლეხები სოფელ

---

[404] იბერია, 8 ნოემბერი, 1898.

[405] იბერია, 25 სექტემბერი, 1903.

კაპანდიბთან თავს დაესხნენ სასაზღვრო დაცვის ბრიგადის სტრაჟნიკებს. შეიარაღებული ბრძოლის დროს ერთი სტრაჟნიკი მოიკლა, ხოლო ორი მძიმედ დაიჭრა.[406] მიზეზი ის იყო, რომ სასაზღვრო დაცვის სტრაჟნიკები გლეხებს, რომლებსაც გასაყიდი თუ ნაყიდი საქონელი გადაჰქონდათ და გადმოჰქონდათ, ძარცვავდნენ, სცემდნენ, აბუჩად იგდებდნენ. ამის მაგალითები მრავლად იყო.

მთავრობის ოფიციალური მონაცემებით, კაპანდიბის შიდასასაზღვრო დაცვის სტრაჟნიკებმა 1888 წლის მაისში ზემო აჭარის გლეხებს, რომლებსაც ბათუმიდან პირველი მოხმარების საქონელი მიჰქონდათ, ცხენები, ტვირთი და ფული ძალით წაართვეს, შემდეგ სასიკვდილოდ სცემეს. ბოლოს, როდესაც გაქცევა დააპირეს, სროლა აუტეხეს. იმავე სტრაჟნიკებმა 1889 წლის 6 (18) მაისს გაძარცვეს ართვინელი გლეხები, შემდეგ კი სასტიკად სცემეს. ასეთივე მოქმედებას ჩადიოდნენ ფიჭვნარისა და ყოროლისთავში დისლოცირებული შიდასასაზღვრო დაცვის სტრაჟნიკები. მაგალითად, 1889 წლის 5 (17) ივლისს მათ ფიჭვნარში გლეხებს ისმაილ და მემედ ანანიძეებს თევზი ძალით წაართვეს, ბოლოს ისე სცემეს, რომ გრძნობა დაკარგეს.[407]

სტრაჟნიკების და სხვა მძარცველების მკვლელობის გამო მთავრობა მოსახლეობას სასტიკად უსწორდებოდა. ხელისუფლებამ აკრძალა ჭოროხის სანაოსნო გზით კაიუკებით ტვირთის გადაზიდვა და კაპანდიბთან გადმოტვირთვა–გადატვირთვა. სტრაჟნიკების მკვლელობა ჯოჯოხეთ

---

[406] სცსსა, ფ. 229, აღ. 2, ს. 951, ფურც. 1–8.
[407] იქვე, ფურც. 11-13.

და მერისის სოფლების მოსახლეობას დააბრალეს და მათ კატეგორიულად მოსთხოვეს მკვლელების გადაცემა ხელისუფლებისათვის. მაგრამ მოსახლეობამ ისინი საიმედოდ შეინახა. ამის გამო ზემოაღნიშნული სოფლების თითო კომლს ჯარიმის სახით 10 მანეთი შეაწერეს.[408] 1890 წელს გლეხებმა სოფელ მახინჯაურში დაარბიეს უცხოელი მოახალშენის კრიშტაფოვიჩის მამული.[409]

გლეხებმა 1894 წელს სასიკვდილოდ სცემეს ართვინის საპოლიციო უბნის მოადგილე ნ. ტერ-ანტონოვი, რომელიც ვერაგობითა და სისასტიკით გამოირჩეოდა. იმავე წლის 4 (16) ივნისს მოკლეს ართვინის ოკრუგის სოფელ დამპლის მამასახლისი გენჯი–აღა ბოლქვაძე, რომელსაც, გაზეთ "ივერიის" ცნობით, მრავალჯერ ჰქონდა ჩადენილი ავკაცობა.[410]

აგრარული მოძრაობის ისეთი ფორმა, როგორიცაა გაფიცვა, ძირითადად გამოიყენებოდა კაპიტალისტურ მეურნეობებში. პირველი გაფიცვა მოხდა კაპიტალისტ კ.პოპოვის მეურნეობაში 1894 წლის აპრილში. მაშინ მეურნეობის მშენებლობაზე 500-600 დაქირავებული მუშახელი მუშაობდა. გაფიცვის მიზეზი ყოფილა შრომის დაბალი ანაზღაურება. კ.პოპოვმა გაფიცულთა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ მუშებმა ბათუმის მომრიგებელ სასამართლოში იჩივლეს, მაგრამ უშედეგოდ.[411]

900-იანი წლების დასაწყისში აგრარულმა მოძრაობამ ორგანიზებული ხასიათი შეიძინა, რაც განპირობებული

---

[408] იქვე. ს. 943, ფურც. 6-7.
[409] იქვე. ს. 952, ფურც. 8-9.
[410] ივერია, 22 ივნისი, 1890.
[411] ივერია, 8 აპრილი, 1894.

იყო პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის გააქტიურებით. ბათუმში შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-რევოლუციონერთა და სოციალისტ-ფედერაციული პარტიების ორგანიზაციები. მათ თავიანთი საქმიანობა სოფლადაც გააჩაღეს. მაშინ გლეხობაში პოპულარობით სარგებლობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციამ აჭარის ზოგიერთ სოფელში, ჩაქვის საუფლისწულო და კ.პოპოვის მეურნეობებში წრეები ჩამოაყალიბა და სააგიტაციო მუშაობა გაშალა.

რევოლუციური მუშაობა მთავრობის სპეცსამსახურისათვის შეუმჩნეველი არ ყოფილა. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში როჟანოვი 1904 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა მთლიანად ბათუმის ოლქს მოედოო.[412] ჩაქვის საუფლისწულო მამულსა და სხვა კაპიტალისტურ მეურნეობებში ქართული, რუსული და თურქულენოვანი პროკლამაციები ვრცელდებოდა. 1904 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ჩაქვის საუფლისწულო მამულში აღმოაჩინეს 4 ცალი პროკლამაცია და ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწეს ბათუმის ოლქში როჟანოვს გადასცეს.[413]

ჩაქვის საუფლისწულო მამულში არაერთხელ მოხდა მუშათა გაფიცვა. 1904 წლის ნოემბერში 150 მუშა გაიფიცა და მამულის ადმინისტრაციას მოსთხოვეს შრომის პირობების გაუმჯობესება და ხელფასის გაზრდა. ხელისუფლება ამ გამოსვლებს რევოლუციური პროპაგანდით ხსნიდა და

---

[412] ო.თურმანიძე, გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ბათ., 1979, გვ. 64.
[413] იქვე, გვ. 66.

მის აღკვეთას ცდილობდა, 1904 წლის 20 დეკემბრის მოხსენებით ბარათში, რომელიც პეტერბურგში გაიგზავნა, ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი კ.რეკი სასგასმით აღნიშნავდა, რომ მეურნეობაში მუშების მღელვარებას სისტემატური ხასიათი აქვსო. იგი ხელისუფლებისაგან მოითხოვდა გადამწყვეტი ზომების მიღებას, კერძოდ, მეურნეობაში სტრაუნიკების ჩაყენებას და მამულის დაცვის გაძლიერებას.[414]

1904 წლის საფსულში გაიფიცნენ კ. პოპოვის მეურნეობის მუშები. გაფიცვა ერთ თვეს გაგრძელდა. აქაც იგივე მოთხოვნები წამოაყენეს, რაც ჩაქვის საუფლისწულო მამულის მეშუბმა: შრომის პირობების გაუმჯობესება და შრომის ანაზღაურების გადიდება. კაპიტალისტმა კ.პოპოვმა დაითხოვა გაფიცული მუშები და სამუშაოდ ახალი მუშახელი მოიწვია. მაგრამ გაფიცულთა ბრძოლა ისეთი ერთსულოვანი და ორგანიზებული იყო, რომ მოწვეულებმა აღარ მოისურვეს სამუშაოს განახლება. კ.პოპოვი იძულებული გახდა მუშათა მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.[415] ამრიგად, 1979–1904 წლებში განვითარებულმა აგრარულმა მოძრაობამ ნიადაგი შეამზადა 1905–1907 წლებში ამ მოძრაობის ახალი შინაარსითა და მასშტაბით განვითარებისათვის.

---

[414] სანკტ-პეტერბურგის ცსსა, ფ. 515, ან. 45, ს. 694, ფურც. 83.

[415] ი.თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 66-67.

2. აგრარული მოძრაობა რევოლუციის წლებში

აგრარული მოძრაობა თვისებრივად ახალ ეტაპზე შეეიდა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს. რამდენადაც აგრარული თემა საზოგადოების ყველა ფენასა და წოდებას აწუხებდა, იმდენად რევოლუციის პერიოდში ამ საკითხმა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა. იგი რევოლუციის საფუძველი იყო და მის შინაარსს განსაზღვრავდა. საქართველოში, როგორც წვრილგლეხურ ქვეყანაში, აგრარული საკითხი კიდევ მეტად გამწვავდა, ვიდრე იმპერიის სხვა რეგიონებში. რევოლუციის დროს აგრარული მოძრაობის საერთო ნიშანია ორგანიზებული ხასიათი, რაც განპირობებული იყო პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათი საქმიანობის გააქტიურებით.

რევოლუციის დასაწყისისათვის ბათუმის ოლქში, როგორც მთლიანად საქართველოში, აქტიურად მოქმედებდნენ სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერაციული და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიების ორგანიზაციები. მუშათა კლასისა და გლეხობისათვის შედარებით მიმზიდველი იყო რსდმპ აგრარული პროგრამა, რომელიც მიღებულია პარტიის მეორე ყრილობაზე (1903 წ.). იგი ითვალისწინებდა ცარიზმის დამხობას, ბატონყმობის ნაშთების ლიკვიდაციას, საზოგადოების დემოკრატიულ გარდაქმნას და კაპიტალიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. სოციალისტ-ფედერაციული პარტიის პროგრამას უფრო მეტად ინტელიგენცია იზიარებდა.

რევოლუციის განვითარების პროცესში შესამჩნევი ცვლილებები განიცადა პოლიტიკური პარტიების პროგრა-

მის აგრარულმა ნაწილმა.ı რადიკალიზმით გამოირჩეოდა ბოლშევიკების აგრარული პლატფორმა, რომელიც ჩამოყალიბებული იყო რსდმპ პირველ (ტამერფორსი) კონფერენციაზე და IV ყრილობაზე (სტოკჰოლმი), ვ.ი. ლენინისა და მისი მიმდევრების სტატიებსა და გამოსვლებში. ბოლშევიკების აგრარული პროგრამის მოთხოვნები – მემამულეთა მიწების კონფისკაცია, რევოლუციის დროს მათი ძალადობით ხელში ჩაგდება, მთელი მიწის ნაციონალიზაცია არაერთგვაროვნად აღიქვეს საზოგადოების სხვადასხვა ფენებმა.

რევოლუციის დროს აგრარული მოძრაობა საერთო დემოკრატიულ მოძრაობას გადაეჩასკვა. როგორც მთლიანად საქართველოში, ისე ბათუმის ოლქში მოსახლეობა აგრარულთან ერთად სოციალურ-პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებდა. თბილისსა და ბათუმში მუშათა გამოსვლების კვალდაკვალ აგრარული მოძრაობა განვითარდა აჭარის სოფლად - ქვემო აჭარაში 1905 წლის იანვარში გაიფიცნენ გლეხები, რომლებიც ცენტრალური გზის გაწმენდაზე მუშაობდნენ. ისინი საკუთარი სამუშაო იარაღებით გზას წმენდნენ თოელისაგან და დღიურად გასამჯელოს – 60 კაპიკს იღებდნენ.

გლეხები შეიკრიბნენ სოფელ აჭარისწყალზე, გამოაცხადეს გაფიცვა, აირჩიეს ხელმძღვანელი. გაფიცულებმა გზის ოსტატს ვინმე შიმანოვსკის მოთხოვნები წაუყენეს. გლეხები მოითხოვდნენ დღიური ანაზღაურების გადიდებას 60 კაპიკიდან რუბლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს ამბობდნენ სამუშაოს განახლებაზე. გლეხთა გაფიცვა სამ დღეს გაგრძელდა. ბოლოს აჭარისწყალზე ბათუმიდან

ავიდა უფროსი საგზაო ინჟინერი მარკაროვი, რომელიც გაფიცულ გლეხებს დაპირდა დღიური გასამჯელოს ერთი რუბლსა და 20 კაპიკამდე გაზრდას, მაგრამ პირობა არ შეასრულა. პირიქით, ამ გაფიცვის საბაბით სამუშაოდან მოხსნა გზის ოსტატი შიმანოვსკი, ხოლო ლ. ანდღულაძე, რომელიც გაფიცულ გლეხებსა და მთავრობის მოხელეებს შორის შუამავლისა და თარჯიმნის როლს ასრულებდა, სასტიკად გაიცხა[416].

1905 წლის თებერვალში ქვემო აჭარის სოფელ ახოს გლეხებმა უარი განაცხადეს ტყის ბაჟისა და გადასახადის გადახდაზე, მოკვლით დაემუქრნენ ტყისმცველს, რომელმაც გაქცევით უშველა თავს. მთავრობამ ამის გამო 12 გლეხი დააპატიმრა. მძიმე კატორღულ პირობებში სამი მათგანი ჭკუაზე შეიშალა და მალე გარდაიცვალა[417].

1905 წლის თებერვალში გაიფიცნენ ჩაქვის საუფლიწულო მამულის მუშები. გაფიცვის მიზეზი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც იყო მძიმე სამუშაო პირობები და მცირე შრომის ანაზღაურება, გაფიცულები მამულის ადმინისტრაციისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ შრომის ნორმალური პირობების შექმნას და ხელფასის გაზრდას[418]. უმიწობითა და მცირემიწიანობით განაწამებმა გლეხებმა არაერთხელ დაიტაცეს მემამულეთა მიწები და მიისაკუთრეს. ასე მოხდა 1905 წლის დასაწყისში კახაბრის ველზე (ბათუმის მახლობლად). სოფელ მინდიაში გლეხებმა დაარბიეს მემამულე ომერ-აღა მემედ ზადეს (უსტია-

---

416 ო. თურმანიძე. გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, ბათ., 1979, გვ. 72-73.
417 იქვე, გვ. 73-74.
418 სანკტ-პეტერბურგის ცსსა, ფ-515, ან. 91, ს. 48, ფურც. 1.

შვილი) მიწები და ერთმანეთს შორის გაინაწილეს. მემამულემ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან იჩივლა და დახმარება სთხოვა. გუბერნატორი შეიარაღებული რაზმით სოფელ მინდიაში პირადად ავიდა, გლეხებს მიწები ჩამოართვა და მემამულეს დაუბრუნა. ეს მაშინ, როდესაც სოფელ მინდიას გლეხები თითქმის უმიწაწყლონი იყვნენ, 32 გლეხის ოჯახი 5 დესეტინას ფლობდა[419].

1905 წლის პირველ ნახევარში გლეხთა ფართომასშტაბიანი გამოსვლა მოეწყო ქვემო აჭარაში. მის მომზადებაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ პოლიტიკური პარტიების ბათუმის ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ქედაში სამუშაოდ მივლინებული პირები: მასწავლებელი კ. მკურნალი, სასოფლო მმართველობის კანცელარიის მწერალი ლ. მენაბდე და სხვები. აჯანყების ცენტრად იქცა დაბა ქედა და სოფელი გულები, სადაც სისტემატურად ტარდებოდა გლეხთა საიდუმლო შეკრებები. ამ შეკრებებზე დეტალურად იხილავდნენ აჯანყების მზადების საკითხებს. ერთერთ ასეთ საიდუმლო შეკრებაზე აირჩიეს აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი ცენტ-რი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: სერდალ დიასამიძე, მემედ ცინცაძე, ხუსეინ დიასამიძე, მურად ბერიძე, ოსმან ბასილაძე, დაუთ თურმანიძე, სულეიმან დიასამიძე და სხვები. აჯანყების ხელმძღვანელები მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, ისინი გამოირჩეოდნენ სიბრძნით, გამჭრიახობით, გაბედულებით, ორგანიზატორული ნიჭით.

---

[419] 1905 წელი. ბარიკადები ბათუმში (მოგონებათა კრებული). ბათ. 1925, გვ. 8

განსაკუთრებით აქტიურობდა ქედის სკოლის მასწავლებელი კონსტანტინე მკურნალი. ქუთაისის გუბერნიის უანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში როუანოვი ხელისუფლების ერთ-ერთ ორგანოში წარდგენილ პატაკში წერდა: ჩერნოვი (ბათუმის ოკრუგის უფროსი-ო.თ.) ადგილზე დარწმუნდა, რომ ქედის სკოლის მასწავლებელი კ. მკურნალი აჯანყების ხელმძღვანელობის წევრად ითვლებოდა. იგი გლეხებში დიდი გავლენით სარგებლობს, მის სიტყვას ენდობოდნენ. კ. მკურნალი ითვლება აჯანყებული გლეხობის წარმომადგენლად ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისას[420].

ქვემო აჭარის გლეხთა აჯანყების დამარცხების შემდეგ კ. მკურნალი მთავრობამ სამუშაოდან დაითხოვა. 1906 წლიდან ბათუმში ცხოვრობდა. კ. მკურნალს ხელისუფლება „არასაიმედო" პიროვნებად თვლიდა და ეკრძალებოდა ქ. ბათუმში, მიხაილოვის ციხესიმაგრის რაიონში ყოფნა[421].

ქვემო აჭარაში გლეხთა აჯანყება 1905 წლის 7 თებერვალს დაიწყო და 22 თებერვლამდე გაგრძელდა. იგი ყველაზე ორგანიზებული და მასობრივი იყო, მასში 2000-მდე კაცი მონაწილეობდა, აღსანიშნავია, რომ ქვემო აჭარის საპოლიციო უბანში მაშინ (1905 წლის პირველი იანვრის ცნობით) 2557 კომლი ითვლებოდა. აჯანყებაში მონაწილეობდა ცხმორისისა და ქედის სასოფლო ოკრუგების თითქმის ყველა ოჯახი და ხერთვისის სასოფლო ოკრუგის მაცხოვრებელთა უმრავლესობა[422].

---

420 ო. თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 75.
421 იქვე.
422 Черноморский вестник, 15 мартъ, 1905; Кк на 1907 год. Тиф., 1906 с. 156-158.

აჯანყების გამომწვევი მიზეზები იგივეა, რაც მოძრაობის წინა ეტაპზე იყო: გადასახლების სიმძიმე, მიწის, ტყის, საძოვარ-საბალახოების სარგებლობის საქმეში მოსახლეობის შევიწროება. გლეხები შეიარაღებული იყვნენ ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით: თოფებით, რევოლვერებით, ცულებით, წალდებით, დანებით. აჯანყებულები ჯერ ქედის ხიდთან შეიკრიბნენ და ერთგულების ფიცი დასდეს, შემდეგ საპოლიციო უბნის შენობასთან მივიდნენ და თავიანთი წარმომადგენლობის მეშვეობით პოლიცმეისტერ სერგეევს თავიანთი მოთხოვნები გადასცეს.

გლეხები მოითხოვდნენ: გადასახლების, განსაკუთრებით ტყის ბაჟისა და ტყისმცველთა ინსტიტუტის გაუქმებას; სასოფლო ოკრუგის შესანახი ხარჯებისგან განთავისუფლებას; ძველი მუხტარის თანამდებობის აღდგენას და ხალხისთვის მისი არჩევის უფლების მიცემას; სახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე სამუშაო ქირის გადიდებას; ბათუმიდან ნავთის ამოტანაზე ბაჟის მოხსნას და სხვა.

ქვემო აჭარის პოლიცმეისტერმა გლეხთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. ამით აღშფოთებულებმა მეორე დღეს, 8 თებერვალს, ცხმორისის სასოფლო ოკრუგის კანცელარია დაარბიეს, ხოლო 9 თებერვალს-ქედის სასოფლო ოკრუგისა და საპოლიციო უბნის კანცელარიები, მთავრობის მოხელეები გარეთ გამოაძევეს, შენობებს აბრები ჩამოხსნეს, კანცელარიის საბუთები დაწვეს, საჯაროდ დახიეს ნიკოლოზ მეორის სურათი, მოშალეს სატელეფონო კავშირი ბათუმთან. ამის შემდეგ სპეციალური მცველები გამოყვეს, რომ გამოძევებული მოხელეებიდან ადმინისტრაციულ შენობაში არავინ დაბრუნებულიყო.

ფაქტობრივად ქვემო აჭარაში მთავრობის ორგანოები აღარ მოქმედებდნენ.

მთავრობამ აჯანყების ჩასაქრობად საგანგებო ზომები მიიღო. 10 თებერ-ვალს ქედაში ბათუმის ოკრუგის უფროსი ვიცე პოლკოვნიკი ჩერნოვი მიავლინა. 11 თებერვალს გლეხებმა მას პეტიცია მიართვეს, რომელ'შიც იგივე მოთხოვნები იყო ჩამოყალიბებული. გლეხები გულისწყრომით ჩიოდნენ: „გავღატაკდით და ხსნა არსაიდან ჩანს, ერთი აგვიხსენით და გვითხარით (მიმართავდნენ ისინი მეფის მთავრობის მოხელეებს) საიდან შეუძლია სოფელს ამოდენა გადასახადის ატანა, სად არის შესაფერი მოგებაო.[423]"

რუსეთის ხელისუფლებამ, რაკი აჯანყება მშვიდობიანი გზით ვერ ჩააქრო, იარაღს მიმართა. 19 თებერვალს ქვემო აჭარაში კაზაკების სამხედრო ასეული გაიგზავნა ორი ოფიცრისა და ბათუმის ოკრუგის უფროსის მეთაურობით. გლეხებს განზრახული ჰქონდათ შებრძოლებოდნენ მათ, საამისოდ მომზადებულიც იყვნენ, მაგრამ რსდმპ ბათუმის კომიტეტის, სხვა პოლიტიკური თუ დემოკრატიული ძალების რჩევა-დარიგებით წინააღმდეგობაზე უარი უთქვამთ. 22 თებერვლს ქვემო აჭარაში აღადგინეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები. აჯანყების ხელმძღვანელები დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. ქვემო აჭარის გლეხთა 1905 წლის თებერვლის აჯანყებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მის შესახებ მასალები გამოაქვეყნეს როგორც კავკასიის, ისე რუსეთისა და ევროპის პრესამ. რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო: რამდენადმე შეამცირა გადასახადები,

---

[423] ივერია, 26 თებერვალი, 1905.

გაიზარდა მოსახლეობის უფლებები სასოფლო მმართველობის მოხელეთა არჩევნებში. ამ უმნიშვნელო დათმობით გლეხები არ იყვნენ კმაყოფილი. ცარიზმის ხელისუფლებას მოსახლეობა, აჯანყების დამარცხების შემდეგაც, პოლიციურ ზედამხედველობაში ჰყავდა. 1905 წლის 28 თებერვალს ქედას კვლავ ეწვია ბათუმის ოკრუგის უფროსი ჩერნოვი, რომელმაც სამი დღის განმავლობაში ქვემო აჭარის არაერთი სოფელი შემოიარა. ცხადია, მოსახლეობის დაშინებასთან ერთად იგი დაყვავების მეთოდებსაც იყენებდა.

აგრარული მოძრაობა შესამჩნევად გაიზარდა ართვინის ოკრუგში. ჟურნალი „მოგზაური" 1905 წლის მარტში იტყობინებოდა: ახლანდელმა მოძრაობამ ართვინის ოკრუგშიც იჩინა თავი. გაჭირვებამ და სიღარიბემ ხალხი განაწყო ჩაგერისა და უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად და რევოლუციურ მოძრაობაში სხვებს არ ჩამორჩებიან[424]. გლეხთა გამოსვლები დაიწყო შავშეთ-იმერხევში 1905 წლის თებერვალში. მარტში მოძრაობა გაიზარდა, რის გამო ხელისუფლების ორგანოები შეშფოთებული იყვნენ.

ართვინის ოკრუგის უფროსი 1905 წლის 12 მარტს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა: შავშეთ-იმერხევში ადგილი აქვს გლეხთა მძლავრ მღელვარებას, რომელიც აჭარის გავლენით არის გამოწვეული. გლეხებმა სოფლებში შეკრებები გამართეს, სადაც ბჭობდნენ თავიანთ ჩაგრულ მდგომარეობაზე. ამ კრებებზე მათ მთავრობის მიმართ საპროტესტო პეტიციები შეიმუშავე-

---

[424] მოგზაური, №15, 1905, გვ. 231.

სო[425]. გლეხებს ძალ'ზე უჭირდათ გადასახადების, განსაკუთრებით სასოფლო მმართველობის ხარჯების გადება, გა'ზეთ „ჩერნომოსკი ვესტნიკის" კორესპონდენტს შავ'შეთ-იმერხეეის სოფელ წულისმიერის გლეხებმა გან'უცხადეს: ოთხი წლის წინათ სოფლად გვქონდა ისეთი მმართველობა, რომელიც ჩვენს შესაძლებლობას შეესატყვისებოდა, ამჟამად კი მძიმეა სასოფლო მმართველობის შესანახი ხარჯებიო[426]. მოსახლეობა სასტიკად იბრძოდა მამასახლისის (სასოფლო ოკრუგის უფროსის) წინააღმდეგ, რამდენადაც სოფლად მას ევალებოდა გადასახადების ამოღება. ჟურნალ „მოგზაურის" ცნობით, ართვინის ოკრუგის მამასახლისები „შეუბრალებლად აძრობენ ტყავს მცხოვრებთ..."[427]

გლეხთა მღელვარების ჩაქრობის მიზნით ხელისუფლებამ შავ'შეთ-იმერხეე'ში თავისი წარმომადგენელი „კოლეჯსკის ასესორი" დეკანოზოვი მიავლინა. მან მთელი რიგი სოფლები შემოიარა, სადაც შეკრიბა გავლენიანი პირები და მათი მეშვეობით ცდილობდა აჯანყებული გლეხების დაშოშმინებას. იგი აშინებდა მოსახლეობას, რომ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები ცუდი შედეგებით დამთავრდებაო. მაგრამ მოსახლეობა არ შეშინებულა. სოფლების გავლენიანმა და საპატიო პირებმა დეკანოზოვს კატეგორიული ტონით გან'უცხადეს, რომ მოსახლეობა სასოფლო მმართველობის შესანახ ხარჯებს არ გაიღებდა[428]. ანალოგიური აზრი გამოთქვეს სოფელ უბეს

---

[425] აცსა, ფ. 1-1, ან. 1, ს. 159, ფურც. 1.
[426] Черноморский вестник, 6 марть, 1905.
[427] მოგ'ზაური, №15, 1905, გვ. 231.
[428] აცსა, ფ.-ი. 1, ს. 159, ფურც. 1.

გლეხებმა პეტიციაში, რომელიც შავშეთ-იმერხევის საპოლიციო უბნის უფროსს წარუდგინეს[429].

1905 წლის მარტის დამლევს ართვინის ოკრუგების 66 სოფლის გლეხებმა 411 კაცის ხელმოწერით საპროტესტო განცხადება გადასცეს ხელისუფლების ორგანოებს, რომელშიც დაგმობილი იყო სასოფლო მმართველობის ახალი სისტემის შემოღება და უარს აცხადებდნენ გადასახადების გადახდაზე.[430] შეშინებული ართვინის ოკრუგის უფროსი 1905 წლის 12 მარტს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა, რომ არტანუჯისა და ართვინის საპოლიციო უბნებში გლეხთა გამოსვლები კიდევ უფრო ძლიერიაო[431].

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი აშკარად გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას ართვინის ოკრუგის უფროსისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის მისამართით. 1905 წლის 14 მარტის წერილში იგი კატეგორიულად ავალებდა ართვინის ოკრუგის უფროსს მიეღო სასწრაფო ზომები გლეხთა მოძრაობის ჩახშობისათვის. ჩაეტარებინა სასოფლო ოკრუგებში მამასახლისის არჩევნები, შეემცირებინა სასოფლო მმართველობის შესანახი ხარჯები, ზოგიერთი გადასახადი ნატურით ამოეღოთ[432]. ამ დავალების შესასრულებლად ართვინის ოკრუგის უფროსმა 1905 წლის მარტში თავისი თანაშემწე კაპიტანი სტაროსელსკი მიავლინა შავშეთ-იმერხევში. გლეხებმა მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და მოითხოვეს სასოფლო

---

[429] იქვე.
[430] იქვე, ფურც. 3.
[431] აცსა, ფონდ. ი-I, ან. I, ს. 159, ფურც. I.
[432] ო. თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

მმართველობის გაუქმება. ასევე მძლავრი იყო გლეხთა გამოსვლები ართვინის საპოლიციო უბნის სამსხრის, მურღულისა და სვეტიის სასოფლო ოკრუგებში. ხელისუფლებამ ვერ შეძლო მშვიდობიანი გზით მოძრაო-ბის ჩაქრობა და ძალადობას მიმართა: დააპატიმრეს აჯანყებული გლეხების მთავარი ხელმძღვანელები, შეეცადნენ მოსახლეობის დაშინებას მკაცრი ზომების გატარებით[433].

გლეხთა მღელვარების ჩაქრობის მიზნით 1905 წლის აგვისტოში ქვემო და ზემო აჭარაში იმოგზაურა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა ფონ-პარკაუმ. გუბერნატორს განზრახული ჰქონდა აგრეთვე ე.წ. „დამნაშავეების" შეპყრობა, რომლებიც მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდნენ. ფონ-პარკაუს აზრით, ქვემო და ზემო აჭარაში, გონიოს საპოლიციო უბანში თურმე 31 „დამნაშავე" აფარებდა თავს. 18 აგვისტოს ქედაში გლეხობამ გუბერნატორს ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები წაუყენა: ბათუმიდან ნახევარ ფუთამდე ნავთის უბაჟოდ წამოღება; სახელმწიფო და კერძო პირთა ტყეების ერთმანეთისაგან გამიჯვნა; ტყიმცველთა თვითნებობის აღაგმვა; გადასახადებისა და ტყის ბაჟის შემცირება; უმიწაწყლო გლეხებისათვის ბათუმის ოლქის დაუსახლებელი სახელმწიფო მიწების გადაცემა; ხალხის მიერ არჩეული „სლოვესნი სუდის" (სიტყვიერი სასამართლო) დამტკიცება; ქედაში ფოსტა-ელეგრაფის გახსნა; იარაღის თავისუფლად ტარების უფლება[434].

---

[433] იქვე, გვ. 89-90.

[434] ივერია, 1 სექტემბერი, 1905.

აგრარული მოძრაობა კიდევ უფრო მძლავრი იყო კინტრიშის საპოლიციო უბანში.1905 წლის პირველ ნახევარში ამ მხარეში გლეხთა არაერთი გამოსვლა მოხდა. კავკასიის მთავარმართებელი სამოქალაქო ნაწილში გენერალ-ლეინტენანტი მალამა 1905 წლის 15 თებერვალს გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის სწერდა: რეოლუციურმა მოძრაობამ მოიცვა კინტრიშის უბანი, ოსურგეთისა და სენაკის მაზრები. საჭიროდ ვთლი, გამოეყოს კინტრიშის უბანი ბათუმის ოლქს, ხოლო ოსურგეთისა და სენაკის მაზრები ქუთაისის გუბერნიისაგან და თქვენს დაქვემდებარებაში გადავიდეს.

გენერალ ლეინტენანტი მალამა ალიხანოვ-ავარსკის ავალებდა: მოეხსნა თანამდებობიდან და პასუხისგებაში მიეცა პოლიციელები, ვინც ამას იმსახურებდა; განეიარაღებინა მოსახლეობა, დაეპატიმრებინათ და ამ მხარიდან გაესახლებინათ რევოლუციონერები; გლეხებისაგან ამოეღოთ გადასახადები; თავისი შეხედულებით დაენიშნა მამასახლისები და მოსახლეობისათვის მათი არჩევის შესაძლებლობა არ მიეცათ; საგანგებოდ დაეცვათ რკინიგზის ლიანდაგი.[435]

რუსეთის მთავრობის 1905 წლის თებერვლის სპეციალური დადგენილებით დასავლეთ საქართველოში შეიქმნა განსაკუთრებული გასამხედროებული ოლქი, რომელშიც გაერთიანდა კინტრიშის უბანი, სენაკისა და ოსურგეთის მაზრები. ოლქის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა ალიხანოვ-ავარსკი. აღნიშნული დადგენილება ნიკოლოზ მეორემ 21 თებერვალს დაამტკიცა. ამის შემდეგ რევოლუციის კერებში საგანგებოდ გაწვრთნილი სამხედრო და პოლი-

---

[435] ო. თურმანიძე,დასახ. ნაშ; გვ. 89.

ციური ნაწილები ჩააყენეს. 1905 წლის 4 მარტს ქობულეთში შეიყვანეს ელიზავეტოპოლის პოლკის ნახევარი ასეული. ჩაქვში 50 ჯარისკაცი და 15 კაზაკი დააბანაკეს. მაგრამ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს ეს ძალები არასაკმარისად მიაჩნდა და მოითხოვდა დამატებითი ძალების შემოყვანას.

მთავრობის საგანგებო ზომებმა, კიდევ უფრო აღაშფოთა მოსახლეობა. აგრარულ მოძრაობაში სასოფლო პროლეტარიატიც გააქტიურდა. ისინი მოითხოვდნენ შრომის პირობებვის გაუმჯობესებას, ხელფასის მომატებას და სხვა. 1905 წლის გაზაფხულზე გაიფიცნენ კ. პოპოვის მეურნეობის მუშები. პირველად გაფიცვა დაიწყო სალიბაურის ჩაის პლანტაციასა და ფაბრიკაში, შემდეგ გაგრძელდა კაპრეშუმისა და ჩაქვის ჩაის პლანტაციებში. მაისში კი საყოველთაო გაფიცვაში გადაიზარდა. გაფიცული მუშები მოითხოვდნენ შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, გასამრჯელოს გადიდებას.

კ. პოპოვის ცდები გაფიცვა მშვიდობიანად ჩაექრო, უშედეგო აღმოჩნდა. ამის შემდეგ მუშები სამუშაოდან დაითხოვეს და მათ გასახლებას შეუდგნენ. კინტრიშის საპოლიციო უბნის უფროსი ამის თაობაზე ბათუმის ოკრუგის უფროსს მოახსენებდა: მუშებს თუ იძულებით გავასახლებთ თავიანთ სოფლებში, მაშინ პოპოვის მეურნეობის მოსამსახურე-ადმინისტრაციული პერსონალის დაცვა შეუძლებელი იქნებაო, რადგან გაბოროტებული მუშები კიდევ უფრო დიდ უწესრიგობას შექმნიან, დახოცავენ მმართველ ადმინისტრაციულ პერსონალსო. გაფიცვა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. პოპოვი იძულებული გახდა წასულიყო ნაწილობრივ

დათმობაზე: ღღიურ მუშებს გასამრჯელო ათი კაპიკით, ხოლო თეიურად მომუშავეებს ორი მანეთით გაუსარდა[436].

კიდევ უფრო მძლაური გამოსვლები მოაწყვეს ჩაქვის საუფლისწულო მამულის მუშებმა. 1905 წლიდან მოყოლებული მუშათა გაფიცვებმა სისტემატური და საყოველთაო ხასიათი მიიღო. გაფიცული მუშები იმავე მოთხოვნებს აყენებდნენ, რასაც სხვა კაპიტალისტური მეურნეობებისა. ეს გასაგებია, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები ყველა მათგანში ანალოგიური იყო. ამ გამოსვლებით შეშფოთებული ჩაქვის საუფლისწულო მამულის მმართველი პეტერბურგში ამავე უწყებას 1905 წლის 9 აპრილს მოახსენებდა: ჩაქვში მუშათა მძლავრი მოძრაობაა, რომელზედაც ზეგავლენას ახდენს ქალაქი ბათუმი და ოზურგეთის მაზრა. გამოსვლებში ყველა კატეგორიის მუშა მონაწილეობს. ადგილი აქვს გაფიცვებს, შეიარაღებულ შეტაკებებს, რსდმპ ბათუმის კომიტეტს განზრახული აქვს მუშები ჩაის საკრეფად არ დაუშვასო[437].

შეშინებული მმართველი პეტერბურგში ამავე უწყებას 1905 წლის წლის 3 მაის უპატაკებდა: მუშების მღელვარებამ ფართო ხასიათი მიიღო. მუშები მოითხოვენ გასამრჯელოს მომატებას. გახშირდა ძარცვა და მკლელობა. პლანტაციებში შეიარაღებული პირები, აგიტატორები დადიან და „ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას ეწევიანო"[438] მართლაც, პოლიტიკური პარტიების ბათუმის ორგანიზაციები სოფლად, განსაკუთრებით კი კაპიტალისტურ მეურნეობებში, დიდ მუშაობას ეწეოდნენ. სწორედ

---

[436] იქვე. გვ. 93-97.
[437] სანქტ-პეტერბურგის ცსსა. ფ. 515. ან. 91. ს. 48. ფურც. 1.
[438] სანქტ-პეტერბურგის ცსსა. ფ. 91. ან. 45. ს. 694. ფურც. 104

ამ მუშაობის შედეგი იყო მუშათა ორგანიზებული გამოსვლები. აგრარული მოძრაობის საერთო დემოკრატიულ, პოლიტიკურ მოძრაობაში გადაზრდა.

1905 წლის ზაფხულში (ივნისი, ივლისი, აგვისტო) და შემოდგომის დასაწყისში (სექტემბერი) ჩაქვის მუშებმა კიდევ უფრო მძლავრი გამოსვლები მოაწყვეს. ოქტომბერში მუშათა მოძრაობა უმაღლეს საფეხურზე ავიდა, რომელიც 1905 წლის ბოლომდე გაგრძელდა. კავკასიის საულისწულო მამულების ინსპექტორის ცნობით, ჩაქვში 1905 წელს მძლავრ რევოლუციურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში. ეს სამი თვე, ინსპექტორის დახასიათებით, საუფლისწულო მამულისათვის ყველაზე მძიმე იყო.

მუშები აღარ სჯერდებოდნენ მარტო ხელფასის მომატებას, გაფიცული დღეების ანაზღაურებას, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ხალხმრავალ მიტინგებზე, რომელიც მამულის ადმინისტრაციის შენობის წინ იმართებოდა, ისინი მოითხოვდნენ აგრეთვე ცარიზმის დამხობას, ძმობის, ერთობის, თავისუფლების და თანასწორობის დამკვიდრებას. გაისმოდა რევოლუციური სიმღერები-„მარსელიოზა", „სიმღერა პუგაჩოვაზე" და სხვა. საუფლისწულო უწყება ამ მდგომარეობიდან გამოსავალს მამულის დახურვაში ხედავდა. სწორედ ამაზეა ლაპარაკი პეტერბურგის საულისწულო მამულების მთავარი სამმართველოს უფროსის მიერ ამავე უწყების კავკასიის ინსპექტორისადმი 1905 წლის 2 დეკემბრის მიმართვაში[439]. სხვათა შორის კაპიტალისტმა კ. პოპოვმა, რევოლუციური

---

[439] იქვე. ფ. 515, ან. 45, ს. 899, ფ. 61-62, 87-90.

მოძრაობის აუცილებლობის გამო, თავისი მეურნეობა ბედისანაბარა მიატოვა. ასე მოიქცნენ სხვებიც.

როგორც ცნობილია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ნაწილი საფხულობით საქონელს მთებში მიერეკავდა და ორ თუ სამ თვეს იქ, ე.წ. იალაღებზე ცხოვრობდა. მაგრამ ისინი შეეწროებული იყვნენ მემამულეებისაგან, რადგან გლეხებს მათთვის უნდა გადაეხადათ გადასახადები საბალახოებისათვის და სხვა. მაგალითად, მთაგინურში (გომი) აჭარელი გლეხები ერთ სულ მსხვილფეხა საქონელზე იხდიდნენ 20 კაპიკს, მოზარდ და წვრილფეხა საქონელზე-10 კაპიკს, ქოხებისათვის ერთ მანეთს. ბახმაროს მთაზე საძოვრების საიჯარო გამოსაღები ამაზე მეტი იყო, სადაც თითო სულ მსხვილფეხა საქონელზე იხდიდნენ 30 კაპიკს, ცხენზე-8 მანეთს და ა.შ.[440]

ცხადია, გლეხობისათვის ეს მძიმე გამოსაღები იყო. 1905 წლის ზაფხულში გლეხებმა კრებები გამართეს, სადაც პროტესტი გამოთქვეს მემამულეების მისამართით და მოითხოვეს გადასახადების გაუქმება. გურიისა და აჭარის მემამულეები იძულებული გახდნენ გლეხთა მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ: მთლიანად გაუქმდა გადასახადები ქოხებზე, მოზარდ და წვრილფეხა საქონელზე, ხოლო მსხვილფეხა საქონელზე-განახევრდა. ამ გამარჯვების გამო, წერდა ჟურნალი „მოგზაური" გლეხები „აღფთოვანებული წასულან თავ-თავის ბინაზე[441].

---

[440] მოგზაური, №28, 1905, გვ. 443.

[441] იქვე.

რევოლუციის დღეებში გლეხების ურჩობამ საყოველთაო სახე მიიღო. მთლიანად ბათუმის ოლქის გლეხები უარს აცხადებდნენ გადასახადების გადახდაზე. მოძრაობა კინტრიშის საპოლიციო უბანში დაიწყო, რასაც ოლქის მთელმა გლეხობამ მხარი აუბა. სოფელ ხუცუბანში გაიმართა კინტრიშის უბნის გლეხთა შეკრება, სადაც ერთსულოვნად დაადგინეს: მთავრობისათვის არცერთი გადასახადი არ მიეცათ. ოლქის გუბერნატორმა ფონ-პარკაუმ გადასახადების ამოღების მიზნით ბათუმში სპეციალური თათბირი დანიშნა. მასზე მოწვეული იყვნენ მოსახლეობის წარმომადგენლები. განზრახული ჰქონდათ ისინი მანამდე დაეკავებინათ, სანამ გლეხები გადასახადებს არ გადაიხდიდნენ, მაგრამ მოსახლეობის წარმომადგენლები თათბირზე განსრახ არ ჩაეიდნენ, საპროტესტო მიტინგი გამართეს ქობულეთში.

მაშინ ფონ-პარკაუმ გადასახადების ამოღების მიზნით საპოლიციო უბნებსა და სოფლებში თავისი წარმომადგენლები მიავლინა. კინტრიშის უბანში ბათუმის ოკრუგის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ნ. ვოიჩეკი გაიგზავნა. მან ყველა ხერხს მიმართა, მაგრამ გადასახადების ამოღება მაინც ვერ შეძლო. ნ. ვოიჩეკის სიტყვით, ქობულეთლებმა განაცხადეს, გადასახადებს მაშინ გადაიხდიან, როდესაც მეზობელი გურია გადაიხდისო. ბათუმის ოლქის დანარჩენი საპოლიციო უბნების მოსახლეობა აცხადებდა: გადასახადებს იმ შემთხვევაში გავიღებთ, როდესაც ქობულეთლები გადაიხდიანო[442].

---

[442] ო. თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 126-127.

ბათუმის საოლქო ადმინისტრაცია მოსახლეობას არ აუშვებდა. 1905 წლის 18 ნოემბერს ქობულეთში გლეხთა შეკრება დანიშნეს, რათა გადასახადები როგორმე ამოეღოთ. გლეხებმა ბულვარში მიტინგი გამართეს და ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება: უნდობლობა გამოეცხადებინათ არსებული ხელისუფლების მიმართ, სოლო გადასახადები არ გადაეხადათ. ასეთივე შეკრება გაიმართა ჩაქვსა და ორთაბათუმში, სადაც ანალოგიური განცხადებები გაკეთდა. ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ შეიარაღებული შებრძოლება გამართულა მთავრობის მოხელეებსა და გლეხებს შორის.

ამ მდგომარეობით აღშფოთებული ფონ-პარკაუ 1905 წლის 5 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვალს ეორონცოვ-დაშკოვს მოახსენებდა: 18 ნოემბერს ქობულეთში, სოლო 19 ნოემბერს ჩაქვში მოსახლეობა ერთსულოვნად აჯანყდა, ჩამოაყალიბეს შეიარაღებული რაზმები და შეეცადნენ ჩაქვში განეიარაღებინათ ნახევარი ასეული სამხედროები და 15 კაზაკი.[443] ჯარისკაცებმა და კაზაკებმა აჯანყე-ბულებთან შებრძოლება ვერ გაბედეს და გაქცევით უშველეს თავს.

1905 წლის ნოემბრის დამლევს გლეხთა გამოსვლები შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. კინტრიშის უბანში აჯანყება 29 ნოემბერს დაიწყო და პირველ დეკემბრამდე გაგრძელდა. აჯანყებულებმა მთავრობის შეიარაღებული რაზმები განაიარაღეს და ხელისუფლებას დაეუფლნენ, ბათუმსაც მიაშველეს თავიანთი რაზმები, მაგრამ აქ შეიარაღებული აჯანყება დამარცხებული იყო და ქობუ-

---

[443] Революция 1905-1907 гг. в Грузии. Сборник документов. Тб., 1956, с. 480.

ლეთის რაზმებს ბრძოლებში მონაწილეობა აღარ მიუღიათ. ბათუმის შეიარაღებული გამოსვლების დამარცხების შემდეგ ქობულეთშიც ჩაახშეს აჯანყება და აღადგინეს მთავრობის ორგანოები. აჯანყების მონაწილეებს კი სასტიკად გაუსწორდნენ.

ხელისუფლება ისევ შეეცადა მოსახლეობისაგან გადასახადების ამოღებას, ამ მიზნით 1905 წლის ნოემბერში ქობულეთში, ჩაქვსა და ორთაბათუმში გლეხთა შეკრებები გამართეს, მაგრამ იგი უშედეგოდ დამთავრდა. მაშინ ფონ-პარკაუმ თავისთან დაიბარა კინტრიშის საპოლიციო უბნის გავლენიან სასულიერო პირები და მათი მეშვეობით შეეცადა გადასახადების ამოღებას. ამ შესვედრასაც შედეგი არ მოჰყოლია. ამით შეწუხებული გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს სწერს: ჩემი მოთხოვნა გადასახადების ამოღებისა და იარაღის ჩაბარების შესახებ, სამწუხაროდ, დღემდე არ სრულდება, ხოლო მღელვარება იზრდება[444].

გადასახადების გადახდაზე აჭარელთა ურჩობა საყოველთაოდ ცნობილი გახდა. 1905 წლის 28 ნოემბერს ართვინის ოკრუგის უფროსი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა: ართვინში გავრცელდა ხმები, რომ აჭარლებს არ სურთ გადაიხადონ გადასახადები. ართვინის მოსახლეობა რელიგიითა და ნათესაობით დაკავშირებულია აჭარლებთან და ამ ხმებს დიდი გავლენა აქვსო. ართვინის ოკრუგის უფროსი გუბერნატორისაგან თხოულობდა ინფორმაციას ბათუმის ოკრუგში გადასახადების ამოღების თაობაზე. ამის პასუხად 10 დეკემბერს ბათუმის ოკრუგის უფროსი სწერდა: კინტრიშის უბანში

---

[444] იქვე, გვ. 481.

მოსახლეობას გადასახადები არ გადაუხდიათ. გონიოს საპოლიციო უბნის გლეხები ეუარს აცხადებენ, სანამ კინტრიშის უბნის მოსახლეობა არ გადაიხდისო. ქვემო და ზემო აჭარის გლეხობას გადასახადების ჩაბარება არ სურთო.[445]

ხელისუფლება ერთხელ კიდევ შეეცადა ერთგული აღაბეგებისა და სასულიერო წოდების დახმარებით გადასახადები ამოეღო. ისინი გლეხებს აშინებდნენ, რომ გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში მთავრობა კიდევ უფრო მკაცრ რეპრესიებს გაატარებდა, რასაც მძიმე შედეგები მოყვებოდა.

1905 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში მთავრობის მიერ მოსყიდული პირები გლეხებს ჩასჩიჩინებდნენ, გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში თქვენ სამშობლოს მოღალატეებად ჩაგთვლიანო. ასეთი პროპაგანდის საწინააღმდეგოდ რსდმპ ბათუმის კომიტეტმა 1905 წლის 21 დეკემბერს სპეციალური პროკლამაცია გამოუშვა. მასში ნათქვამია: ამხანაგო ჩაქველებო! სანამ გადასახადებს გადიხდიდეთ, მანამ ეფიქრდით, თუ რა ხდება რუსეთში!... მთელ რუსეთში ხალხი მთავრობის წინააღმდეგ იბრძვის, მას ყველამ ბოიკოტი გამოუცხადა. გლეხები ყველგან უარს ამბობენ გადასახადების გადახდაზე და სამხედრო ვალდებულების შესრულებაზე. შეხედეთ, თუ როგორ მოქმედებენ ჩვენი გურულები... თქვენ ხალხის მოღალატენი მაშინ იქნებით, თუ გადასახადებს გადაიხდით და ამით მთავრობას გააძლიერებთ. პროკლამაცია ჩაქველებს მოუწოდებდა: გაეძევებინათ ბოროტმოქმედნი, ვინც მოსახლეობას აგიტაციას უწევდა მთავრობის სასარგებ-

---

[445] აცსა, ფ. 0-1, ან. 1, ს. 207, ფურც. 5-7

ლოდ გადასახადების გადახდის შესახებ. დამორჩილებოდნენ ხალხის დადგენილებას და მთავრობისათვის არცერთი კაპიკი არ გადაეხადათ. პროკლამაცია მთავრდებოდა მოწოდებით: „ძირს გადასახადები, ძირს ხალხის მტრები, გაუმარჯოს ღარიბ ხალხს".[446]

გლეხთა ურჩობა გადასახადების გადახდაზე შეიმჩნეოდა რევოლუციის უკანდახევისა და დამარცხების პირობებში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ მასწავლებლები, სასოფლო ოკრუგების მდივან-მწერლები და მოწინავე გლეხები. გადასდახადების გადახდის საწინააღმდეგო პროპაგანდასათვის 1906 წლის თებერვალში სამი თვით პატიმრობაში ჰყავანეს ქვემო აჭარის სოფელ კიბეს მცხოვრებლები ყედემ და თემელ ემინ-აღა-ოღლები. მაჭახლის ხეობასა და გონიოს მხარის სოფლებში ასეთი პროპაგანდისათვის სამუშაოდან მოხსნეს და აჭარიდან გააძევეს მასწავლებელი ლაზარე დარსაველიძე და სარფის სასოფლო ოკრუგის მდივან-მწერალი მიხეილ ჯინჭარაძე.[447]

1906 წლის დასაწყისში ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა იმოგზაურა ბათუმისა და ართვინის ოკრუგების სოფლებში. მასთან შეხვედრისას გლეხებმა უმაყოფილება გამოთქვეს და კატეგორიულად მოითხოვეს მუჰაჯირების მიწების, ბაღ-ბოსტნების, შენობა-ნაგებობების სოფლის საზოგადოებისათვის გადაცემა. გუბერნატორმა მწარე სინამდვილე ვეღარ დამალა. 1906 წლის 17 თებერვალს იგი წოდებრივ-საადგილმამულო საკითხის მოწესრიგების კომისიის თავმჯდომარეს სწერდა: მუჰაჯირების

---

[446] ო. თურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 140-141.

[447] აცსა, ფ. ი-1, ან. 1, ს. 222, ფურც. 2.

მიწებით და სხვა უძრავი ქონებით ღარიბი მოსახლეობა ვერ სარგებლობსო. ეს ქონება სოფლის გავლენიანი პირების, არამკვიდრი მოსახლეობის ხელში ექცევა და მათ სპეკულაციის მიზნით იყენებენო. გუბერნატორი მოითხოვდა მუჰაჯირების მიწების, სხვა უძრავი ქონების მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სისტემიდან ისევ სოფლის საზოგადოებების გამგებლობაში გადაცემას. მაგრამ ეს მოთხოვნა ამჯერად ‹თავრობამ არ დააკმაყოფილა[448].

რევოლუციის გავლენით აგრარულ მოძრაობაში აღაბეგებიც გააქტიურდნენ. ხანგრძლივი უშედეგო დავით უკმაყოფილო მათი დეპუტაცია 1906 წლის მარტში ვორონცოვ-დაშკოვს ეწვია და სამახსოვრო ბარათი გადასცა. მას ხელს აწერდა 35 კაცი, მათ შორის: ჯემალ და ზექერია ხიმშიაშვილები, მემედ და ზია აბაშიძეები, თუფან შერვაშიძე, ოსმან ჩავლეიშვილი, დევრიშ ბეჟანიძე და სხვები. ისინი მოითხოვდნენ: ბათუმის ოლქის მკვიდრი მოსახლეობის მიწათმოწყობის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტის დაჩქარებას; სოფლის მოსახლეების მიწების გამიჯვნას; თითეული კომლისთვის იმ მიწების დამტკიცებას, რომლებიც თურქთა ბატონობისას ეკუთვნოდათ და ახლაც ფლობენ; საკუთრების უფლება წიაღისეულზეც გავრცელებულიყო; მთავრობის მიერ წართმეული ‹ბიწის საკუთრების საბუთების დაბრუნებას; თუ ვინმეს მიწის საბუთები არ აღმოაჩნდებოდა, მაშინ ასეთი უნდა შექმნილიყო 12 მოწმის ჩვენების საფუძველზე, როგორც ეს სოხუმის ოკრუგშია; მოსახლეობას საკუთარი მიწების გასხვისების, მათ შორის

---

448 სცსსა: ფ. 231, ან. 1, ს. 350, ფურც. 53-54.

ყიდვა-გაყიდვის, დაგირავების, გაჩუქებისა და სახაზინო ტყეების უფასოდ სარგებლობის უფლება მიცემოდა; მუჰაჯირთა მიწები სოფლის საზოგადოებებს გადასცემოდა, ხოლო ვაყუფები წინანდებურადვე მეჩეთების მფლობელობაში დარჩენილიყო. რევოლუციის გავლენით სამახსოვრო ბარათში ისეთი მოთხოვნებიც იყო, როგორიცაა სკოლების, საავადმყოფოების გახსნა, მოსწავლეთათვის სტიპენდიების დანიშვნა, სათათბიროს შემოღება და სხვა[449]. მთავრობამ აღნიშნული მოთხოვნები ამჯერადაც არ დააკმაყოფილა.

ხელისუფლება გლეხებს უკრძალავდა გამოუყენებელ, კერძოდ, ჭაობიანი ადგილების სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებას. 1906 წლის 25 იანვარს გორიოს, თხილნარის, ახალსოფლის, მაკრიალის და სხვა სოფლების გლეხებმა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს თხოვნა-საჩივარი მიართვეს. ისინი აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ აუკრძალეს ჭაობიან ადგილებში ბრინჯის დათესვა, თითქოს იგი მალარიას იწვევდეს. გლეხები ამ აკრძალვის გაუქმებას, ანდა ხაზინის სახსრებით ჭაობიანი ადგილების ამოშრობას მოითხოვდნენ[450].

1906 წლის გაზაფხულზე კინტრიშის საპოლიციო უბნის გლეხებმა თავიანთ განცხადებაში პროტესტი გამოთქვეს ადგილ-მამულების გაყიდვის აკრძალვის გამო. ამ დადგენილების გაუქმების ერთსულოვნად მოითხოვდნენ[451]. ამ თხოვნასაც შედეგი არ მოჰყოლია, რადგან მთავრობა ფისკალურ ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებდა.

---

[449] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 1163, ფურც. 7-8.
[450] იქვე. ფ. 231, ან. 1, ს. 350, ფურც. 53-54.
[451] იქვე. ფურც. 46.

გლეხობამ არაერთი საჩივარი აღძრა საუფლისწულო უწყების მისამართით. 1906 წლის 6 დეკემბერს კინტრიშის უბნის სოფელ დიდიჯამეს გლეხებმა თხოვნა-საჩივარი გადასცეს ვორონცოვ-დაშკოვს. ისინი უჩიოდნენ ჩაქვის საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციას, რომელმაც ამ სოფლის მოსახლეობას ტყეები და მდელოები ძალით წაართვა და დაისაკუთრა. მათ შორის დასახელებულია ადგილები „ბოგნარა" და „სამტრედია". გლეხები მოითხოვდნენ საკითხის შესწავლას და სამართლიანობის აღდგენას. თუმცა საუფლისწულო უწყება თავის 1907 წლის 6 მაისის განცხადებაში იშველიებდა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს 1898 წლის 5 მაისის აქტს.ამ აქტით ჩაქვის ხეობის მიწები დაუკანონდა საუფლისწულო უწყებას. ამ მოტივით გლეხობის კანონიერი მოთხოვნებვის დაკმაყოფილებაზე უარს აცხადებდა.[452]

ასეთივე შინაარსის საჩივარი აღძრეს ყოროლისწყლის ხეობის სოფელ აგარის მცხოვრებლებმა. 1906 წლის 7 დეკემბერს ვორონცოვ-დაშკოვისადმი გაგზავნილ განცხადებაში ისინი ჩივიან იმის გამო, რომ საუფლისწულო უწყებამ წაართვა მიწის ნაკვეთი „ჯაფალეტი". ამ ადგილ-მამულს მოსახლეობა საძოვრებად, საბალახოებად, შეშისა და სამასალე ხე-ტყის მოსაჭრელად იყენებდა. კოლექტიურ განცხადებაში გლეხები აღნიშნავდნენ, რომ მათ ზემოდასახელებულ ადგილ-მამულში გზებიც კი გაიყვანეს, რისთვისაც ათი ათასი რუბლი დახარჯეს. ამ საკითხზე დავა-საჩივარი წლობით გაგრძელდა. მიმოწერა მიმდინარეობდა საუფლის-

---

[452] ასმხფ, ს. 172, ფურც. 60-62.

წულო უწყების მოხელეებსა და ბათუმის ოლქის გუბერნატორს შორის, მაგრამ ამაოდ[453].

დაბეჭავებულ გლეხობას ეგონა, რომ თხოვნა-საჩივრებით შეძლებდა თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება საადგილმამულო საკითხის გადაწყვეტისას მხოლოდ ფისკალური ინტერესებიდან ამოდიოდა. ამიტომ გლეხობა იძულებული იყო, მომენტის შესაბამისად, ძალა გამოეყენებინა. ამას ხელისუფლებაც კარგად ამჩნევდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი 1907 წლის 31 იანვარს კავკასიის მეფისნაცვალს სწერდა: როდესაც გლეხები დაკმაყოფილებული არ არიან ნადელებით, მაშინ ძალით იტაცებენ სახაზინო და მემამულეების მიწებს. ასე მოხდა 1905 წელს და ახლაც მათ მფლობელობაშია მიტაცებული მიწები[454].

რევოლუციის წლებში, როგორც ადრე, აღინიშნა მოსახლეობის აყრა-გაქცევა. იგი ისევ საადგილმამულო საკითხთან იყო დაკავშირებული. ამას ხელისუფლება ოფიციალურად აღიარებდა. 1906 წლის 26 დეკემბერს ართვინის ოკრუგის უფროსი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა, რომ მოსახლეობის აყრა-გაქცევა საადგილმამულო საკითხის მოუწესრიგებლობით არის გამოწვეულიო. სწორედ ამ მიზეზით 1906 წლის მეორე ნახევარში ართვინის ოკრუგიდან აიყარა და ოსმალეთში გადაიხვეწა 420 სული. გადასახლების სამზადისში ყოფილა 1200 კაცი[455].

---

[453] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 1235, ფურც. 7-8.
[454] იქვე. ფ. 231, ან. 1, ს. 425, ფურც. 14.
[455] ასმხფ. ფ. 2 (ბრმ) ს. 166, ფურც. 14-15.

ამრიგად, 1905-1907 წლები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აგრარულ მოძრაობაში თვისებრივად ახალი ეტაპი იყო. მართალია, ამ მოძრაობის გამომწვევი მიზეზები იგივე რჩებოდა, მაგრამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნისა და გააქტიურების შედეგად მან ორგანიზებული ხასიათი შეიძინა. რევოლუციის გავლენით მოსახლეობა უშიშრად გამოდიოდა მიწისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

3. აგრარული მოძრაობა 1907-1917 წლებში

რევოლუციის დამარცხების შემდეგ იწყება აგრარული მოძრაობის მესამე ეტაპი. იგი გაგრძელდა 1918 წლამდე. ამ ეტაპზე შეიარაღებული ბრძოლები აღარ გვხვდება. ბრძოლის ძირითადი ფორმა იყო თხოვნა-საჩივრები, რასაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა და წოდება მიმართავდა. ადგილი ჰქონდა ბრძოლის ისეთ ფორმებს, როგორიც არის აყრა-გაქცევა და ურჩობა. ისევ დიდძალი საჩივრები შედიოდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში, თბილისის სასამართლო პალატაში, ქუთაისის საოკრუგო, ბათუმის მომრიგებელ და ზეპირსიტყვიერ სასამართლოებში. მაგრამ რუსეთის სახელმწიფო და სასამართლო ორგანოები ამჯერადაც ხაზინის ინტერესებს იცავდნენ და მოსახლეობა სამართალს ვერ პოულობდა.

1907 წლის 15 მაისს ართვინის ოკრუგის სოფელ ბიჯის გლეხებმა კავკასიის მეფისნაცვალს განცხადება გადასცეს. ისინი უჩიოდნენ ქუთაისის საოკრუგო სასამართლოს ბათუმის განყოფილებას, რომელმაც არასწორი განაჩენი გამოიტანა გლეხთა საჩივრის გამო. სოფელ ბიჯის გლეხებს ადგილობრივი მემამულისაგან იჯარით აღებული ჰქონდათ მიწის ნაკვეთი, რისთვისაც მნიშვნელოვანი თანხა გადაუხდიათ. მემამულემ თვითნებურად დაარღვია საიჯარო პირობა გლეხებს მიწაც წაართვა და ფულის დაბრუნებაზეც უარი უთხრა. ართვინის საუბნო სასამართლომ საქმე გლეხთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, მაგრამ ბათუმის საოკრუგო სასამართლომ პირველის განაჩენი გააუქმა. გლეხები სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდნენ[456].

1907 წლის 19 მაისს ართვინის ოკრუგის სოფელ ძანსულის გლეხებმა თხოვნა-საჩივარი გადასცეს კავკასიის მეფისნაცვალს. განცხადებას ხელს აწერდა 42 კაცი. ისინი ჩიოდნენ კავკასიის სამთამადნო ამხანაგობის მიერ მიწების წართმევის გამო. კატეგორიულად მოითხოვდნენ წიაღისეულის მოპოვება-დამუშავების შეწყვეტას და ადგილმამულების მათსავე საკუთრებაში დაბრუნებას[457].

ადგილ-მამულებზე დაეის მრავალ ფაქტს შორის საყურადღებოა ხაზინისა და ხუცუბნელი მიწისმფლობელების ნაკაიძეების საქმე. აღნიშნული საქმე თითქმის ოცი წლის მანძილზე იხილებოდა. როგორც უკვე ითქვა, ხასან და ოსმან ნაკაიძეებმა მიწების ნაწილი 1895 წელს მიყიდეს მ. მუავანაძესა და ნ. ჯიჯავაძეს. მიწათმოქმედებისა და

---

[456] სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 1235, ფურც. 7-8.
[457] იქვე, ფ. 231, ან. 1, ს. 428, ფურც. 3.

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ქუთაისის საიმართველო ზემოაღნიშნულ ადგილ-მამულს ხაზინის საკუთრებად თვლიდა და ამის გამო სასამართლო ორგანოებში სარჩელი აღძრა. ქუთაისის საოკრუგო სასამართლო ხაზინისა და ნაკაიძეების სადავო საქმე 1900-1912 წლებში შეიდჯერ გაინიხილა. 1906 წლის განაჩენით ნაკაიძეების მიერ მიწების დასაკუთრება უკანონოდ ჩათვალა, მაგრამ მათ მიერ გაყიდული მიწები მყიდველებს არ ჩამოერთვა, ე.ი. საკუთრებაში დაუტოვეს.

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველო თავისას არ იშლიდა. დაჟინებით მოითხოვდა სასამართლოს განაჩენის გაუქმებას. ქუთაისის საოკრუგო სასამართლომ საქმე 1910 წელსაც განიხილა, მაგრამ ხაზინისთვის სასარგებლო განაჩენი არ გამოუტანია. ბოლოს, 1912 წლის 17 თებერვალს თბილისის სასამართლო პალატამ იმსჯელა სახელმწიფო ხაზინას, ნაკაიძეებს, მუავანაძეს და ჯიჯავაძეს შორის არსებული საადგილმამულო დავის შესახებ. გაუქმდა მანმადე გამოტანილი ყველა განაჩენი და ნაკაიძეებისაგან ნაყიდი მიწები მუავანაძესა და ჯიჯავაძეს ჩამოართვა და სახელმწიფო ხაზინას გადასცა. ამასთან, ნაკაიძეებს, მუავანაძეებსა და ჯიჯავაძეებს დააკისრეს სასამართლო ხარჯები. განაჩენის სისრულეში მოსაყვანად შესაბამისი აღმასრულებელი ფურცელიც გაიცა[458].

1910 წელს ბათუმის მომრიგებელმა სასამართლომ განიხილა ნ. ბერიშვილის, ი. ავალიშვილის, ხ. მიქელაძის თხოვნა-საჩივარი მიწის თაობაზე. საქმე ეხებოდა 9 დესე-

---

[458] აცსა, ფ.ი-24, ან. 1, ს. 4, ფურც. 32-119

ტინა მიწას, რომელიც სოფელ ურეხში მდებარეობდა. აღნიშნული ოდენობის მიწა, სულ სამი ნაკვეთი (ყოფილი აბაშიძეებისა) ი. იოსელიანისაგან შეუძენია სენაკის მაზრის მაცხოვრებელ ი. ალანიას. ამ უკანასკნელმა აღნიშნული ადგილ-მამული 1908 წელს ხ. მიქელაძეს უანდერძა, რაც ნოტარიალური აქტით გაფორმდა.

აღნიშნული მიწის ნაკვეთები ნ. ბერიშვილმა და ი. ავალიშვილმა თვითნებურად დაიკავეს. სხვათა შორის, ამ მიწებზე იოსელიანს სახელმწიფო ხაზინა ედავებოდა. ამიტომ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს ნ. ბერიშვილისა და ი. ავალიშვილისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, რამდენადაც მიწა იჯარის წესით ეკავათ. ბათუმის მომრიგებელმა სასამართლომ 1910 წლის 29 აპრილს განაჩენით აღნიშნული ადგილ-მამული ხ. მიქელაძეს მიაკუთვნა[459].

იშვიათი არ იყო ფაქტები, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის, კერძოდ, მუჰაჯირების ადგილ-მამულს თვითნებურად იკავებდნენ. ზოგჯერ კი მიწის ნასყიდობის თანხას მის პატრონს არ აძლევდნენ. ამიტომ მიწის გამყიდველს სასამართლოში დავა-საჩივარი ხშირად უხვდებოდა. 1909 წელს რუსეთის არმის ვიცე პოლკოვნიკმა ს. სოგოროვმა სოფელ ბარცხანაში 7 დესეტინა მიწა იყიდა, რაშიც მიწისმფლობელ მუსტაფა მარგალოღლისათვის 350 რუბლი უნდა გადაეხადა. ნასყიდობის საბუთის გაფორმება გაჭიანურდა, ვიცე-პოლკოვნიკმა ს. სოგოროვმა მეპატრონეს არც ფული მიცა და არც მიწა დაუბრუნა. ამის გამო

---

[459] აცსა, ფ. ი-19, ან. 1, ს. 1389, ფურც. 5-40.

მუსტაფა მარგალოღლიმ ბათუმის მომრიგებელ სასამართლოში თხოვნა-საჩივარი შეიტანა. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მ. მარგალოღლის თხოვნა-საჩივარი. მიწის ნასყიდობის საბუთი დაამტკიცა, ს. სოგორიოვს აღნიშნული თანხის გადახდა დააკისრა[460].

1902 წელს ვინმე ს. ანტონოვა ბათუმის შემოგარენში მ. შაშიკოღლის მიწის ნაკვეთს თვითნებურად დაეპატრონა. მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი გამოაძევა და მიწის ნაკვეთიც დაიკავა. ს.ანტონოვა შეეცადა მიწა სასამართლოს მეშვეობით დაებრუნებინა: ბათუმის მომრიგებელმა სასამართლომ საკითხი ს. ანტონოვას სასარგებლოდ გადაწყვიტა. მაგრამ მ. შაშიკოღლიმ 1912 წელს თხოვნა-საჩივარი ქუთაისის საოკრუგო სასამართლოში გადაიტანა. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა ბათუმის მომრიგებელი სასამართლოს განაჩენი გაეუქმებია და მ. შაშიკოღლის უფლებები მიწაზე აღედგინა[461].

დიდხანს გაგრძელდა საადგილმამულო დავა-საჩივარი ხუსეინ ჩაუშოღლის, სევასტი ჭელიძესა და სახელმწიფო უწყებებს შორის. ხუსეინ ჩაუშოღლის წინაპრები ყირიმის ომის დროს სოხუმიდან ბათუმში გადმოსახლებულან და ბარცხანაში დასახლებულან. 1888 წელს რუსეთის სახელმწიფომ ადგილ-მამული სახაზინო საკუთრებაში გადარიცხა და ივჯარით გაცემა დაიწყო. 14 დესეტინა და 511 კვადრატული საჟენი მიწა ივჯარით აიღო ს. ჭელიძემ, რისთვისაც წლიურად 150 რუბლსა და 50 კაპიკს იხდიდა.

---

[460] აცსა, ფ. ი–19, ს. 1386, ფურც. 1–4

[461] აცსა, ფ. ი-19, ს. 1584, ფურც. 10–16.

ადგილ-მამულის მეორე ნაწილს სამხედრო უწყება დაეპატრონა.

მიწისმფლობელი ხუსეინ ნაუშოღლი ედავებოდა როგორც მოიჯარეს ს. ჭელიძეს, ისე სამხედრო უწყებას, მოითხოვდა მიწის დაბრუნებას, ანდა შესაბამისი საფასურის გადახდას. საკითხი სიტყვიერმა სასამართლომ 1910 და 1916 წლებში განიხილა, მაგრამ უშედეგოდ. გაუთავებელი დავა-საჩივრის გამო სპეციალური კომისიაც კი შეიქმნა. ამ კომისიამ სამხედრო უწყების მიერ დაკავებული მიწის ღირებულება 1916 წელს 13217 რუბლად შეაფასა. მაგრამ აღნიშნული თანხა 1919 წელსაც გადახდილი არ იყო.[462] თხოვნა-საჩივარი ისევ გაგრძელდა.

რუსეთის მთავრობის სამხედრო უწყებას სხვა მიწისმფლობელებიც ედავებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი ხასან ბაკურიძე ყოფილა, რომელსაც სამხედრო უწყებამ ბათუმის შემოგარენში ნაყოფიერი მიწები წაართვა. ხასან ბაკურიძემ მთავრობის ორგანოებში არაერთი თხოვნა-საჩივარი აღძრა. იგი მიწის დაბრუნებას, ანდა შესაბამის თანხას მოითხოვდა. 1916 წელს საქმე ქუთაისის საოკრუგო სასამართლოს განუხილავს, მაგრამ საკითხი ხასან ბაკურიძის სასარგებლოდ არ გადაუწყვეტია[463]. ცხადია, დავა-საჩივარი ამ განაჩენით არ მოთავებულა. ასეთი მაგალითები მაშინდელ პირობებში მრავლად იყო.

ტყის, საძოვარ-საბალახოების სარგებლობის შესახებ დავა-საჩივარი ერთი მხრივ სახელმწიფო ხაზინას, საუფლისწულო უწყებას და მეორეს მხრივ, აჭარის ადგილობრივ

---

[462] აცსა. ფ. ი-24, ან. 1, ს. 28, ფურც. 4–12.
[463] აცსა. ფ. ი-24, ან. 1, ს. 28, ფურც. 17-20.

მოსახლეობას შორის 1907-1917 წლებშიც გაგრძელდა. ამ დავა-საჩივარს მთავრობის კომისია დიდხანს სწავლობდა. მისი მოწესრიგების პროექტიც შეიმუშავეს, რომელიც კავკასიის მეფისნაცვალმა 1917 წლის 5 მარტს დაამტკიცა. ამ დადგენილებას პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ვინაიდან რომანოვების ხელისუფლება დამხობილი იყო.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული დადგენილება რუსეთის ცარიზმის აგრარული პოლიტიკის დასახასიათებლად საყურადღებო წყაროა. ‘ხემოაღნიშნული დადგენილებით, აჭარის მკვიდრ მოსახლეობას აუკრძალეს ჩაქვის ხეობისა და მისი მიმდებარე სოფლების ტყეებით სარგებლობა, საგრძნობლად შეიზღუდა მდელოების გამოყენება. მოსახლეობას იმ შემთხვევაში შეეძლო საძოვარ-საბალახოებით სარგებლობა, როცა საამისო სპეციალური საშვები ექნებოდა, ისიც აპრილიდან ოქტომბრამდე[464]. ცხადია საშვის აღება არც ისე მარტივი იყო. მთავრობის ორგანოები საშვის გაცემას განგებ აჭიანურებდნენ.

რუსეთს მთავრობის მისამართით უკმაყოფილებას უცხოელი მოახალშენეებიც გამოთქვამდნენ. მათ საყვედურს იწვევდა საადგილმამულო საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტის გაჭიანურება. მრავალთაგან ამის მაგალითია კაპიტალისტი კ. პოპოვი. იგი 1917 წლის 31 იანვრს კავკასიის მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ წერილში უკმაყოფილებას აშკარად გამოხატავდა.[465] მთავრობის მისამართით უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სხვა მოახალშენეებიც.

---

[464] სცსსა. ფ. 13, ან. 7, ს. 2914, ფურც. 87–88.

[465] იქვე. ფ. 243, ან. 7, ს. 918, ფურც. 29

1907-1917 წლებში მოსახლეობის ურჩობა და აყრა-გაქცევა აგრარულ საკითხთან დაკავშირებით ფართოდ ყოფილა გავრცელებული. მოსახლეობა, ძირითადად გლეხობა საადგილ-მამულო გადასახადს სანახევროდაც ვერ იხდიდა. მაგალითად, 1910 წელს გადასახადების ნარჩენები 17425 რუბლს, ე.ი. საერთო საგანაკვეთო თანხის 47,4%-ს შეადგენდა[466]. ბათუმის ოლქის მოსახლეობა მასობრივად გამოთქვამდა პროტესტს საადგილმამულო გადასახადების განაკვეთების დადგენასთან დაკავშირებით. მაგალითად, 1909-1911 წლების საგადასახადო განაკვეთების დადგენის თაობაზე პროტესტი გამოთქვეს კინტრიშის, გონიოს, ქვემო და ზემო აჭარის მოსახლეობამ. 1909 წლის აგვისტოში ხუცუბნის, ბობოყვათისა და მახინჯაურის სასოფლო საზოგადოებათა მამასახლისებმა, მოსახლეობის სახელით განცხადებით მიმართეს ბათუმის ოკრუგის საგადასახადო ინსპექტორს. მასში ნათქვამია: გადასახადების 'მეტეობინების ფურცლებში არასწორადაა ნაჩვენები დაბეგრილი მიწები, მათი საერთო შემოსავლები, საღალო გამოსაღები და საერობო მოსაკრებელი. მოითხოვდნენ გადასახადების შემცირებას. ანალოგიური პროტესტი გამოოქვეს გორგაძეებვის, დიდიჯამეს, ჩაქვისთავის, გონიოს და სხვა სოფლების მოსახლეობამ. ისინი ჩიოდნენ იმის გამო, რომ გადასახადები გაცილებით მეტია შეწერილი. ამდენი მიწა და შემოსავალი არ გაგვაჩნიაო. კატეგორიულად მოითხოვდნენ დაბეგრილი მიწების, მათი საერთო შემოსავლებისა და გადასახადების სწორად დადგენას[467].

---

[466] Обзор Батумской области за 1910 год. Бат., 1912 с. 132-133.
[467] აცსა, ფ. ი–81, ან. I, ს. 105, ფურც. 17-21, 32-37.

ზემო აჭარაში ცოცხალი არ დარჩენილა ისეთი სოფელი, რომელთა მაცხოვრებლების კოლექტიური პროტესტი არ გამოეთქვათ გადასახადების თაობაზე. ისინი მოითხოვდნენ გადასახადების გაუქმებას, ნაწილობრივ შემცირებას მაინც. სოფელ კარაპეტის მოსახლეობის კოლექტიურ განცხადებაში ნათქვამია: 1906-1909 წლები მოუსავლიანი იყო. ნეენ მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით. არ შეგვიძლია გადასახადების გადახდა. გლეხები დაბეჯითებით მოითხოვენ გადასახადებისაგან განთავი-სუფლებას. ანალოგიური თხოვნა-საჩივრები შეიტანეს მთავრობის ორგანოებში პაპოშვილების, მაწყვალთის, კვატიის და სხვა სოფლების მაცხოვრებლებმა[468]. 1916 წლის 18 ოქტომბერს ართვინის ოკრუგის სოფელ ბორჩხის მოსახლეობამ თხოვნით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს გადასახადების ნარჩენების ჩამოწერის შესახებ. საკითხის შესწავლის მიზნით განცხადება გადაეგზავნა ამავე უწყების საფინანსო განყოფილებას. ამ თემაზე მიმოწერა მიმდინარეობდა ქუთაისის გუბერნიის სახაზინო პალატასთან.[469] მაგრამ, როგორც ჩანს, გლეხთა თხოვნა არ დააკმაყოფილეს.

1907-1917 წლებში ბათუმის ოლქის მოსახლეობის ნაწილი ოსმალეთში გადაიხვეწა. როგორც უკვე ითქვა, ამის ძირითადი მიზეზი იყო ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკა. მოსახლეობა იმდენად შევიწროებული იყო რუსეთის ხელისუფლების მოხელეებისაგან, რომ სამშობლოში ცხოვრება შეუძლებლად ჩათვალეს. მიგრაციმ შედარებით ფართო მასშტაბი შეიძინა ართვინის ოკრუგში.

---

[468] იქვე. ფურც. 42—45.
[469] აცსა. ფ. ი—81. ან. 1. 150. ფურც. 2—5.

მოსახლეობის აყრა-გაქცევის თაობაზე ართვინის ოკრუგის უფროსი 1913 წლის 13 დეკემბრს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა: ართვინის ოკრუგიდან მოსახლეობა მთლიანი ოჯახის შემადგე-ნლობით თურქეთში მიდის. პასპორტს იღებენ იმ მოტივით, თითქოს იქ ნათესავები უნდა მოინახულონ. უმრავლესობა უკან აღარ ბრუნდება. პასპორტის აღებით თავიანთ მუჰაჯირობას ფარავენ. ამავე დროს აქ მიტოვებული მიწების პატრონებად რჩებიან. სახელმწიფოებრივი ინტერესედბიდან გამომომდინარე, ისინი არ უნდა დავაკავოთ. მთავარია მათი მიწების ხელში ნაგდება და სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა.[470] როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

პირველი მსოფლიო ომის წლებში მოსახლეობის აყრა-გაქცევამ დიდი მასშტაბი შეიძინა. ამ პროცესს ყველა საშუალებით ამზადებდნენ რუსეთის სახელმწიფოს მოხელეები. ამას ისახავდა მიზნად რუსეთის მთავრობის მოხელეების მიერ შეთითხნილი ბრალდებაც აჭარელთა ღალატის შესახებ. გ. გამსარაშვილის ცნობით, რომელიც კარგად იყო ჩახედული ამ მოვლენებში, 1916 წელს ბათუმის ოლქიდან თურქეთში გადასახლდა 50 ათასი კაცი.[471]

მასობრივი აყრა-გაქცევის შედეგად 1912-1917 წლებში ართვინის ოკრუგი მოსახლეობისაგან თითქმის განახევრდა. თუ 1911 წელს აქ ცხოვრობდა 63379 კაცი, 1917 წლის ბოლოს მათი რიცხვი 30179 სულამდე. 2,1-ჯერ შემცირდა[472]. მოსახლეობის აყრა-გაქცევას ადგილი ჰქონდა ოლთისისა

---

[470] ასმხფ. ს. 594, ფურც. 87.
[471] Русские субботники, 1916, №7_8, с. 19.
[472] Кк на 1912 год. Тиф. 1911 с. 233; ასმხფ. ს. 216, ფურც. 29–31.

და არტაანის ოკრუგებშიც. პირველი მსოფლიო ომის წლებში ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობა ორი ოკუპანტის ცეცხლში იწვოდა. აგრარულმა მოძრაობამ პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი შინაარსი შეიძინა. 1914 წლის ნოემბერში თურქებმა ზემო და ქვემო აჭარა, ლაზეთის სოფლები და მთლიანად ართვინის ოკრუგი დაიკავეს. ყველაფერს იტაცებდნენ, რისი ძარცვაგლეჯა შესძლებელი იყო, მოსახლეობისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ სულთნის ქვეშევდომობის აღიარებას და რუსების წინააღმდეგ გამოსვლას. დროებით ოკუპირებულ სოფლებში ახალი გადასახადები შემოიღეს.

თურქი ემისრები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში ეწეოდნენ ანტირუსულ პროპაგანდას. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი პიროვნება პროვოკაციის ანკეტს წამოეგო, მაგრამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თურქეთის მხარეს არ გადასულა. ამას რუსეთის სპეცსამსახურის მოხელეებიც კარგად ხედავდნენ. მაგალითად, 1915 წლის 4 იანვარს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ბათუმის ოლქის სანხედრო გუბერნატორს მოახსენებდა: ზემო აჭარის მოსახლეობის ორიმესამედი რუსეთის ერთგულია[473]. 1915 წელს შავშეთ-იმერხევის ოქრობაქეთის, სათლელის, მამაწმინდის და სხვა სოფლების მოსახლეობა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს აცნობებდნენ: ორთვენახევარია, რაც ჩვენი სოფლები დაპყრობილი აქვთ თურქებს. ისინი გვძარცვავენ, მამაკაცებს კლავენ. მოსახლეობა აჯანყდა თურქეთის წინააღმდეგ. თურქები გაუსაძ-

---

[473] აცსა, ფ. ი-1, ან. 1, ს. 708, ფურც. 60.

რის სისასტიკეს იჩენენ. სოფელი სათლელი სასაფლაოდ აქციეს, ოქრობაქეთის მოსახლეობა მთებში გაიხიზნა[474]. რაოდენ საკარელია, რომ ასეთ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ ადგილობრივ მოსახლეობას ღალატში დადოს ბრალი. ცხადია, რუსეთის მთავრობამ ეს გააკეთა ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიური მიწა-წყლიდან აყრა-გასახლების გამო, რათა ადგილ-მამულებს თვითონ დაპატრონებოდა.

აგრარული მოძრაობის ისეთ ფორმას, როგორიცაა გაფიცვა 1907-1917 წლებში პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. აღსანიშნავია ჩაქვის საუფლისწულო მამულის, კაპიტალისტების პოპოვის, სინიცინის, ლიტვინოვის და სხვა მეურნეობების მუშათა გამოსვლები. 1913 წელს გაიფიცნენ სინიცინის მეურნეობის მუშები, რომლის ინიციატორები იყვნენ ასმედ მხეიძე, მელიტონ ფილია და ივანე სალუქვაძე. გაფიცულები მოითხოვდნენ სამუშაო დროის შემცირებას და შრომის ანაზღაურების გაზრდას. სინიცინმა მუშათა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამით განრისხებულმა გაფიცულებმა ქვები დაუშინეს მეურნეობის ადმინისტრაციულ და სხვა შენობებს. ამის შესახებ მოგვიანებით დაწერილ მოგონებაში ასმედ მხეიძე გადმოგვცემს: „მაშინ ახალგაზრდა მუშებმა სხვა ვერაფერი ვიღონეთ და ქვები დავუშინეთ მემამულის კარმიდამოს, რისთვისაც მემამულემ ამ საქმის ორგანიზაციაში ეჭვი ჩემზე მიიტანა და გამაგდო ფაბრიკიკიდან[475].

---

[474] იქვე. ფურც. 8.
[475] ა. მხეიძე. ასე ვიბრძოდით, საბჭოთა აჭარა, 8 მაისი, 1967.

მაშინ სამუშაოს შოვნა მარტივი როდი იყო, ისიც დათხოვნილი ადამიანისათვის. ა. მხეიძე და მისი თანამრახველები ერთხანს უმუშევარი იყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ა. მხეიძემ მუშაობა დაიწყო დოპკონტის მამულში მებაღედ. ეს მამული იმავე სოფელში მდებარეობდა. დოპკონტის მამულს ესაზღვრებოდა ლიტვინოვის მეურნეობა, სადაც სეზონზე 150 კაცი მუშაობდა. როგორც საერთოდ ყველა კაპიტალისტურ მეურნეობაში, აქაც მუშებს უმძიმესი პირობებში უხდებოდათ მუშაობა. მუშები გაიფიცნენ და ლიტვინოვს რვასაათიანი სამუშაო დროის შემოღება მოსთხოვეს. ამბოხების მეთაურობა ა. მხეიძეს დააბრალეს და დააპატიმრეს. რამდენიმე დღის შემდეგ იგი თავადებით გაანთავისუფლეს.[476]

1914 წელს გაფიცვა გამოაცხადეს სოფლების მასინჯაურისა და მწვანე კონცხის მოახალშენეთა მამულების მუშებმა. მასში 100-მდე კაცი მონაწილეობდა. მუშებმა მოახალშენეთა გაერთიანების გამგეობის ხელმძღვანელი ვინმე იაკუბოვსკი აიძულეს დათანხმებულიყო მათი მოთხოვნის შესრულებაზე[477]. 1916 წელს პოპოვის მეურნეობის მუშებმა კაპიტალისტს ასევე შრომის ანაზღაურების გადიდება მოსთხოვეს. მუშათა ერთსულოვანი გამოსვლის გამო კ. პოპოვი იძულებული გახდა დაპირებოდა მუშებს ხელფასის მომატებას. ამავე დროს თითეული მუშას 10-დან 20 მანეთამდე ერთდროული დახმარება მისცა[478].

მართალია, რევოლუციის დამარცხების შემდეგ ჩაქვის საუფლისწულო მამულში მუშათა ორგანიზებული გამოსვ-

---

[476] იქვე.
[477] ბათუმის გაზეთი, 13 აპრილი, 1914.
[478] თანამედროვე აზრი, 7 აპრილი, 1916.

ლები შესუსტდა, მაგრამ მღელვარებას მაინც განუწყვეტელი ხასიათი ჰქონდა. ჩაქვის მამულის მუშათა გამოსვლები საგრძნობ ზეგავლენას ახდენდა კინტრიშის უბნის გლეხებზეც. ჩაქვის საუფლისწულო მამულში, როგორც უმსხვილეს სუბტროპიკულ მეურნეობაში, საგრძნობ მუშაობას ეწეოდა რსდმპ ბათუმის კომიტეტი, აქ მოქმედებდა პოლიტიკური წრე, რომელიც ზეპირ აგიტაციასთან ერთად პროკლამაციებს ავრცელებდა, რითაც მამულის მუშა-მოსამსახურეებს მოუწოდებდა აქტიური ბრძოლისაკენ. ცარიზმის საიდუმლო სპეცსამსახურის თანამშრომლებმა ჩაქვის მაცხოვრებელ ოსმან ემირიძის ბინაზე, სადაც მამულის მუშები ცხოვრობდნენ, 1907 წლის ნოემბერში რევოლუციური ხასიათის პროკლამაციები აღმოაჩინეს. ამის გამო ო. ემირიძე დააპატიმრეს. მაგრამ გლეხთა ერთსულოვანი მოთხოვნის გამო იგი მალე გაათავისუფლეს და მოსახლეობამ სოფლის მამასახლისადაც აირჩია[479].

1914 წლის ზაფხულში გაიფიცნენ ჩაქვის საუფლიწულო მამულის ჩაის პლანტაციაში მომუშავენი. ისინი მოითხოვდნენ შრომის ანაზღაურების გაზრდას. მამულის ადმინისტრაციამ მუშათა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მუშებმა სამუშაო მასობრივად მიატოვეს და თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ. მეურნეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და საუფლისწულო უწყება იძულებული გახდა მუშების დღიური ანაზღაურება 10 კაპიკით გაეზარდა[480].

1915 წლის ივლისში აღნიშნულ მამულში გაიფიცნენ დღიურად დაქირავებული 500-მდე ქალი. არაორგანიზებუ-

---

[479] ო. თურმანიძე, გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ბათ., 1979, გვ. 153.
[480] სცსსა, ფ. 351, ს. 183, ფურც. 150-152

ლობის გამო ადმინისტრაციამ ამ გამოსვლის ჩახშობა შეძლო. კიდევ მეტი, ყველაზე აქტიური 6 ქალი დააპატიმრეს და ბათუმის საპყრობილეში ჩასვეს. ისინი 16 დღის პატიმრობის შემდეგ გამოუშვეს[481].

გლეხობისა და სოფლის მუშათა გამოსვლები 1917 წელსაც აღინიშნა, რამდენადაც თებერვლის რევოლუციას საადგილმამულო ურთიერთობაში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. მართალია, ჩაქვის საუფლისწულო მამული სახელმწიფოს საკუთრება გახდა, ე.წ. მომრიგებელი კამერებიც დაარსდა, მაგრამ ამ ღონისძიებას მუშათა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესება არ მოუტანია.

1917 წლის აპრილსა და მაისში ჩაქვის სახელმწიფო მამულში მუშებმა ისევ მოაწყეს მძლავრი გამოსვლები. ამჯერად ისინი მოითხოვდნენ რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღებას. მაგრამ ადმინისტრაციამ ეს მოთხოვნა უარყო იმ მოტივით, თითქოს სოფლის მეურნეობაში მისი განხორციელება შეუძლებელი ყოფილიყოს. მუშათა თხოვნასაჩივარი ბათუმის მომრიგებელ კამერამაც განიხილა. მის დადგენილებაში აღინიშნა, რომ მუშებს რვა საათზე მეტი შრომის საზღაური მხოლოდ ნახევარი მისცემოდათ.[482] მაგრამ აღნიშნული დადგენილება მამულის ადმინისტრაციამ არ შეასრულა.

ივნისში ჩაქვის სახელმწიფო მამულის მუშებმა ადმინისტრაციას ფართო მასშტაბის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები წაუყენეს: ჯამაგირის 35%-დან 100%-მდე გაზრდა; სამედიცინო დახმარებისა და საბინაო პირობების

---

[481] თანამედროვე ცხოვრება, 27 აგვისტო, 1915; თანამედროვე აზრი, 30 იანვარი, 1916.
[482] აცსა, ფ. ი-22, ან. 1, ს. 437, ფურც. 40.

გაუმჯობესება; ავადმყოფობის შემთხვევაში დღიური მუშებისათვის ნახევარი დღის საზღაურის, ხოლო შტატიანი მუშებისათვის — სრული ხელფასის გაცემა; ავდრიან დღეებში მუშებისათვის მყუდრო ადგილებში სამუშაოს მიჩენა, საწინააღმდეგო შემთხვევაში უმუშევრად დარჩენილებისათვის ნახევარი დღის საზღაურის გაცემა; ჩაის პლანტაციებში ფარდულების აგება, სადაც წვიმიან ამინდში მუშები თავს შეაფარებდნენ, ყაზარმებსა და მუშათა სხვა სადგომების წყლის ასადუღებელი ქვაბებით, სკამებითა და მაგიდებით უზრუნველყოფა; შუშის ნორმების გადიდება; ნავთის გაცემა იმ მუშებისათვის, ვისაც ელექტროგანათება არ აქვთ; რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღება, შაბათობით — შვიდსაათიანის და სხვა.[483]

აღნიშნული მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანის შესრულების რეალური საშუალებები მაშინდელ პირობებში არ არსებობდა. ადმინისტრაციამ მუშების მოთხოვნები სამართლიანად სცნო, მაგრამ მათი პრაქტიკული განხორციელება მომავლისათვის გადადო. 1917 წლის ნოემბერში მუშებმა მამულის ადმინისტრაციისაგან მოითხოვეს ჯამაგირის ორჯერ და კიდევ მეტად გაზრდა[484]. ამიერკავკასიის მთავრობამ მუშათა მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მაგრამ მაშინდელი სიძვირის პირობებში მას არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

თებერვლის რევოლუციის გავლენით გლეხთა აგრარული მოძრაობაც გამოცოცხლდა. 1917 წლის გაზაფხულზე

---

[483] აცსა. ფ. ი- 22, ს. 437, ფურც. 11; გაზ. ერთობა, 1917, №172.
[484] აცსა, ფ. ი-22, ან. 1, ს. 437, ფურც. 21; ს. 446, ფურც. 2-3; ს. 459. ფურც. 39-42.

ქობულეთის რაიონის თორნეტი სოფლის გლეხებმა მოიხოვეს მემამულეებისა და სახაზინო მიწების დანაწილება და მათთვის გადაცემა[485]. პოლიციური რეჟიმის გაძლიერების მიუხედავად არაერთხელ გამოვლინდა გლეხთა ურჩობა გადასახადების გადახდისა და ბეგარა-ვალდებულებათა შესრულების თაობაზე. აქტიურობდნენ ჩაქვის ხეობის გლეხები, რომლებიც აშკარად უარს აცხადებდნენ გადასახადების გადახდაზე. 1917 წლის აპრილში ჩაქვში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა, რომელზედაც გამომსელელებმა დაგმეს რუსეთის დროებითი მთავრობის პოლიტიკა საადგილმამულო საკითხის შესახებ და მოუწოდეს მოსახლეობას დაუმორჩილებლობისაკენ. გლეხთა შეკრებები ბათუმის ოლქის სხვა სოფლებშიც გაიმართა. გადასახადების გაუქმებასა და შემსუბუქებასთან ერთად გლეხობა პოლიტიკურ მოთხოვნებსაც აყენებდა.

ამრიგად, აგრარული მოძრაობის მესამე ეტაპზე, რევოლუციურ ხასიათთან განსხვავებით, დომინირებდა ბრძოლის მარტივი ფორმები: თხოვნა-საჩივრები, ურჩობა, მშობლიური მიწა-წყლიდან აყრა-გაქცევა და სხვა ქვეყანაში თავშესაფრის ძიება. ამ ეტაპზე სოფლად კაპიტალისტურ საწარმოებში კვლავ გრძელდებოდა აგრარული მოძრაობის ისეთი ფორმა, როგორიცაა გაფიცვა. თავისებურება იმაში გამოვლინდა, რომ საგრძნობლად გაფართოვდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების სააგიტაციო-პროპაგანდისტული და ორგანიზაცი-ული საქმიანობა. ამის შედეგად აგრარულმა მოძრაობამ შედარებით ორგანიზებული შინაარსი შეიძინა.

---

485 ჯ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1914-1921 წწ.), II, ბათ, 1957, გვ. 38.

თავი მეოთხე
აგრარული საკითხი და საადგილმამულო ურთიერთობანი 1918-1928 წლებში

1. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა და აჭარა

რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის მოვლენების შედეგად ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. სახელმწიფო ხელისუფლებას ასორციელებდა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც 1917 წლის 2 ნოემბერს შეიქმნა. მისი თავჯდომარე იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) ერთ-ერთი ლიდერი ევგენი გეგეჭკორი. ამიერკავკასიის სახელმწიოფომ ექვსი თვე იარსება. ბოლოს იგი დაიშალა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა.

ამიერკავკასიის კომისარიატსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ძირითადად მართავდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკები). ამ პარტიის აგრარული პლატფორმა ჯერ კიდევ 1906 წელს ჩამოყალიბდა რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე. იგი ითვალისწინებდა მიწების მუნიციპალიზაციას, ნაციონალიზაციას, კონფისკაციასაც, მაგრამ ამოსავალი იყო მიწის მუნიციპალიზაციის მოთხოვნა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკები) პლატფორმით უნდა განხორციელებულიყო: 1.სახაზინო, სამონას-

ტრო, საეკლესიო, საუფლისწულო, საკაბინეტო მიწების კონფისკაცია და ადგილობრივი თვითმართველობის მსხვილი ორგანოებისათვის (მუნიციპალიტეტები) გადაცემა; 2. საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიწების ნაციონალიზაცია; 3. მემამულეთა და კერძომფლობელთა ნორმაზე მეტი მიწების გამოსყიდვა (გასხვისება) და ადგილობრივი თვითმართველობის გამგებლობაში გადაცემა; 4. გლეხთა ნადელების დამრგვალების მიზნით მათზე მიწების უსასყიდლოდ დარიგება.

აქედან გამომდინარე წვრილ სანადელო მიწებზე და მემამულეთა ნორმირებულ მამულებზე კერძო საკუთრება ძალაში რჩებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მენშევიკების თავდაპირველი პლატფორმა მიწის ყიდვა-გაყიდვას, დაგირავება-გაჩუქებას კრძალავდა. მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს აკრძალვა გააუქმეს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველი მენშევიკები მოითხოვდნენ გლეხობასა და მემამულეებს შორის სამიწათმოქმედო ურთიერთობების შეთანხმებით გადაწყვეტას. ამის შესახებ ნოე ჟორდანია 1917 წლის 12 მარტს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ამიერკავკასიის სამხარეო ყრილობაზე ამბობდა: „გლეხთა საკითხიც ისე უნდა მოწესრიგდეს, როგორც მუშათა ეკონომიკური საკითხი. დაარსდეს სოფლებში მომრიგებელი კამერები, რომლებიც შეთანხმებით გადაწყვეტენ ყოველივე უთანხმოებას, რომელსაც ადგილი ექნება მიწის საკითხის

გარშემო. რაც შეეხება მიწის კონფისკაციის საკითხს, ამას საბოლოოდ დამფუძნებელი კრება გადაჭრის.[486]

ქართველ სოციალ-დემოკრატებს მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამა არ მიაჩნდათ უნიკალურად, მაგრამ ისინი ანგარიშს უწევდნენ ისტორიულ ვითარებას. ამის შესახებ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მოღვაწე ფ.გვარჯალაძე აღნიშნავდა, რომ მიწის მუნიციპალიზაცია არ არის სამოთხე, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს კაპიტალიზმის ხანაა და სხვა უფრო რადიკალური ზომების განხორციელება მიწათსარგებლობის მოსაწესრიგებლად არ მოიძებნებაო.[487]

აგრარული საკითხის მიმართ განსხვავებული მიდგომები ჰქონდათ სხვა პოლიტიკურ პარტიებს. ბოლშევიკები ბოლომდე ერთგული რჩებოდნენ თავიანთი აგარარული პროგრამისა, რომელიც ითვალისწინებდა მემამულეთა მიწების კონფისკაციას და ყველა კატეგორიის მამულების ნაციონალიზაციას. ისინი მოითხოვდნენ მემამულეთა მიწების რევოლუციური გზით, ე.ი. ძალით ხელში ჩაგდებას. ცხადია, ძალადობით მიწების ხელში ჩაგდება არაკანონზომერი მოვლენაა და იგი მხოლოდ გააძლიერებდა დაპირისპირებას და ეროვნული ძალების გახლეჩას.

მიწაზე კერძო საკუთრებას მტკიცედ იცავდნენ ეროვნულ-დემოკრატები. მათი შეხედულებით ნორმაზე მეტი მიწა სახელმწიფოს უნდა გამოესყიდა და შეღავათიან ფასებში

---

[486] ერთობა, 21 მარტი, 1917.

[487] ერთობა, 22 ოქტომბერი, 1917.

მეიცათ გლეხებისათვის. ისინი აღიარებდნენ ადგილ-მამულეების თავისუფალ ყიდვა-გაყიდვას. სოციალისტ-ფედერალისტების პარტია აღიარებდა მიწის სოციალიზაციას. ამ პარტიის პლატფორმა ნაწილობრივად ემთხვეოდა სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) პროგრამას. განსხვავება ის იყო, რომ სოაციალისტ-ფედერალისტები მიწების სოციალიზაციაში გულისხმობდნენ სახოგადოებრივ საკუთრებასთან ერთად გლეხობის კერძომიწათმფლობელობასაც. სოციალისტ-ფედერალისტები აცხადებდნენ: ფრთხილად უნდა მოვეპეროთ ისეთ მიწებს, რომლებიც პირადი, ინდივიდუალური შრომის ნაყოფია, რადგან გლეხს საკუთრებისადმი დიდი ინტერესი აქვსო. ცხადია, პოლიტიკური პარტიების აგრარული პროგრამები ხელისუფლების მიერ ანგარისგასაწევია. მაგრამ კანონმდებლობით გადაწყვეტა სახელმწიფოს საქმეა. ბუნებრივია, მმართველი პარტია მტკიცედ იბრძოდა საკუთრი აგრარული პროგრამის განხორციელებისათვის.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ აგრარული საკითხი ფაქტობრივად გვერდზე გადადო და მისი სრულმაშტაბიანი მოგვარება დამფუძნებელი კრების პრეროგატივად აღიარა. მნიშვნელოვანი ღონისძიება, რაც დროებითმა მთავრობამ გაატარა, ის არის, რომ საუფლისწულო მამულები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა და მიწათმოქმედების სამინისტროს დაუქვემდებარა.

ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა, როგორც დროებითი მთავრობის ორგანომ, მნიშვნელოვანი ღონისძიება ვერ განახორციელა. მოსახლეობის, განსაკუთრებით

გლეხობის გამოსვლების შედეგად ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა 1917 წლის 26 მარტს შექმნა საადგილმამულო კომისია. შემდეგ შეიქმნა ადგილობრივი ანალოგიური კომიტეტები. მაგრამ მათი მუშაობა უშედეგო აღმოჩნდა. მართალია, ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა 1917 წლის 7 ივნისს დროებითი მთავრობის წინაშე დასვა საკითხი 1912 წლის 20 დეკემბრის კანონპროექტის დამტკიცების შესახებ, რაც ითვალისწიბენდა დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის გაუქმებას, მაგრამ მისი დამტკიცება გადაიდო.

რეფორმები საადგილმამულო ურთიერთობაში პრაქტიკულად დაიწყო ამიერკავკასიის კომისარიატმა. 1917 წლის 16 დეკემბერს მან გამოსცა დებულება "სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიული პირებისა და კერძომფლობელური მიწების საადგილმამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ".

ამ კანონით 1918 წლის პირველი იანვრიდან გაუქმდა სანადელო მიწების გამოსყიდვა. გლეხებს ნადელები საკუთრებაში ეძლეოდათ ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე. მემამულეების საკუთრებაში რჩებოდათ მხოლოდ ნორმირებული მიწები. ნორმები განისაზღვრა 1918 წლის 7 მარტის კანონით, რომლის თანახმად მემაულეებს საკუთრებაში რჩებოდათ 7-დან 40 დესეტინამდე მიწა. ეს ნორმები განსხვავებული იყო რეგიონების მიხედვით. იმ რაიონებში, სადაც ხარობდა ძვირფასი კულტურები, საკუთრებაში რჩებოდათ 7 დესეტინა, მარცვ-

ლეულის რაიონებში - 15, ხოლო მესაქონლეობის რეგიონებში - 40 დესეტინა.

ნორმაზე მეტი მიწა კონფისკირებული იქნებოდა. იგი გადაეცემოდა საადგილმამულო კომიტეტებს. ეს კომიტეტები მიწებს აძლევდნენ გლეხებს უსასყიდლოდ. 1918 წლის 7 მარტის კანონით გატარდა აგრეთვე მემამულეთა სამეურნეო-სამიწათმოქმედო ინვენტარის რეკვიზიცია. მთავრობამ 1918 წლის 2 მაისის კანონით აიკრძალა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიწების (საქველმოქმედო, სასოფლო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა) განაწილება. ამ კატეგორიის მიწები ხელშეუხებლად ითვლებოდა.

საადგილმამულო კანონმდებლობანი, რაც ამიერკავკასიის მთავრობამ მიიღო, ძირითადად ძალაში დატოვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ. ეს გასაგებია, ვინაიდან აღნიშნული კანონმდებლობანი შემუშავებული და მიღებულია ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ, რომლებიც სათავეში ედგნენ როგორც ამიერკავკასიის, ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისფულებას.

ამასთანავე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ამიერკავკასიის მთავრობის მიერ მიღებულ საადგილმამულო კანონმდებლობაში. იგი გამოიხატა მიწაზე კერძო საკუთრების, ყიდვა-გაყიდვის, გაჩუქება-დაგირავების უფლებების საკანონმდებლო წესით აღიარებაში. ეს ახალი მიდგომა აისახა საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 28 ივნისის

კანონში „მიწის სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო საკუთრებად მიცემისა".

აღნიშნული კანონის თანახმად სოფლის მოსახლეობას კერძო საკუთრებად ეძლეოდათ სახელმწიფო საადგილმამულო ფონდის მიწები. ამასთანავე ძალაში დარჩა ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის კანონით დადგენილი მიწის ნორმები. აიკრძალა ნორმირებულზე მეტი მიწების გადაცემა. საადგილმამულო ფონდიდან მიღებულ მიწებზე მოსახლეობას ევალებოდა განსაზღვრული თანხის გადახდა. ფაქტობრივად გლეხობისათვის ეს იყო მიწის გამოსყიდვა.

საგულისხმოა, რომ ამიერკავკასიის სეიმის 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილებით აკრძალული იყო მიწის ყიდვა-გაყიდვა. მიწაზე კერძო საკუთრების შემოღებასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ამ დადგენილების გაუქმება. მართლაც, საქართველოს პარლამენტმა 1920 წელს გააუქმა 1918 წლის 23 თებერვლის დადგენილება და ამას თვისი დასაბუთებაც მოუძებნა.

საქართველოს სახელმწიფოსა და მმართველი პარტიის ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ მიწის გაყიდვა მოსახლეობაზე აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გამო: პირველი, ადგილ-მამულების ვაჭრობიდან შემოსული თანხები უშუალოდ გადადიოდა სახელმწიფოს ხელში. ეს უკანასკნელი კი მას გამოიყენებდა ხალხის კეთილდღეობისათვის; მეორე, გლეხი, თავისი ფსიქოლოგიის გამო, მიწაზე კერძო საკუთრებითაა დაინტერესებული. ამიტომ მიწების კერძო

საკუთრებაში გადაცემა მას შეუქმნიდა სიმშვიდის ატმოსფეროს; მესამე, მაშინ სახელმწიფო განიცდიდა ფინანსურ სიძნელეებს და ამ ღონისძიებით ნაწილობრივივად შეავსებდა ქვეყნის ბიუჯეტს.

ცხადია, მიწაზე კერძო საკუთრების იურიდიულად დაკანონებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი სოფლად ბურჟუაზიული ფენების მომრავლებას. საქართველოს სოფლებში იქმნებოდა კაპიტალიზმის განვითარების ხელშეწყობი პირობები. ნორმალური საბაზრო ეკონომიკის დროს მას მოყვებოდა დადებითი შედეგები სასაქონლო პროდუქციის წარმოებაში. მაგრამ ამავე დროს გლეხობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა გაუარესდა.

მიწას დიდი ფასი დაედო, რომლის გადახდის საშუალება გლეხს არ ჰქონდა. 1917 წელს დესეტინა საფონდო მიწა დასავლეთ საქართველოში იყიდებოდა 1500 მანეთად, აღმოსავლეთ საქართველოში-1200 მანაეთად. 1920 წელს დესეტინა მიწის ფასი 3000 მანეთამდე გაიზარდა. ცხადია, ასეთი სიძვირის პირობებში გლეხთა უმრავლესობა მიწას ვერ ყიდულობდა. სამაგიეროდ დიდძალი მიწები სოფლის ბურჟუაზიული ფენების ხელში მოექცა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აგრარული კანონმდებლობანი მოსახლეობის უმრავლესობისათვის მისაღები იყო. რაც მთავარია, 1918 წლის პირველი ივნისიდან გაუქმდა სანადელო მიწების გამოსასყიდი გადასახადი. მართლია, ამას ითვალისწინებდა 1912 წლის 20 დეკემბრის კანონპროექტი ობილისისა და ქუთაისის გუბერნიების

შესახებ და იმავე წლის 18 აპრილის კანონპროექტი „ბათუმისა და ყარსის ოლქების მოსახლეობის მიწათმოწყობის შესახებ". მაგრამ ცარიზმისა და რუსეთის დროებითი მთავრობის დროს იგი ცხოვრებაში არ გატარებულა.

1918 წლის აპრილში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოკუპაცია თურქეთმა მოახდინა. იმავე წლის დეკემბრიდან თურქი ოკუპანტები ინგლისელებმა შეცვალეს. ეს იყო უმძიმესი წლები საქართველოსათვის. ცხადია, მამულის, სამშობლოს დაკარგვის რეალური საფრთხე არსებობდა. უცხოელების ოკუპაციის წლებში აგრარული მოძრაობა საყოველთაო ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლაში გადაიზარდა. მოსახლეობა არა მარტო ურჩობდა გადასახადების გადახდასა და შრომითი ბეგარის შესრულებაზე, არამედ იარაღით იბრძოდა მამულისა და თავისუფლებისათვის. ასეთ პირობებში სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში დროებით შეჩერდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აგრარული კანონმდებლობის განხრცი-ელება. მართალია, მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა თითქმის უცვლელი დარჩა, მაგრამ უცხოელთა ოკუპაციით გამოწვეული მატერიალური ზარალი ძალიან დიდი იყო. მაგალითად, თურქეთის არმიის ნაწილმა, რომელიც ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობაში 1918 წლის 2 აპრილს დაბანაკდა, გაძარცვა და

გაანადგურა მთლიანი მამული. ამით გამოწვეული ზარალი 705534 მანეთს უდრიდა.[488]

ცხოვრება ძალიან დამძიმდა და გაძვირდა. უცხოელმა ოკუპანტებმა გაზარდეს გადასახადები. მართლია, მოსახლეობა ურჩობდა, მაგრამ მას თან ახლდა ეგზეკუციები სოფლად. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა 1919 წლის 6 ნოემბრის სპეციალური ბრძანება გამოსცა გადასახადების ურჩი გადამხდელების მიმართ რეპრესიების განხორციელების შესახებ. ბრძანებაში აღნიშნულია: ნებისმიერი პოროვნება, ვინც არ იხდის საღალო გამოსაღებს და მიწის გადასახადს, საერობო მოსაკრებელს, აგრეთვე უძრავ ქონებაზე სხვა სახის გადასახადებს, დაჯარიმდება. გადასახადების ნარჩენების გადახდის ვადა დაწესდა 1919 წლის 1 ნოემბერი. ამის შემდეგ გადასახადების ნარჩენებზე ყოველთვიურად ზედმეტად შეეწერება გადასახდელი თანხის 5%. პირველი ნოემბრის შემდეგ გადასახადების ამოღება მოხდებოდა პოლიციური ძალებით. გადასახადებისა და ძველი ნარჩენების გადაუხდელობის შემთხვევაში ურჩების უძრავი ქონება საჯაროდ გაიყიდებოდა.[489]

გადასახადებთან ერთად მოსახლეობას აწუხებდა ტყეების, საბალახოებისა და საძოვრების სარგებლობის საკითხი. ეს პრობლემები მანამდეც მოუწესრიგებელი იყო, მაგრამ უცხოელების ბატონობის პერიოდში კიდევ მეტად დამძიმდა.

---

[488] ო. თურმანიძე, აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან. ბათ, 1973, გვ. 124.

[489] БПСВА, документы и материалы 1917-1921 гг.,Бат., 1961, с. 247-248.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი, რომელიც 1920 წლის სექტემბერში მივლინებით იყო ბათუმის ოლქსა და არტაანის მხარეში, დამფუძნებელი კრებისადმი წარდგენილ ანგარიშში გულისტკივილით წერდა: „ხალხი ყველგან გადასახადების პატიებას, დაკლებას და დროებას თხოულობსო". მისივე დახასიათებით, მოსახლეობას აწუხებდა საძოვრების, ტყის სარგებლობის მოუწესრიგებლობა, უგზოობა, სამიწათმოქმედო იარაღებისა და გამწევი ძალის უკმარისობა, მძიმე შრომითი ბეგარა და სხვა საკითხები.[490]

ინგლისელებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საადგილმამულო სფეროში მნიშვნელოვანი ღონისძიებები არ გაუტარებიათ. მხოლოდ გადასახადების ამოღებაზე და მოგებაზე ფიქრობდნენ. თავიანთი შემოსავლების გაზრდის მიზნით მოაწესრიგეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ჩაქვის სახელმწიფო მამულში. 1919 წელს ინგლისურ ენაზე სარჯთაღრიცხვა შეადგინეს. მეურნეობაში წყალსადენიც გაიყვანეს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის 1919 წლის 28 მაისის განცხადებით მოსახლეობა გააფრთხილეს დროულად გადაეხადათ გადასახადები. ურჩების მიმართ გამოიყენებოდა იძულებითი ზომები. მიუსედავად იმისა, რომ მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა გადახდისუნარიანი არ იყო, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის

---

[490] აკაკი ჩხენკელი. არტაანისა და ბათუმის ოლქის შესახებ. ბათუმის შ.რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს ისტორიის კათედრა. საისტორიო მაცნე. XIV. ბათ., 2005, გვ. 269; დოკუმენტი გამოავლინა და დასაბეჭდი მოამზადა არჩილ ვარშალომიძემ.

მოადგილის პოლკოვნიკ გარსის 1920 წლის 30 იანვრის განკარგულებით ყველა სახის გადასახადი მნიშვნელოვნად იზრდებოდა. საადგილმამულო გადასახადი კი 50-ჯერ გაიზარდა.[491]

მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის საკითხით დაინტერესდა ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო, რომელიც ინგლისელი ოკუპანტების თანხმობითა და გეგმით შეიქმნა 1918 წლის 27 დეკემბერს. იგი 1919 წლის 15 აპრილამდე მოქმედებდა. საბჭოში დარგობრივი მმართველობისათვის სხვადასხვა სექციები ჩამოყალიბდა. მიწათმოქმედების საკითხებს ს. ხათირიოვ-ბესტავაშვილი განაგებდა. ბათუმის მმართველი საბჭო საადგილმამულო სფეროში ცარიზმისა და რუსეთის დროებითი მთავრობის პოლიტიკას აგრძელებდა. ცხადია, მას არ შეეძლო და არც სურვილი გააჩნდა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეტანა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობაში.

ბათუმის ოლქის მმართველი საბჭოს საქმიანობა საადგილმამულო სფეროში რამდენიმე აქტით შემოიფარგლა. 1919 წლის 18 თებერვლის დადგენილებით აიკრძალა მწყემსის გარეშე საქონლის გარეკვა კინტრიშისა და გონიოს უბნების აგარაკებსა და კულტივირებულ მამულებში. 1919 წლის 18 თებერვლის დადგენილებით თამბაქოზე დაწესდა განსაკუთრებული გადასახადი. იმავე წლის 11 მარტის დადგენილებით

---

[491] БПСВА, документы и материалы 1917-1921 гг.,Бат., 1961, с. 211-212, 268-270.

საშემოსაველო გადახადით დაიბეგრა მიწათმოფლობელები და მოაგარაკეები.[492]

ბათუმის ოლქის მმართველმა საბჭომ 1919 წლის 4 აპრილის სხდომაზე განიხილა საადგილმამულო საკითხი და გამოიტანა დადგენილება „მიწაზე საკუთრების უფლების განმტკიცების შესახებ". აღნიშნული დადგენილება თითქმის არ განსხვავდებოდა ცარიზმის მიერ საადგილმამულო კანონ-პროექტებიდან, რომლებიც ყარსისა და ბათუმის ოლქების მოსახლეობის მიწათმფლობელობა-მოწათსარგებლობას ეხებოდა. ბათუმის ოლქის მმართველი საბჭოს 1919 წლის 4 აპრილის დადგენილებით მოსახლეობას შთამომავლობით მფლობელობაში უმტკიცდებოდა ადგილ-მამულზე საკუთრების უფლება. ეს უფლება იმ შემთხვევაში იქმნებოდა განმტკიცებული, თუ მიწისმფლობელს მოდავე არ ჰყავდა მიწაზე. კერძო პირებზე სახაზინო მიწების, ანდა სოფლის საზოგადოების საერთო სარგებლობის ადგილ-მამულების საკუთრებაში დამტკიცება არ დაიშვებოდა. მათ შეეძლოთ ხაზინის მიწების მხოლოდ გამოსყიდვა რუსული კანონების მოთხოვნების დაცვით.

ზემოაღნიშნული დადგენილებით მოსახლეობას უფლება ეძლეოდა შთამომავლობით საკუთრებაში მიეღოთ მიწები მომიჯნავე სოფლებში, თუ სადავო არ იქნებოდა. სადავო საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივად გამოცხადდა. დადგენილებით დაცული იყო სახაზინო მიწათმფლობელობა, უფასოდ სახაზინო ტყეებისა და

---

[492] იქვე, გვ. 260-261.

Ilაძოვრების სარგებლობა ერთხელ და სამუდამოდ აიკრძალა. Ilაერთო სარგებლობის საძოერებისა და ე.წ. „ბალთალიკების" ;გარდა, მოსახლეობის საკუთრებაში ეძლეოდა მამულები: .კინტრიშის უბანსა და გონიოს მხარის ნაწილში - 4 დესეტინა, .ქვემო აჭარასა და ნაწიოილობრივ მარადიდ'ში - 5 დესეტინა, ·ბათუმის ოლქის დანარჩენ დასახლებაში 8 დესეტინა. დასაშვები იყო ამ ნორმის შემცირება, თუ მიწის ფონდი არასაკმარისი იქმნებოდა. ხაზინის ის მიწები, რომლებიც აუცილებელია წყლისა და მეწყერებისაგან დასაცავად, არ შეიძლებოდა მოსახლეობაზე გადაცემულიყო.[493]

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის 1919 წლის 14 აპრილის ბრძანებით მმართველი საბჭო გაუქმდა. ცხადია, ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო 1919 წლის 4 აპრილის დადგენილებას „მიწაზე საკუთრების განმტკიცების შესახებ" იურიდიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მას არ უმუშავნია. მაგრამ ზემოაღნიშნული დადგენილება საინტერესოა ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების, ბათუმის ოლქის მმართველი საბჭოს აგრარული პოლიტიკისა და პრაქტიკული საქმიანობის დახასიათებისათვის.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თურქეთისა და ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ დაამყარა სამხედრო-პოლიციური რეჟიმი. განამტკიცა და გააძლიერა საგადასახადო სამსახური. თითქმის უცვლელად დარჩა სატყეო და კულტივირებული მამულების მმართველობა. საგარეო ბაზრის

---

[493] БПСВА, документы и материалы 1917-1921 гг.,Бат., 1961, с. 196-197.

შეზღუდვის შედეგად სუბტროპიკული კულტურების პროდუქცია ნაკლებად საღდებოდა. მრავალმა მოახალშენემ ბედისანაბარა მიატოვა მამული და უცხოეთში გადაიხვეწა. გაგრძელდა მიწების ყიდვა-გაყიდვა, მასობრივი ხასიათი მიიღო მიწის იჯარამ.

მიწები ძირითადად იყიდებოდა ოჯახური გარიგების საფუძველსე. ამ გარიგებას მეტი გარანტიები რომ ჰქონოდა, მოწმეებიც ესწრებოდნენ, შემდეგ კი ნოტარიუსი ადასტურებდა. 1919 წელს ბათუმის ნოტარიუსმა მიწის ნასყიდობის 19 აქტი გააფორმა. ამის შესახებ არაერთი კონკრეტული მასალა არსებობს. 1919 წლის პირველი აპრილის მიწის ნასყიდობის აქტით ი.კოსინსკიმ 1018 კვადრატული საჟენი მიწა მიყიდა ვ.ძიუბენკოს 13 ათას მანეთად. 29 აპრილის აქტით მ.პროკოფიევიჩის მიტოვებული მამული (ბათუმის შემოგარენი, სოფელი სოუქსუ) იყიდეს ბათუმში მაცხოვრებელმა მ. კლებანსკიმ და ა.გოლოხოვმა, გადაიხადეს 10 ათასი მანეთი.

1919 წლის 11 ივლისის აქტით გენერალ მაიორ ბ.რომანოვსკი-რომანკოს მეუღლემ ელენე რომანოვსკაია რომანკომ სოფელ მახინჯაურში 2 დესეტინა და 2086 კვადრატული საჟენი მიწა მიყიდა ბათუმელ ვაჭარს შევქეთ ბეი-მემედ ბეი ყიმეთ ზადეს და ეხსან ბეი თევფიყ ზადეს 130 ათას მანეთად. 5 აგვისტოს ნასყიდობის აქტით დ.დავიდოვმა 2 დესეტინა და 280 კვადრატული საჟენი მიწა შენობა-ნაგებობით, რომელიც მდებარეობდა სოფელ მახიმჯაურში, 150 ათას მანეთად მიყიდა ე.კონონოვას.

ზედმეტი არ უნდა იყოს კიდევ რამოდენიმე მაგალითის მოყვანა. 1919 წლის 11 ოქტომბრის აქტით თადარიგის გენერალ-ლეიტენატმა ევგენი ტრამბიცკიმ მახინჯაურში 7 დესეტინა და 1500 კვადრატული საჟენი მიწა 7 ათას მანეთად მიყიდა დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომს რონალდ ოქშოტს. დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომმა ნიკოლოს გრელინგმა სოფელ ორთაბათუმში ბათუმელი ვაჭრის ოვანეს ტონიევისაგან შეიძინა ერთი დესეტინა და 696 კვადრატული საჟენი მიწა 22 ათას მანეთად. ყველაზე დიდ ფასში გაიყიდა გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ მუხრანსკის მამული. იგი მდებარეობდა ქ. ბათუმში „თამარის ციხესთან" და ყოროლისწყლის ხეობაში (ადგილი „საცივისწყალი"). მამული შეადგენდა 11 დესეტინასა და 197 კვადრატული საჟენს, რომელიც 1919 წლის 15 ოქტომბრის აქტით იყიდა რომან ჯავახოვმა 250 ათას მანეთად.

გარდაცვლილი გენერალ-მაიორის სერგეი ლოპატინის მეუღლემ ევგენია ვასილის ასულმა 1919 წლის 16 ოქტომბერს მახინჯაურსა და ყარადერეში ერთი დესეტინა და 1630 კვადრატული საჟენი მიწა 70 ათას მანეთად მიყიდა დიმიტრი გოლუმბიოესკის. ბათუმის ოლქის სატყეო რევიზორმა 1919 წლის ოქტომბერში 7 დესეტინა და 800 კვადრატული საჟენი მამული მიყიდა სერგო ჯაიანს. მამული მდებარეობდა ციხისძირში, სადაც მოშენებული ჰქონდა სუბტროპიკული კულტურები. 1919 წლის 5 დეკემბრის აქტით კაპიტანმა ევგენი პელენკინმა სოფელ სალიბაურში 1546 კვადრატული საჟენი

მიწა გაყიდა 40 ათას მანეთად. იგი იყიდა ხარკოვის (უკრაინა) მოქალაქემ ალექსანდრე სტანკევიჩმა.[494]

1918-1920 წლებში აჭარაში ადგილ-მამულებს ძირითადად ჰყიდნენ არაქართველები, უფრო მეტად რუსები. შექმნილ პირობებში ბათუმის მხარე მათთვის სარფიანი აღარ ჩანდა. ადგილობრივმა პრივილეგიურმა წოდებამ აჭარის ზღვისპირეთში მამულების ძირითადი ნაწილი ადრე გაყიდა. დარჩენილი მიწები აუცილებელი იყო ცხოვრებისა და არსებობისათვის. მაგრამ გამონაკლისებიც არსებობდა. მაგალითად, 1919 წელს სულეიმან-ბეგ აბაშიძის მეუღლემ ნებიე აბაშიძემ ქ. ბათუმში 100 კვადრატული საჟენი მიწა შენობებითურთ გაყიდა 14300 მანეთად.[495]

1919 წლის მაისში მამუდ ვარშალომიძემ 17 დესეტინა და 290 კვადრატული საჟენი მიწა 60 ათას მანეთად მიყიდა ბათუმელ ვაჭრებს ვიქტორ ბეი ვარტალიდსა და ხასან ეფენდი ქოსოღლის. მამული მდებარეობდა კახაბერში.[496]

ივჯარით მიწებს აძლევდა ყველა მსხვილი მიწათმფლობელი. სახაზინო მიწების ივჯარით გაცემას აფორმებდა ბათუმის ოლქის სატყეო მეურნეობისა და კულტივირებული მამულების გამგე სატყეო რევიზორი ი.მარკევიჩი. ამის თაობაზე სპეციალური ხელშეკრულებები გაფორმდა, რომელიც დამოწმებულია ქ.ბათუმის ნოტარიუსის მიერ. მაგალითად, 1919 წლის 10 აგვისტოს გარიგებით ს.ჭელიძემ სალიბაურში

---

[494] აგსა, ფ. ი-25, ან. 1, ს. 82, ფურც. 3-38.
[495] იქვე, ფ. ი-81, ან. 1, ს. 65, ფურც. 428.
[496] იქვე. ს. 82, ფურც. 9-10.

ხაზინისაგან ერთწლიანი იჯარით აიღო 14,2 დესეტინა მიწა. საიჯარო გადასახადი 170 მანეთსა და 50 კაპიკს შეადგენდა. 1919 წლის პირველი სექტემბრის აქტით ი.მარკევიჩმა როხსეთ ძიძაროღლის სალიბაურში იჯარით გასცა 2,5 დესეტინა მიწა. 1919 წლის სექტემბერში ი.მარკევიჩმა სალიბაურში ხუსეინ-აღა ხონელიას იჯარით მისცა ორი მიწის ნაკვეთი. პირველი ნაკვეთი შეადგენდა 2,5 დესეტინას, რომლის წლიური საიჯარო თანხაა 60 ათას რუბლს შეადგენდა, მეორე ნაკვეთის (3930 კვადრატული საჟენი) საიჯარი თანხა იყო 39 რუბლი და 30 კაპიკი. 1920 წლის 20 აპრილის ხელშეკრულებით ვინმე სეიდ ბეი კაგურა მემედ ბეიმ ასმეიხვამ ხაზინისაგან ერთწლიანი იჯარით აიღო 2 დესეტინა სავარგული, რომელიც სალიბაურში მდებარეობდა. წლიური საიჯარო თანხა 144 მანეთს უდრიდა.[497]

აზიზიეს მეჩეთის სასულიერო წოდებამ 1918-1920 წლებში ბათუმის საქალაქო გამგეობისა და ინგლისის საოკუპაციო მმართველობის წინაშე არაერთხელ დააყენა საკითხი საკუთარ მიწების შესახებ.

1920 წლის თებერვალში სპეციალური კომისია შეიქმნა აზიზიეს მეჩეთის ვაყუფის უფლებების დასაცავად. ამ კომისიაში 5 კაცი შედიოდა: ხ.ლორთქიფანიძე, მ.აბაშიძე, ს.ანისიმოვი, მატვეევი, მუფთი ხუსეინ ეფენდი. კომისიის დასკვნით აზიზიეს მეჩეთს ქალაქის ბიუჯეტიდან ყოველ-წლიურად უნდა გამოყოფოდა 300 ათასი მანეთი. ბათუმის

---

[497] აცსა, ფ. ი-24, აღ. 1, ს. 37, ფურც. 4, 10,11,12; ს. 28, ფურც. 13-14.

გამგეობამ ვალდებულება აიღო უყოყმანოდ შეესრულებინა კომისიის დადგენილება.[498] რელიგიური დაწესებულებების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობაში სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ (1920 წლის 7 ივლისი) ახალი ეტაპი დაიწყო საადგილმამულო რეფორმების გატარებისათვის, მაგრამ პრივილეგიური მიწისმფლობელ ფენებს არ აწყობდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პროგრამა. აჭარის გავლენიანმა ბეგმა ჯემალ ხიმშიაშვილმა, რომელიც 1920 წლის ივლისის მეორე ნახევარში თბილისში იმყოფებოდა, ოფიციალურად განაცხადა: „აჭარას არ სურს ავტონომია და იგი საქართველოს უერთდება, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი". საადგილმამულო საკითხთან დაკავშირებით ჯემალ სიმშიაშვილმა განაცხადა: „აგრარული საკითხი აჭარაში უკვე გადაწყვეტილია და სასურველია შემდეგ არ იქნეს შეტანილი ცვლილება".[499]

ცხადია, ეს იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მსხვილი მიწისმფლობელის პოზიცია, რომელიც წინააღმდეგობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აგრარულ პროგრამასა და კანონმდებლობასთან. საკვირველია, ასეთივე პოზიცია ეკავათ საქართველოს სხვა რეგიონების მსხვილ მიწათმფლობელებს. აჭარისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება მართლაც არ იყო საჭირო. მთავარ

---

[498] აცსა, ფ. ი-6, ან. 1, ს. 55, ფურც. 29-40.

[499] საქართველოს რესპუბლიკა, 29 ივლისი, 1920.

პრობლემას წარმოადგენდა არა მარტო აჭარის, არამედ მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების რადიკალური შეცვლა, პირველი მსოფლიო ომისა და უცხოელთა ბატონობის მძიმე შედეგების ლიკვიდაცია. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა არსებული ვითარება და 1920 წლის აგვისტოში ბათუმის ოლქში შემოიღო საგანგებო მართვა-გამგეობა, რომელიც შეფარდებული იყო სამხედრო წესებთნ. რაც შეეხება ავტონომის საკითხს, იგი მომავლის ამოცანად ჩაითვალა, როდესაც დამფუძნებელი კრება შესაბამის კანონს მიიღებდა.[500]

ბათუმის ოლქში დაინიშნა საგანგებო მართვის კომისარი. ჩამოყალიბდა კომისარიატის აპარატი. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საგადასახადო სისტემის რეორგანიზაციას. როგორც ბათუმის, ისე ართვინის ოკრუგებში დანიშნეს გადასახადების ამკრეფი მოხელეები. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის, საოლქო ადმინისტრაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საადგილმამულო და სოფლის მეურნეობის საკითხებმა. 1920 წლის აგვისტოში ბათუმის ოლქის საგანგებო კომისრის ბრძანებით სახელმწიფო ფონდში ჩაირიცხა ის მამულები, რომელთა მეპატრონეები საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, შემდეგ კი სასღვარგარეთ გაიქცნენ.[501]

---

[500] საქართველოს რესპუბლიკა, 6 აგვისტო, 1920.

[501] საქართველოს რესპუბლიკა, 17 აგვისტო, 11 სექტემბერი, 1920.

ბათუმის ოლქზე საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქ-ციის გავრცელებისთანავე შეიცვალა მთელი სამეურნეო მმართველობის აპარატი. ჩაქვის სახალხო მამულის გამგედ კ.ილიაშენკოს ნაცვლად ნ.აღნიაშვილი დანიშნეს, ხოლო თანაშემწედ გ.გამხარაშვილი. გამოცოცხლდა სამუშაოები, მაგრამ მრავალი სიძნელე და პრობლემა არსებობდა, რომელთა დროული გადაჭრა მაშინდელ პირობებში ჭირდა. ჩაქვის სახალხო მამულის, როგორც სხვა მეურნეობების, ერთ-ერთი პრობლემა იყო მუშახელის საკითხი. მცირე ანაზღაურების და არანორმალური საბინაო პირობების გამო მუშახელის მიზიდვა გართულდა [502]

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო იმ დროს დაუბრუნდა დედასამშობლოს, როდესაც ქვეყანაში აგრარული პროგრამა ძირითადად დასრულებული იყო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საადგილმამულო რეფორმების განხორციელებისას არაერთი სიძნელე, ხარვეზი და პრობლემა არსებობდა. გაზ. „მიწის" ცნობით, დაცული არ იყო მიწის განაწილების ნორმები. „ისევ შეძლებული და გაიძვერა ითვისებს მამულს, ადვილად ხნავს და თესავს". გაზეთის სტატიაში გულისტკი-ვილით ნათქვამია, რომ ხიზანი ოსები ითვისებენ ქართულ მიწებს. ეს მაშინ, როდესაც ქართველ მემამულეებს არ აქვთ ნორმირებული მიწები.[503]

აჭარაში საქართველოს რესპუბლიკის აგრარული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო გა-

---

[502] აცსა, ფ. ი-22. ან. 1, ს. 525, ფურც. 5, 23; ს. 526, ფურც. 65.
[503] მიწა, 30 ნოემბერი. 1920.

რკვეული პირობების შემსადება. მართალია, საქართველოს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტრო ამ მიმართულებით გარკვევულ მუშაობას ატარებდა, მაგრამ პოლიტიკური მომენტიც იყო გასათვალისწინებელი. ამიტომ ამ რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის აგრარული კანონმდებლობის რეალურად განხორციელება დაყოვნდა. მთავრობის ღონისძიებები ძირითადად შეეხო მოახალშენეთა მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობას. რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსიის შედეგად ეროვნული ხელისუფლების აგრარული კანონდებლობანი ამ მხარეში განუხორციელებელი დარჩა.

ამრიგად, სახმრეთ-დასავლეთ საქართველოში 1918-1920 წლებში მიწათმფლობელობის ფორმებს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო რეჟიმების დროს მიწის კაპიტალიზაცია გაგრძელდა და საადგილმამულო გადასახადები დამძიმდა. მათი ამოღების საოკუპაციო მეთოდებმა, სოფლად ოკუპანტების ეგზეკუციებმა და ძარცვა-გლეჯამ მოსახლეობა აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა. მნიშვნელოვანი ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ აგრარული გამოსვლები საერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა. ამ მოძრაობამ თავისი წვლილი შეიტანა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებაში. ეს იყო სასიცოცხლო ბრძოლა მამულისა და თავისუფლებისათვის.

მართალია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აგრარული პროგრამა და კანონმდებლობანი პროგრესული

იყო. იგი პასუხობდა საერთოდ საქართველოს, მათ შორის ბათუმის ოლქის, ოლთისისა და არტაანის ოკრუგების მოსახლეობის ინტერესებს. მაგრამ გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ველარ განხორციელდა.

2. საქართველოს გასაბჭოებისა და საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის თავისებურებანი აჭარაში (1921-1928 წწ.)

რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წლის თებერვალ-მარტში განახორციელა საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსია. ხელისუფლება ძალადობით ხელთ იგდეს ბოლშევიკებმა. მისი შენარჩუნებისათვის ცენტრსა და ადგილებზე შექმნეს მმართველობის საგანგებო ორგანოები-რევოლუციური კომიტეტები. 1921 წლის 17 მარტს შეიქმნა ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის დროებითი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი. 18 მარტს აჭარაში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. 20 მარტს დროებითმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა მოიხსნა თავისი უფლებამოსილება. შეიქმნა ახალი საოლქო რევკომი.[504]

---

[504] РКА, сборник документов и материалов, Сухуми, 1963, с. 10-13.

ბათუმის ოლქის რევკომმა, როგორც ხელისუფლების საგანგებო ორგანომ, პირველ რიგში, განახორციელა ძველი მმართველობის სტრუქტურების დემონტაჟი: დაითხოვეს პოლიცია, სასამართლოები, სახელმწიფო აპარატის მოხელეები. ჩამოაყალიბეს სახელმწიფო მართვისა და მართსაჯულების ახალი ორგანოები. მართვის სფეროში რამდენიმე სტრუქტურა შეიქმნა, მათ შორის იყო სამიწათმოქმედო განყოფილება. ახალი სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა სოციალური და პოლიტიკური დაპირისპირების პირობებში. ცხადია, ყოველივე ეს საქართველოს, კერძოდ, აჭარის მომავალი განვითარებისათვის საზიანო იყო. როგორც ჩანს, ახალი ხელისუფლების მესვეურები ამას ვერ ითვალისწინებდნენ. ალბათ, რევოლუციის ქარცეცხლში ამის გათვიცნობიერება არც შეეძლოთ.

გასაბჭოების შემდეგ საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ ბათუმის ოკრუგი დარჩა. საბჭოთა რუსეთის თურქეთთან გარიგების შედეგად (მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება) ართვინის, ოლთისის, არტაანის ოკრუგები, აჭარის ნაწილი (მაკრიალი, ლიმანი, ზემო მარადიდი, მაჭახლის ხეობის რამდენიმე სოფელი) თურქეთმა დაიკავა. ეს მოვლენა ქართველი ხალხის განსაკუთრებულ ტკივილად დარჩა. საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით (№54) აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გამოცხადდა. აჭარისათვის პოლიტიკური ავტონომიის სტატუსის მინიჭებისათვის რეალური საფუძველი არ არსებობდა. მაგრამ ბოლშევიკებისათვის ამას არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა,

რამდენადაც გასაბჭოებისათანავე ცენტრსა და რეგიონებში ბოლშევიკური პარტიის დიქტატურა დამყარდა. სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ფაქტობრივად არარაობას წარმოდგენდნენ.

გასაბჭოებისას აჭარაში შეიქმნა ორხელისუფლიანობა, რომელიც ამ რეგიონის ლოკალურ თავისებურებად ჩაითვლება. რეალური ხელისუფლება ბათუმის საოლქო რევკომს ჰქონდა. მის პარალელურად მოქმედებდა მეჯლისი, რომელიც 1919 წლის 31 აგვისტოს დაარსდა. საქართველოს რევკომის მიერ 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებად აღიარებულია მეჯლისი, სახკომსაბჭო, ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც აირჩეოდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე. გათვალისწინებული იყო 10 სახალხო კომისარიატის შექმნა (შინაგან საქმეთა იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, მიწათმოქმედების, სასურსათო, ფინანსთა, სახალხო მეურნეობის საბჭო, გზათა და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებით, შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატი).[505]

1921 წლის ნოემბრის ბოლოს აჭარაში ორხელისუფლებიანობა დამთავრდა. ხელისუფლება მთლიანად გადავიდა საოლქო რევკომის ხელთ. მისი დასაყრდენი ძალა იყო ე.წ. წითელი მეჯლისი და ღარიბთა კომიტეტი. 1922 წლის იანვარში საბჭოების არჩევნები ჩატარდა და შეიქმნა აჭარის ასსრ უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები.

---

[505] ასსგსმაპ, დოკუმენტები და მასალების კრებული, 1921-1925 წწ., ბათ., 1975, გვ. 32.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების ყრილობა, რომელიც მაშინდელი წესის მიხედვით, ყოველწლიურად ტარდებოდა. უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედ ორგანოს წარმოადგენდა ცაკი, ხოლო მმართველობას ახორციელებდა სახკომსაბჭო.

საბჭოთა ხელისუფლებამ შეცვალა ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. გაუქმდა საპოლიცო უბნები და სასოფლო ოკრუგები. სანაცვლოდ შეიქმნა მაზრები და სასოფლო თემები. თავდაპირველად აჭარის ასსრ-ში 5 მაზრა და 12 სასოფლო თემი შეიქმნა. მომდევნო წლებში აჭარაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურაში ცვლილებები რამდენჯერმე განხორციელდა. 1923 წლისათვის სასოფლო თემები 18-მდე გაიზარდა. 1930 წელს შემოიღეს ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. მაზრები შეიცვალა რაიონებით, ხოლო სასოფლო თემები – სასოფლო საბჭოებით.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების საქმიანობაში ძირითადი ადგილი დაიკავა აგრარულმა საკითხმა. საადგილმამულო საკითხისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი მართვისათვის 1922 წელს ჩამოყალიბდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ხოლო მაზრებში-შესაბამისი ვანყოფილებები. კომუნისტური პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას ამ საკითხზე რადიკალურად განსხვავებული პროგრამა ჰქონდათ, ვიდრე საქართველოს სოციალ-დემოკრატიებს და დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას. მართალია, რუსეთის ბოლშევიკების აგრარული პროგრამა ჩამოყალიბებულია პარ-

ტიის ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების რეზოლუციებსა და დადგენილებებში, მაგრამ ამ პროგრამამ სახელმწიფოებრივი ძალა შეიძინა საბჭოთა ხელისუფლების აგრარულ კანონმდებლობაში. ამ ჭრილში ძირითადი საკანონმდებლო დოკუმენტია დეკრეტი მიწის შესახებ, რომელიც რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობამ 1917 წლის 8 ნოემბერს მიიღო. იგი ითვალისწინებს მემამულეთა მიწების კონფისკაციას და მთლიანად ყველა სახის მიწის ნაციონალიზაციას. მიწა სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა.

რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტი მიწის შესახებ და სხვა საკანონმდებლო აქტები საფუძვლად დაედო საქართველოში აგრარულ რეფორმას. 1921 წლის 6 აპრილი საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი მიწის შესახებ. ამ დეკრეტის პირველ პუნქტში ნათქვამია: „მიწა ეკუთვნის ხალხს. წყდება მიწის გაყიდვა, იჯარა და მიწის გადაცემის სხვა ფორმები".[506]

დეკრეტი ითვალისწინებს მსხვილი მამულების კონფისკაციას და სახელმწიფო ფონდში გადაცემას. სახელმწიფო ფონდში გადადიოდა ადრე კონფისკირებული მიწები, შენობებითა და ინვენტარით. მიწათსარგებლობის უფლება ეძლეოდა საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ვინც მიწას საკუთარი შრომით დაამუშავებდა. ხელშეუხებლად გამოცხადდა საშუალო და წვრილი მიწათმფლობელები. იკრძალებოდა ძვირფასი კულტურების მიწების დაქუცმაცება. კონფისკირებული მიწები გადადიოდა გუბერნიების, მაზრების, სასოფლო თემების განკარგულებაში. 1921 წლის 6

---

[506] აცსა, ფ. რ-1, ან. 1, ს. 28, ფურც. 9.

აპრილის დეკრეტით გაუქმდა წინანდელი მთავრობის კანონები მიწის შესახებ.[507]

ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საადგილმამულო კანონები გაცილებით პროგრესული იყო. ამ კანონებით აღიარებულია მიწაზე კერძო საკუთრება. დაწესდა თითოეული კომლისათვის შედარებით უკეთესი ნორმები. მართალია, მსხვილი მიწათმფლობელები უკმაყოფილონი დარჩნენ, მაგრამ რადიკალური სოციალური დაპირის-პირების რეალური საფუძველი არ არსებობდა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და მიწის იჯარით გაცემის აკრძალვა საზოგადოების არცეროი ფენის ინტერესებში არ შედიოდა. იგი მატერიალური წარმოების განვითარების შემაფერხებელი გახდა. სწორედ ამანაც განაპირობა ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება მატერიალური წარმოების განვითარე-ბისათვის იყენებდა არაბუნებრივ მეთოდს – იძულებას, ბრძანება - ადმინისტრირებას.

საქართველოს რევკომი 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტი მიწის შესახებ იმ დროს გამოქვეყნდა, როდესაც რუსეთში დაიწყო ახალი ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლა. აჭარაში ნეპის მოთხოვნებები დაცული არ ყოფილა. ცხადია, აგრარული რეფორმა დამახინჯებით განხორცი-ელდა. ამის ერთ-ერთი მი'ზეზია გლეხობის მტრული განწყობილება მემამულეების მიმართ.

გლეხობა აგრარული რეფორმის განხორციელებისათვის შეუპოვრად იბრძოდა. აჭარის ღარიბ გლეხთა I ყრილობამ (1921 წლის ნოემბერი) ხელისუფლებისაგან კატეგორიულად

---

[507] იქვე. РКА. сборник документов и материалов. Сухуми, 1963, с. 118-121.

მოათხოვა აგრარული რეფორმის დაუყოვნებლივ გატარება მიწის დეკრეტის საფუძველზე. ყრილობის რეზოლუციაში ნაოქვამია, რომ დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას ადგილმამულები იმათ, ვინც სხვისი შრომის ექსპლოატაციას ეწეოდა და უფასოდ მიეცეს მიწები უმიწო და მცირემიწიან გლეხობას.[508]

ასეთივე შინაარსის დადგენილება მიიღო ე.წ. წითელი მეჯლისის I ყრილობამ, რომელიც 1921 წლის ნოემბერში გაიმართა. მეჯლისმა თხოვნით მიმართა ბათუმის საოლქო რევკომს, რათა გამოეცა ბრძანება მიწის ყიდვა-გაყიდვისა და იჯარით გაცემის აკრძალვის შესახებ. მართლაც, ასეთი ბრძანება გამოქვეყნდა 1921 წლის 5 დეკემბერს.[509] ამის მიუხედავად, მიწის ყიდვა-გაყიდვა და იჯარით გაცემა ფარულად გრძელდებოდა. ეს გარიგებები ცნობილი იყო ხელისუფლებისათვის. აჭარის საბჭოების VI ყრილობის (1926 წლის მარტი) რეზოლუციაში აღნიშნა: „ხშირად ადგილი აქვს მიწის ფარულ ყიდვა-გაყიდვას".[510]

აგრარული რეფორმის რეალურად განხორციელება 1922 წლიდან დაიწყო. ამისათვის შეიქმნა სათემო, სამაზრო და საოლქო სადგილმამულო კომისიები, რომლებშიც მრავალრიცხოვანი მოხელეები და გლეხები შედიოდნენ. მათ აღწერეს საერთო მიწები (სახნავ-სათესი, საძოვრები, ტყეები), მოსახლეობა (კომლები, სულადობა) და მათი მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა. მაშინ აჭარის მიწების საერთო ფართობი 265 ათას დესეტინას შეადგენად. მათ

---

508 ასხგსმაპ, დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1921-1925 წწ., ბათ., 1975, გვ.
509 იქვე, გვ. 237-238.
510 აჭარის საბჭოების ყრილობები, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1921-1937 წწ., ბათ., 1971, გვ. 200.

შორის ტყესა და ბუჩქნარებს ეკავათ 209,6 ათასი დესეტინა. აქედან გამოსადეგი ტყე იყო 110,9 ათასი დესეტინა.[511]

მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი მიწები (სახნავ-სათესი), საერთო ფართობი 14,4%-ს შეადგენდა. მაზრების და მოსახლეობის მიხედვით მათი განაწილება შემდეგ სურათს იძლევა (დესეტინარით).[512]

ცხრილი 1.

მაზრები	სავარგულები	კომლები	სულადობა	საშუალოდ მოდიოდა	
				ერთ კომლზე	ერთ სულზე
ხულოს	8473	3552	24725	2,4	0,3
ქედის	1752	1736	10574	1,0	0,2
ჭოროხის (ბათუმის)	7402	3082	15902	2,4	0,5
ქობულეთის	7238	2962	16164	2,5	0,5
სულ აჭარაში	24865	11332	67365	2,2	0,4

აჭარაში საშუალოდ ერთ ოჯახზე მოდიოდა 2,2 დესეტინა სხნავ-სათესი, სოლო თითო სულზე 0,4 დესეტინა, რაც საქართველოს საერთო რესპუბლიკურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. სავარგულების მიხედვით შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო ქობულეთისა და ჭოროხის (ბათუმის) მაზრებში, მაგრამ აქაც ნორმაზე მეტი

[511] აცსა. ფ. რ-2, ან. 1, ს. 90 ფურც. 19.
[512] ცხრილი შედგენილია: აცსა. ფ. რ-2 ან. 1, ს. 176, ფურც. 44-54.

მიწები მხოლოდ მემამულეებსა და მოახალშენე კოლონისტთა ნაწილს ჰქონდათ.

საქართველოს ცაკმა 1923 წლის მაისში დაამტკიცა დებულება მიწათმოწყობის შესახებ, რითაც დაწესდა საკომლო მიწის ნორმები. ეს ნორმები აღმოსავლეთ საქართველოში იყო 4 ჰექტარი, ხოლო დასავლეთ საქართველოში 2,5 ჰექტარი. საგულისხმოა, რომ ზემოთ აღნიშნული დებულებით გამონაკლის შემთხვევაში დაუშვეს მიწის კერძო საკუთრება და მიწის იჯარა (დეკრეტი მიწის შესახებ ამას კრძალავდა), მაგრამ პრაქტიკულად ეს უფლება არ გატარებულა. აჭარის ცაკმა 1925 წელს დაამტკიცა მიწის კოდექსი, რომელშიც განსაზღვრულია მიწათმფლობელობისა და მიწათმოწყობის წესები და საკომლო ნორმები.

აგრარული რეფორმა ტარდებოდა პრინციპით: მიწა ჩამოერთმევას ყველა მიწათმფობელს, ვინც საკუთარი შრომით არ ამუშავებს. აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა რეგიონის მცირემიწიანობის გათვალისწინებით დააწესა თითოეული კომლისათვის მიწის ნორმები. განსაზღვრა საშუალო კომლის სულადობა (4-6). 1922 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიწები 5 კატეგორიად დაიყო. საკომლო მიწის ნორმებიც განსხვავებული იყო.

პირველ კატეგორიას ეკუთვნოდა ზღვის სანაპირო ზოლის მიწები. ნაყოფიერი სავარგულების მიხედვით ეს ტერიტორია საუკეთესოდ ითვლებოდა, სადაც შესაძლებელი იყო დესეტინა მიწაზე 200 ფუთი სიმინდის მოსავლის მიღება. აქ საშუალო კომლზე ნორმად დაწესდა 1-2 დესეტინა სავარგულო. მეორე კატეგორიაში შედიოდა

ნაქვისა და კინტრიშის ხეობების მდინარეთა სანაპირო მიწები. ამ ზონაში ანგარიშობდნენ 150 ფუთი სიმინდის მოსავლის მიღებას. საშუალო კომლის ნორმად დაწესდა 1,5-3 დესეტინა. ამავე ხეობების მომაღლო მინდვრიანი მიწები მესამე კატეგორიად ჩაითვალა, სადაც საშუალო ოჯახის ნორმად დაადგინეს 2-4 დესეტინა. ვარაუდით აქ შესაძლებელი იყო დესეტინაზე 100 ფუთი სიმინდის მოსავლის მიღება.

მთიანეთში სავარგულების ორი კატეგორია დაადგინეს (მეოთხე და მეხუთე). მეოთხე კატეგორიას მიაკუთვნეს მიწები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დესეტინაზე 80 ფუთი სიმინდის მოსავლის მიღება. კომლის ნორმად დააწესეს 2,5-4,5 დესეტინა. მეხუთე კატეგორიას მიაკუთვნეს დაბალნაყოფიერი მიწები, სადაც დესეტინაზე მიიღებდნენ 50-60 ფუთ სიმინდის მოსავალს. საშუალო ოჯახის ნორმად დაადგინეს 3,5 დესეტინა სავარგული. საშაული ოჯახის თითოეული ნამეტ წევრს დამატებით ეძლეოდა ნორმირებული მიწის ერთიმეათედი. შრომისუნარიან მუშახელად ჩაითვალა ოჯახის წევრები 15-დან 60 წლამდე.[513]

ცხადია, ნორმირებული მიწები არასაკმარისი იყო მოსახლეობის ცხოვრებისათვის. ხელისუფლება მიწის მცირე ნორმებითაც კი მოსახლეობას ვერ უზრუნველყოფდა. დადგენილი ნორმის ფარგლებში მოსახლეობის სავარგულებით უზრუნველსაყოფად დამატებით საჭირო იყო 14211 დესეტინა მიწა.[514]

---

[513] აცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 19, ფურც. 6.
[514] აცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს 20, ფურც. 11.

მთაგორიანი რელიეფის პირობებში საკარგულების გამოიყენება პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანდა. ამიტომ ვლეხობა ითითოეული გოჯა მიწას შვილივით უვლიდა. გასაბჭოებამდე და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აჭარის გლეხობა უმწეო მდგომარეობის მიუხედავად ქვეყნის მარჩენალი და გადასახადების ძირითადი გადამხდელი იყო. 1923-1924 სამეურნეო წელს შემოიღეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. იგი დაწესდა სახნავ მიწებზე, სათიბებზე, მრავალწლიან ნარგავებზე, დესეტინაზე პურის მოსავალზე, საქონლის რაოდენობაზე.[515]

გადასახადებს აწერდნენ როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ მეურნეებს.[516] ძირითადი სიმძიმე საშუალო და შეძლებულ გლეხებზე მოდიოდა. მაგრამ მოსახლეობა ვერ იხდიდა. მაგალითად, 1924 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ამოიღეს 35%-ით.[517]

1928 წლის 25 სექტემბერს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ამოღების საკითხი საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ განიხილა და დადგენილებაში აღნიშნა, რომ აჭარისა და რაჭა-ლეჩხუმში ამოღებულია 48%-ით. აჭარის ხელისუფლების ორგანოებში დიდძალი განცხადებები შედიოდა გადასახადების შემცირების შესახებ. მოსახლეობა ჩიოდა, რომ ზედმეტადაა შეწირული გადასახადები.[518]

გაბერილი გადასახადების შესახებ აღნიშნა საქართველოს სახკომსაბჭოს 1928 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე. აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს პლენუმისა და ეკონომიკური

---

[515] აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 199, ფურც. 109.
[516] აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 187 ფურც. 164.
[517] იქვე, ს. 718, ფურც. 164.
[518] იქვე, ფურც. 119, 125-161.

საბჭოს გაერთიანებული სხდომის (1929 წლის 11 იანვარის) დადგენილებაში ნათქვამია, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადების ამოღება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და დაავალა საფინანსო სამსახურს ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება.[519]

მიწასთან დაკავშირებით წინასწარ სისტემატურად ხდებოდა დაპირისპირება მეზობლებსა და თვით გვარის შიგნითაც. მართალია, მიწათფლობელობა-მიწათსარგებლობის საკითხი ისტორიულად ყოველთვის სადავო იყო, მაგრამ აგრარული რეფორმის გატარებისას, ისიც მცირემიწიან ქვეყანაში, მწვავე ხასიათს იძენს. დავის მიზეზი უმეტეს შემთხვევაში იყო მიწების მკაფიო გაუმიჯნაობა. 1922 წელს აჭარის ხელისუფლებამ მიწის შესახებ 2500-მდე სადავო საკითხი შეისწავლა და სათანადო ღონისძიებები გაატარა.[520]

ამის მიუხედავად, დავა-საჩივრები და დაპირისპირება არ შეწყვეტილა. ზოგჯერ საქმე ფიზიკურ შეხლა-შემოხლამდე და მკვლელობამდეც კი მისულა. 1923 წლის ცნობით, აჭარაში ყოველწლიურად 50-მდე მკელელობა ხდებოდა. ამის ძირითადი მიზეზი მიწის საკითხი ყოფილა. კონკრეტულად, 1923 წელს აჭარაში აღირიცხა 195 მკელელობა, 41 დაჭრა, 62 ცემა-ტყეპა. აქედან 48 მიწასთან იყო დაკავშირებული, ხოლო 55 მოხდა ქალის გამო.[521]

ქობულეთის მაზრაში 1923 წელს მიწის შესახებ 168 საჩივარი დაფიქსირდა.[522] დავა-საჩივრები გაცილებით მეტი

---

[519] იქვე, ს. 778, ფურც. 4.
[520] აცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 19, ფურც. 8.
[521] იქვე. ფ. რ-2, ან. 1, ს. 199, ფურც. 2-3, 22; ს. 203. ფურც. 4
[522] იქვე, ს. 187, ფურც. 157.

იყო ბათუმის (ჭოროხის), ქედისა და ხულოს მაზრებში. ამ პროცესმა ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული კომისია შექმნა აჭარაში მიწის შესახებ სადავო საკითხების გადასაწყვეტად. კომისია ორსაფეხურიანი იყო. პირველ ინსტანციაში შედიოდნენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მეორე ინსტანციაში პარტიული ორგანოების წარმომადგენლებიც შეიყვანეს. 1922 წლის ივლისიდან 31 დეკემბრამდე კომისიაში 69 საჩივარი შევიდა. ისინი შეისწავლეს და შესაბამისი ღონისძიებებიც გაატარეს.[523]

სისტემატური ხასიათი ჰქონდა დავა-საჩივრებს სოფლებს შორის ტყისა და საზოგადოებრივი სარგებლობის საძოვრების გამო. დავა-საჩივრებმა ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ აჭარის სახკომსაბჭომ ეს საკითხი რამდენჯერმე განიხილა 1923-1924 წლებში. ამის შემდეგ საძოვრები გადავიდა სახელმწიფო ფონდში და სარგებლობის უფლება ეძლეოდა იმ სოფლებს, ვისაც ნამდვილად ესაჭიროებოდათ.[524]

მართალია, გასაბჭოებისას აჭარის მემამულეები ადგილმამულების მნიშვნელოვან ნაწილს ფლობდნენ, მაგრამ ოჯახების განაწილების შედეგად ისინი აღარ ითვლებოდნენ მსხვილ მიწათმფლობელებად. მემამულეების მიწების ნაციონალიზაცია და გლეხებზე გადაცემა მოსახლეობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის პრობლემას ვერ ხსნიდა. ნაციონალიზებული მიწების ხარჯზე შესაძლებელი

---

523 აცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 19, ფურც. 8

524 იქვე, ფ. რ-2, ან. 1, ს. 199, ფურც. 20.

იყო გლეხთა მხოლოდ მცირე ნაწილის მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მთავარი ის იყო, რომ მემამულეებისა და სოფლის ბურჟუაზიის პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოცილებასთან ერთად მოერყია მათი ეკონომიკური ძლიერებაც. მიწის ნაციონალიზაციით მათ ხელიდან ეცლებოდათ ეკონომიკური ძლიერების საფუძველი-ადგილ-მამულები.

აჭარაში ადგილობრივი მემამულეების და მოახალშენე კოლონისტების მიწების ნაციონალიზაცია 1922 წელს დაიწყო და 1927 წლის ბოლომდე გაგრძელდა. თავდაპირველად მიწები უსასყიდლოდ ჩამოართვეს ბათუმისა და ქობულეთის მაზრებში, რომელთა რაოდენობა 285 დესეტინას შეადგენდა. 1922 წლის ბოლოს მემამულეების კონფისკირებული მიწები 464 დესეტინას უდრიდა. აქედან კინტრიშის რაიონში ჩამოართვეს 368 დესეტინა, ჩაქვის – 15, კაპანდიბის – 67, ხოლო ბათუმის რაიონში – 14 დესეტინა. უმოწყალო და მცირემიწიან გლეხებს უფასოდ გადასცეს 419 დესეტინა. დანარჩენი სახელმწიფო ფონდში გადაირიცხა.[525]

ცხადია, რომ ეს იყო აგრარული რეფორმის ნაწილი. რეფორმა ძირითადად განხორციელდა 1923 წელს, როდესაც მემამულეებს ჩამოართვეს 7200 ჰექტარი ადგილ-მამული. 1924 წელს კონფისკირებული იყო 690 ჰექტარი, 1925 წელს – 415, 1926 წელს – 660, ხოლო 1927 წელს – 450 ჰექტარი.

---

[525] აცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 19, ფურც.6; ფ.რ-84, ან. 1, ს. 167 ფურც.4; ფ.რ-2, ან. 1, ს. 90, ფურც.8.

მოლიანობაში აღებული 1922-1927 წლებში კონფისკირებული იყო 9700 ჰექტარი ადგილ-მამული.[526]

ხიმშიაშვილებს უსასყიდლოდ ჩამოართვეს 5450 დესეტინა. მათ შორის იყო: სახნავ-სათესი 184 დესეტინა, საძოვრები – 2949, ტყე – 1896, ხოლო გამოუსადეგარი მიწები – 451 დესეტინა. კონფისკირებული ადგილ-მამულები გადაეცა სულოს მაზრის მიწათმოქმედების განყოფილებას. შემდგომში მდელოები და ტყეები სახელმწიფო ფონდს გადაეცა, ხოლო სახნავ-სათესი მიწები ადგილობრივ გლეხებს გაუნაწილეს. ასეთივე ბედი ეწვია აბაშიძეებს, ბიბინეიშვილებს, ბეჟანიძეებს, ჩავლეიშვილებს და სხვა მემამულეებს. აბაშიძეების კონფისკირებული მიწები 237 დესეტინას შეადგენდა, რომელიც გაუნაწილეს ურეხის, კახაბრისა და გოროდოკის გლეხებს.[527]

მემამულეებისა და სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგობების ჩახშობის მიზნით საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში 1923 წელს შექმნა გლეხთა კომიტეტები. აჭარაში გლეხთა კომიტეტები დაარსდა 1924 წელს. ჩამოყალიბდა 12 სათემო, 2 სარაიონო და 5 სამაზრო გლეხთა კომიტეტი, რომლებშიც გაერთიანდა 11000 კაცი. მათ მუშაობას წარმართავდა საოლქო გლეხთა კომიტეტი. დაფინანსების წყარო იყო საწევრო-ანარიცხები და საბიუჯეტო თანხები.[528]

გლეხთა კომიტეტების ამოცანას შეადგენდა საშუალო და ღარიბი გლეხობის დარაზმვა საბჭოთა ხელისუფლების

---

[526] აცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 167, ფურც. 4.

[527] ასხგსმაპ, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1921-1925 წწ., ბათ., 1975, გვ. 267, 283.

[528] აცსა, ფ. რ-2, ან. 1, 199, ფურც. 21.

დასაცავად, საჩვენებელი კოლექტიური მეურნეობის შექმნა, საეჭრო წერტილების გახსნა და გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღებაში. ყოველივე ეს ტარდებოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი გლეხობის გაერთიანების მიზნით.

საბჭოთა ხელისუფლება არ დასჯერდა მემულეების მიწების კონფისკაციას. მათ უსასყიდლოდ ჩამოართვა საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი. 1923 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 3 მაზრაში (ჭოროხის, ქედისა და ხულოს) ბეგებს ჩამოართვეს 24 საცხოვრებელი სახლი (3 ქვის), სულ 99 ოთახი, 12 საცხენე და ფარდული, მეცხოველეობის ფერმა და სხვა. მაგალითად, ჭოროხის მაზრაში ომერ-აღა მემედ ზადეს ჩამოართვეს ქვის სახლი, საცხენე და ფარდული. ბიბინეიშვილებს (სულიბეგი, სკენდერი, რემზი, ხუსეინი) წაართვეს 3 სახლი 12 ოთახით, სასაფხულო აგარაკი (სარი-ჩაირი), 2 საცხენე. ისინი გადაეცა ერგეს კომკავშირულ ორგანიზაციას და სკოლას. ჯელალ ხალვაშს ჩამოართვეს 3 სახლი 7 ოთახით. აბაშიძეებს (3 კომლი) წაართვეს სამი საცხოვრებელი სახლი 10 ოთახით. სანაძესა და ქუთათელაძეს, მიწასთან (35 დესეტინა), საცხოვრებელ სახლთან ერთად, ჩამოართვეს მეცხოველეობის ფერმა.[529]

ქედისა და ხულოს მაზრებში საცხოვრებელი სახლები, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა-

---

[529] აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 199, ფურც. 481; ს. 237, ფურც. 5; ფ. რ-77, ან. 1, ს. 14, ფურც. 52-53.

ნაგებობანი წაართვეს ხიმშიაშვილებს, შერვაშიძეებს, თავდგირიძეებს, ლორთქიფანიძეებს (ქოროღლი) და სხვა.

მაგალითად, ქედის მაზრაში შერვაშიძეებს, რომლებიც 6 ოჯახს შეადგენდნენ, წაართვეს საცხვორებელი სახლები, სულ 32 ოთახი, 2 ფარდული. სოფელ კიბეს მაცხოვრებელს მოლა ასან ლორთქიფანიძეს, რომელსაც რამდენიმე საცხვორებელი სახლი ჰქონდა, აჭარისწყალზე ჩამოართვეს ორსართულიანი სახლი და გადაეცა ჯამრთელობის დაცვის სისტემას. საცხოვრებელი სახლი ჩამოართვეს თავდგირიძეებს (აჭარისწყალი), სადაც განთავსდა სახელმწიფო დაწესებულებები. ქედის მაზრის სოფელ ძენწმანში საცხოვრებელი სახლი ჩამოართვეს ფეიზულა მუსტაფის ძე სურმანიძეს.

აჭარისწყლის მაზრაში წულუკიძეებს (ოსმან, ფელულ, რიზა, იუსუფი) წაართვეს 4 საცხოვრებელი სახლი 20 ოთახით, 2 ნალია. იუსუფბეგ ნაკაშიძეს ჩამოართვეს სახლი 3 ოთახით, ნალია და სხვა.

ხულოს მაზრაში (დაბა ხულო) ჯემალ, ზაბით, ასლან, ჯეფერ, შევქეთ ხიმშიაშვილებს ჩამოართვეს 6 საცხოვრებელი სახლი, 2 საზაფხულო აგარაკი (სარი-ჩაირი), 2 საცხენე და სხვა. ჯემალ ხიმშიაშვილის სახლი, რომელიც 12 ოთახისაგან შედგებოდა, გადაეცა ხულოს მაზრის აღმასკომს, ხოლო ზაბით ხიმშიაშვილის სახლი – აჭარის ჯამრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს, რომელშიც მაზრის საავადმყოფო განთავსდა.[530]

---

[530] აცსა, ფ.რ-2, ან. 1, ს. 199, ფურც. 481; ს. 237, ფურც. 18; ფ. რ-77, ან. 1, ს. 14, ფურც. 52, 58-59, 198.

აჭარის სახკომსაბჭოს 1928 წლის 12 ივნისის დადგენილებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება მიეცა აუქციონზე გაეყიდა ბეგების საზაფხულო დასასვენებელი სახლები და ამისათვის სპეციალური კომისია შეიქმნა.[531]

ქობულეთის მაზრაში ადგილობრივი მემამულეებიდან 1923 წელს კონფისკაცია შეეხო მემედ მუავანაძეს, ყემბერ ხარაზს, ყოფილ გენერლებს დუმბაძეს, ლაუნცის, გორლოვს და სხვებს. მაგალითად, ყემბერ ხარაზს წაართვეს სამი საცხოვრებელი სახლი (ერთი ხის, სამი ქვის), სულ 20 ოთახი. მემედ მუავანაძეს ჩამოართვეს ხუთოთახიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც მაზრის აღმასკომი განთავსდა. გენერალ ფონსტერ ლაუნცის წაართვეს კაპიტალური სახლი 16 ოთახითა და ეზოთი და ა.შ. 1924 წლის 25 აპრილის ბრძანებით ქ. ბათუმში კონფისკაცია გაუკეთეს 23 სახლს 368 ოთახით. მათ შორის კაზანჯოღლის ჩამოართვეს 110 ოთახი, ჭყონიას – 27, იუნგის – 17, მიხაილიდს – 33, აკინიანს – 32 ოთახი.[532]

მართალია, საბჭოთა ხელისუფლების საკანონმდებლო აქტები, უწინარესად დეკრეტი მიწის შესახებ ადგილობრივი ორგანოებისათვის სამოქმედო პროგრამად ითვლებოდა. აქ არჩევანი არ არსებობდა, მაგრამ ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინება ასევე საეალდებულო იყო. მით უმეტეს, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ამის შესაძლებლობას იძლეოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ჯეროვნად ვერ გაითვალისწინა რეგიონის თავისებურებანი:

---

[531] აცსა, ფ. რ-2, ან. 1, 1, ს. 699, ფურც. 16.
[532] აცსა, ფ. რ-77, ან. 1, ს. 14, ფურც. 52; ფ. რ-2, ან. 1, ს. 186, ფურც. 108.

უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობის სიჭარბე, მიწათ-დაქსაქსულობა, წვრილი მემამულური მამულები, საერთოდ პარცელური მეურნეობები, სათემო მიწათმფლობელობა და სხვა.

აგრარული რეფორმის გატარებისას, საერთოდ მემამულეებთან დამოკიდებულებაში ფსიქოლოგიური მომენტიც არ ყოფილა გათვალისწინებული. ცხადია, რეფორმისადმი ადაპტაცია გარკვეულ დროს მოითხოვდა. ზომიერი, ლიბერარული მიდგომების ნაცვლად ხელისუფლება უკიდურეს რადიკალიზმს მიმართავდა. ასეთ პირობებში ადგილობრივი მემამულეების ნაწილი, ფიზიკური გადარჩენის მიზნით, სამშობლოს ტოვებდა. ვინც ვერ წავიდა, საბჭოთა ხელისუფლების მსხვერპლად იქცა.

მემამულეებზე ჩამორთმეული მიწები 1923 წელს 1500 გლეხურ კომლს გადასცეს. მაგრამ ამით უმიწო და მცირემიწიანი გლეხების 20% დაკმაყოფილდა.[533]

საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარის თავადაზნაურობა (აღა-ბეგები) ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ მათი ფიზიკური გადარჩენა საფრთხის ქვეშ დადგა. თავადაზნაურების ოჯახის წევრებმა, უმეტესად ქალებმა და მოზარდებმა (მამაკაცები დაპატიმრებული იყვნენ ან უცხოეთში გადახვეწილი) განცხადებით არაერთხელ მიმართეს ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ჩამორთმეული მიწისა და ქონების დაბრუნების შესახებ. არქივსაცავებში ამის შესახებ არაერთი მასალაა შემონახული. მაგალითად, მემედ აბაშიძის ოჯახის წევრმა სეფურე აბაშიძემ 1923

---

533 ასხგსმაპ, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1921-1925 წწ., ბათ., 1975, გვ. 268.

წლის 20 აგვისტოს განცხადებით მიმართა აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს. მასში ნათქვამია:

მთელი ოჯახი ქალებისაგან შედგება. შიმშილით, რომ არ ამოვიხოცოთ, გთხოვთ დაგვიბრუნოთ ჩვენი საგვარეულოს ხუთი ოჯახის მამულიდან მეხუთედი ნაწილი მაინც. ეს ერთადერთი ნუგეშია ჩვენი ცხოვრებისა, რომ წვრილ შვილებს მივაშველოთ ლუკმა-პური. განმცხადებელი მოითხოვს აგრეთვე ავტომანქანის დაბრუნებას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ წაართვა. განცხადებას ადევს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის რეზოლუცია: „მიწსახკომს! რამდენი აქვს ჩამორთმეული. სადმე დატოვებული აქვს მიწა თუ არა. თქვენი შეხედულება ამ საკითხზე". მიწათმოქმდების სახალხო კომისარი 1923 წლის 31 აგვისტოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს მოახსენებდა: აბაშიძეებს სულ ჩემოერთვათ 200 დესეტინა მიწა და დატოვებული არ აქვთ და არც მიეცემათ იმ მოტივით, რომ ზემოხსენებული აბაშიძის ოჯახი არასოდეს ეწეოდა პირად ფიზიკურ შრომას.[534]

აბაშიძეებმა ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელობას განმეორებით რამდენჯერმე მიმართეს მიწისა და ქონების დაბრუნების შესახებ, მაგრამ უშედეგოდ.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ხიმშიაშვილები. გასაბჭოების შემდეგ, სოციალურ-პოლიტიკური დევნის გამო, მამაკაცების უმრავლესობა ოსმალეთში გადაიხვეწა და ცოლ-შვილი უპატრონოდ დარჩა. საბჭოთა ხელისუფლება მათ მიმართ მკაცრ რეპრესიებს ატარებდა. 1924 წლის 21 მარტს შერიფ ჯეფერის ძე ხიმშიაშვილმა (14

---

[534] აცსა. ფ. რ-2, ან. 1, ს. 186, ფურც. 26-28.

წლის) აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს განცხადებით მიმართა, რომელშიც აღნიშნულია: მამაჩემი ჯეფერი სამი წლის წინათ წავიდა საზღვარგარეთ და დაგვტოვა 7 სული (დედა და 6 შვილი). ძალიან გვიჭირს, რადგან ხელისუფლებამ ჩამოგვართვა ქონება, ავეჯი, საქონელი, სიმინდი, დაგვილუქეს სახლ-კარი და გამოგვიცხადეს: აქედან წადით საზღვარგარეთ ან სხვა სოფელში გადადითო. ასლა ზამთარია და სხვაგან წასვლა არ შეგვიძლია. გთხოვთ, დაგვიბრუნოთ ქონება და დაგვრთოთ ნებართვა აქ (სხალოაში) ვიცხოვროთო.[535]

აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს ანალოგიური თხოვნით მიმართეს ყაია ხიმშიაშვილის მეუღლემ (სულთანი) და თემურ ხიმშიაშვილის მეუღლემ (აიშე). ისინი ცხოვრობდნენ სოფელ სხალთაში და უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მოითხოვდნენ ადგილზე ცხოვრების ნებართვას და ქონების დაბრუნებას.[536]

1923 წელს და მომდევნო წლებში საქართველოს ცენტრალურ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მიწისა და ქონების დაბრუნების შესახებ არაერთხელ მიმართეს წულუკიძეებმა, შერვაშიძეებმა და სხვებმა.

1926 წელს წულუკიძეები მოითხოვდნენ გონიოში ჩამორთმეული მიწის დაბრუნებას. ამის თაობაზე 23 აპრილს აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ მიწათმოქმე-

---

[535] აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 237, ფურც. 25.
[536] იქვე, ფურც. 26-27.

დების სახალხო კომისარს დაავალა დააკმაყოფილონ წულუკიძეების მოთხოვნა.[537]

ამის საფუძველი ის იყო, რომ საგვარეულოს ოჯახებად დანაწილების შედეგად წულუკიძეებს დაწესებული ნორმით მიწები აღარ ჰქონდათ.

1923 წლის 3 მარტის განცხადებით ჰერეთ შაშიკოღლი მოითხოვდა მიწის დაბრუნებას. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის პასუხში ნათქვამია: თქვენს ოჯახზე ჩამორთმეულ მიწებზე ადგილობრივმა მოსახლეობამ სახლები ააგო და ამჟამად მათი ჩამორთმევა ძნელიაო. 1923 და 1925 წლებში თხოვნა-საჩივრით მიმართა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ახმედ ფაღავამ, რომელსაც სოფელ სალიბაურში წაართვეს ადგილ-მამული.[538]

1923 წლის ივლისში ყემბერ-აღა ხარაზის მეუღლემ (მერიემი) თხოვნით მიმართა აჭარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. იგი თხოულობდა ჩამორთმეული სახლებისა და ქონების დაბრუნებას. მერიემ ხარაზი აღნიშნავდა: ჩემი ქმრის (ყემბერი) გარდაცვალების შემდეგ ოჯახში დავრჩით 10 სული. მცირეწლოვანი ბავშვები მყავს და არსებობის სხვა საშუალება არ გამაჩნიაო. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მ. ხარაზის განცხადება აჭარის ცაკს გადაუგზავნა. როგორც ჩან, იგი უარით გაისტუმრეს.[539]

შერვაშიძეების საგვარეულოდან ხელისუფლების მისამართით არაერთი თხოვნა-საჩივარი გაიგზავნა. 1928 წლის ივნისში შირინ შერვაშიძემ (ცხოვრობდა ალიქოღლებში)

---

537 აცსა. ფ. რ-2, ან. 1, ს. 346, ფურც. 106.
538 აცსა. ფ. რ-2, ან. 1, ს. 98, ფურ. 81, 126; ს. 346, ფურც. 14.
539 აცსა. ფ. რ-77, ან. 1, ს. 14, ფურც. 102.

აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს განცხადებით მიმართ, რომელშიც წერია: ჩემი ოჯახი შედგება 9 სულისაგან. პირადად 70 წლის ვარ. რაც ვიშოვე, ქედაში სახლები ავაგე. არ გამაჩნია საკმარისი მიწა. კარგი მუშაობით ჩემი საკარმიდამო მიწა 8 თვის საკმარის სარჩო-საბადებელს არ იძლევა. შ. შერვაშიძე მოითხოვს ქედაში ჩამორთმეული სახლების დაბრუნებას.[540]

იუსუფ-აღა ვარშალომიძეს ქ. ბათუმში 1923 წელს ჩამოართვეს საცხოვრებელი სახლი. 28 სექტემბერს თხოვნასაჩივარით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს და მოითხოვა კონფისკირებული სახლის დაბრუნება. ეს თხოვნა არ დააკმაყოფილეს. 1928 წლის თებერვალს ისევ თხოვნით მიმართა იმავე ორგანოს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ისინი არიან ოთხი ძმა 40 სულადობით. იუსუფ-აღა ვარშალომიძე მოითხოვს მის დაბრუნებას.[541]

მემამულე-თავადაზნაურების დაუძლურება-დაკნინების კიდევ ერთი მოწმობაა სოფელ მაჭახლისაპირში მცხოვრებ ფ. წულუკიძის განცხადება, რომელიც ქედის მაზრის აღმასკომში შეიტანა 1928 წლის 13 იანვარს. ამ უკანასკნელმა აჭარის ცაკს გადაუგზავნა. ფ. წულუკიძე 80 წლის მოხუცი იყო და უკიდურესად უჭირდა. იგი მოითხოვდა ფულით დახმარებას. აჭარის სახკომსაბჭოს დავალებით ავტონომიური რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებამ მას დახმარების სახით 30 მანეთი გასცა.[542]

---

540 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 618, ფურც. 295-296.
541 იქვე. ს. 186, ფურც. 44; ს. 625, ფურც. 51.
542 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 611, ფურც. 35-37.

1930 წლის იელისში ფერიდე ზაბითის ასულმა ხიმშიაშვილმა თხოვნით მიმართა ამიერკავკასიის ცაკის თავმჯდომარეს დასახლება სულოში მამისეული საცხოვრებელი სახლისა და ეზო-კარმიდამოს დაბრუნების შესახებ. მაგრამ პასუხად უარი მიიღო და საცხოვრებლად ბათუმში გადმოსვლა ურჩიეს.[543]

ეს ერთეული ფაქტებიც ცხადყოფენ, რომ საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება თავადაზნაურების (მემამულეების) მიმართ დანაშაულის ტოლფასია. მართალია, აგრარული რეფორმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განხორციელდა, მაგრამ ასეთი რადიკალიზმი და ულმობლობა იშვიათობას წარმოადგენს. აჭარის მაგალითზე საქმე გვაქვს ადამიანის სიცოცხლისა და მინიმალური საარსებო პირობების ხელყოფის, მისი ღირსების შელახვასთან.

პროგრესულ ღონისძიებად ჩაითვლება მოახალშენე კოლონისტების ადგილ-მამულების ნაციონალიზაცია, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ 1921-1925 წლებში განახორციელა. საქმე ის არის, რომ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ამ რეგიონის საუკეთესო მიწები ხელთ იგდეს უცხოელებმა, ძირითადად რუსებმა. მართალია, მოახალშენებმა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად დიდძალი კაპიტალი დააბანდეს. მათი მეცადინეობით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ახალ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. ამავე დროს ქართველ კაცს პრაქტიკულად ხელიდან გამოეცალა

---

[543] იქვე, ს. 826, ფურც. 21.

ეროვნული სიმდიდრე – ადგილ-მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი.

გასაბჭოებამდე ნაციონალიზებული იყო მხოლოდ ჩაქვის საუფლისწულო მამული. 1921 წელს განახორციელდა კ. პოპოვის მეურნეობის ნაციონალიზაცია. მოახალშენეთა მამულების სრული ნაციონალიზაცია 1922 წლიდან დაიწყო. აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან სპეციალური კომისია მუშაობდა, რომელმაც მნიშვნელოვანი შრომა გასწია ამ მიმართულებით. აღწერეს კულტივირებული მეურნეობები, დაარეგისტრირეს, დაყვეს კატეგორიებად. 1924-1925 სამეურნეო წელს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ითვლებოდა 289 კულტივირებული მამული. კომისარიატი მათ ხუთი წლის იჯარით აძლევდა. 1924 წელს იჯარით გაიცა 124 ადგილ-მამული, ხოლო მომდევნო წლისათვის გაფორმდა 253 საიჯარო ხელშეკრულება. 1925-1926 სამეურნეო წელს საიჯარო გადასახადი 4703 მანეთს უდრიდა.[544]

მოახალშენეთა თითქმის ნახევარი ადგილზე აღარ ცხოვრობდა. ისინი, რთული პოლიტიკური პირობების გამო, საზღვარგარეთ გადაიხვეწნენ. 1924 წლის 27 იანვრის ცნობით, აჭარაში ადგილ-მამულები თვითნებურად მიტოვებული ჰქონდა 143 მოახალშენეს.[545]

დანარჩენები ადგილზე დარჩნენ და შეუპოვარად იბრძოდნენ თავიანთი მამულების შენარჩუნებისათვის. ამ საქმეში ჩართული იყვნენ ხელისუფლების საკავშირო ორ-

---

[544] აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 281, ფურც.84; ს. 644, ფურც. 214.
[545] იქვე, ფ. რ-84, ან. 1, ს. 52, ფურც. 72-74.

განოები, საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოები და საკონსულოები.

კომისიამ სახელმწიფო მნიშვნელობის მამულად ჩათვალა 177 კულტივირებული მეურნეობა. აჭარის სახკომსაბჭოს 1925 წლის 4 აპრილის დადგენილებით განახორციელდა მათი უსასყიდლო ნაციონალიზაცია. ნაციონალიზებული მამულების საერთო ფართობი 824 დესეტინას შეადგენდა. სოფლების მიხედვით ასე ნაწილდებოდა: ორთაბათუმის რაიონში (სალიბაური, კაპრეშუმი, ახალშენი, სოუქსუ, ფერია, გოროდოკი და სხვა) მდებარეობდა 57 მეურნეობა (296 დესეტინა), ყარადერეში – 7 (58,5 დესეტინა), მწვანე კონცხზე – 22 (77 დესეტინა), მახინჯაურში – 40 (181,5 დესეტინა), ციხისძირში – 53 მეურნეობა (211,5 დესეტინა) და სხვა.[546]

ნაციონალიზებული მამულები სახელმწიფო ფონდს გადაეცა და გამოიყენებოდა დანიშნულებისამებრ. მოახალშენეთა კონფისკირებული მამულები სამ კატეგორიად დაიყო. პირველ კატეგორიად ითვლებოდა მამულები, რომელთაც შედარებით დიდი ფართობი ეკავათ და მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდა. ისინი გადაეცა აჭარის საბჭოთა მეურნეობების სამმართველოს.[547] მეორე კატეგორიის მამულები იჯარით გასცეს ადგილობრივ გლეხებს. აქედან შემოსული თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხებოდა. მესამე კატეგორიის მამულები უფასო მუდმივ სარგებლობაში გადაეცა ღარიბ გლეხობას. აჭარის ცაკის 1928 წლის 4 აპრილისა და სახკომსაბჭოს 12 ივლისის

---

546 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 370, ფურც. 3-4; ფ. რ-4, ან. 1, ს. 110, ფურც. 8-10.
547 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 644, ფურც. 214.

დადგენილებით გაუქმდა კულტივირებული მამულების ოჯარით გაცემა. ისინი გადაეცა საბჭოთა მეურნეობების სამმართველოს მოვლა-პატრონობისათვის. მოიჯარადრეებს კი კომპენსაცია ეძლეოდათ სათანადო კომისიის დასკვნის საფუძველზე.[548]

მოახალშენეთა წვრილი მეურნეობები და აგარაკების ნაწილი 1925 წლის პირველ აპრილს აღრიცხვიდან მოიხსნა და მესაკუთრეებს დაუტოვეს. მათი რიცხვი 103 ერთეულს შეადგენდა, ხოლო მიწის საერთო ფართობი 340,5 დესეტინას უდრიდა.[549]

სხვათა შორის ამის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დადგენილება რუსულ პრესაში დაიბეჭდა, სადაც მოცემულია სახელობითი სიები მოახალშენეებისა, ვისაც მამულები დაუბრუნეს. ესეც მოწმობს რუსული საზოგადოების დაინტერესებას კოლონისტების მამულების შენარჩუნებისათვის აჭარაში. მოახალშენეებისათვის მიწისა და შენობა-ნაგებობათა დაბრუნების მოტივაციას საფუძვლად ედო მთავარი პრინციპი – არ გამოიყენებდნენ დაქირავებულ შრომას და დაცული იქნებოდა მიწის საკუთრების ნორმები.

მოახალშენეების ნაწილს მამულების ნაციონალიზაციის სანაცვლოდ კომპენსაციები ეძლეოდა. მათი რიცხვი 15 კაცს შეადგენდა. მათ შორის იყვნენ ლაუ ჯონ-ჯაუ, სტოიანოვი, დიადიუში, პომორსკი და სხვები. ნაციონალიზაცია არ შეეხო იმ მოახალშენეებს, რომელთა ოჯახის წევრები წითელ არმიაში მსახურობდნენ. აქაც დაცული იყო

---

548 იქვე, ს. 370, ფურც. 12.
549 იქვე, ს. 370, ფურც. 6-7.

რეფორმის მთავარი მოთხოვნა – პირადი შრომით დაამუშავებდნენ საკუთარ მამულებს. ამ კატეგორიის მოახალშენეები თითო-ოროლა იყვნენ.[550]

ერთი სიტყვით, აგრარული რეფორმის შედეგად აჭარაში განხორციელდა ადგილობრივი მემამულეებისა და ბურჟუაზიული ფენის ლიკვიდაცია. ამის შემდეგ აღარ არსებობდა ფეოდალიზმის გადმონაშთები და მოისპო კაპიტალიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური საფუძველიც.

მოახალშენეები – ბურჟუაზიული ფენა, ისე როგორც ადგილობრივი ეროვნული თავადაზნაურობა, ამ პროცესს ძნელად ეგუებოდნენ. არსებულ პირობებში მათ ჰქონდათ ბრძოლის ერთადერთი ფორმა თხოვნა-საჩივრები. ისინი სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონის ინსტანციას მიმართავდნენ. კონფისკირებული მამულების, უძრავ-მოძრავი ქონების დაბრუნების თაობაზე დიდძალი თხოვნა-საჩივარები შედიოდა საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებში. შერჩევით რამდენიმე მათგანს განვიხილავთ:

ბიზნესმენი მარიამ სინიციინი და მისი მემკვიდრეები მამულის დაბრუნებას მოითხოვდნენ კონფისკაციის დღიდან. მათ განცხადებით არაერთხელ მიმართეს აჭარის ასსრ ცაკს, სახკომსაბჭოს, მიწათმოქმედების კომისარიატს, მუშათა და გლეხთა ინსპექციასა და სხვა. 1925 წელს დაწერილ განცხადებაში, რომელიც გადაეცა აჭარის ასსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელმძღვანელობას, ნათქვამია: 28 წელი მოვახმარე ამ მხარეში მეურნეობის

---

[550] იქვე, ფურც. 8-9.

მოწყობას. ნაყიდი მიწის ნაკვეთი გაეწმინდე ბუჩქნარებისაგან და კულტივირებულ მამულად ვაქციე. იგი მოითხოვდა მამულის დაბრუნებას.[551] ხელისუფლებამ კი მამულის დაბრუნებაზე კატეგორიული უარი უპასუხა.

მ. სინიცინის შვილიშვილმა ალექსანდრემ 1928 წლის 3 იულისს განცხადებით მიმართ საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას მამულის დაბრუნების შესახებ. იგი წერდა, რომ ბებიამ (მარიამ სინიცინი) არაერთხელ მიმართა სსრ კავშირის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელობას, მაგრამ პასუხი აქამდე არ მიგვიღია. დღემდე ჩვენი მამული იჯარით გვაქვს აღებულიო.[552]

მ. სინიცინს კონფისკირებული მამულის ნაწილი (ჩაის პლანტაცია გადაეცა მომიჯნავე საბჭოთა მეურნეობას) სამწლიანი იჯარით ჰქონდა აღებული. საიჯარო ვადის დამთავრების შემდეგ ხელშეკრულება აღარ გაგრძელებულა.

1929 წელს მ. სინიცინმა თხოვნა-საჩივრით მიმართა საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს. ამჯერად მოითხოვა თავისი მამულიდან ნორმირებული მიწის გამოყოფა (ლაპარაკი აღარ იყო მთლიანი მამულის დაბრუნებაზე). ამ განცხადებასთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი 1925 წლის 25 მარტს საკომსაბჭოს თავმჯდომარეს მოახსენებდა: მ. სინიცინის მამული (14 დესეტინა) ნაციონალიზებულია და აქედან ნორმის ფარგლებში მიწა არ მიეცემა. სხვაგან მიწის აღებაზე უარს აცხადებსო.[553]

---

[551] აცსა, ფ. რ-84, ან. 1, ს. 47, ფურც. 16.
[552] აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 639, ფურც. 31-33.
[553] იქვე, ს. 759, ფურც. 52, 69.

უშედეგოდ დამთავრდა უცხოელი მოახალშენეების პასეკის, უშაკოვის, მუატის, სერგეევის, საბაევის და სხვათა თხოვნა-საჩივრები კონფისკირებული მამულების დაბრუნების შესახებ.

დიდხანს იბრძოდა მამულის დაბრუნებისათვის იოანე პანცერი. იგი ეროვნებით გერმანელი იყო და საქმეში ჩარია თბილისში გერმანიის მთავარი კონსული, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა კომისარიატები.

ი. პანცერის მამულისა და სხვა უძრავ-მოძრავი ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა ბათუმში გერმანიის კონსულმაც. ამ საკითხთან დაკავშირებით აჭარის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ავტონომიური რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს მოახსენებდა: მართალია, პანცერის აგარაკის ნა-ციონალიზაციამ ბათუმში გერმანიის კონსულის პროტესტი გამოიწვია, მაგრამ არავითარი პრივილეგია არ გააჩნიათ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომებსო.[554]

იოანე პანცერს კომპენსაციაც კი არ მისცეს. შეღავათი ის იყო, რომ 1928 წლამდე თავისიეე მამული იჯარით ჰქონდა აღებული.

თავგამოდებით იბრძოდა მამულისა და უძრავ-მოძრავი ქონების დაბრუნებისათვის პროფესიით ექიმი, ეროვნებით ბერძენი მიხეილ ტრიანტაფილიდისი. მისი მეურნეობა, რომელიც სოფელ მწვანე კონცხზე მდებარეობდა, 4 დესეტინას შეადგენდა. მამულში იყო საცხოვრებელი სახლი, საყოფაცხოვრებო-სამეურნეო დანიშნულების სხვა შენობა-ნაგებობანი. სხვათა შორის კონფისკაციის დროს მ.

---

[554] აცსა. ფ. რ-2, ან. I, ს. 242, ფურც. 131; ს. 718, ფურც. 21, 131-132.

ტრიანტაფილიდისის ოჯახიდან პიანინო და სხვა მოძრავი ქონებაც წაიღეს. იგი საბერძნეთის მოქალაქე იყო და საქმეში აქტიურად ჩაერთო ბათუმში საბერძნეთის კონსული. მიმოწერები აჭარის ხელისუფლებასთან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატიც აწარმოებდა, მარგამ ამაოდ.

მამულის დაბრუნებაზე შეუპოვრად დავობდნენ ვიკენტი ლოპატოს მემკვიდრეები: ვაჟიშვილი ვსევოლოდი და ქალიშვილი ოლღა ლოპატო – ბონდარევსკაია. საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციებში წარდგენილ თოხვნასაჩივრებში აღნიშნავდნენ: მამული, რომელზედაც ისინი დავობენ, მდებარეობს ორთაბათუმში და შედგება 10 დესეტინისაგან. მიწა შეძენილია ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან, რისთვისაც გადახდილია სათანადო ღირებულება. მიწა გამოსყიდულია სახელმწიფოსგან 1902 წლის 11 მარტის კანონის საფუძველზე. მომჩივანეები უკანონოდ თვლიან მამულის ნაციონალიზაციას. მოითხოვენ მამულისა და სამიწათმოქმედო ინვენტარის, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საგნების დაბრუნებას.[555]

1923 წლის 23 მარტს დაწერილ განცხადებაში, რომელიც აჭარის სახკომსაბჭოს გადაეცა, ო. ლოპატო აღნიშნავს: მამული, რომელიც დედისაგან მემკვიდრეობით გადმოგვეცა, გაყოფილია ორად. ერთი ნაწილი ჩემი ძმისაა, ხოლო მეორე ნაწილი მე მეკუთვნის. 1915 წლიდან პირადად ვამუშავებთ მიწას. ო. ლოპატო განმეორებით ითხოვდა

555 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 98, ფურც. 82-83, 88-90.

მამულისა და ქონების დაბრუნებას.[556] ეს თოხვნა-საჩივარიც უშედეგოდ დამთავრდა.

იური დიადიუშის მეუღლემ ოლღა ვასილიევამ არაერთხელ მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მამულის დაბრუნების შესახებ. საკითხის შესწავლა დაევალა მიწათმოქმდების სახალხო კომისარიატს. ამასთან დაკავშირებით აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ს. ლორთქიფანიძე 1924 წლის 14 იანვარს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს თ. ხიმშიაშვილს მოახსენებდა: ი. დიადიუშის აგარაკი აღრიცხვაზე აყვანილია 1922 წლის 22 დეკემბერს. იგი შეუერთდა მეოთხე საბჭოთა მეურნეობას. ეს იყო აუცილებელი საბჭოთა მეურნეობის გაფართოებისათვის.[557]

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ო. ვასილიევამ 1925 წლის 10 მარტს თხოვნა-საჩივრით მიმართა სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომრეს მ. კალინინს. განცხადებაში ნათქვამია: ჩემმა მეუღლემ ი. დიადიუშიმ მამული და უძრავ-მოძრავი ქონება გადმომცა 1918 წელს სასულიერო ანდერძის საფუძველზე. ანდერძი 1919 წელს დაამტკიცა ბათუმის სასამართლომ. 1924 წელს კი მამულის კონფისკაცია განხორციელდა და აჭარის მიწათმოქმედების კომისარიატმა მოგვთხოვა მისი დატოვება. ო. ვასილიევა მოითხოვდა მამულის, საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო შენობა-ნაგებობათა, ნივთებისა და სამიწათმოქმედო ინვენტარის დაბრუნებას. ო. ვასილევას განცხადება

---

[556] იქვე, ფურც. 91-92.
[557] აცსა, ფ. რ-84, აღ. I, ს. 53, ფურც. 3.

გადმოუგზავნეს აჭარის ცაკის თავმჯდომარეს მ. კალინინის რეზოლუციით: „გთხოვთ, შეისწავლოთ და გაარკვიოთ არსებული კანონების დაცვით".[558]

ამ განცხადების შედეგი ის იყო, რომ მას გამოეყო მიწა დაწესებული ნორმის ფარგლებში, იმდენი, რამდენის დამუშავებას პირადად შეძლებდა.

ა. სტოიანოვის მამულის (19,5 დესეტინა) კონფისკაცია 1921 წელს განხორციელდა. აღწერის შემდეგ იგი გადაეცა რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკას სამეცნიერო მუშაობისათვის, მაგრამ ამას მოსალოდნელი შედეგები არ მოჰყოლია. შემდეგ გაერთიანდა მე-4 საბჭოთა მეურნეობასთან. სტოიანოვის ქვრივს (ევგენია სტოიანოვა) დაუტოვეს ერთი დესეტინა მიწა და ხუთოთახიანი საცხოვრებელი სახლი. ა. სტოიანოვის მამულის დაბრუნების შესახებ 1922 წლის 31 იანვარს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარეს განცხადებით მიმართა მისმა სიძემ (ქალიშვილის ქმარი) გ. ზახარინმა. საკითხის შესწავლის შედეგად აჭარის ასსრ ცაკის იურიდიული განყოფილების კონსულტანტმა თავის დასკვნაში აღნიშნა: სტოიანოვის მამული მნიშვნელოვანია და იგი სახელმწიფოს უნდა დარჩესო. თანაც ზახარინი არ ჩათვალეს სტოიანოვის უშუალო მემკვიდრედ. იგი ცხოვრობდა სმოლენსკში და იქვე ეწეოდა თავის საქმიანობას.[559]

ზოგიერთი დავა-საჩივარი, რომელიც ახალი ხელისუფლების პროგრამაში ჯდებოდა, დადებითად გადაწყდა. მაგალითად, ანტონ თვალჭრელიძეს ჩამოართვეს მამული

---

558 აცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 110, ფურც. 31-32.

559 აცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 23, ფურც. 48-51; ფ. რ-84, ან. 1, ს. 53, ფურც. 40.

ციხისძირში.. 1923 წლის 14 აპრილს განცხადებით მიმართა აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს, რომელშიც ნათქვამია: მე, როგორც მასწავლებელი, ამირჩიეს საფრანგეთის მიწათმოქმედების აკადემიის წევრად. 1900 წელს სოფელ ციხისძირში შეკეიძინე ორი დესეტინა მიწა, დაეამუშავე, გავაშენე ჩაის მცენარე, ხეხილი, ციტრუსები. პირველი მსოფლიო ომის დროს გამინადგურეს. ომის დამთავრების შემდეგ აღვადგიენე. ა. თვალჭრელიძის თხოვნა მამულის დაბრუნების შესახებ დადებითად გადაწყდა.[560]

ასევე დადებითად გადაწყდა ოსმან კახიძის (ჭოროხის მაზრა, სოფელი გონიო) თხოვნა მიწის დაბრუნების შესახებ. ო. კახიძის განცხადებაში, რომელიც შესულია აჭარის ცაკში 1925 წლის 12 მარტს, წერია: 1917 წელს სოფელ გონიოში გოროდეცკაიასაგან ვიყიდე მიწის ორი ნაკვეთი, რომელიც შეადგენს 5 დესეტინასა და 1900 კვადრატულ საჟენს. 1921 წელს ჩემის ოჯახი გაჩხრიკეს და მიწის ნასყიდობის საბუთები წაიღეს. ვინც გაჩხრეკა ჩაატარა, სიკვდილით დასაჯეს. დარჩა მხოლოდ 1916 წლის საიჯარო ხელშეკრულება.

ო. კახიძის განცხადებაში მოყვანილი ფაქტების სინამდვილე დადასტურებულია გონიოს თემის აღმასკომის მიერ გაცემული ცნობით (1925 წლის 22 ნოემბერი). ამ საქმესთან დაკავშირებით იურიდიული განყოფილების უფროსი აჭარის ცაკის თავმჯდომარეს მოახსენებდა: გოროდეცკაიას მიწას ამჟამად ამუშავებს ო. კახიძე და იგი უპატრონო მფლობელთა სიაში შეცდომითაა შეყვანილი. მამული

---

560 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 98, ფურც. 154,158.

დაბრუნებას ექვემდებარებაო. მართლაც, ო. კახიძის თხოვნა დააკმაყოფილეს.[561]

კოლექტივიზაციის განხორციელებისას ო. კახიძე კულაკად ჩათვალეს და გააკულაკეს.

ადგილობრივი მემამულეებისა და კოლონისტების მიწების ნაციონალიზაციის მიუხედავად, გლეხობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა არ გაუმჯობესებულა. მოსახლეობის გამრავლების, ზღვისპირეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების გაშენების შედეგად სახნავ-სათესი მიწები კლებულობდა. 1928 წლის ცნობით აჭარაში სახნავ-სათესი მიწები 12602 ჰექტარს შეადგენდა. ამ ოდენობის მიწას ამუშავებდა 13820 მეურნე. ერთ მეურნეზე საშუალოდ მოდიოდა 1,4 ჰექტარი სახნავ-სათესი, თითო სულზე – 0,25 ჰექტარი.[562]

ეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 1922 წელს იყო. აჭარის მთიანეთში ვითარება კიდევ უფრო მძიმე იყო. დიდი დაქანების ფერდობებზე განლაგებული სავარგულები ღვარცოფებების შედეგად მწყობრიდან გამოდიოდა და მათი უტილიზაცია დიდ თანხასთან იყო დაკავშირებული, რაც გლეხობას არ ჰქონდა. აჭარის ცაკის თავმჯდომარე მ. სურმანიძე 1929 წლის გამოსვლების შემსწავლელ კომისიას მოახსენებდა: ხულოს მაზრის გლეხობას საკმარისი სავარგულები არასოდეს ჰქონდა და არც ახლა აქვს. მოსახლეობის ნაწილს სამუშაო მიწა საერთოდ არ მოეპოვებაო.[563]

---

561 აცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 110, ფურც. 12-13.

562 ბსისმკა, დოკუმენტისა და მასალების კრებული, 1926-1932 წწ., ბათ., 1980, გვ. 341.

563 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 1720, ფურც. 41.

ცხადია, ამ ნააზრევში სიახლე არაფერია, მაოლოდ რეალური ვითარებაა დაფიქსირებული.

ამ ვითარებიდან გამოსავალი იყო აჭარაში მოსახლეობის ჩასახლება საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობდა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა XX საუკუნის 20-იან წლებში. 1925 წელს ქედისა და ხულოს მაზრებიდან ზღვისპირა ზონის სოფლებში ჩამოასახლეს 83 კომლი, რომლებსაც გამოუყვეს 210 დესეტინა. მაგრამ ეს ღონისძიება პრობლემას ვერ წყვეტდა. ქობულეთისა და ბათუმის მაზრებშიც არ იყო საკმარისი მიწები. ამის მიუხედავად, 1930 წელს დაიგეგმა 400 კომლის ჩამოსახლება. ფაქტობრივად ჩამოსახლდა 200 კომლი.[564]

მცირემიწიანობის მიუხედავად, მოსახლეობა ძნელად ტოვებდა მშობლიურ კერას. ამის არაერთი მიზეზი არსებობს, ერთ-ერთია ახალი საცხოვრებელი პირობებთან ადაპტაცია.

ისტორიულად მოსახლეობას ყოველთვის აწუხებდა ტყისა და საძოვრების საკითხი. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აჭარის მოსახლეობას უფასოდ ეძლეოდა შეშა და სამასალო ხე-ტყე საოჯახო მოხმარებისათვის. მართალია, აჭარის ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყეს ეკავა, მაგრამ მას უფრო თავდაცვითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ტყის ფართობის განლაგება და ვარგისიანობის

---

[564] ასხგსმაპ, დოკუმენტისა და მასალების კრებული, 1921-1925 წწ., 1975, გვ. 283; აცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 551, ფურც. 3.

შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ქვემოთ მოყვანილი მონაცემით (იხ. ცხრილი 2).[565]

ცხრილი. 2

სატყეოს დასახელება	უბნები	ტყის საერთო ფართობი (დესეტინებით)	მათ შორის	
			ვარგისი	უვარ-გისი
ბათუმის	17	49000	11606	37394
ქვემო აჭარის	4	79600	51806	27800
ზემო აჭარის	10	81005	47520	25485
სულ	31	209605	110926	90679

ბათუმის სატყეოში, რომელიც ქობულეთის მაზრასაც მოიცავდა, ტყის ფართობის მეტი ნაწილი გამოუსადეგარი იყო. იგი ძირითადად ტეყე-ბუჩქნარებს შეადგენდა. ტყე-ბუჩქნარები საკმაოდ იყო ქვემო და ზემო აჭარაში. მთლიანობაში აღებული სამასალე ხე-ტყეზე მოდიოდა საერთო ფართობის 53%-მდე. 1926 წლის მარტამდე აჭარაში სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები ერთმანეთისაგან გამიჯნული არ იყო. ეს გარემოება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის არაერთხელ ყოფილა დაპირისპირების მიზეზი. აჭარის ასსრ ცაკის 1926 წლის 26 მაისის დადგენილებით ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები ცალკე გამოიყო და მოსახლეობას სარგებლობაში გადასცეს. ამავე დროს დადგენილებით იკრძალებოდა ხე-ტყის სავაჭრო მიზნით ექსპლუატაცია. კვლავ დადასტურდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეშისა და

[565] აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 90, ფურც. 19.

სამასალე ხე-ტყის უფასო სარგებლობის უფლება ეძლეოდა მხოლოდ საოჯახო მოხმარების მიზნით. დაწესდა განსაკუთრებული კონტროლი ტყის ექსპლოატაციასა და მოელა-პატრონობაზე.[566]

ჩაქვისწყლის ხეობის მოსახლეობის თხოვნა-საჩივრების შედეგად საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1923 წლის 5 მაისის დადგენილებით გლეხობას უფასო სარგებლობაში გადაეცა ყოფილი საუფლისწულო მამულის 4 ათასი დესეტინა ტყე.[567]

საერთოდ სახელმწიფო და აგდილობროვი მნიშვნელობის ტყეების გამიჯვნის გამო მოსახლეობა უკმაყოფილოდ დარჩა, რადგან საუკეთესო ტყის მასივები სახელმწიფოს ხელთ მოექცა. 1928 წლის ბოლოს გაუქმდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტყის უფასოდ სარგებლობა. სხვათა შორის, ტყის კოდექსით, რომელიც აჭარის ასსრ ცაკმა 1925 წლის 12 ივლისს დაამტკიცა, ხე-ტყის უფასოდ სარგებლობა აიკრძალა.[568] მაგრამ მისი განხორციელება რამდენიმე წლით გადაიდო.

მოსახლეობამ უკმაყოფილება ტყის სარგებლობის თაობაზე აშკარად გამოხატა ხულოს მაზრის ღორჯომის თემის კრებაზე (1929 წლის 12 ივნისი), რომელსაც ესწრებოდნენ აჭარის ასსრ ცაკის თავმჯდომარე ზ. ლორთქიფანიძე, ხულოს მაზრის პარტიული კომიტეტის მდივანი გ. დოლიძე, მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ა. დიმიტრაძე, სატყეო სამმართველოს უფროსი გ. მხეიძე და

---

566 ბსისმკა, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1926-1932 წწ., ბათ., 1980, გვ. 262-265; აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 377, ფურც. 38.

567 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 98, ფურც. 175, 178.

568 იქვე, ს. 644, ფურც. 84, 86.

სხვები. გლეხები უკმაყოფილონი იყვნენ იმის გამო, რომ მაოი ტყეები სახელმწიფო ფონდში გადავიდა და არ აქვთ საკმარისი ხე-ტყე. ისინი მოითხოვდნენ ტყის მასივის (ნაბახტრევი) თავიანთ სარგებლობაში დატოვებას. საოჯახო მოხმარებისათვის შეშისა და სამასალე ხე-ტყის საფასურის გადახდაზეც თანახმა იყვნენ.[569]

ანალოგიური ვითარება იყო სხვა სასოფლო თემებშიც. მოსახლეობის შეუპოვარი ბრძოლის გამო საგრძნობი ცვლილებები მოხდა სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამიჯვნაში. ამის მიუხედავად, მოსახლეობის მიერ ტყის სარგებლობის საკითხი სერიოზულ პრობლემად რჩებოდა.

არანაკლებ მწვავე იყო საზაფხულო საძოვრების საკითხი. XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარაში 47 საზაფხულო საძოვარი ითვლებოდა, რომელთა საერთო ფართობი 34552 ჰექტარს უდრიდა. ისინი განლაგებული იყო ქედის, ხულოსა და ნაწილობრივ ბათუმის მაზრებში. საზაფხულო საძოვრები სამ კატეგორიად იყოფოდა და აჭარაში მეორე და მესამე კატეგორიის საძოვრები ჭარბობდა. საკმოად იყო უვარგისი საძოვრებიც.[570]

ცხადია, დაბალი ხარისხის საძოვრები გავლენას ახდენდა პირუტყვის გამოკვებაზე, საბოლოოდ კი მის პროდუქტიულობაზე.

მცირემიწიან ქვეყანაში საზაფხულო საძოვრების მნიშვნელობა გაცილებით დიდია. ბარში საძოვრები და საბალახოები ისედაც შეზღუდულია. ივნისიდან ოქტომბრამდე

---

[569] იქვე, ს. 699, ფურც. 12-13; ს. 759, ფურც. 134.
[570] იქვე, ს. 699, ფურც. 44-49.

მათი გამოძებნა და გამოყენება ძალზე ჭირდა. ამიტომ აჭარაში საზაფხულო საძოვრები ორად იყოფოდა. პირველი იყო ე.წ. „ყიშლური" საძოვრები, სადაც პირუტყვი რჩებოდა მაისიდან შუა ივნისამდე და სექტემბრიდან ოქტომბრის ბოლომდე. მთის საზაფხულო საძოვრებზე, ე.წ. „იალაღებზე" პირუტყვს მირეკავდნენ შუა ივნისიდან სექტემბრის პირველ ნახევრამდე. საზაფხულო საძოვრების ამგვარი მოწყობა გლეხური მეურნეობისათვის ძალზე სასარგებლო იყო. აჭარის ასსრ ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საზაფხულო საძოვრებზე მართლწესრიგის დაცვასა და განმტკიცებას. აჭარის სახკომსაბჭოს 1928 წლის 23 ივნისის დადგენილებით დაარსდა მთის მილიცია, რომელიც სამი კაცისაგან შედგებოდა. თითოეულ მილიციონერს თვეში დაენიშნა 50 მანეთი.[571]

აჭარაში XX საუკუნის პირველ მეოთხედში საზაფხულო საძოვრების სარგებლობა უფასო იყო. გასაბჭოების პირველ წლებში ხელისუფლება ანგარიშს უწევდა გლეხობის უმწეო მდგომარეობას და მის შეუპოვარ ბრძოლას ტყისა და საძოვრების თაობაზე. მაგრამ შემდგომში ამ საკითხისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება შეიცვალა. 1928 წლის 12 ივნისის აჭარის სახკომსაბჭოს დადგენილებით საზაფხულო საძოვრებზე ახალი საგადასახადო ნიხრი დაწესდა. პირველი კატეგორიის საძოვრების ერთ ჰექტარზე გადასახადი შეადგენდა 1,55 მანეთს, მეორე

---

[571] აცსა. ფ. რ-2, ან. 1, ს. 612. ფურც. 16.

კატეგორიის – 1,05 მანეთს, ხოლო მესამე ხარისხის საძოვრებზე – 65 კაპიკს.[572]

ამიერკავკასიის ცაკის 1928 წლის 30 აპრილის დადგენილებით საზაფხულო საძოვრებზე გადასახადი გაიზარდა 40%-ით, ხოლო შეძლებული მეურნეებზე – 50%-ით. აჭარის ხელისუფლება გადასახადების გადიდების წინააღმდეგ გამოვიდა და ამ რეგიონში მაშინ აღარ გაზრდილა.[573]

საქართველოსა და თურქეთს შორის 1921 წელს ახალი სახელმწიფო საზღვრის დადგენის შედეგად საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობა რთულ პირობებში აღმოჩნდა. საზაფხულო საძოვრები, რომლებსაც მოსახლეობა სარგებლობდა, ორი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. კერძოდ, თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოექცა შავშეთ-იმერხევის მთის კალთებზე მდებარე საძოვრები (2000 დესეტინა), რომლებსაც ხულოს მაზრის ტბეთისა და გოგაძეების მოსახელობა სარგებლობდა; გომუანის საზაფხულო საძოვრებს (3000 დესეტინა), რომელიც მდებარეობს კარჩხლისა და შავშეთის ქედებზე, სარგებლობდა მერისის თემის მოსახლეობა; კარჩხლის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობების საძოვრები (5000 დესეტინა), ეკუთვნოდათ მაჭახლის ხეობის მოსახლეობას; ართვინ-არტაანის საზღვართან მდებარე საძოვრები, აგრეთვე იალანუს ჩაის, ბილბილანისა და იაგლის საძოვრები (10000 დესეტინა),

---

[572] იქვე, ს. 699, ფურც. 13-14; აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს 1926 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით საძოვრებზე შემოიღეს სადესეტინო გადასახადი: პირველი კატეგორიის საძოვრებზე (ერთი დესეტინაზე)-1,2 მანეთი, მეორე კატეგორიის საძოვრებზე-80 კაპიკი, ხოლო მესამე ხარისხის საძოვრებზე-50 კაპიკი (აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 699, ფურც. 42). მაგრამ ზემოაღნიშნული დადგენილება არ განხორციელებულა.

[573] აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 699, ფურც. 34, 36.

რომლებსაც ქობულეთისა და ბათუმის მაზრების ქურთი მოსახლეობა იყენებდა, თურქეთის საზღვრებ'ი მოექცა; საქართველოს საზღვრებ'ში დარჩა ახალდაბისა (სარიჩაირის მთა) და ჯინალის (მთა ჩირუხი) საძოვრები (2000 დესეტინა).[574]

ყარსის ხელ'შეკრულების (1921 წლის 13 ოქტომბერი) საფუძველზე საქართველოსა და თურქეთს შორის 1923 წლის 20 მარტს თბილის'ში ახალი კონვენცია დაიდო საძოვრების სარგებლობის შესახებ. ამ კონვენციით განისაზღვრა საძოვრების სარგებლობის წესები და პირობები. კონვენციის თანახმად (მუხლი III) საქართველოს მცხოვრებლებს უფლება ეძლეოდათ ესარგებლათ არტაანის, ყარსისა და ართვინის სანჯაყების საძოვრებით. თურქეთის მცხოვრებლებს ასევე უფლება მიეცათ ესარგებლათ იმ. საზაფხულო საძოვრებით, რომლებიც მდებარეობს ბათუმის ოლქის, ოზურგეთის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ტერიტორიაზე (მუხლი II).

კონვენციის მიხედვით, საძოვრების სარგებლობისათვის გადასახადების ოდენობას საკუთარ ტერიტორიაზე აწესებდა შესაბამისი მთავრობები. გადასახადებს უშუალოდ იხდიან მეჯოგეები ანდა სახელმწიფოს რწმუნებულები (მუხლი IV). საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვის გადარეკვა-გადმორეკვისათვის მეჯოგეებს შესაბამისი მთავრობები აძლევდნენ სპეციალურ საშვებს. მათ იარაღის ტარების უფლებაც მიეცათ (40 ვაზნა). დადგინდა, რომ საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლისას მეჯოგეებს საბაჟო გადასახადი არ ეკისრებოდათ. კონვენციაში მოცემულია საზაფხულო

---

[574] იქვე, ს. 377, ფურც. 48.

საძოვრების სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. თუ მხარეები ექვსი თვით ადრე უარს არ იტყოდნენ კონვენციაზე. იგი ავტომატურად გაგრძელდებოდა ერთი წლით.[575]

კონვენციის გაფორმებისას საძოვრების სარგებლობის გადასახადისაგან აჭარის მოსახლეობა თავისუფალი იყო. ასევე ოსმალეთის ქვეშევრდომებს, რომლებიც სარგებლობდნენ ჯინალისა და ახალდაბის საზაფხულო საძოვრებს, გადასახადის გადახდა არ ეკისრებოდათ. გადასახადები გაწერილი იყო იმათზე, ვინც მისდევდა სამრეწველო-სავაჭრო მეჯოგეობას. სხვილფეხა პირუტყვის თითო სულზე ახდევინებდნენ 20 კაპიკს, ხოლო წვრილფეხა პირუტყვზე – 10 კაპიკს. აჭარაში ასეთი მეჯოგეები მცირერიცხოვანი იყვნენ. 1925 წელს მათგან გადასახადის სახით ამოღებულია 289 მანეთი და 60 კაპიკი.[576]

საქართველოსა და თურქეთის 1927 წლის 27 მაისის შეთანხმებით საზაფხულო საძოვრების სარგებლობის თაობაზე სპეციალური ნიხრი დაწესდა. საძოვრების სარგებლობა ფასიანი გახდა.

თურქეთის მთავრობა არ იცავდა შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებს. მეჯოგეებს სასღვარ'ზე გადასვლისას ბაჟს ახდევინებდნენ. ამასთან აჭიანურებდნენ საშვის გაცემას, რაც აჭარის მოსახლეობის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა. 1928 წლის 14 თებერვალს მაჭახლის ხეობის 9 სოფლის მცხოვრებლებმა (ჩიქუნეთი, ზედა ჩხუტუ-

---

575 იქვე, ს. 759, ფურც. 136-137.

576 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 377, ფურც. 4-6; სამრეწველო მეჯოგედ ითვლებოდა ის მეურნე, ვისაც ჰყავდა 300 სული წვრილფეხა და 25 სულ'ზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი (აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 699, ფურც. 36).

ნეთი, აჭარისაღმართი, ცხემლანა, გორგაძეთი, საფუტკრეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ქავთარეთი, სკურდიდი) განცხადებით მიმართეს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს დახმარებისათვის. განცხდებაში ნათქვამია: პირუტყვის საძოვრების უკმარისობის გამო დიდ გაჭირვებას განვიცდით. გასაფხულზე და ზაფხულში, ყანების დათესვის შემდეგ, საძოვრები არ გაგვაჩნია. ამიტომ სამი თვის განმავლობაში ვსარგებლობთ თურქეთის საზაფხულო საძოვრებს, რისთვისაც დიდ თანხას გვახდევინებენ. საშვს მაისის ნაცვლად იელისში გვაძლევენ. ვინც ინდივიდუალურად გადარეკავს საქონელს, მან უნდა აიყვანოს თავდებად თურქეთის მოქალაქე, რომელსაც ფულს ვუხდით. საშვის ასაღებად ანკეტას ვავსებთ და ამისათვისაც ფულის გადახდაა საჭირო. განცხადებაში მოყვანილი ფაქტები დამოწმებულია აჭარისწყლის თემის აღმასკომის თავმჯდომარის მიერ. 1928 წლის 7 აპრილს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ანალოგიური განცხადებით მიმართეს გონიოს, სარფის, ჭარნალის მოსახლეობამ.[577]

ქედის მაზრის მეჯოგეებმა საერთოდ უარი განაცხადეს თურქეთის საზღვრებში მოქცეულ მთებზე პირუტყვის გადაყვანაზე. ამის მიზეზად დასახელებულია მაღალი საგადასახადო განაკვეთები,[578] რასაც გლეხობა ვერ აუდიოდა.

მოსახლეობას დაბრკოლებები შეექმნა თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოქცეული საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვის გადაყვანის გზების საქმეში. ხულოს მაზრის ტბეთისა და გოგაძეების სოფლების მოსახლეობა

---

577 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 721, ფურც. 61, 64-66.

578 იქვე, ს. 377, ფურც. 87-95.

უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ თურქეთის ხელისუფლება ნებას არ აძლევდა პირუტყვი გადაერეკათ მოკლე გზით, რომელსაც „ნაომვარი" ეწოდებოდა. მოსახლეობა იძულებული იყო შორს მანძილზე შემოვლითი გზით ესარგებლა, რაც დიდ დროსა და ხარჯებთან იყო დაკავშირებული. 1927 წლის 15 აპრილს უჩამბის თემის აღმასკომმა თხოვნით მიმართა ხულოს მაზრის ხელმძღვანელობას ამ საკითხში დახმარების აღმოჩენის შესახებ. ხულოს მაზრის აღმასკომმა საკითხი დააყენა აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს წინაშე.[579]

უკმაყოფილებას ამ საკითხზე და საერთოდ საზაფხულო საძოვრებთან დაკავშირებით სხვა სოფლების მოსახლეობაც გამოხატავდა. აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ საზაფხულო საძოვრების საკითხი, რომელიც აჭარის მოსახლეობას აწუხებდა, ამიერკავკასიის მთავრობისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატის ბათუმის სააგენტოს წინაშე დააყენა. საქმეში ჩაერიენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა კომისარიატები, საელჩოები და საკონსულოები, საზაღვრო დაცვის პასუხისმგებელი მუშაკები და სხვა. ამ თემაზე თურქეთის შესაბამის სამსახურებთან იყო მიმოწერები და შეხვედრები. ამასობაში სსრ კავშირისა და თურქეთის ურთიერთობა გაუარესდა და სახელმწიფო საზღვარი ჩაიკეტა. ცხადია, დღის წესრიგიდან მოიხსნა თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში საძოვრების საკითხი.

საზაფხულო საძოვრების უკმარისობის გამო სისტემატური ხასიათი ჰქონდა დავა-საჩივრებს მაზრებსა და

---

579 იქვე, ს. 447, ფურც. 40

სოფლებს შორის. ზოგჯერ დავა-საჩივრები დაპირის-პირებაში გადაზრდილა. ამის მაგალითია უჩამბისა და მერისის სასოფლო თემების მოსახლეობის დაპირისპირება საზაფხულო საძოვრების: ღომას, წინაველას, ლაშესა და საქორიას გამო. XIX საუკუნის ბოლომდე უჩამბისა და მერისის სასოფლო თემების მოსახლეობა ერთად სარგებლობდნენ ზემოაღნიშნულ საძოვრებს. მათ შორის დავა 1901 წლიდან იწყება, როდესაც უჩამბელებმა ლაშე დაიკავეს. დაპირისპირების გამწვავების გამო 1907 წელს საქმეში ჩაერია ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი ბორის რომანოვსკი-რომანკო, მაშინ საკითხი სამართლია-ნად არ გადაწყვეტილა. დავა-ჩივილი და დაპირისპირება გაგძელდა.

აჭარის ხელისუფლების აქტიური ქმედების შედეგად 1926 წელს უჩამბისა და მერისის სასოფლო თემების მოსახლეობის დავა-საჩივარი საზაფხულო საძოვრებთან დაკავშირებით სამართლიანად გადაწყდა. მერისელებს მიეცათ საქორია და ლაშეს ნაწილი, ხოლო უჩამბელებს დარჩათ ღომა, წინაველა, ლაშეს მეორე ნაწილი.[580]

მეტნაკლებად ანალოგიური ვითარება არსებობდა ოზურგეთის, ხულოსა და ახალციხის მაზრების მომიჯნავე საძოვრებზე. დავის ობიექტი იყო გრძელგორისა და კატ-რიანის საძოვრები, რომლებიც გასაბჭოებამდე გურიის ფეოდალებს (ერისთავები) ეკუთვნოდათ, მაგრამ ჭვანის ხეობის მოსახლეობა საიჯარო ქირით სარგებლობდა. გასაბჭოების შემდეგ ზემოაღნიშნული საძოვრები ჭვანის ხეობის მოსახლეობას გადაეცა. გრძელგორსა და

---

580 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 377, ფურც. 74.

კატრიანზე გურიის მეჯოგეების მიერ პირუტყვის გადმორეკვას არაერთხელ გამოუწვევია ჭვანის ხეობის მოსახლეობის უკმაყოფილება. აჭარის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად დაპირისპირება განიმუსტა და საკითხი მოწესრიგდა.[581]

ჩაქვის მეურნეობის (ყოფილი საუფლისწულო მამული) მოსაზღვრე სოფლების მოსახლეობა 30 წლის განმავლობაში იბრძოდა ამ ხეობის მთიანი ზონის საძოვრების, სათიბებისა და ტყის სარგებლობის თაობაზე, მაგრამ გასაბჭოებამდე მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნას ხელისუფლება ყოველთვის უარით პასუხობდა. 1924 წელს ქედის მაზრის აგარისა და ჭოროხის მაზრის (ბათუმის) ყოროლისთავის სოფლის მოსახლეობამ კატეგორიულად მოითხოვა ჩაქვის მეურნეობის თავისუფალი მიწების გამოყოფა. საქართველოს ხელისუფლებამ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და ტყესთან ერთად საძოვრები და სახნავ-სათესი მიწებიც გამოუყო.[582]

1921-1925 წლები გამოცხადდა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდად. მაგრამ აჭარაში ეკონომიკის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის აღდგენა ნელი ტემპით მიმდინარეობდა. აგრარულმა რეფორმამ კიდევ მეტად გაამწვავა სოციალური დაპირისპირება და რამდენადმე შეაფერხა მატერიალური წარმოების განვითარება.

საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების მიმართ. ეს დარგები ითვლებოდა ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვან

---

581 იქვე, ფურც. 52-60.

582 იქვე, ს. 98, ფურც. 175-178; ს. 196, ფურც. 16-17.

წყაროდ. სსრ კავშირის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა და, ცხადია, კარგადაც სალდებოდა. საქართველოს გასაბჭოებისას აჭარაში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ორი მსხვილი მეურნეობა არსებობდა (ჩაქვის სახალხო მამული და კ. პოპოვის ყოფილი მეურნეობა). მოახალშენეთა მამულების ნაციონალიზაციის შედეგად 4 საბჭოთა (საელმწიფო) მეურნეობა მოეწყო. 1923 წლისათვის აჭარაში 6 საბჭოთა მეურნეობა ითელებოდა, სადაც ჩაის კულტურის ფართობი 682,5 დესეტინას შეადგენდა. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში ჩაის პლანტაციას ეკავა 540 დესეტინა, ხოლო სალიბაურის მეურნეობაში (ყოფილი კ. პოპოვის) – 130 დესეტინა.[583]

ამ ორ მეურნეობას დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს და საქართველოს მიწათმოქმდების კომისარიატის დაქვემდებარებაში გადავიდა.

ახლადჩამოყალიბებული 4 საბჭოთა მეურნეობა აჭარის ასსრ მიწათმოქმედების კომისარიატის დაქვემდებარებაში შედიოდა. მათი უშუალო მართვისათვის 1925 წელს კომისარიატთან შეიქმნა საბჭოთა მეურნეობების სამმართველო, რომელიც 1928 წლამდე ფუნქციონირებდა. მოგვიანებით ყველა საბჭოთა მეურნეობა საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატის გამგებლობაში გადავიდა. მათი მართვისათვის შეიქმნა სპეციალური გაერთიანება „საქართველოს ჩაი".

№1 საბჭოთა მეურნეობა მდებარეობდა გოროდოკში, რომელსაც მიწები ჰქონდა ფერიაში, ფეიზიასა და სოუქ-

---

583 სტატისტიკური კრებული 1913-1923 წწ., ბათ., 1924, გვ. 191.

სუზე. თავდაპირველად მას გამოეყო მოახალშენე რედკოს მამული, რომელიც 17 დესეტინას შეადგენდა. მომდევნო წლებში სხვა მიწებიც გადაეცა და 1924 წელს №1 საბჭოთა მეურნეობის ფართობი 120 დესეტინამდე გაიზარდა. მეურნეობის მთავარ დარგად ჩაის კულტურა და ციტრუსები იქცა. №2 საბჭოთა მეურნეობა მდებარეობდა სოფელ ბარცხანაში. იგი იყო ზვერევის ყოფილი მამული და 6 დესეტინას შეადგენდა, სადაც გაშენებული იყო ჩაის კულტურა (4 დესეტინა), ყვავილები, ციტრუსები (150 ძირი) და სხვა. №2 საბჭოთა მეურნეობა სალიბაურის (ყოფილ კ. პოპოვის) მეურნეობასთან გაერთიანდა. ახლომდებარე სხვა მამულების შეერთების შედეგად ფართობი 477 დესეტინამდე გაიზარდა. №3 საბჭოთა მეურნეობა დაბა თამარაზე მდებარეობდა, რომელიც 18 დესეტინას შეადგენდა. 1924 წელს მისი ფართობი 29 დესეტინას უდრიდა. №4 საბჭოთა მეურნეობა ბუკნარზე შეიქმნა, რომელსაც ეკავა 14 დესეტინა, ხოლო 1924 წელს 60 დესეტინა. №5 საბჭოთა მეურნეობა 1923 წელს შეიქმნა. მომდევნო წელს სალიბაურის საბჭოთა მეურნეობას შეუერთდა.[584]

1928 წლის 15 ივნისამდე საბჭოთა მეურნეობები აერთიანებდა 35 ნაციონალი-ზებულ მამულს. 15 ივნისის შემდეგ, როდესაც კონფისკირებული მამულების იჯარით გაცემა აიკრძალა, საბჭოთა მეურნეობები აერთიანბედა 133 ნაციონალიზებულ მამულს. ამის შედეგად მათი ფართობი და, შესაბამისად, მოსავალიც გაიზარდა. XX საუკუნის 20-იან წლებში ჩაის კულტურა ძირითადად მონოპოლიზებული იყო საბჭოთა მეურნეობებში.

---

584 აცსა, ფ. რ-2, ან. I, ს. 90, ფურც. 3; ს. 199, ფურც. 481-482, 497.

ციტრუსოვანი ბაღების მოშენება გლეხებმა და კოოპერაციულმა მეურნეობებმაც დაიწყეს. ამისათვის აღადგინეს ხეხილის ძველი სანერგეები და მოაწყვეს ახალი. მაგალითად, 1922 წელს სოფელ ახალშენში აღადგინეს ხეხილის სანერგე, რომელიც ადრე ბათუმის ოლქის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას ეკუთვნოდა. 1924 წელს ახალი ხეხილის სანერგე დაარსდა ბათუმის შემოგარენში ომერაღა მემედ ზადეს ყოფილ მამულში. 1926 წელს სანერგეში ითვლებოდა 15 ათასი ნერგი, რომლის ღირებულება 10 ათას მანეთად შეფასდა.[585]

ხეხილის, კერძოდ, სუბტროპიკული კულტურების სანერგეები საბჭოთა მეურნეობებშიც მოეწყო. ცხადია, ყოველივე ეს ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო სუბტროპიკული კულტურების განვითარების საქმეში. ამის შედეგად 1928 წელს ციტრუსოვანთა ბაღების ფართობი 629 ჰექტრამდე გაიზარდა, რაც 1923 წლის მახასიათებელს 178 ჰექტრით აღემატება. 1928 წელს სახელმწიფო სექტორზე მოდიოდა ციტრუსოვანი კულტურების საერთო ფართობის 37% (233 ჰექტარი), კოოპერატიულ მეურნეობებზე 7,2% (45 ჰექტარი), ინდივიდუალურ მეურნეობებზე 56% (451 ჰექტარი).[586]

ციტრუსოვანთა ბაღების მოსავალი ცვალებადი იყო, რამდენადაც მათ გაზრდა-განვითარებას წლები ესაჭიროებოდა, თანაც დიდთოვლიანი და სუსხიანი ზამთარები, რაც მაშინ იშვიათობას არ წარმოადგენდა, ანადგურებდა ნარგავებს. 1923 წელს მოიწიეს 300 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი (მანდარინი), 1926 წელს 15 მილიონი, ხოლო 1927

---

585 აცსა, ფ. რ-2, ან. 1, ს. 618, ფურც. 18

586 საბჭოთა აჭარის 40 წელი. სტატისტიკური კრებული. ბათ., 1961, გვ 56.

წელს 7 მილიონი. ციტრუსების გარდა აჭარაში მრავალი სახეობის ხეხილი ხარობდა. მათი ფართობი 1923 წელს 1061 ჰექტარს, 1926 წელს -1083, ხოლო 1927 წელს 1149 ჰექტარს შეადგენდა.[587]

აჭარის სასაქონლო მეურნეობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ჩაის კულტურას ეკავა. იგი სტაბილურ მოსავალს იძლეოდა. 1923 წლიდან მოყოლებული ჩაის კულტურის ფართობი და მოსავალი ყოველწლიურად იზრდებოდა, ამის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მე-3 ცხრილი (ფართობი - ჰექტრობით, მოსავალი-ტონობით). [588]

ცხრილი 3

წლები	ყველა კატეგორიის მეურნეობებეი		ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობა	
	ფართობი	მოსავალი	ფართობი	მოსავალი
1921	914	359,2	545	260,5
1923	1000	697,0	589	502,5
1925	1109	1051,2	589	864
1926	1175	952,8	589	524,2
1927	1284	1054,5	589	581,0
1928	1698	1052,5	589	544,5

1921-1928 წლებში ჩაის კულტურის ფართობი თითქმის ორჯერ, ხოლო მოსავალი სამჯერ გაიზარდა. მეჩაიეობის

---

[587] აცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 42, ფურც. 85.

[588] ცხრილი შედგენილია: აცსა, ფ. რ-178. ან. 1, ს. 42, ფურც. 74, 85, 95; ფ.რ-235, ან. 1, ს.156, ფურც.14; საბჭოთა აჭარის 40 წელი. სტატისტიკური კრებული, ბათ., 1961, გვ. 71; ბსისმკა, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1926-1932 წწ. ბათ., 1980, გვ. 348. დესეტინა გადაყვანილია ჰექტრებში, გირვანქა – კილოგრამებში. ერთი დესეტინა უდრის 1,09 ჰექტარს.

ყველაზე მსხვილი მეურნეობა იყო ჩაქვის სახალხო მამული. მასზე მოდიოდა აჭარის რეგიონის ჩაის კულტურის საერთო ფართობის ნახევარზე მეტი (1921-1926 წწ.) და მოსავლის 59.2% 77.9%. ჩაქვის სახელმწიფო მამულში მეციტრუსეობასა და მემამბუკეობასაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სწორედ ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობა საქართველოს ცენტრალური უწყების დაქვემდებარებაში შედიოდა.

გლეხურ მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მემინდვრეობასა და მეცხოველეობას. სწორედ ამ დარგების განვითარებაზე დამოკიდებული იყო მათი ცხოვრება-არსებობა. მემინდვრეობიდან აღსანიშნავია მარცვლეული კულტურები (სიმინდი, ხორბალი, ქერი, ჭვავი, ღომი, ბრინჯი, და სხვა), კარტოფილი, მოჰყავდათ მცირე ოდენობის თამბაქოც. მემინდვრეობის საერთო სურათი მოცემულია მე-4 ცხრილში (ფართობი–ჰექტრობით, მოსავალი - ტონობით).[589]

ცხრილი 4

	1923 წელი		1926 წელი		1928 წელი	
	ფარ-თობი	მოსა-ვალი	ფარ-თობი	მოსა-ვალი	ფარ-თობი	მოსა-ვალი
მარცვლეული კულტურები	10874		12108	7873	12602	4780
მათ შორის:						
სიმინდი,	9925	5293	11882	7722	12312	4780
თამბაქო	57	42	250	200	150	125

589 ცხრილი შედგენილია: აცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 42, ფურც. 95; ს. 67, ფურც. 5; სტატისტიკური კრებული, 1913-1923, ბათ., 1924, გვ. 186, 205; ბსისმკ. დეოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1926-1932; ბათ., 1980; გვ. 349

მარცვლეული კულტურების როგორც ფართობის, ისე მოსავლის აბსოლიტურად დიდი ნაწილი სიმინდზე მოდიოდა. 1928 წელს სიმინდის მოსავლის შემცირება გამოწვეული იყო არახელსაყრელი კლიმატური პირობებით. კერძოდ, მაღალმთიან მაზრებში, გვალვების გამო, დაბალი მოსავალი მიიღეს. აჭარაში მოჰყავდა საკვები მარცვლეული. ჩალა საქონლის ყუათიან საკვებად ითვლებოდა. სიმინდის შემდეგ ფართობისა და მოსავლის მიხედვით აღსანიშნავია ბრინჯი. მაგალითად, 1926 წ. მისი ფართობი 89 ჰექტარს, ხოლო მოსავალი 99 ტონას შეადგენდა. აჭარაში მოჰყავდა საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბალი, ქერი და ჭვავი. ხორბალს ეკავა 59 ჰექტარი, ხოლო მოსავალი 27 ტონას უდრიდა. ჭვავი შესაბამისად შეადგენდა 40 ჰექტარს და 12 ტონას, ხოლო ქერი 15 ჰექტარსა და 6 ტონას. ღომის კულტურაც შემორჩენილი იყო, რომლის ფართობი 1926 წელს 22 ჰექტარს, ხოლო მოსავალი - 7 ტონას ითვლიდა. კარტოფილის კულტურა 90 ჰექტარს, ხოლო მოსავალი - 774 ტონას უდრიდა.[590]

ადგილზე წარმოებული მარცვლეული მოსახლეობას სანახევროდაც არ ყოფნიდა. 1926 წელს აჭარაში ერთ სულზე წლიურად მოდიოდა 6 ფუთი მარცვლეული. სოფლის მოსახლეობის თითო მაცხოვრებელზე წლიურად მოდიოდა 5.8 ფუთი მარცვლეული.[591]

აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის კი წლიურად საჭირო იყო 18 ფუთი მარცვლეული.

---

590 აცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 67. ფურც. 5

591 გამოთვლილია: აცსა, ფ. რ-178, ან. 1, ს. 67, ფურც. 5; საბჭოთა აჭარის 60 წელი, სტატისტიკური კრებული. ბათ., 1981, გვ. 12.

1921-1926 წლებში სხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 41,4 ათასიდან 37,0 ათასამდე შემცირდა. მართალია, 1926 წლიდან ვითარება უკეთესობისაკენ შეიცვალა, მაგრამ არსებითი წინსვლა მაინც არ ყოფილა. 1927 წ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 47,3 ათასასამდე გაიზარდა, მაგრამ ჯიშობრივი მდგომარეობა დაბალ დონეზე იდგა. საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ უწყებათა ხელმძღვანელობის მუშაობას ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. 1921-1925 წლებში ცხვრისა და თხის სულადობა 24,9 ათასიდან 12,6 ათასამდე შემცირდა. 1927 წელს 29,5 ათასი სული შეადგინა.[592]

XX საუკუნის 80-იან წლებში აჭარის გლეხურ მეურნეობაში ნატურალური წარმოება ჭარბობდა. გლეხს ბაზარზე გაჰქონდა ტრადიციული საქონელი: ხილი, ნიგოზი, თამბაქოს ნაწარმი, მეცხოველეობის პროდუქტები და სხვა. ცხადია, შეზღუდული ოდენობის და ისიც ძნელად საღდებოდა. აჭარის საბჭოების მეხუთე ყრილობაზე (1925 წლის მარტი) ცაკისა და სახკომსაბჭოს საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა: გლეხები ჩივიან რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ბაზარზე გასავალი არა აქვს. ფასები ძალზე მცირეა. სოფლის მეურნეობის პროდუქტები იაფია, ხოლო ქალაქის ნაწარმი ძვირიაო.[593]

ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც აღიარებდა აუცილებელი პროპორციების დარღვევების შესახებ სამრეწველო ნაწარმსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებს შორის.

---

[592] სტატისტიკური კრებულები: საბჭოთა აჭარის 40 წელი. ბათ., 1961, გვ. 76;
[593] ასხვსმაპ, დოკუმეტ. და მასალების კრებული 1921-1925 წწ., ბათ., 1975, გვ. 102.

საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პროგრამის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო წვრილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება კოოპერატივებად. საერთოდ, კოოპერაციული მოძრაობა დადებით, პროგრესულ მოვლენად ითვლება, მაგრამ საბჭოთა რუსეთში იგი დამახინჯდა, თავის ნამდვილ შინაარს მოკლებული აღმოჩნდა, გასახელმწიფოებრივი ხასიათი მიიღო. ამ შინაარსის კოოპერაციული მეურნეობები გლეხობის ინტერესებში არ ჯდებოდა. საბჭოთა რუსეთში შეიქმნა სამი ფორმის კოოპერაციული მეურნეობა: კომუნა, მიწის ერთობლივად დამუშავების ამხანაგობა („ტოსი") და სასოფლო სა-მეურნეო არტელი. სასოფლო-სამეურნეო არტელზე გლეხობის მასობრივი გადაყვანა 1929 წელს დაიწყო.

XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ძირითადი ფორმა იყო ტოსი. მცირემიწიანობის პირობებებში სხვა ფორმის შემოღება მიზანშეწონილად არ ჩათვალეს. 1928 წელს აღირიცხა 22 კოლექტიური მეურნეობა, 450 ჰექტარი მიწითა და 237 წევრით.[594]

აჭარის საბჭოების X ყრილობაზე (1931 წლის თებერვალი) ითქვა, რომ გლეხს არ წამს კოლმეურნეობის. იგი ფიქრობს: თუ ყველაფერს გავაერთიანებ კოლმეურნეობაში, დავიღუპები. ამიტომ კოლმეურნეობაში ოჯახის ერთი წევრი მისი წილი მიწით ერთიანდება. დანარჩენი ოჯახის წევრები სავარგულს კერძო საკუთრებაში ინარჩუნებდნენ.[595] შედარებით ხელსაყრელი აღმოჩნდა კერძო ინიციატივით

---

[594] აცსსა. ფ.რ-2, ან. 1, ს. 849, ფურც. 85.
[595] იქვე. ფურც. 86.

შექმნილი კოოპერატიული მეურნეობები. 1921 წელს სოფელ დაგვაში (ქობულეთის რაიონი) დაარსდა მერძეობის ამხანაგობა „ენოსისი", რომლებიც რძით ამარაგებდა ქ. ბათუმის და დაბა ქობულეთის მოსახლეობას. 1926 წელს ამხანაგობის წევრი იყო 222 კაცი. სულ ჰყავდა 212 სული ფური, მათგან ნახევარი იყო გერმანული ჯიშის. მოწყობილი ჰქონდა სამი ფერმა. საქონელი ჰყავდა ბაგურ კვებაზე. ქ. ბათუმისა და დაბა ქობულეთის მოსახლეობას გასაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე დღიურად მიეწოდებოდა 700-800 ბორჯომის ბოთლით რძე, ხოლო ზამთრობით 300-350 ბოთლი, მეორე ამხანაგობა – „პროდოსი" შეიქმნა იმავე სოფელ დაგვაში 1926 წელს, რომელშიც ირიცხებოდა 75 წევრი. ამ ამხანაგობას ჰყავდა 75 ფური, ნაწილი გერმანული ჯიშისა. ყოველწლიურად ქ. ბათუმს აწვდიდა 3000 ბორჯომის ბოთლით რძეს. 1925 წელს დაარსდა მერძეობის კავშირი, რომელიც 1928 წელს აერთიანებდა 250 წევრს და ჰყავდა 500 სული ფური. მერძეობის კავშირს ჰქონდა მეცხოველეობის საკვების საწყობი და სხვა შენობა-ნაგებობანი.[596]

ცხადია, ეს წამოწყებები ძალზე პერსპექტიული იყო, მაგრამ შემდგომში ეელარ განვითარდა, რადგან კერძო ინიციატივით შექმნილი კოლექტიური მეურნეობები საბჭოთა ხელისუფლების კოლექტივიზაციის კურსს ეწინააღმდეგებოდა.

საკითხის მეცნიერული გაანალიზებისა და შეჯამების შედეგად შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება: 1921-1928 წლები აგრარული ურთიერთობებისა და აგრარული

---

[596] აცსა, ფ.რ-2, ან. 1, ს. 778, ფურც. 114-118.

მოძრაობის ისტორიაში ყველაზე რთული და წინააღმ-დეგობებით აღსავსე ეტაპია. ქვეყნისათვის უმძიმესი იყო ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ქართველი ხალხის განუკურნებელ ტკივილად დარჩა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის ჩამოშორება დედასამშობლო-საგან, რაც საბჭოთა რუსეთის მიერ თურქეთთან გარიგებით მოხდა. აგრარული რეფორმის ყველაზე დიდი ნაკლი ის იყო, რომ იგი ჩატარდა ულმობლად, ფაქტობრივად ტერორის პირობებში. ხელისუფლება ყოფილ მემამულე-თავადაზნაურობას მიწის საარსებო მინიმუმსაც აღარ უტოვებდა, აიძულებდა სამშობლოს დატოვებას, საბოლოოდ კი საქმე მიყავდა მათი ფიზიკური განადგურებისაკენ.

არაეფექტური აღმოჩნდა მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება. მართალია, აგრარული რეფორმის შედეგად უმიწო და მცირემიწიანი გლეხების ნაწილმა მიწები მიიღეს, მაგრამ ამით პრობლემა არ გადაჭრილა. გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც მცირემიწიანი იყო. ასეთ პირობებში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენდა მთიანეთიდან ჭარბი მოსახლეობის ჩასახლება საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა იქნებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების შეცდომად ჩაითვლება ის, რომ საკითხი პრინციპულად არ დაისვა საქართველოს ცენტრალური ხელმძღვანელობის წინაშე. საქმეს არ შველოდა ავტონომიური რესპუბლიკის მთიანეთიდან ზღვისპირეთში მოსახლეობის მცირე ნაწილის ჩამოსახლება, რადგან საკმარისი მიწები აქაც არ იყო.

ამავე დროს დადებით ღონისძიებად ჩაითვლება უცხოელი მოახალშენეების მამულების ნაციონალიზაცია. მათ

ბაზაზე სახელმწიფო მეურნეობის მოწყობა. თუმცა სახელმწიფო მეურნეობებში ადგილობრივი მუშახელის მოზიდვას ჯეროვანი ყურადგება არ ექცეოდა, რაც მაშინდელი ხელისუფლების შეცდომად ითვლება.

საქართველოს ცენტრალური და აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტი იყო ჩაი და სუბტროპიკული კულტურები. ნაკლები ყურადღება ექცეოდა მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურებს, მეცხოველეობას, მეფუტკრეობას, მეხილეობას (სუბტროპიკული კულტურების გამოკლებით). გლეხობა უზრუნველყოფილი არ ყოფილა გაუმჯობესებული სამოწათმოქმედო იარაღებით. სწორედ ამის შედეგად XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარის სოფლად მოსახლეობა სისტემატურად შიმშილობდა. მართალია, 1921 წელს შემოღებული იყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, მაგრამ კერძო ბიზნესსა და წამოწყებებს გასაქანი არ ეძლეოდა. ხელისუფლება ამ ინიციატივებს ჩანასახშივე ახშობდა. სანაცვლოდ საბჭოთა სახელმწიფო თავისი პროგრამით სოფლად ქმნიდა ახალი ტიპის კოოპერაციულ მეურნეობებს, რასაც გლეხობა ინტერესით არ ხვდებოდა. ყოველივე ეს არის ისტორიული გაკვეთილები, რაც გამოადგება დამოუკიდებელ საქართველოს ახალი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში.

Турманидзе О.М.

Поземельные отношения и аграрное движение в Юго-западной Грузии (1878-1928 гг.)

Резюме

В результате Русско-турецкой войны 1877-1878 годов к Грузии вернулась её Юго-западной часть. Страна почти полностью восстановила свою территориальную целостность. Конечно, это было историческим явлением, несмотря на колониальную политику царизма.

После освобождение Юго-западной Грузии царское правительство создало две териториально-административные единицы - Карскую и Батумскую области. Основной задачей Российского правительство было социально- экономическо освоение региона. В этом плане царское правительство стремилось законодательным образом оформить и укрепить казеной собственность в этом крае.

В канцелярии главноначальствующих и наместника Кавказье 80-90-ые годов XIX века было разработано несколько проектов поземельного устроиство населения Карской и Батумской областей. Несмотря на стремление царского правительства, эти проекты остались неосуществленными. До 1901 года царское правительство сохраняло турецкие законы землевладения землепользования, подати и повинности в Карском и Батумском областях.

В 1901 году Российские власти осуществили реформу сельского управления и податной системы. В результате этой реформы население Карской и Батумской областей было

зачислено в казеное ведомство. С этого времени они превратились в государственных поселения и было обложены оборочными податями и земскими сборами. Надо отметить, что земскими сборами обложили все категория землевладельцов. Частновладельческие земли обложились государствеными налогами. В Карской и Батумской областях такие землевладельцы были малочислены. Например, в 1905 году Батумской области частновладельцев были несколько человек, их собственность числились 20220 десятин.

В труде на основе первоисточников проанализировано еволюция аграрных форм в Батумской и Карской областях. Детально рассмотрены крестьянская, помещичье, религиозных учреждений и капиталистические землевладения. В 1890-1917 годы всреднем на один дым приходилось 2,4 десятини всей категории земли, на одну душу- 0,35 десятин. Другое положение было в Карской области. В Ардаганском округе в среднем на один дым приходилось 34,6 десятин, а на одну душу-4,3 десятин, а в Ольтинском округе-32,3 и 3,4 десятин. Если сравным эти данные то станет ясно, что крестьянское землепользования в Карской области в 30-раз превышало аналогичное с Батумской области.

В изучаемий период в Ардаганском и Олтиинском округах помещичьего и капиталистического землевладение не было. В Батумской области крупными землевладельцами были Химшиашвили, Абашидзе, Бежанидзе и другие. Царское правительство не признало ага-бегскую частную собственность, исключением были наследники Шерифа Химшиашвили. В 1912 г. Российский царь утвердил их частную собственность в 8295 десятин. Представители фамилий Абашидзе и Бежанидзе продовали значительные участки своей земли. Раньше они были крупными землев-

ладельцами, после продажи земель превратились средних в земледельцев. Вместе с этим проведено исследование землевладения религиозных учреждений. Особое внимание уделялось капитализации земли в Батумской области.

В труде расмотрено капиталистическое землевладения. Проанализировано крупное землевладения, каким являлось удельное ведомство, хозяйствоК.Попова, А.Соловцова и других. Показан их вклад в экономическом развитии региона. Особое внимание уделяется колониальной политика царизма. В 1881-1917 годах царское правительство устроило несколько земледельческих поселений, переселяли из России крестьян и поселелялись на Черноморском побережье Грузии.

С новым подходом изучено аграрное движение. В регионе до 900-ых годов преобладали пассивные формы борьбы, прежде всего использовались такие формы борьбы, как были прошение-жалобы, неповинование и другие. В революционые времена население перешло к активным формам борьбы против царизма и капитализма. Во время революции формировались вооруженные отряды, настоятельно требовалис от правительства земли и свобод. В Кинтришском участке вооруженые отряды взяли в свои руки местную власть.

В 1907-1917 годах население не прекращало борьбы против царизма, но выступление не были такими, как в революционные времена 1905-1907 годов.

В период мировой войны царское правительство польностю проявило свою колониальную политику. Оно намеревалось выселить со своей родиной коренное население в Сибирь и на дальний Восток, а вместо коренного грузинского поселение поселить представителей других национальностей, особенности, русских.

Весь грузинский народ смело выступил против этого намерение царизма. Российское правительство было вынуждено отказаться от этого своего намерения.

В труде рассмотрены поземельные отношения и аграрное движение в период оккупации иностранными интервентами (1918-1920 гг.), указано, что это был тяжелый период для населения Юго-западной Грузии. В это время аграрное движение перерасло во всеобщую национально-освободительную борьбу. Население Аджарии внесло свой вклад в восстановление национальной государственоcти Грузии.

В монографии изучены поземельные отношения в 1921-1928 годах. Новыми подходами и методами освещена советизации Грузии в частности Аджарии. Показаны результаты интервенции, оккупации и анексии Грузии советской Россий. В труде освещены такие вопросы аграрных отношений, как национализация земли, конфискация помещичных земель и земель которые находились в собственности у иностранцев, расмотрены вопросы крестьянского землепользование, оценены итоги аграрной реформи советской власти в Аджарии.

Otar Turmanidze

Land Relations and Agriculture in South-West Georgia (1878-1926)

Resume

After the rebellion the South-West Georgia from the Osman rule the Russian government created two administrative-territorial units. they were Karsi and Batumi regions. The main task of Russian Government was the social- economical governing of the region. To reach this goal it tried to legalize the right of state possession on the land. In 80s and 90s of the XIX century at the chancellery of the head ruler and the King's representative in the Caucasus the projects about the organization of the land usage worked out. Despite the great efforts of the Russian Government these projects were not realized. they were not accomplished. The Russian Government was able to keep the Osman rules on land using and different kinds of Osman taxes as well.

In 1901 the Russian Government took a decision about the agricultural managing and tax reformation in Batumi and Karsi regions. At the result of this reformation the population of Batumi and Karsi regions was registered at the Department of State Farmers. They were to pay new types of taxes: land taxes and national taxes. It should be noted that national taxes were to be paid by all categories of land owners, and the land taxes – only by the owners of private property. But the number of such owners was not great. In 1906 the whole private land area consisted only 2220 dessiatinas.

The work gives the analyses of the evaluation of landowning forms. The peasant, nobility, religious institutional and capitalist landownership is thoroughly considered. The fact that Batumi

population possessed the land in little areas is also notified in the work. In 1990-1917 the average landownership of all categories consisted 2.4 dessiatinas per family, and 0.35 dessiatinas per person. There was quite a different situation in Karsi region in 1887-1913. In Artaani district the owned land area consisted 34.6 dessiatinas for per family, and 4.3 dessiatinas for per person. In Oltisi district – consequently 32.3 and 3.4 dessiatinas.

In the research period there was no patrimony and capitalist landownership in Artaani and Oltisi districts. as for Batumi region, there were upper landowners as well as middle and small ones. the representatives of upper landowners were the Khimshiashvilis, the Abashidzes, the Tavdgiridzes, the Bezhanidzes. For example, according to the command of Russian Emperor Nickolai II the heirs of Sherip Khimshiashvili were approved the land area of 8295 dessiatinas as their real estate.

The work also considers capitalist form of landownership. It analyses the character of landownership and land usage of Royal family, also the property of K. Popov, A. Solovitsky, M. Sanitsin and others. The work also shows the new landownership contribution in the social-economical development. The work studies the history and activity of new landforms and the establishment of scientific-educational institutions, as well as land tax forms and the whole tax system. The work also gives the new approach to the agricultural movement in 1877-1917, also to the peculiarities of the agricultural policy accomplishment of the Georgian Democratic Republic and the Soviet Government in Adjara. The work also evaluates the results of agricultural reformation made by the Soviet Government and makes consequent conclusions.

განმარტებანი

ა.შ.	- ასე შემდეგ
ან.	- ანაწერი
ასმსფ	- აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერითა ფონდი
აცსა	- აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი
ასხგსმაპ	აჭარა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში
ბათ.	- ბათუმი
ბსმსრდა	- ბრძოლა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში
გა'ს.	- გაზეთი
ბფ.	- გვერდი
დასახ.	- დასახელებული
ე. ი.	- ესე იგი
თბ.	- თბილისი
თფ.	- თფილისი
ი.	- ისტორიული
ის.	- ისილეთ
ნაშრ.	- ნაშრომი
რევკომი	- რევოლუციური კომიტეტი
რსდმპ	- რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
სახკომსაბჭო	სახალხო კომისართა საბჭო

ს.	საქმე
ს.	- სოფელი
სს.	საქმეები
სუიცსსა	- საქართველოს უახლოესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი
სცსსა	- საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი
ტიფ.	- ტიფლისი
ტფ.	- ტფილისი
ფ.	- ფონდი
ფურც.	- ფურცელი
ცაკი	- ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი
ძვ.წ.	- ძველი წელთაღრიცხვა
წ.	- წელი
წწ.	- წლები
Акты	- Акты, собранные кавказской археографической Комиссией
Бпсва	- Борьба за победу советской власти в Аджарии
Бпсвг	- Борьба за победу советской власти в Грузии
Бат.	- Батуми
Г.	- год
ГГ.	- годы
КК	- Кавказский календарь
М.	- Москва
Отд.	- отдель

Журн.	- Журнал
РКА	- Революционные Комитети Аджарии
С.	- Санкт
С.	- Страница
Статист.	- статистический
Тб.	- Тбилиси
Тиф.	- Тифлиси

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 5

თავი I. რუსეთის ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კოლონიზაციისათვის

1. რუსული მმართველობა – რეგიონის კოლონიზაციის მთავარი ინსტრუმენტი 36
2. ხელისუფლების ღონისძიებები სახელმწიფო მიწათმფლობელობის დასამკვიდრებლად 52
3. რუსული სამიწათმოქმედო ახალშენები 81

თავი II. მიწათმფლობელობის ფორმათა ევოლუცია და მესაკუთრეთა ჯგუფები 1878-1917 წლებში

1. გლეხობის მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა 101
2. მემამულე-თავადაზნაურებისა და რელიგიურ დაწესებულებათა მიწათმფლობელობა 124
3. მიწის კაპიტალიზაცია და ახალი სოციალური ფენები 169
4. საადგილმამულო გადასახადები და საგადასახადო სისტემა 198

თავი III. აგრარული მოძრაობა 1878-1917 წლებში

1. აგრარული მოძრაობა XIX საუკუნის 80-90-იანი წლებსა და 900-იანი წლების დასაწყისში 226
2. აგრარული მოძრაობა რევოლუციის წლებში 258
3. აგრარული მოძრაობა 1907-1917 წლებში 283

თავი IV. აგრარული საკითხი და საადგილმამულო ურთიერთობანი 1918-1928 წლებში

1. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა და აჭარა 300
2. საქართველოს გასაბჭოება და საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის თავისებურებანი აჭარაში (1921-1928 წწ.) 322

რეზიუმე რუსულ ენაზე 380

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 384

გამომცემლობის დირექტორი

ნანა ხახუტაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე

ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე

ოპერატორები – გიორგი ჩხიკვაძე, ნინო ხუჯაძე

წიგნის სპონსორია სამშენებლო ფირმა „ანაგი“

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.03.2009

ქაღალდის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 24.3

ტირაჟი 100

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35